

დავით ძამუკაშვილი, რომან შენგელია, დავით გაბუნია,
ვალერი ხრუსტალი, სანდრო ჯორბენაძე

„საავტორო და მომრიგნავე
უფლებების შესახებ“
საქართველოს კანონის
კომენტარი

თბილისი
2003

კომენტარი მოამზადეს:

დავით ძამუკაშვილმა: თავი I, III, V, VII, X-XII,
მუხლები 5-10, 15-20

რომან შენგელიამ: თავი IV, VIII

ვალერი ხრუსტალმა: თავი IX

დავით გაბუნია: თავი VI

სანდრო ჯორბენაძემ: მუხლები 11-14

რედაქტორი: ლადო ჭანტურია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი: ნინო ბებრიშვილი

© დავით ძამუკაშვილი. 2003

© რომან შენგელია. 2003

© ვალერი ხრუსტალი. 2003

© დავით გაბუნია. 2003

© სანდრო ჯორბენაძე. 2003

ISBN 99928 951 8 7

ს ა რ ჩ ე ვ ი

კანონის მიღებამდე მოქმედი სამართლებრივი აქტების მოკლე მიმოხილვა	7
თავი I. ზოგადი დებულებანი	16
მუხლი 1. კანონის მიზანი	16
მუხლი 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები	19
მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო	20
მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება	25
თავი II. საავტორო უფლებები	35
მუხლი 5. საავტორო უფლების ობიექტები	35
მუხლი 6. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები	42
მუხლი 7. საავტორო უფლებების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებისაგან	55
მუხლი 8. ნაწარმოებები, რომლებზედაც არ ვრცელდება საავტორო უფლება	58
მუხლი 9. საავტორო უფლების წარმოშობა	61
მუხლი 10. ავტორობის პრეზუმფცია	65
მუხლი 11. თანაავტორობა	<u>67</u>
მუხლი 12. შედგენილი ნაწარმოების ავტორის (შემდგენლის) უფლებები	79
მუხლი 13. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები	84
მუხლი 14. გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები	94
მუხლი 15. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე	97
მუხლი 16. საავტორო უფლება სამსახურებრივ ნაწარმოებზე	102
მუხლი 17. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები	108
მუხლი 18. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები	118

მუხლი 19. ქონებრივი უფლებები კომპიუტერულ პროგრამაზე და მონაცემთა ბაზებზე	131
მუხლი 20. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები	134
თავი III. ქონებრივი უფლების შეზღუდვა	138
მუხლი 21. ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის	141
მუხლი 22. ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ	147
მუხლი 23. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე	150
მუხლი 24. თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული ნაწარმოების გამოყენება	155
მუხლი 25. მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს	156
მუხლი 26. ნაწარმოების რეპროდუცირება სასამართლო წარმოებისათვის	157
მუხლი 27. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა	158
მუხლი 28. კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მფლობელთა უფლებების შეზღუდვები	159
მუხლი 29. კომპიუტერული პროგრამების თავისუფალი გამოყენება (დეკომპილირება)	161
მუხლი 30. მონაცემთა ბაზის თავისუფალი გამოყენება	164
თავი IV. საავტორო უფლების მოქმედების ვადა	165
მუხლი 31. საავტორო უფლების წარმოშობა და მისი მოქმედების ვადა	167
მუხლი 32. საავტორო უფლებათა მოქმედების ვადები	168
მუხლი 33. უვადო საავტორო უფლებები	171
მუხლი 34. ვადაგასული საავტორო უფლების გამოყენება	172
თავი V. საავტორო უფლებების გადაცემა	174
მუხლი 35. საავტორო უფლების გადაცემის საფუძვლები	178

მუხლი 36. ავტორის ქონებრივი უფლების გადაცემა	183
მუხლი 37. განსაკუთრებული ლიცენზია	186
მუხლი 38. ჩვეულებრივი ლიცენზია	188
მუხლი 39. ნაწარმოების გამოყენება განსაკუთრებული ლიცენზიის გადაცემის შემდეგ	190
მუხლი 40. საავტორო ხელშეკრულება	191
მუხლი 41. საავტორო ხელშეკრულების ბათილობა	202
მუხლი 42. საავტორო ხელშეკრულების ფორმა	204
მუხლი 43. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება	206
მუხლი 44. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	212
თავი VI. საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები	213
მუხლი 45. მომიჯნავე უფლებები	215
მუხლი 46. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები	217
მუხლი 47. შემსრულებლის უფლებები	220
მუხლი 48. ფონოგრამის დამამზადებლების განსაკუთრებული უფლებები	231
მუხლი 49. ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები	236
მუხლი 50. მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლებები	237
მუხლი 51. მომიჯნავე უფლებათა ობიექტების თავისუფალი გამოყენება	242
მუხლი 52. მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის გამოყენება	245
მუხლი 53. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის	248
თავი VII. სპეციალური ღებულებები მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების შესახებ	250
მუხლი 54. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი	250
მუხლი 55. მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები	253
მუხლი 56. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების შეზღუდვა	255
თავი VIII. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადა	256
მუხლი 57. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადები	256

თავი IX. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა	261
მუხლი 58. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა	<u>261</u>
მუხლი 59. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა	<u>272</u>
მუხლი 60. კონტრაფაქციული ეგზემპლარები	284
მუხლი 61. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები	<u>290</u>
მუხლი 62. სახელმწიფო პოლიტიკა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში	297
თავი X. ქონებრივ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველებზე	<u>300</u>
მუხლი 63. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნა	302
მუხლი 64. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობა	305
მუხლი 65. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის უფლებები	307
მუხლი 66. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მოვალეობები	309
თავი XI. გარდამავალი დებულებანი	311
მუხლი 67. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე	311
თავი XII. დასკვნითი დებულებები	313.
მუხლი 68. ძალადაკარგული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	313
მუხლი 69. კანონის ამოქმედება	314

კანონის მიღებაზე მოქმედი სამართლებრივი აქტების მოკლე ვიმოხილვა

როგორც ცნობილია, ავტორთა შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ ნაწარმოებებზე წარმოიშვება საავტორო უფლებები, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება¹. ამჟამად საქართველოში, თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ეს უფლებები სრულფასოვნად არის დაცული. განსხვავებული ვითარება იყო გასულ საუკუნეში, როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1918 წელს, საბჭოთა რუსეთმა უარყო კერძო საკუთრება და შესაბამისად, უარყოფილ იქნა ავტორთა საკუთრების უფლება მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებზე. როგორც შედეგი, შემოქმედთა ქონებრივი უფლებები საბჭოთა კავშირში ძალზე შეკვეცილი მოცულობით იყო დაცული და მისი ფარგლები განისაზღვრებოდა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ოდენობის საავტორო ჰონორარის მოთხოვნით. უფრო ფართოდ იყო დაცული ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებები. ავტორთა უფლებების დაცვის აღნიშნული პრინციპები სრულად შეინარჩუნა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც ძალაში შევიდა 1965 წლის 1 ივლისს. მასში „სავტორო სამართალს“ დაეთმო IV კარი, რომელიც მოიცავდა 40 (488–528) მუხლს და ეხებოდა:

¹ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია, მე-2(VIII) მუხლი. საქართველო ამ კონვენციის წევრი გახდა 1994 წლის იანვარში.

– ნაწარმოებს, რომლებზედაც საავტორო უფლება ვრცელდება – 488-ე მუხლი. დაცვას ექვემდებარებოდა მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები;

– ნაწარმოების სახეებს – 489-ე მუხლი. მასში მოცემული იყო ნაწარმოებების ნაირსახეობათა ჩამონათვალი, რომელიც ამომწურავი არ იყო;

– ნაწარმოების გამოქვეყნებას – 490-ე მუხლი. ამ მუხლის მოთხოვნები რომ დაკმაყოფილებულიყო, საჭირო იყო გამოცემა, ან მოქალაქეთა განუსაზღვრელი წრისათვის საჯაროდ გაცნობა;

– საავტორო უფლებას სსრ კავშირში გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე – 491-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით საავტორო უფლება აღიარებული იყო ნაწარმოების სსრ კავშირის ტერიტორიაზე რაიმე ობიექტური ფორმით არსებობის შემთხვევაში;

– საავტორო უფლებას საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე – 492-ე მუხლი. სხვა დანაწესთან ერთად ეს მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქე ავტორთა უფლებამონაცვლებების საავტორო უფლებები საქართველოში დაიცვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამონაცვლება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნებოდა გაფორმებული;

– ავტორის უფლებებს – 493-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით დაცული იყო მხოლოდ შემდეგი უფლებები: გამოქვეყნების, რეპროდუცირებისა და გავრცელების, სახელის აღნიშვნის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის მოთხოვნა და საზღაურის მიღების უფლება, რომლის ოდენობაც განისაზღვრებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, თუ მისი დადგენა სსრ კავშირის გამგებლობაში არ შედიოდა;

– თანავტორობას – 494-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით თანავტორობად ითვლებოდნენ მხოლოდ საერთო შრომით შექმნილი კოლექტიური ნაწარმოების ავტორები, რომლებსაც ასეთი ნაწარმოები ერთობლივად ეკუთვნოდათ; გარდა ამისა, თითოეულ თანავტორს საავტორო უფლება ჰქონდა „თვითმყო-

ფადი“ მნიშვნელობის მქონე ნაწარმოების ნაწილზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულიყო კოლექტიური ნაწარმოების სხვა ნაწილებისაგან დამოუკიდებლად;

– იურიდიულ პირთა საავტორო უფლებას – 495-ე მუხლი. იურიდიული პირის უფლებათა ფარგლები განისაზღვრებოდა მოქმედი კანონმდებლობით და არა ხელშეკრულებით, თუ საავტორო უფლების მოპოვება ხელშეკრულებით ხდებოდა;

– სამსახურებრივი დავალების შესრულების შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე წარმოქმნილ საავტორო უფლებას – 496-ე მუხლი. დაწესებული იყო, რომ საავტორო უფლება ეკუთვნის ავტორს, ხოლო ორგანიზაციის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენება და ავტორისათვის გასამრჯელოს გადახდა წესრიგდებოდა საქართველოში მოქმედი სხვა კანონმდებლობით;

– კრებულის შემდგენელთა საავტორო უფლებებს – 497-ე მუხლი. დადგენილი იყო შემდგენლის საავტორო უფლება ისეთ კრებულზე, რომელიც შეიცავდა ნაწარმოებებს, რომელიც ვისიმე საავტორო უფლებათა საგანს არ წარმოადგენდა. ხოლო, თუ იგი საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებს შეიცავდა, მაშინ შემდგენელს შეეძლო ესარგებლა საავტორო უფლებით კრებულში შესულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების შეულახავად;

– ორგანიზაციის საავტორო უფლებას პერიოდულ და სხვა გამოცემებზე – 498-ე მუხლი. ორგანიზაციის საავტორო უფლება დაწესებული იყო შემდგენლის უფლებების მსგავსად;

– საავტორო უფლებას კინოფილმებზე, სატელევიზიო ფილმებზე, რადიო და ტელე გადაცემებზე – 499-ე მუხლი. ამ მუხლის ძალით საავტორო უფლება ფილმის გამძღებს, აგრეთვე გამძღებ რადიო ან სატელევიზიო ორგანიზაციას ეკუთვნოდა; იმავედროულად, კინო ან სატელევიზიო ფილმში გამოყენებულ ნაწარმოებთა ავტორებს ჰქონდათ საავტორო უფლება თავიანთ ნაწარმოებებზე;

– ავტორის ნაწარმოების სხვა პირის მიერ გამოყენებას –

მე-500, 501-ე, 507-ე მუხლები. ზოგად სახელმძღვანელო პრინციპად დაწესებული იყო ავტორის თანხმობის გარეშე სხვა პირის მიერ ნაწარმოების გამოყენების დაუშვებლობა, თარგმნის ჩათვლით. 502-ე მუხლით მთარგმნელის უფლება გაიგივებული იქნა საავტორო უფლებასთან. დაწესებული იყო საავტორო უფლების შეზღუდვები როგორც გასამრჯელოს გადახდის, ისე მისი გადაუხდელობის პირობით. გარდა ამისა, 513-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ავტორისაგან ნაწარმოების გამოყენების უფლების იძულებითი გამოსყიდვის შესაძლებლობა სახელმწიფოს მიერ;

– ნაწარმოების ხელშეუხებლობას და ავტორის სახელის დაცვას – 503-ე, 505-ე მუხლები. იკრძალებოდა ნაწარმოებში ან ავტორის სახელში რაიმე ცვლილების შეტანა მისი თანხმობის გარეშე. აგრეთვე, ნაწარმოებისადმი წინასიტყვაობის, ილუსტრაციებისა და სხვათა დართვა. ავტორს მიენიჭა უფლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად დაენიშნა სხვა პირი იმ წესით, რა წესითაც ინიშნებოდა ანდერძის აღმსრულებელი. თუ ასეთი პირი დანიშნული არ იყო, ამ უფლებას ახორციელებდა ავტორის მემკვიდრე და ორგანიზაცია, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა საავტორო უფლების დაცვა. ეს ორგანიზაცია იცავდა აგრეთვე საავტორო უფლებას ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე (504-ე მუხლი);

– საავტორო უფლების მოქმედების ვადას – 508-ე, 510-ე, 511-ე მუხლები. დადგენილი იყო საავტორო უფლების 25 წლიანი მოქმედების ვადა ავტორის გარდაცვალებიდან. კოლექტიური ნაწარმოების თითოეული ავტორის მემკვიდრეები საავტორო უფლებით სარგებლობდნენ კონკრეტული შემდეგ 25 წლის განმავლობაში. საავტორო უფლების მემკვიდრეზე გადასვლა დაწესებული იყო 509-ე მუხლით. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის საავტორო უფლება უკავდო უფლებად იყო აღიარებული, რადგან ასეთი წესი საავტორო უფლებათა მფლობელად პრაქტი-

კულად საბჭოთა კავშირის აღიარებდა¹ კერძო დაწესებულებების არარსებობის გამო. ნაწარმოები, რომელზეც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გავიდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიძლება გამოცხადებულიყო სახელმწიფოს კუთვნილებად;

– საავტორო უფლების დაცვას – 512-ე მუხლი. უფლებათა დარღვევის შემთხვევაში დასაშვები იყო დარღვეული უფლების აღდგენა – გამოქვეყნების აკრძალვა ან გავრცელების შეწყვეტა, აგრეთვე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა;

– საავტორო ხელშეკრულებას – 515-ე–521-ე, 523-ე, 526-ე–528-ე მუხლები. ამ მუხლების მიხედვით, ავტორს შეეძლო საავტორო ხელშეკრულების დადება მხოლოდ ორგანიზაციასთან.

დადგენილი იყო საავტორო ხელშეკრულების ორი სახე – ნაწარმოების გამოსაყენებლად გადაცემის შესახებ და სალიცენზიო ხელშეკრულება. საავტორო ხელშეკრულება წერილობით უნდა დადებულიყო. ხელშეკრულებით გასაცემი გასამრჯელო ღირნდობოდა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული განაკვეთების ფარგლებში. საავტორო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ორგანიზაცია ვალდებული იყო დაეწყო, ან გამოეყენებინა ნაწარმოები არა უგვიანეს 2 წლისა მისი მოწონების დღიდან. დადგენილი იყო, აგრეთვე, ტიპობრივი ხელშეკრულებები. განსაზღვრული იყო ავტორისა და ორგანიზაციის პასუხისმგებლობის ფარგლები და სხვ.)²;

¹ რომ არა ტერიტორიული პრინციპი, ორგანიზაციის საავტორო უფლება გათანაბრებული იქნებოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებასთან. ასეთი სამართლებრივი თვითნებობა ფართოდ აზანაოებდა საბჭოურ სინამდვილეს.

² საავტორო ხელშეკრულების სხვადასხვა ტიპებისა და ფორმის არსებობა სასარგებლო იქნებოდა საქართველოს დღევანდელი სამოქალაქო კოდექსისათვისაც, რომელიც ხელშეკრულების ნაირსახეობად საავტორო ხელშეკრულებას არ მიიჩნევს.

– სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული მოქალაქის ინტერესების დაცვას

– 524-ე მუხლი. თუ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული იყო სხვა პირი, მაშინ მისი გამოქვეყნების, რეპროდუცირებისა და გავრცელების განხორციელება ამ მუხლის ძალით დასაშვები იყო მხოლოდ აღნიშნული სხვა პირის თანხმობით. ეს წესი არ ვრცელდებოდა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელებულ გამოცემაზე;

– არქიტექტურული, საინჟინრო და სხვა ტექნიკური გეგმების გამოყენების წესს – 525-ე მუხლი. ორგანიზაციის შეკვეთით ასეთი ნაწარმოებების შექმნის შემთხვევაში, შეკვეთის უფლება ჰქონდა გამოყენებინა ისინი თავისი საჭიროებისათვის, გადაეცა მესამე პირისათვის, ან გამოექვეყნებინა პრესაში. ამასთან, იგი ვალდებული არ იყო ავტორისათვის დამატებითი გასამრჯელო გადაეხადა.

ეფიქრობთ, წარმოდგენილი მუხლების მოკლე ანალიზი მკაფიოდ გამოხატავს სოციალისტური საქართველოს საავტორო სამართლის თავისებურებებს (განსაკუთრებით იმ ნორმების, რომლებიც ავტორთა უფლება-მოვალეობებსა და გამოყენების შედეგად შემოსავლის მიღებას ეხებოდა) და თავისუფალი ეკონომიკისათვის მიუღებელ იდეოლოგიას. საბჭოთა საქართველო არანაირად არ იცავდა ავტორთა მოძიჯნავე უფლებებს. საავტორო სამართალი არ ეხებოდა, აგრეთვე, კომპიუტერული პროგრამების დაცვას. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის IV კარი მოქმედებდა 1997 წლამდე – სანამ არ შევიდა ძალაში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული სამოქალაქო კოდექსი და მასთან ერთად საავტორო სამართალი, რომელიც სრულად მოთავსდა ინტელექტუალური საკუთრებისადმი მიძღვნილ IV წიგნის პირველ კარში. 1997 წლის 26 ივნისს მიღებულ სამოქალაქო კოდექსთან ერთად 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებული პირველი ეროვნული საავტორო სამართალი სრულად პასუხობდა იმჟამინდელ სტანდარტებს, მაგრამ საეცალისტების გარკვეული ჯგუფის ძლისხმევეითა და მცდელობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ იქნა საავტორო სამართალი – 1017-ე

1099-ე მუხლები. შედეგად, დამოუკიდებელი საქართველოს მიერ პირველად მიღებულმა საავტორო სამართალმა ისე შეწყვიტა მოქმედება, რომ არც კი დასცალდა პრაქტიკული გამოცდა. სამოქალაქო კოდექსის IV წიგნის პირველი კარი დარჩა სპეციალურ კანონზე მითითებითი ერთი მუხლის ამარა. რადგან, 1999 წლის 22 ივნისს მიღებულმა საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონმა სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული საავტორო სამართლის უკლებლივ ყველა ნორმა გაიშორა არსებითი გადამუშავების გარეშე, განვიხილავთ მხოლოდ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1508-ე მუხლის გარდამავალ და დასკვნით დებულებებს, რომლებიც ეხება საავტორო სამართალს.

აღნიშნული მუხლი ასახელებს საავტორო სამართლის კონკრეტულ ობიექტებთან დაკავშირებულ იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნა 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე და რომლებზეც გავრცელდა მისი მოქმედება. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის (შემდგომ ბერნის კონვენცია) მონაწილე არ იყო და შესაბამისად, მაშინ საავტორო უფლებათა დაცვის ხანგრძლივობა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ბერნის კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მინიმალური ვადა. ნაწარმოებებისათვის, რომლისთვისაც ბერნის კონვენციასთან საქართველოს მიერთებამდე – 1995 წლის 16 მაისამდე საავტორო უფლების დაცვის 25 წლიანი ვადა (რომელიც საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსით იყო დადგენილი) გასული არ იყო, საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის 1508-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი იქნა საავტორო უფლების მოქმედების ვადის გაგრძელება 50 წლამდე 1062-ე და 1063-ე მუხლების თანახმად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანავტორობით შექმნილ ნაწარმოებისათვის (კოლექტიური ნაწარმოები საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით) შეიცვალა საავტორო უფლების დაცვის რეჟიმიც. კერძოდ, თუ ადრე იგი მოქმედებდა თითოეული ავტორისათვის (თანავტორისათვის) ინდივიდუალურად 25 წლის

განმავლობაში ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საავტორო უფლება ყველა ავტორისათვის გრძელდება უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 50 წლამდე. გარდა ამისა, მოისპო განსხვავება ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციის საავტორო უფლების მოქმედების ხანგრძლივობებს შორის. ადრე იგი ორგანიზაციისათვის უვადოდ მოქმედებდა.

მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების უფლებების მოქმედების ვადებზე ახალი სამოქალაქო კოდექსის 1508-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით გაგრცელდა ამავე კოდექსის 1095-ე მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 პუნქტების მოქმედება. საავტორო უფლებათა დაცვის ვადებისაგან განსხვავებით, მომიჯნავე უფლებათა დაცვის ვადა გაგრძელდა საავტორო სამართლის ობიექტებთან დაკავშირებულ იმ უფლებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა 1997 წლის 25 ნოემბრამდე.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ახალმა კოდექსმა 1508-ე მუხლით მოცემული ნორმების მოქმედება ადრე არსებულ ურთიერთობებზე კი არ გააგრცელა შესრულებასთან, ფონოგრამასთან, ვიდეოგრამასთან და მაუსწყებლობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, არამედ ისინი გააგრცელა არარსებულ ურთიერთობებზე ძველი საავტორო სამართლის მიხედვით. ჩვენი აზრით, ასეთი წესის დადგენა ძველად არარსებულ ურთიერთობებზე სამართლებრივად მიუღებელია. გაუგებარია, თუ რა საფუძვლებით უნდა ისარგებლოს შემსრულებელმა, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებელმა, ან მაუსწყებლობის ორგანიზაციამ 50 წლის განმავლობაში მომიჯნავე უფლებათა დაცვით, როცა ძველი კოდექსი მომიჯნავე უფლებების დაცვას საერთოდ არ ითვალისწინებდა. ეს მოსაზრება გამოვთქვით იმასთან დაკავშირებით, რომ 1999 წელს მიღებულმა კანონმა, თავის მხრივ, კვლავ გააგრცელა შესაბამისი ნორმების მოქმედება განხილულ ურთიერთობებზე და შედეგად მივიღეთ, რომ 25 წლის წინ არარსებული უფლებები დღესაც დაცულია. აღნიშნული ვითარების უმართებულობა ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითიდან:

პირველი შესრულება მოხდა 1973 წლის ნოემბერში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი ამოქმედდა 1997 წლის ნოემბერში, ანუ პირველი შესრულებიდან გასული იყო 24 წელი. ამ დროის განმავლობაში შემსრულებელი დაცვის სუბიექტი არ ყოფილა, ხოლო შესრულება კი – დაცვის ობიექტი. რატომ უნდა გავრცელდეს ახალი კოდექსის მოქმედება ძველად არარსებულ ურთიერთობებზე, როგორც ამას ადგენს 1508-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები! მით უმეტეს, რატომ უნდა გავრცელებულიყო ამ ურთიერთობებზე 1999 წლის კანონის მოქმედება!

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია, დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მუსიკებულის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

ა) კანონის პირველი თავი შედგება 4 მუხლისაგან, რომლებიც განსაზღვრავს კანონის მოქმედების მიზანსა და ფარგლებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტებისა და სუბიექტების მიმართ. აგრეთვე, განსაზღვრულია საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მოქმედების დამოკიდებულება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

ბ) კანონის 1-ლი მუხლით ფაქტობრივად მოცემულია საავტორო სამართლის ცნება და არა მხოლოდ კანონის მიზანი. აღნიშნული მუხლი აგრძელებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1017-ე მუხლით მოცემული საავტორო სამართლის¹ ცნებას. ამ აზრს ამტკიცებს კანონის განსახილველი მუხლის რედაქცია, რომელიც უმნიშვნელოდ და მხოლოდ სტილისტურად

¹რადგან 1999 წლის 22 ივნისის შემდეგ საავტორო სამართალი მხოლოდ ერთი მითითებითი მუხლით არის წარმოდგენილი სამოქალაქო კოდექსის IV წიგნში „ინტელექტუალური საკუთრება“, აქ და შემდგომ სამოქალაქო კოდექსის საავტორო სამართლის მუხლებზე მითითებისას ვგულისხმობთ მის 1999 წლამდე მოქმედ ტექსტს.

განსხვავდება სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული საავტორო სამართლის 1017-ე მუხლისაგან. კანონის ამ მუხლის ტექსტში შეტანილმა ერთადერთმა არსებითმა ცვლილებამ – მომიჯნავე უფლებათა სუბიექტებისათვის მონაცემთა ბაზის დამამზადებლის დამატებამ¹ დაამხინჯა კანონის შინაარსი, რადგან ეს სუბიექტი შემდგომ აღარ ფიგურირებს მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების რიცხვში (იხ. 46-ე მუხლი), ხოლო მისი უფლებების დაცვისათვის კანონმა გაითვალისწინა VII თავი, რომლითაც დააწესა საეციალური დაცვა.

კანონის ამ მუხლმა არ შეცვალა საავტორო სამართლის 1997 წლის სამოქალაქო კოდექსისეული მიდგომა და საავტორო სამართალს დაუქვემდებარა ორი განსხვავებული სახის უფლება – საავტორო და მომიჯნავე. ეს უკანასკნელი უფლება საავტორო უფლებაზე იმდენად მჭიდროდ არის დამოკიდებული, რომ საავტორო უფლებათა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ აკრძალულია მომიჯნავე უფლებათა განხორციელება. გარდა აღნიშნულისა, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამზადებასთან დაკავშირებული მომიჯნავე უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროს (თავისთავად) არც კი უნდა ეკუთვნოდეს, რადგან „სულიერი“ შემოქმედების შედეგს არ წარმოადგენს. საქართველოში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის კანონისეული მიდგომა ნაკარნახევეია ტრადიციული საერთაშორისო მიდგომით. საზოგადოდ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა ერთი კანონით გამართლებულია ამ უფლებათა მყარი კავშირით.

კანონის აღნიშნული მუხლი აღგენს, რომ საავტორო უფლება წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნასთან და გამოყენებასთან ერთად. მომიჯნავე უფლებები კი კანონმა დააკავშირა შესრულებასთან, ფონოგრამასთან, ვიდეოგრამასთან, მაუწყებლობასა და მონაცემთა ბაზას-

¹ სამწუხაროდ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ მოიძებნება მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კანონში.

თან.¹ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუ მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები დასახელებულია, საავტორო უფლებათა სუბიექტი დასახელებული არ არის. ის, რომ საავტორო უფლებათა სუბიექტი ავტორია, უნდა ვივარაუდოთ თვით უფლების დასახელებიდან – „საავტორო“. კანონის ამ მუხლით დადგენილია, რომ საავტორო უფლება ორი სახის უფლების – პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებებისგან შემდგარ უფლებას წარმოადგენს. საავტორო პირად არაქონებრივ უფლებებს ეხება მე-17 მუხლი, ხოლო ქონებრივ უფლებებს კი – მე-18 და მე-19 მუხლები. მომიჯნავე უფლებების შინაარსი გადმოცემულია 47-ე, 48-ე, 49-ე და 50-ე მუხლებით. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებათა შინაარსს კი ეხება 54-ე მუხლი.

შნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რას ნიშნავს „ნაწარმოების გამოყენება“. განმარტება მოცემული არ არის, მაგრამ ის ძირითადი მოქმედებები, რომლებიც წარმოადგენს გამოყენებას, გადმოცემულია მე-18 მუხლში.

¹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონის ამ მუხლს არ შეესაბამება 46-ე მუხლი, თუმცა ამით კანონის გამოყენების პრაქტიკული სირთულე ალბათ არ შეიქმნება.

მუხლი 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებათა წესები.

კანონის ეს მუხლი ახალია სამოქალაქო კოდექსის საავტორო სამართლის ნორმებთან შედარებით. ის კანონს არაფერს სძენს და მისი შემოღება არც თეორიული და არც პრაქტიკული აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. საქმე ის არის, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი ისედაც სავალდებულო წესს წარმოადგენს მოუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა ანალოგიურ ნორმას კონკრეტული კანონი.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება:

ა) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან/და მომხიბვლელ უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული იურიდიული პირი;

ბ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად გამოიყენა საქართველოს ტერიტორიაზე ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოყენებულად, თუ საზღვარგარეთ პირველი გამოყენებდან ოცდაათი დღის განმავლობაში ისინი გამოიყენა საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად; შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მგრამ ჩართულია მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) იმ მუწყებლობის ორგანიზაციასა გადაცემებზე, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული იურიდიული პირები და პროგრამებს გადასცემენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ვადამცემების მეშვეობით;

ე) არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილებად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტურულ ნაწარმოებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;

ვ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციას გადაცემებზე, რომლებიც დაკუთრებულია საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

მუხლი თითქმის მთლიანად იმეორებს სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ საავტორო სამართლის 1018-ე მუხლს. განსხვავება მხოლოდ „ე“ ქვეპუნქტებს შორის არის. კანონის რედაქციით „ე“ ქვეპუნქტში დამატებულია ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებული დებულება. იგი, აგრეთვე, იმეორებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სანიშნო კანონის მე-2 მუხლს როგორც შინაარსით, ისე სტილით. განსხვავება ის არის, რომ მისი მე-2 პუნქტი საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ზემოთ განხილულ მე-2 მუხლად მოგვევლინა.

განსახილველი მუხლის მიხედვით დაწესებულია კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შემოფარგლულია კანონის მოქმედების სფერო. ესენია: 1) უფლებათა მფლობელის მოქალაქეობა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი – ფიზიკური პირებისათვის; 2) ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც რეგისტრირებულია იურიდიული პირი; 3) პირველად გამოცემის ტერიტორია; 4) პირველად შესრულების ტერიტორია; 5) გადამცემის განლაგების ტერიტორია; 6) არქიტექტურული ნაწარმოების განლაგების ტერიტორია; 7) საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცვალობა.

კანონის მოქმედების სფერო შემოფარგლულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტებით და მათი მფლობელებით. ამასთან, თუ ობიექტები კონკრეტულად არის ჩამოთვლილი (ნაწარმოები, შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა, გადაცემა), უფლებათა მფლობელი სუბიექტები დასახელებული არ არის. მათი გარკვევა მნიშვნელოვანია, რისთვისაც მივმართავთ კანონის სხვა მუხლებს, რომელთა მიხედვითაც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები არიან:

– ნაწარმოების ავტორი (მე-11–მე-19 მუხლები);

– გამომცემელი, ზოგიერთი ნაწარმოების, კერძოდ ენციკლოპედიის, ენციკლოპედიური ლექსიკონის, მეცნიერული ნაშრომის, პერიოდული და ერთმანეთის გამაგრებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვ. პერიოდული გამოცემების შემთხვევაში (მე-14 მუხლი);

– შემსრულებელი; ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებელი; მაუწყებლობის ორგანიზაცია (46-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულის თანახმად, ნაწარმოებზე კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) თუ ავტორი საქართველოს მოქალაქეა ან აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ან,

ბ) თუ ნაწარმოები პირველად საქართველოს ტერიტორიაზე გამოიცა, ან პირველად გამოცემულად შეიძლება ჩაითვალოს.

ნაწარმოები რომ პირველად გამოცემულად ჩაითვალოს, ბერნის კონვენციით დაწესებულია 30-დღიანი ზღვრული ვადა¹. საკმარისა დაკმაყოფილდეს ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც, რომ ნაწარმოებს მიენიჭოს დაცვა. ე.ი. ავტორი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს (გამოცემის ტერიტორიას მნიშვნელობა არა აქვს), ან ნაწარმოები პირველად საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს გამოცემული (ავტორის მოქალაქეობას მნიშვნელობა არა აქვს). არქიტექტურული ნაწარმოებისათვის დამატებით მითითებულია განლაგების ადგილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს. ამასთან, განსაზღვრული მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურულ ნაწარმოებთან ერთად, დაცვას ექვემდებარება მასში ჩართული ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც

¹ბერნის კონვენციის ქართული ოფიციალური ტექსტი შეიცავს მძიმე შეცდომას – ორიგინალისაგან განსხვავებით იგი ამ ვადას 30 დღის ნაცვლად 50 დღით განსაზღვრავს. საქართველოს კანონით საავტორო და მოძიუნავე უფლებების შესახებ 30 დღეა დადგენილი, რაც შეესაბამება ბერნის კონვენციის ტექსტის ორიგინალს. სახეზეა ტექნიკური შეცდომით გამოწვეული ნორმათა კოლიზია.

ორიგინალი უნდა იყოს. კანონის ეს წესი ბერნის კონვენციის შესაბამისი დებულების დასაკმაყოფილებლად არის ჩართული, რაც აუცილებელი არ იყო, რადგან საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს საერთაშორისო ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა.

მოქალაქეობის¹ ან პირველად გამოცემის მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრება, აგრეთვე, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დაცვა.²

შესრულება დაცულია თუ ის პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, ან ჩაწერილია ფონოგრამასა ან ვიდეოგრამაზე, ან ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, იმის მოუხდავად, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა შემსრულებელი.

მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონის მოქმედება ვრცელდება გამოცემულ ნაწარმოებზე, ამან შეიძლება მცდარ დასკვნაზე მიგვიყვანოს, თითქოს იგი გამოუცემელ ნაწარმოებზე არ ვრცელდება, რომ არა კანონის მე-1 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც საავტორო უფლებას ავრცელებს გამოუქვეყნებულ ნაწარმოებზეც. კანონის მიხედვით, გამოუცემელი ნაწარმოები საქართველოში შეიძლება იყოს დაცული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორი საქართველოს მოქალაქეა. ამასთან, გასარკვევი ხდება – ვრცელდება თუ არა კანონის მოქმედება ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიქმნა.

განსახილველი მუხლის მიხედვით ოურიდოული პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თუ არ არის დაფუძნებული, მასზე საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მოქმედება ვერ გავრცელდება.

¹ ოურიდოული პირის შემთხვევაში, „მოქალაქეობა“ მისი რეგისტრაციის ან ბუღმივი დაწესებულების ადგილმდებარეობის ტერიტორიას გულისხმობს.

² პირველად გამოცემის 30-დღიანი ვადა ამ ობიექტებისათვის შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენციის (რომის კონვენცია) მიხედვით არის დადგენილი, რომლის მონაწილე საქართველო ვერ არ არის.

ვფიქრობთ, მუხლის ასეთი რედაქცია არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მუხლის ერთადერთი მიზანი კანონის მოქმედების სფეროს ზუსტი განსაზღვრაა. ვფიქრობთ, მისი რედაქცია უნდა გადამუშავდეს, რადგან იგი მრავალი ხარვეზით ხასიათდება.¹

¹ მუხლის რედაქციის გადამუშავებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსეთის ფედერაციის საავტორო და მოპოვანავე უფლებების შესახებ კანონის მე-5 და 35-ე მუხლები, რომლებიც ცხადად ადგენს კანონის მოქმედების სფეროს.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ავტორი“ – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები;

ბ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოები“ – ნაწარმოები, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებისაგან ხმის თანხლებით ან/და უამისოდ. ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან/და სმენით აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული ან სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე-, ვიდეო-, დიაფილმები და სხვა);

გ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის დროზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა ასეთი ნაწარმოების დამამზადებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე;

დ) „გამოცემის“ – ავტორის ან საავტორო და მომხილვე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით განხორციელებული მოქმედება, რომლის შედეგადაც პირველად ხდება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობა გამოცემის, საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემისა და სხვა გზით;

ე) „გამოცემა“ – ავტორის ან საავტორო და მომხილვე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ევზემპლარების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების, ან/და ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ევზემპლარებზე საკუთარების ან მფლობელობის სხვა ფორმით

გადაცემის გზით, იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებებს. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება გამოცემულად, თუ ისინი ხელმისაწვდომია ინფორმაციის ელექტრონულ სისტემათა მეშვეობით;

ვ) „ვაჭირავება“ – ნაწარმოების ან მოძიებულ უფლებების ობიექტის ორიგინალის ან ასლის ხელმისაწვდომობა დროის განსაზღვრულ პერიოდში სარეგებლობისათვის მოვების მიღების მიზნით;

ზ) „ვიდეოგრამა“ – გამოსახულებათა თანამიმდევრობის ჩანაწერი რაიმე ობიექტური ფორმით, ხმის თანხლებით ან უამისოდ;

თ) „ვიდეოგრამის დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა გამოსახულებათა თანამიმდევრობის პირველი ჩანაწერის ხმის თანხლებით ან უამისოდ განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ვიდეოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ვიდეოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;

ი) „კაბელით გადაცემა“ – ნაწარმოების ან მოძიებულ უფლებების ობიექტის გადაცემა კაბელით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ან სხვა ანალოგიური მოწყობილობით („კაბელით ხელახალი გადაცემა“ წარმოადგენს ერთდროულ, შეუცვლელ და შეუცვლელად ხელახალ გადაცემას მიკროტელევიზიული სისტემის მეშვეობით საზოგადოების მიერ მისთვის განკუთვნილი ტელე- და რადიოპროგრამების საწყისი გადაცემის მისაღებად სადენით ან საბერო გზით, სატელიტური კავშირის ჩათვლით);

კ) „კომპიუტერული პროგრამა“ – ინსტრუქციათა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სტრუქტურის ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა ამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ტერმინი მოიცავს კომპიუტერული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელ მასალას;

ლ) „**მუწყებლობა**“ – ნაწარმოების ან მომხდნავე უფლების ობიექტის გადაცემა უძველესო კავშირგაბმულობით, მათ შორის, თანამეზურის მეშვეობით („თანამეზური“ ნიშნავს ყველა თანამეზურს, რომელიც მუშაობს სიხშირეთა იმ დიაპაზონში, რომელიც ტელესაკომუნიკაციო წესების მიხედვით განკუთვნილია საზოგადოებისათვის მისაწოდებელი სამუწყებლო სიგნალებისათვის. „თანამეზურის მეშვეობით გადაცემა“ გულისხმობს პროგრამების მატარებელი სიგნალების მიღებას მუწყებლობის ორგანიზაციის კონტროლისა და ასუხისმგებლობის პირობებში საზოგადოებისათვის განკუთვნილი პროგრამები მიიღება კავშირის უწყვეტი ვაკუუმის სახით – ზევით სატელიტისა და ქვევით დედამიწის მიმართულებით თუ პროგრამის მატარებელი სიგნალები დაშიფრულია, სატელიტური კავშირი ხარციელდება იმ შემთხვევაში, თუ მუწყებლობის ორგანიზაცია თანახმა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის გაშიფვრის საშუალებათა მიწოდება);

მ) „**მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა**“ – პროგრამა, რომელიც შექმნილია თვით სათვრო ან საკაბელო მუწყებლობის ორგანიზაციის მიერ, ან მისი შეკვეთითა და მისივე სახსრებით სხვა ორგანიზაციის მიერ პროგრამა, რომელიც მხოლოდ ხელახლა გადაცემა კაბელით საკაბელო ორგანიზაციის მეშვეობით, არ წარმოადგენს ამ საკაბელო ორგანიზაციის გადაცემას;

ნ) „**მონაცემთა ბაზა**“ – სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების, დამოუკიდებელი ინფორმაციის, მონაცემებისა და სხვა მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით ტერმინი არ მოიცავს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს;

ო) „**რეპროდუქცირება**“ – ნაწარმოების ან მომხდნავე უფლების ობიექტის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დაზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით მათ შორის, ხმისა და ვიდეორანაწერის ფორმით რეპროდუქცირებად ასევე ჩათვლება ჩაწერა დროებით, ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრული ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, გარდა გამოცემისა;

3) „რეპროგრადული გამრავლება (ასლის გადაღება)“ – წერილობითი ან გრაფიკული ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის ფაქსიმილური რეპროდუქცირება გადაღებული თუ შემკირებული ზომით, ფოტოკოპირების ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით რეპროგრადულ გამრავლებად არ ჩითვლება ჩაწერა ელექტრონული (ციფრული ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით;

შ) „საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაყენებისათვის)“ – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მუწეცბლოდის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შეიძლება აღქმულ იქნეს იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, ადგილზე (ადგილებზე), რომლის (რომელთა) დაშორებაც გადაცემის ადგილიდან ისეთია, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მითითებულ ადგილზე (ადგილებზე);

რ) „საჯარო შესრულება“ – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მუწეცბლოდის ორგანიზაციის, გადაცემის წარმოდგენა ლექსამციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით;

ს) „საჯარო ჩვენება“ – ნაწარმოების, შესრულების, ვიდეოგრამის, მუწეცბლოდის ორგანიზაციის გადაცემის ლემონსტრირება, უშუალოდ ან კრანზე ფირის, სლაიდის, კადრის მეშვეობით ან სხვაგვარად, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო ჩვენება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოე-

ბის საჯარო ჩვენებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობის გარეშე.

ტ) „ტექნიკური საშუალება“ – მიწყობილობა ან მისი კომპონენტი, რომელიც განკუთვნილია საავტორო და მოძიენავე უფლებათა ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად;

უ) „უფლების მართვის ინფორმაცია“ – ინფორმაცია, რომელშიც მოითხოვულია ავტორო, ნაწარმოები, შემსრულებელი, შესრულება, ფონოგრამა, ფონოგრამის დამამზადებელი, ვიდეოგრამა, ვიდეოგრამის დამამზადებელი, მუწყებლობის ორგანიზაცია, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა, მონაცემთა ბაზა, მონაცემთა ბაზის დამამზადებელი და ამ კანონით ვათვალისწინებული ნებისმიერი უფლების მფლობელი, ანდა ინფორმაცია ნაწარმოების ან მოძიენავე უფლების ობიექტის გამოყენების ვადებისა და პირობების შესახებ, ციფრები და კოდები, რომლებშიც ასახულია ეს ინფორმაცია, როდესაც ამ ინფორმაციის შემადგენელი ნაწილები ერთვის ნაწარმოებს, ჩაწერილ შესრულებას, ფონოგრამას, ვიდეოგრამას ან მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემას ან ჩნდება ნაწარმოების, ჩაწერილი შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობის დროს;

ფ) „ფონოგრამა“ – შესრულების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვანი ჩანაწერი. ტერმინი არ მოიცავს გამსახულებებთან ერთად ჩაწერილი ბგერების ჩანაწერს, როგორცაა აუდიოვიზუალური ნაწარმოების მუსიკალური ფონი;

ქ) „ფონოგრამის დამამზადებელი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ფონოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ფონოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;

ღ) „ჩაწერა“ – ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გამოსახულების ან/და ხმის ფიქსაცია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც

მათი არაერთგერადი აღქმის, რეპროდუქტირებისა და გადაცემის საშუალებას იძლევა;

ვ) „შეშრულებული“ – მსახობი (თეატრისა, კინოსი და ა.შ.), მოძღვრული, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, მათ შორის, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნიმუშს.

საზოგადოდ, კანონი ვერდნობა მოცემულ სფეროში გავრცელებულ და სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილ ტერმინებს, მაგრამ რიგ შემთხვევებში, როდესაც კანონით წესრიგდება ურთიერთობები, რომლებიც განსხვავებული ტერმინებით შეიძლება დაბასიათდეს, საჭირო ხდება დაზუსტდეს, თუ რომელი და რა შინაარსის ტერმინია გამოყენებული ამა თუ იმ ნორმისათვის. შესაბამისად, კანონმდებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს ჩამოაყალიბოს სპეციალური მუხლი, რომელიც დაადგენს თუ რა შინაარსის ტერმინია გამოყენებული კანონში. ასეთ შემთხვევებში მოცემული კანონისათვის ტერმინის სხვა მნიშვნელობებს ძალა არა აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელს მაქსიმალური სიფრთხილე მართებს, რომ უმართებულად არ შეზღუდოს ან არ გააფართოვოს კანონის მოქმედების არეალი. შესაბამისად, კანონებში, როგორც წესი, სპეციალური მუხლი ტერმინებს კი არ განმარტავს, არამედ მოუთითებს მათ იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ის იყენებს, ხოლო მუხლს ასათაურებს შემდეგნაირად: „კანონში გამოყენებულ ტერმინებს (ან ცნებებს) აქვთ შემდეგი მნიშვნელობა“. ამიტომ გვეჩვენება, რომ საქართველოს საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ კანონის მე-4 მუხლის დასათაურება უბეჯობისა შეიცვალოს. ხშირ შემთხვევაში კანონში ტერმინთა განმარტების მოთავსება კი არ გააადვილებს კანონის პრაქტიკულ გამოყენებას, არამედ გაართულებს მას. ამ თვალსაზრისით გამოირიცხებული არ არის სხვა კანონებთან შეუსაბამობა. გარდა ამისა, ცნების შინაარსი შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. თუ ასეთი რამ მოხდება, კანონი ცვლილებას მოითხოვს ერთადერთი მიზნით – დაზუსტდეს მასში შემავალი

ტერმინი, მოუხედავად იმისა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამის დარგში დახვეწილი განმარტება კარგა ხანი არსებობს. აღნიშნული და სხვა არგუმენტების გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შემაჯავლი საავტორო სამართალი არ შეიცავდა სპეციალურ განმარტებით მუხლს¹.

კანონში ამ მუხლის არსებობა, თავისთავად, იმაზე მიუთითებს, რომ მისი კომენტარი ზედმეტია, მაგრამ არსებული ხარვეზები და უზუსტობები, რომლებიც საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-4 მუხლშია დაფიქსირებული, გვიბიძგებს საპირისპიროსკენ.

უწინარესად აღვნიშნავთ, რომ ზოგი განმარტებული ტერმინი კანონის მე-4 მუხლის გარდა სხვაგან აღარ გვხვდება, მაგალითად „ტექნიკური საშუალება“ („ტ“ პუნქტი). არაკორექტულია ისეთი ტერმინის განმარტება, როგორიცაა „ვაქირავება“ („ვ“ პუნქტი), რადგან არ შეიძლება სამოქალაქო ურთიერთობების გამოშხატველ ამ ოურიდოულ ცნებას ერთი მნიშვნელობა ჰქონდეს ამ კანონისათვის და სამოქალაქო კოდექსისათვის კი სხვა. სრულიად ზედმეტად გვესახება „კომპიუტერული პროგრამის“ („კ პუნქტი); „მაუწყებლობის“ („ლ“ პუნქტი); „მონაცემთა ბაზის“ („ნ“ პუნქტი); „უფლების მართვის ინფორმაცია“ („უ“ პუნქტი); „ჩაწერის“ („დ“ პუნქტი) განმარტება და ა. შ. ამ ტერმინებს შემდგომ აღარ შევეხებით.

„ა“ პუნქტის შესაბამისად ავტორი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს. ავტორად, კანონის მიხედვით, უნდა ვიგულისხმოდეთ, აგრეთვე, „შემდგენელი“ (მე-12 მუხლი); „დამდგმელი რეჟისორი“

¹ კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ ეუჭვრთ მხარს კანონში სპეციალური განმარტებითი მუხლის არსებობას. იგი ყველა გამოყენებულ ტერმინს მაინც ვერ განმარტავს. გარდა ამისა, სავალდებულოდ მიგვაჩნია კანონმდებელი დაექვემდებაროს ოურიდოული მეცნიერების ცნობილ პრინციპს – „კანონი სახელმძღვანელო არ არის“. ტერმინთა განმარტებისათვის დანტერესებულმა პირმა შეიძლება მიმართოს: სანდრო ჯორბენაძე „ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი“, თბილისი, 1998 წ.; WIPO Glossary of Law of Copyright and Neighboring Rights, Geneva, 1981 წ. და სხვა არსებულ სახელმძღვანელოებს და ლიტერატურას.

(მე-15 მუხლი). კანონი სხვა ცნებებს არ იყენებს, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ „მწერალი“, „მხატვარი“, „კომპოზიტორი“, „მოქანდაკე“ და სხვ. კანონის შესაბამისად მიეკუთვნებიან ავტორთა რიცხვს.

„ბ“ პუნქტის თანახმად, „აუდიოვიზუალური ნაწარმოები“ განმარტებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ სანიმუშო კანონის (შემდგომ „ისმოს სანიმუშო კანონი“) მსგავსად. ამასთან, გამოჩენილია ის მომენტი, რომ გამოსახულებები, რომლებიც ასეთ ნაწარმოებად აღიქმება, უნდა წარმოადგენდეს ერთმანეთთან დაკავშირებულ გამოსახულებათა სერიას. უზუსტობა შეიძლება მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებდეს, თუმცა არ გამოვრიცხავთ პრაქტიკულ მნიშვნელობასაც. დანარჩენში ეს ქვეპუნქტი თვითგანმარტებადია.

„გ“ პუნქტის მიხედვით განმარტება ცხადია, ოღონდ უნდა დავამატოთ, რომ პირი აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლად რომ ჩაითვალოს, მისი ინიციატივა აუცილებლად დაფინანსებასაც უნდა გულისხმობდეს. გარდა ამისა, კანონის მიხედვით „პროდუქსერი“ არის გაიგივებულია დამამზადებელთან. სინამდვილეში პროდუქსერად კინემატოგრაფიაში ფილმის დამდგმელ რეჟისორსაც მიიჩნევენ.¹

„დ“ და „ე“ პუნქტების შესაბამისად, გამოქვეყნება გამოცემისაგან იმით განსხვავდება, რომ გამოქვეყნებისათვის შეიძლება ნაწარმოების ერთეული ეგზემპლარი იყოს საკმარისი, მთავარია, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ანუ დაცული იყოს საჯაროდ გამოტანის მოთხოვნა. სხვაგვარად რომ ითქვას, გამოქვეყნება გამოცემისაგან განსხვავდება იმით, რომ გამოქვეყნების დროს საზოგადოებას არ სთავაზობენ ნაწარმოების ეგზემპლარების შექმნას ან მიქირავებას და ა. შ.; გამოცემის დროს აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს საზოგადოების გონივ-

¹ WIPO Glossary of Terms of the Law of Copyright and Neighboring Rights, Geneva, 1981, P.199. საერთოდ ნაწარმოები კი არ მზადდება, არამედ იქნება. ამდენად, სრულიად მოუღებლად მიგვაჩნია ტერმინი „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი“.

რული მოთხოვნილება, ანუ უნდა გამოიყენოს ნაწარმოების ამ მოთხოვნილების შესაბამისი რაოდენობის ვეზემპლარი. ტერმინების ასეთი გაგება გამოძღინარეობს როგორც ბერნის¹, ისე რომის კონვენციებიდან, აგრეთვე ისმოს სანიშნო კანონიდან.

„ზ“ პუნქტის თანახმად, ვიდეოგრამის განმარტება არაფრით განსხვავდება ლიტერატურაში არსებულ ჩვეულებრივ განმარტებებისაგან და დამატებით კომენტარს არ მოითხოვს.

„თ“ პუნქტის მიხედვით, ვიდეოგრამის დამამზადებლად ცნობისათვის მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა პირმა ფინანსური ვალდებულება იკისროს.

„ი“ პუნქტის შესაბამისად, ტერმინი „კაბელით გადაცემა“ დამატებით განხილვას არ მოითხოვს. თუმცა, გაუგებარია რა უნდა ვიგულისხმოთ კაბელის ანალოგიურ მოწყობილობად – კაბელი ხომ მოწყობილობა არ არის. ეს ტერმინოლოგიური უზუსტობა პრაქტიკულ სირთულეს ალბათ არ შექმნის, მაგრამ უკეთესია სიტყვა „მოწყობილობა“ შეიცვალოს სიტყვით „საშუალება“.

„შ“ პუნქტის თანახმად, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა განმარტებულია როგორც პროგრამა, რაც უხეში შეცდომაა. კანონისეული განმარტებით გაკეთებული აქცენტი იმაზეა, თუ უშუალოდ რომელი სუბიექტის მიერ, ან რომელი სუბიექტის დაკვეთითა და სახსრებით შეიქმნა გადაცემა და არა პროგრამა.

„ო“ და „პ“ პუნქტების მიხედვით, რეპროდუცირება და რეპროგრადიული გამრავლება ერთმანეთისაგან ძირითადად

¹ ხაზი გვინდა გაუესვათ ბერნის კონვენციის ქართული თარგმანისა და კანონის ერთმანეთთან შეუსაბამობას. კერძოდ, ბერნის კონვენციის მე-3(3) მუხლის ქართული თარგმანის მიხედვით: „არ ითვლება გამოქვეყნებულად დრამატული, მუსიკალურ-დრამატული, ან კინემატოგრაფიული ნაწარმოების დადგმა, მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო კითხვა, ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების მავთულებით გადაცემა, ხელოვნების ნაწარმოების ჩვენება და არქიტექტურული ნაწარმოების აგება“. აქ მთარგმნელმა კელაე შეცდომა დაუშვა. ნაცელად სიტყვისა – „გამოქვეყნებულად“ უნდა იყოს – „გამოცემულად“.

იმით განსხვავდება, რომ რეპროგრაფიული გამრავლების დროს, როგორც წესი, გამოიყენება ფაქსიმილური რეპროდუცირება.¹

„ე“ პუნქტის შესაბამისად, ტექსტი დამატებით განხილვას არ მოითხოვს. გასაგებია, რომ გადაცემა, რომელიც აღიქმება პირთა მკაცრად შეზღუდული წრის მიერ, კერძოდ ოჯახის წევრების ან ახლობლების მიერ, საჯარო გადაცემად არ ჩაითვლება, რადგან მიუწვდომელია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის.

„რ“ და „ს“ პუნქტების ტექსტი დამატებით განმარტებას არ მოითხოვს.

„ფ“ და „ქ“ პუნქტის მიხედვით, განმარტება გადმოღებულია რომის კონვენციის ტექსტიდან. ამ შემთხვევაშიც, ფონოგრამის დამამზადებლად ის პირი უნდა ჩაითვალოს, რომელიც ფინანსურ ხარჯებსაც გაიღებს.

„ყ“ პუნქტის შესაბამისად, შემსრულებელი განმარტებულია რომის კონვენციის მიხედვით. დამატებით აღვნიშნავთ, რომ იგი მომუხნავე უფლებათა სუბიექტებს შორის ერთადერთია, რომელიც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს ქმნის, რის გამოც მინიჭებული აქვს პირადი არაქონებრივი უფლებები. ამასთან, იგი, ავტორის მსგავსად, მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს.

¹ ფაქსიმილური რეპროდუცირება ნიშნავს ხელმოწერის, საბუთის და სხვ. ზუსტი ასლის გადაღებას ფოტომექანიკური წესით. იხ. „ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი“, სანდრო ჯორჯენაძე, თბილისი, 1988 წ., გვ. 351

თავი II. საავტორო უფლებები

მუხლი 5. საავტორო უფლების ობიექტები

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებით საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, აკარგოანობისა, თანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

2. საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით.

3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

კანონის მეორე თავი შედგება 16 მუხლისაგან (მე-5 – მე-20) და ეხება საავტორო უფლებებს, ამიტომ მე-6 მუხლი ამ თავში არ უნდა მოხვედრილიყო, მისი ადგილი ზოგად დებულებებს შორის არის¹. ჩვენი აზრით, მუხლის სათაური უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო – „ავტორი, საავტორო უფლებები“, რადგან ამ თავში უფლებების გარდა მოცემულია მოთხოვნები ავტორობისა და თანავტორობის მიმართ.

სამოქალაქო კოდექსის შესატყვისი 1024-ე მუხლისაგან კანონის მე-5 მუხლი განსხვავდება იმით, რომ დამატებით შეიცავს მე-3 პუნქტს, რაც უფრო ნათელს ხდის საავტორო უფლებათა მოქმედება ნაწარმოების შინაარსის მიმართ.

საავტორო უფლების ობიექტად აღიარებულია ნაწარმოები,

¹ კანონმა გაიმეორა სამოქალაქო კოდექსის საავტორო სამართლის მიერ დაწესებული უზუსტობა, რომლის გამოსწორებაც იურიდიული თეალასზრისით, სირთულეს არ წარმოადგენს.

რომლის ცნებასაც საქართველოს კანონი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის კანონი არ იძლევა. აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა დაუთმეს. ყველაზე ხშირად იურისტ-მეცნიერები ვ. სერე-ბროვსკისეულ 1956 წლის განმარტებას უთითებენ, რომლის მიხედვითაც: „Произведение, – это совокупность идей, мыслей и образов, получивших в результате творческой деятельности автора свое выражение в доступной для восприятия человеческими чувствами конкретной форме, допускающей возможность воспроизведения“¹. მოვიყვანოთ თარგმანს: „ნაწარმოები იდეების, აზრებისა და მხატვრული სახეების ერთობლიობაა, რომლებმაც ავტორის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად გამოხატულება პოვეს ადამიანის შეგვრძნებისათვის მისაწვდომ კონკრეტული ფორმით, რაც კლავწარმოების შესაძლებლობას იძლევა“. აღსანიშნავია, აგრეთვე, ცნობილი საბჭოთა მეცნიერის მ. გორდონის განმარტება, რომლის მიხედვითაც ნაწარმოები იდეებისა და მხატვრული სახეების კომპლექსია, რამაც თავისი ობიექტური გამოხატულება პოვა ნაშრომის სახით.²

ანალოგიურია სხვა ცნობილი მეცნიერების განმარტებებიც, მათი ერთიანი მიდგომით ნაწარმოები გონებრივი შემოქმედების შედეგია. რადგან გონს, თავისთავად, შესწევს იდეალური ობიექტის სახით ნაღვაწის გამოხატვის უნარი, ნაწარმოები მატერიალური ობიექტი ვერ იქნება.³ ეს აზრი სრულად ეხმიანება იურიდიულ მეცნიერებამო მიღებულ შეხედულებებს, რომ ნაწარმოები არამატერიალურ სიკეთეთა წრეს მიეკუთვნება. ზემოთ აღნიშნული

¹ А. П. Сергеев. Право интеллектуальной собственности в Российской Федерации. Учебник, „Проспект“, Москва, 1999 г., с. 108

² С. А. Чернышова. „Правоотношения в сфере художественного творчества“, „Наука“, Москва, 1979 г. с.70

³ Э.П. Гаврилов: Комментарий закона об авторском праве и смежных правах. „Фонд правовая культура“, Москва, 1996г., с. 32

განმარტებები ნაწარმოების ზოგად განმარტებას წარმოადგენს¹, რომელსაც საავტორო სამართლისათვის მისადაგება სჭირდება.

საავტორო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისი განმარტება მოცემულია მაგალითად, პროფესორ დელია ლიფშიცის (Delia Lipszyc) მიერ: „ნაწარმოები ინტელექტის პერსონალური გამოხატულებაა ნააზრევის განვითარებაში, რომელიც გაცხადებულია აღქმადი სახით და გააჩნია საკმარისი ორიგინალობა ან ინდივიდუალობა, აგრეთვე გამოსაღვია საჯაროდ დაყვანისა და გარდაქმნისათვის.“² აღნიშნული განმარტების გარდა, მისათითებელია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის განმარტება, რომელიც მოცემულია საავტორო და მოძოგნავე უფლებათა ტერმინების გლოსაროუმში და რომელიც დელია ლიფშიცის განმარტების მსგავსად თავსდება ფრანსუა ჰეპის (Francois Hepp) განმარტების ჩარჩოებში. ამ უკანასკნელის მიხედვით, ნაწარმოები არის ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, რომელიც თავისი წარმომავლობით ორიგინალურია და გამოხატულია ობიექტური ფორმით, რომელსაც შესწევს სამართლებრივი დაცვის ობიექტად გახდომის უნარი.³ ეს ორი განმარტება, გარდა იმისა, რომ სამართლებრივად აკონკრეტებს ცნებას „ნაწარმოები“, იძლევა კრიტერიუმებს, რომლებიც საავტორო უფლებათა ობიექტად აქცევს მას.

ქართული იურისტ-მეცნიერი ზურაბ ახვლედიანი აღნიშნავდა: „ნაწარმოების საავტორო უფლების ობიექტად ცნობისათვის საჭიროა, რომ მას გააჩნდეს ორი ნიშანი:

ნაწარმოები ავტორის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი უნდა იყოს;

¹ გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი განმარტება: „ნაწარმოები არის პიროვნული გონებრივ-სულიერი შემოქმედების გამოხატველი კმნილება, არსებული შეწყობილი სიტყვის, გამოსახულების, ბგერის ან მათი კომბინაციის აღქმადი სახით“.

² Copyright and Neighboring Rights, Delia Lipszyc, UNESCO Publishing, 1999, p. 69

³ ამ განმარტებას მიუთითებს ვ. იონასი (В. Я. Ионас) ნაშრომში Критерий творчества в авторском праве и судебной практике, „Юридическая литература“, Москва, 1963 г., с. 21-22

ნაწარმოები გამოხატული უნდა იყოს რაიმე ობიექტური ფორმით.¹

ეს ორი ძირითადი კრიტერიუმი მოცემულია განსახილველი მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტების ტექსტში. ინტელექტუალური, ანუ გონებრივი შემოქმედების განსაზღვრისათვის საჭიროა დადგინდეს „შემოქმედების“ შეფასების კრიტერიუმები. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედება დამოკიდებულია კონკრეტული ავტორის პიროვნებაზე, ამდენად ის ყოველთვის ინდივიდუალურია. ნაწარმოები, შექმნილი ნებისმიერი ინდივიდუალის გონებრივი შემოქმედებითი გარჯის შედეგად, ყოველთვის ორიგინალურია. *მამსადაძე, თუ იკვთება ნაწარმოების გარეგნული ან მინარსობრივი ორიგინალობა (ინდივიდუალობა), მაშინ იგი შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, ანუ საავტორო უფლებით დაცვის საგანია.*

იმედროულად ნაწარმოები გამოხატული უნდა იყოს ობიექტური ფორმით. როგორც პროფესორი ზურაბ ახვლედიანი აღნიშნულ ნაშრომში მოუთითებდა, „საავტორო უფლებით დაცვის ობიექტად არ ჩაითვლება „ნაწარმოები, რომელიც ვერ კიდევ შემოქმედის თავშია და უცნობია სხვა პირებისათვის“. საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი შრომის ისეთ შედეგს, რომლის გარეგნული ფორმა შესაძლებელს ხდის მის აღქმას. ნაწარმოები გამოხატული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს მისი აღქმა და რეპროდუქცირება ავტორის დახმარების გარეშე“.

გამოხატვის ფორმა შეიძლება იყოს წერილობითი (ნებისმიერი ჩანაწერი ქაღალდზე, ელექტრონულ საშუალებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამაზე და სხვ.). ნაწარმოები შეიძლება იყოს გამოხატული ზეპირი ფორმითაც, მაგალითისათვის კვლავ პროფესორ ახვლედიანს დავესესხებით და ირაკლი ანდრონიკაშვილის „ზეპირ მოთხრობებს“, ან კოტე მახარაძის ერთი პირის თეატრალურ

¹ზ. გ. ახვლედიანი, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის უფლებები. „საბჭოთა საქართველო“, 1974 წ., გვ. 12

დადგმებს დავასახელებთ. ზეპირი ფორმით არსებობის ყველაზე გავრცელებული მაგალითია ხალხური შემოქმედების შედეგები — შაირი, ფოლკლორული სიმღერა და სხვა.

განხილული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, კონცეფციებზე, აღმოჩენებზე და ა. შ. ეს იმიტომ, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ არის ნაწარმოები. ერთ იდეაზე შეიძლება იყოს აგებული მრავალი ნაწარმოები და თუ ახალი ნაწარმოები სხვა ნაწარმოებიდან აღებულ იდეაზეა დაფუძნებული, უფლებათა დარღვევას ადგილი არა აქვს. ისიც ნათელია, რომ მათემატიკური ფორმულა — $F=ma$, ან $a^2+b^2=c^2$ ნაწარმოები არ არის და დაცვას არ ექვემდებარება. თუმცა, კაცობრიობა მოძრაობის ოდენობის ძალასთან პროპორციულობის კანონზომიერებისა და მართკუთხა სამკუთხედის თვისების აღმოჩენ ავტორებს, ისაკ ნოუტონსა და პითაგორას, ძალიან კარგად იცნობს.

ნაწარმოები დაცვადია მოუხედავად იმისა, გამოქვეყნდება იგი თუ არა. მაგრამ, ზეპირი ნაწარმოები დაცვას ექვემდებარება მხოლოდ თუ საჯაროდ არის ცნობილი, ანუ სატყვენოდ გამოტანილი. საქართველოს კანონი ამას პირდაპირ არ მოუთითებს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოდ. ამ დასკვნის მართებულობაზე მეტყველებს ის, რომ ზოგიერთი ტყვენის კანონი პირდაპირ შეიცავს შესაბამის ნორმას, მთ შორის ისმო-ს სანიმუშო კანონი საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ.

ნაწარმოების დაცვა მის დანიშნულებაზე დამოკიდებული არ არის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, მასზე უფლებათა მოცულობაა დამოკიდებული (მაგ., პროექტი, რომელიც არქიტექტურული დანიშნულებისა).

დაცვად ნაწარმოებებად ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებებია დასახელებული. ისინი ფართო გაგებით უნდა განიმარტოს. კერძოდ, მეცნიერების ნაწარმოების ნაირსახეობად ტექნიკური ნაწარმოებიც იგულისხმება, ხოლო ხელოვნების ნაწარმოებს მიეკუთვნება: ფერწერა, მუსიკა, თეატრი, ფოტოსურათი, ცეკვა და ა. შ., ხოლო ლიტერატურული ნაწარ-

მოები მოიცავს მათემატიკურ ფორმულებს, კომპიუტერულ პროგრამას და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაწარმოები საქართველოს საავტორო უფლებათა ობიექტია, თუ:

იგი შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფია, ანუ ინდივიდუალურია (ორიგინალურია).

მაგალითი:

შპს „ქართული პურის“ ერთ-ერთ მაღაზიაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შემდეგი ჩვეულებრივად ნაბეჭდი ტექსტი: „მოშხმარებელთა საყურადღებოდ! ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ შეშაზე გამომცხვარი თონის პური ყოველდღიურად დილის 6 საათიდან საღამოს 11 საათამდე. ჩვენ მუდამ გთავაზობთ მხოლოდ ქართული ტრადიციით გამოცხობილ პურს, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი ფორმით ამოიცნობთ. მსურველებმა შეიძლება შეიძინონ ძალიან ცხელი, ნაკლებად ცხელი, თბილი ან ცივი პური, რათა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ ექიმის დანიშნულების გათვალისწინებით.“

ეს ტექსტი საქმიანობის მოცემული სფეროსათვის არანაირ უჩვეულო შინაარსობრივ გამოხატულებას არ წარმოადგენს. მასში არ იგრძნობა კონკრეტული პირის – ავტორის შემოქმედებითი სული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი არც ინდივიდუალურია და არც ორიგინალური. ამდენად, აღნიშნული ტექსტი დაცვადი ნაწარმოები ვერ იქნება.

თუკი ამ ტექსტს შპს „ქართული პური“ გააფორმებს სხვაგვარად, მაგალითად შეურჩევს შესაბამისი ფერის ფონს, მორთავს ორნამენტით, ასოებს სტილიზებულიად გამოსახავს, მაშინ სახეზე იქნება არსებითად ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც დაცვადი იქნება მთლიანობაში. ამასთან, მისი შემადგენელი ნაწილები შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დაცვის საგანი მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტექსტი ვერ იქნება დამოუკიდებელი დაცვის ობიექტი. ორნამენტი, თუ ის ტრადიციულ

ქართულ ორნამენტს არ წარმოადგენს ისარგებლებს დაცვით. თუ განვაზოგადებთ გამოთქმულ აზრს, ცხადი ხდება, რომ ნაწარმოების ცალკეული ორიგინალური ელემენტები შეიძლება დამოუკიდებლად იყოს დაცული კანონით საავტორო უფლებათა შესახებ¹.

2. იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, მოუხედავად გამოქვეყნებისა.

მაგალითი:

ა) სიმღერა შესრულებულია და ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, ან სიმღერის ტექსტი ჩაწერილია ნოტების სახით. ასეთ შემთხვევებში, ნაწარმოები არსებობს გარკვეული ფორმით და იგი დაცულია, მოუხედავად იმისა გამოქვეყნდა თუ არა.

ნაწარმოები შესრულებულია ზეპირად. აქ საქმე გვაქვს ნაწარმოების ზეპირი ფორმით გამოხატვასთან. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნაწარმოები შესრულდეს საჯაროდ და არა პირთა განსაზღვრული წრის წინაშე, მაგალითად, მხოლოდ ოჯახის წევრების წინაშე. ზეპირად გამოხატული ნაწარმოები დაცვას ექვემდებარება, რადგან იგი აღქმადია ადამიანის მიერ. რა თქმა უნდა, ნაწარმოების ობიექტური ფორმით არსებობის დასამტკიცებლად კარგი იქნებოდა თუ იგი ერთდროულად დაფიქსირებოდა ინფორმაციის რაიმე მატარებელზე.

¹ ნაწარმოების დამოუკიდებელ ნაწილად განიხილება რომანის ან ლექსის და ა. შ. სათაური. მაგალითად, წიგნის სათაური „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, ან „ომი და მშვიდობა“, ან „პეშანი“ და ა. შ. დაცვადი ვერ იქნება. ხოლო დიდი შოთას ნაწარმოების სათაური „ვეფხისტყაოსანი“; მიხეილ თუმანიშვილის „სალაყბოს ფურცელი“, ბესიკის „ტანო ტატანო“ და ა.შ. დამოუკიდებელი დაცვის საგანია მათი აშკარა ინდივიდუალობის გამო.

მუხლი ნ. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია:

ა) ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);

ბ) დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოები და სხვა სასცენო ნაწარმოები;

გ) მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ;

დ) აუდიოვიზუალური ნაწარმოები (კინო-, ტელევიდეო-ფილი და სხვა);

ე) სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა მსგავსი ნაწარმოები;

ვ) დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;

ზ) თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;

თ) არქიტექტურული, ქლაქშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;

ი) ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები. აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების ცალკეული გამოსახულება არ ითვლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად;

კ) რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოები, რომელიც მიეკუთვნება გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს;

ლ) გადაშუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების აწკარუდი, ადაპტაცია, გერანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპლაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთან სხვაგვარი გადაშუშავება;

მ) შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს;

ნ) სხვა ნაწარმოებები.

2. გადაუშვებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

3. გადაუშვებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად.

4. კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამაზე (აპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიზატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

საავტორო და მომუგნავე უფლებების შესახებ კანონის ეს მუხლი შედგენილია სამოქალაქო კოდექსის 1025-ე და 1026-ე მუხლების გაერთიანების საფუძველზე. იგი იძლევა ნაწარმოებების ჩამონათვალს, რომლებიც მიეკუთვნება მეცნიერებას, ლიტერატურას ან ხელოვნებას. ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. თეორიული თვალსაზრისით მუხლი დასახვეწია, რადგან სათაურის მიხედვით მასში პირდაპირ უნდა იყოს მოცემული, თუ რომელი ნაწარმოებია მეცნიერული, ლიტერატურული და რომელი ეკუთვნის ხელოვნებას. 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ჩამოთვლილია ნაწარმოებები, რომლებიც ლიტერატურას მიეკუთვნება, მაგრამ მოტანილია ძალზე ზოგადი ცნებები, როგორიცაა „წიგნი“, „ბროშურა“ და „სტატია“. შინაარსის მიხედვით თითოეული მათგანი შეიძლება მიეკუთვნოს ლიტერატურასაც და მეცნიერებასაც. მუხლის ასეთი რედაქცია შეეფერება ბერნის კონვენციას, რომელიც ერთმანეთისგან არ ანსხვავებს ლიტერატურულ და მეცნიერულ ნაწარმოებს. იმის გამო, რომ კანონი არ იძლევა ლიტერატურული და სამეცნიერო

ნაწარმოების განმარტებას, აღვნიშნავთ, რომ სავსებით დამაკმაყოფილებელია შემდეგი განმარტება: „ლიტერატურული ნაწარმოები არის წერილობითი ნაწარმოები, რომელსაც მისი ფორმისა და შინაარსის სილამაზისა და ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით აქვს მნიშვნელოვანი ღირებულება“.¹ საავტორო სამართლის თვალთახედვიდან, ზოგადი მინიშნება ლიტერატურულ ნაწარმოებზე გულისხმობს ყველანაირ ორიგინალურ წერილობით ნაწარმოებს (რომელიც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია), მათ შორის პროზაულს, პოეზიურს, მეცნიერულს, ტექნიკურს ან რაიმე სხვა პრაქტიკული დანიშნულების მქონეს.

ჩვეულებრივ, ლიტერატურული ნაწარმოები ხასიათდება შემდეგი ელემენტებით: სათაური, თემა, სიუჟეტი, მხატვრული ფორმა.

სათაური ნაწარმოების მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ნაწილია და, როგორც ზემოთ აღვნიშნა (იხ. მე-5 მუხლის კომენტარი-სქელო), შეიძლება იყოს საავტორო უფლებით დაცვის საგანი ნაწარმოებისაგან განცალკევებულად. თუ ნაწარმოები მეცნიერული ან ტექნიკური ხასიათისაა, მაშინ ძველად წარმოსადგენია, რომ მისი სათაური, რომელიც მოუნიშნებს მეცნიერების ან ტექნიკის დარგს ან მიმართულებას, გამოყენების სფეროს და სხვ., განხილულ იქნეს ორიგინალურ ნაწარმოებად და იმსახურებდეს დამოუკიდებელ დაცვას საავტორო სამართლით.

თემა რეალურად არსებული ან შემოქმედის მიერ მოგონილი ფაქტებისა და მოვლენების ერთობლიობაა, რომელსაც ემყარება ნაწარმოების კონკრეტული სიუჟეტი. თემა თავისთავად დამოუკიდებელი დაცვის საგანი ვერ იქნება, რადგან, გასაგებია, რომ შეიძლება არსებობდეს ერთი და იგივე თემის შემცველი მრავალი ნაწარმოები. მაგალითად, პრინცესა დაიანას დაღუპვის თემის

¹ WIPO Glossary of Terms of the Law of Copyright and Neighboring Rights, p. 149

ამსახველი მრავალი ავტორის სტატია და წიგნი დაიბეჭდა, რომლებმაც საავტორო უფლება არ დაარღვიეს მოუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაგან არ აუღიათ ნებართვა.

სოუჟეტი ნაწარმოების მთლიანობის გამოშხატველი სქემაა, რომელიც განისაზღვრება მოვლენებისა და ფაქტების გამოხატვის ისეთი ურთიერთდამოკიდებულებითა და თანამიმდევრობით, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ნაწარმოების შინაარსის ორიგინალურ ხასიათს. სოუჟეტიდან ვლინდება ნაწარმოების ჩარჩოები, მოვლენათა განვითარების დინამიკა და ა.შ., რაც კონკრეტული ავტორის შემოქმედებით სტილსა და მოვლენათა ლიტერატურული გაერთმთლიანობის ორიგინალურ ხასიათს წარმოადგენს. სოუჟეტი ნაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მხატვრულ ფორმასთან ერთად, რომელიც პლაგიატის დადგენისას აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის გადასაწყვეტი იქნება სახეზეა თუ არა პლაგიატი, როცა ორი ნაწარმოების სოუჟეტი ერთმანეთს ემთხვევა ან მსგავსია. თუ ნაწარმოების გამოხატვის მხატვრული ფორმაც მსგავსია ან იდენტურია, მაშინ — პლაგიატი სახეზეა.

მხატვრული ფორმა ნაწარმოებში მხატვრული სახეების გამოხატვის თავისებური ელემენტია. იგი ყველაზე მეტად განისაზღვრავს ნაწარმოების ორიგინალობას. სწორედ მისი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს დაცვალია თუ არა ნაწარმოები საავტორო სამართლით. მაგალითი, რომელიც მე-5 მუხლის კომენტარისას მოვიყვანეთ, ნათლად მოუთითებს, რომ ჩვეულებრივი ხასიათის ტექსტი, რომელიც მხატვრული ფორმით არ გადმოსცემს მოვლენას, ორიგინალობით არ გამოირჩევა და ამიტომ, ვერც საავტორო სამართლით იქნება დაცვალი. მხატვრული ფორმის თვალსაჩინო გამოხატულებას ამა თუ იმ მწერლის ენა წარმოადგენს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ილიას, აკაკის, ვაჟას, შოთას ან ბესიკის ენა ვინმეს აერიოს ერთმანეთში. ლიტერატურული ნაწარმოების ენა ის ელემენტია, რომელიც გამოხატავს მხატვრულ სახეს და ნაწარმოების პოეტურ თუ თხრობით ღირსებას,

რაც მხოლოდ¹ ავტორისაგან მომდინარეობს. ამიტომ, მხატვრული ფორმა სოუჟეტთან შედარებით კიდევ მეტად წარმოაჩენს და ნათელს ჰქენს საკითხს, როდესაც გადასაწყვეტია პლაგიატის „არსებობა – არ არსებობა“.

სამეცნიერო ნაწარმოები ლიტერატურის ნაწარმოებად შეიძლება იქნეს განხილული (გარდა ნახაზებისა, დიაგრამებისა, გრაფიკებისა და სხვ.), რის დასტურიც ტერმინის – „სამეცნიერო ლიტერატურა“ არსებობაა. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ მხატვრული ნაწარმოების ელემენტები. მსგავსი ელემენტებით მეცნიერების ნაწარმოებიც შეიძლება დახასიათდეს. ამ ორი სახის ნაწარმოების ელემენტების ერთობლიობა განსხვავებული იქნება იმდენად, რამდენადაც მხატვრული ლიტერატურის (აგრეთვე ხელოვნების) ნაწარმოები წარმოაჩენს მხატვრულ სახეს, ან მოვლენის გამოხატვის ფორმას, ხოლო მეცნიერების ნაწარმოებისათვის მთავარია ფაქტის ან ამოცანის შემეცნებითი გადმოცემა. სამეცნიერო ნაწარმოების ელემენტებია: სათაური; მეცნიერული თემა, მეცნიერული იდეის და აზრის განვითარების ლოგიკური თანამიმდევრობით გადმოცემა; გადმოცემის ფორმა. როგორც ვხედავთ, ელემენტები ერთმანეთის მსგავსია. სამეცნიერო ნაწარმოების სათაური ორიგინალური ვერასოდეს იქნება, რადგან მან უნდა გამოხატოს ნაწარმოების შინაარსი. შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოების სათაურისაგან განსხვავებით, იგი დამოუკიდებელი დაკვის საგანი ვერ იქნება. თემა მეცნიერის მიერ ახლად აღმოჩენილი ან არსებული მეცნიერული პრობლემისა და მოვლენების ერთობლიობაა, რომელთა ანალიზსაც აუცილებლად ეძღვნება შემდეგი ელემენტი – მეცნიერული იდეის და აზრის განვითარების ლოგიკური თანამიმდევრობით გადმოცემა, რომლის დროსაც მეცნიერი –

¹ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიტერატურული ნაწარმოები წარმოადგენს მოვლენათა და ფაქტების გადმოცემის და მხატვრული სახეების ავტორისეული გამოსახვის ფორმას, რაც მიიღწევა მხატვრული ენით გადმოცემის საშუალებით, წერილობით ან ზეპირად.

ნაწარმოების ავტორი ირჩევს თავისებურ ორიგინალურ ფორმას. იგი, შეიძლება იყოს წარმოდგენილი მხოლოდ სიტყვებით, მხოლოდ მეცნიერული სიმბოლოებით (მაგალითად, გეომეტრიული თეორემის მათემატიკური ფორმულებით დამტკიცება) ან მათი კომბინაციით, რაც ყველაზე გავრცელებულია ზუსტ მეცნიერებაში.

კომპიუტერული პროგრამა, რომელიც თავისი შინაარსით მეცნიერულია კანონმა ლიტერატურულ ნაწარმოებებს მიაკუთვნა, რითაც დააკმაყოფილა „TRIPS“-ის პირდაპირი მოთხოვნა. ლიტერატურულ ნაწარმოებად უნდა განვიხილოთ, მაგალითად: ტექნოლოგიური ინსტრუქცია, რეცეპტურა, სარეკლამო გამონათქვამი, რეფერატი, ანოტაცია, რეზიუმე, ჩვეულებრივი წერილი და ა. შ.

წერილის შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ პირი, ვისთვისაც განკუთვნილია წერილი, ვერ გამოაქვეყნებს მას და, შესაბამისად, საავტორო უფლებით ვერ ისარგებლებს იმ პირის თანხმობის გარეშე, ვინც წერილი მისწერა.

მაგალითი:

გია ბულბულაძემ წერილი მისწერა თეა ვარდიაშვილს ამძღლებული სასიცვარულო ლექსით. თეას ძალიან ეამა ასეთი წერილის მიღება და მოისურვა გამოექვეყნებინა მისდამი მიძღვნილი ლექსი (წერილთან ერთად თუ წერილის გარეშე, მნიშვნელობა არა აქვს). თეა გიას თანხმობის გარეშე ვერ გამოაქვეყნებს ამ ლექსს და ვერც საავტორო უფლებით ისარგებლებს, რადგან მას ეს უფლება არ ეკუთვნის, თუმცა წერილი ფიზიკურად მას ეკუთვნის და შეუძლია გაანადგუროს კიდეც ის.

ლიტერატურულ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, აგრეთვე, „შ“ ქვეპუნქტის ტექსტით მოცემული ჩამონათვალი. აქ ტრადიციულ ნაწარმოებთა რიცხვს დაემატა მონაცემთა ბაზა, როგორც ამას მოითხოვდა „TRIPS“-ის ხელშეკრულება.

ნაწარმოებები „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტების მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს როგორც ლიტერატურას ან მეცნიერებას, ისე ხელოვნებას.

„თ“ და „კ“ ქვეპუნქტებით მოცემული ნაწარმოებები ცხადია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროს მიეკუთვნება.

განსახილველი მუხლის სხვა დანარჩენი ქვეპუნქტებით მოცემული ნაწარმოებები ხელოვნების ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. დასტურად ისმო-ს გლოსარიუმის განმარტებას მოვიხმობთ, რომლის თანახმადაც „ხელოვნების ნაწარმოები არის ისეთი ნაწარმოები, რომელიც მიმართულია ესთეტიური აღქმისაკენ“. შესაბამისად ამ კატეგორიას მიეკუთვნება: ფერწერის ნაწარმოები, ნახატი, სკულპტურა, გრაფიურა, ზოგ შემთხვევაში ფოტოგრაფიული და არქიტექტურული ნაწარმოები. მოუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ნაწარმოები ცალკე კატეგორიად განიხილება, საავტორო სამართალი მას ხელოვნების ნაწარმოების ნაირსახეობად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები მითუბეტეს მიეკუთვნება ხელოვნების ნაწარმოებთა რიცხვს.

ხელოვნების ნაწარმოებსა და ლიტერატურის ნაწარმოებს შორის ძნელად გასამიჯნე მსგავსება არსებობს. ორივე შემთხვევაში ავტორი ქმნის საკუთარი მხატვრულ-შემოქმედებითი მისწრაფების გამოშხატველ მხატვრულ შედეგს. განსხვავება კი ის არის, რომ ლიტერატურული ნაწარმოების შემთხვევაში მხატვრული სახეები წარმოჩინდება სიტყვიერად, ხოლო ხელოვნების ნაწარმოებების შემთხვევაში¹ (ფერწერა, სხვაგვარი ნახატი, ქანდაკება, გრაფიურა, არქიტექტურული ნაწარმოები, ზოგიერთი ფოტოგრაფია, მუსიკალური ნაწარმოები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები, ცეკვა, კინემატოგრაფიული ხელოვნების ნაწარმოები) კი – ჰანგების, ფერების, მოძრაობებისა და სხვა საშუალებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიტერატურა განსხვავდება ფერწერისაგან ისე, როგორც ფერწერა მუსიკისაგან ან მუსიკა სიმღერისაგან და ა.შ. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების გამაერთიანებელი ტერმინია „მხატვრული ნაწარ-

¹ ისმო-ს გლოსარიუმი სინონიმებად მიიჩნევს ტერმინებს „ხელოვნების ნაწარმოები“ და „მხატვრული ნაწარმოები“, იხ. გვ. 270

მოებები“, მაგრამ კანონმდებელმა დაყო ეს ცნება შემადგენელ ნაწილებად და საქართველოს საავტორო და მოძიებულ უფლებების კანონის მე-6 მუხლით ცალ-ცალკე აღნიშნა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, რითაც სიტყვიერი ნაწარმოებები გამოიხატა სხვა სახის მხატვრულ ნაწარმოებებისაგან.

ხელოვნების ნაწარმოებების სიმრავლის მოუხედავად, მათი სტრუქტურა მსგავსია და აუცილებლად ხასიათდება შემდეგი ელემენტებით: იდებით ანუ სიუჟეტით, სახეთა წარმოდგენის სისტემით, სახეთა გამოსახვის საშუალებებით (მუსიკალური ბგერები, ფერები, მოძრაობები და ა.შ. და მხატვრული ფორმით, რომელიც სახეთა გამოსახვის ავტორისეულ შეთანხმებას წარმოადგენს. ამ ელემენტებით ყველაზე მეტად ამოიცნობა ავტორის თვითმყოფადობა და მისი განუყოფლობა, მაგალითად, ამ ელემენტის მეშვეობით იოლად გავარჩევთ ფიროსმანს გუდიაშვილისაგან, ან ელენე ახვლედიანს უჩა ჯაფარიძისაგან და ა.შ.

განვიხილოთ ხელოვნების ცალკეული ნაწარმოებები.

დრამატული ნაწარმოები („ბ“ ტექსტი) – ერთდროულად ლიტერატურულ და სასცენო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, იგი გადმოსცემს სასცენო დადგმის (სპექტაკლის) ან კინოფილმის მხატვრული განსახიერების სიუჟეტს. ასეთი ნაწარმოები ამჟამად ცნობილია როგორც რეჟისორული სცენარი. სცენაზე გადმოტანილი დრამატული ნაწარმოები წინა პლანზე მსახიობს წამოსწევს, რომელიც პანტომიმისა და სიტყვის სინთეზით წარმოადგენს დრამატულ სიუჟეტს;

მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შემსრულებლის ხმოვანი ბგერების ან ინსტრუმენტების ბგერების კომბინაციას, ან ორივეს ერთად მოიცავს ხასიათდება შემდეგი ელემენტებით: მელოდია, ჰარმონია და რითმი;

მელოდია წარმოადგენს მუსიკალური ნაწარმოების შექმნის, გადამუშავების ან სხვაგვარი განვითარების ბაზისს;

ჰარმონიად მიიჩნევა ერთდროულად უღერადი, ერთმანეთთან შეთანხმებული, ან კეთილხმოვანი ნოტების კომბინაცია;

რიტმი არის ის შეგრძნება, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა თანამიმდევრული ბგერების ნათესაური უღერადობით,

ან ერთი და იგივე ბგერის ან ტონის განმეორებით, ან ანარეკლი ბგერის გავლენით. მუსიკალური ნაწარმოების ორიგინალობა ამ ელემენტებზეა დამოკიდებული. საავტორო უფლება შეიძლება მოპოვებულ იქნეს და გავრცელდეს არა იდეაზე არამედ მისი გამოხატვის ფორმაზე. სწორედ ასეთია მულოდია და, შესაბამისად, ეს ელემენტი ყველაზე მეტად სძენს მუსიკალურ ნაწარმოებს ორიგინალობასა და დაცვითუნარიანობას. მულოდია, რითმისა და ჰარმონიისაგან განსხვავებით, შეიძლება დამოუკიდებლად დაგვეხმაროს პლაგიატის ამოცნობაში. ეს გასაგებიც არის — ხომ განუმეორებელია „დაისის“ მულოდიური მუსიკა, ალბათ მისი პლაგიატის გამოვლენაც დიდ სირთულესთან არ იქნება დაკავშირებული.

დრამატული ნაწარმოები, როგორც წესი, ხასიათდება მოქმედებათა დინამიზმით, სიმწვავეთ, რომლებიც სასცენო ეპიზოდებად იყოფა. ამასთან, მოქმედებები პერსონაჟთა სიტყვიერი თანხლებით სრულდება¹. დრამატული ნაწარმოები მრავალ ეპიზოდს მოიცავს — ტრაგედიიდან კომედიამდე.

ქორეოგრაფიული ნაწარმოები მუსიკის თანხლებით შესრულებულ საცეკვაო მოძრაობების ან ექსტების ერთიან სისტემას წარმოადგენს, მაგალითად — ბალეტი, პანტომიმა. სავალდებულო არ არის პანტომიმა რომ მუსიკის განუწყვეტელი თანხლებით სრულდებოდეს. აქ აუცილებელია, რომ დრამატული მოქმედებანი, აზრები და გრძნობები უსიტყვოდ, ადამიანის სხეულის პლასტიკით და მიმიკით გადმოიციეს.

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც განსახილველი მუხლის „ე“ ქვეუნქტით არის ჩამოთვლილი მოცემულია სახვითი ხელოვნების ზოგადი ცნების საფუძველზე. სახვითი ხელოვნებითი მხატვრული სახეები შექმნილია ხელშესახები ფორმით, რის შედეგადაც ავტორის მიერ გადმოცემული მხატვრული იდეა ამოიცნობა. საქართველოს კანონით სახვითი ხელოვნების ნაწარ-

¹ თუკი სიტყვიერი თანხლება სიმღერას წარმოადგენს და უწყვეტად უღერს მუსიკა, ნაწარმოები მუსიკალურ-დრამატულია.

მოებებს სკულპტურა, ფერწერა, გრაფიკა, ლითოგრაფია და სხვა მსგავსი ნაწარმოებები უნდა მიეკუთვნებოდეს, მაგრამ მუხლის რედაქციიდან გამომდინარე, სახვითი ხელოვნება განსხვავდება სკულპტურისაგან, ფერწერისაგან, გრაფიკისაგან და ლითოგრაფიისაგან და არ მოიცავს მათ, ვინაიდან ამ საკითხს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კანონი, მათ შორის ისმო-ს სანიმუშო კანონი განიხილავს ისე, რომ სახვითი ხელოვნების ნაწარმოები „ე“ ქვეპუნქტით მოცემულ ყველა ნაწარმოებს მოიცავს, შესაბამისად უნდა შეიცვალოს ამ ქვეპუნქტის რედაქცია შემდეგნაირად: „სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების სხვა ნაწარმოებები“!

გრაფიკული ნაწარმოები სახვითი ხელოვნების სახეობაა; იგი საღებავის გარეშე ხაზებითა და შტრიხებით ხატვის ხელოვნებაა, რომელიც მოიცავს გრაფიურას, ლითოგრაფიას და სხვ. გრაფიურა სრულდება ლითონის, ხის, ქვის, მინის ან სხვა მაგარი მასალის ზედაპირზე. ლითოგრაფიული ნაწარმოები საეკლერული ბრტყელი ქვის ან რკინის ზედაპირიდან წინასწარ დახატულის გადმობეჭდილი ნაწარმოებია. ლითოგრაფია ასეთი ქვით ან რკინით ბეჭდვის პროცესია.

დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმოების ნაცვლად, რომელსაც (ვ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო „გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები.“² იგი დეკორატიული ხელოვნების (რომელიც მატერიალურ ფასეულობათა მხატვრულად გაფორმების საქმეს ემსახურება) ნაწილს წარმოადგენს. ამასთან ერთად დეკორატიულ ხელოვნებას მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება და გაფორმებითი ხელოვნება შეადგენს. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები მოიცავს: ქსოვილს, ტანსაცმელს, მორთულობებს, ავეჯსა და სხვა ყოფითი

¹1999 წელს მიღებულმა კანონმა კვლავ გაიბეორა სამოქალაქო კოდექსის საეკტორო სამართლის უზუსტობა, რაც გამოსასწორებელია.

² ამ ქვეპუნქტის რედაქცია რუსეთის ფედერაციის კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-7 აბზაცის იდენტურია და განსხვავდება ისმოს სანიმუშო კანონისაგან.

დანიშნულების საგნებს. ასეთი ნაწარმოები წარმოადგენს მხატვრული კონსტრუირების შედეგს, რომელიც ცნობილია როგორც „ღიზანი“. იმავდროულად მხატვრულ-კონსტრუქციული შედეგი დაცვადა საქართველოს საპატენტო კანონით, რომელიც სამრეწველო საკუთრების ობიექტებს იცავს. საპატენტო კანონი მატერიალიზებად ობიექტებს, კერძოდ გამოგონებას, სასარგებლო მოდელს აგრეთვე სამრეწველო ნიმუშს იცავს, ეს უკანასკნელი კი შეიძლება იყოს დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ისეთი ნაწარმოები, რომელიც მატერიალიზებულია. მატერიალიზებას მხოლოდ ნაწარმის კონტრუქციული ფორმა შეიძლება დაეკუთვნებოდეს. ნახატი ისევე, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები მატერიალიზებადი არ არის. აქედან გამომდინარე, საავტორო სამართალი იცავს ორივე სახის ნაწარმოებს, როგორც ნაწარმის ფორმას ისე სხვადასხვა ნახატს, ხოლო საპატენტო კანონი სამრეწველო ნიმუშის პატენტით იცავს მხოლოდ ნაწარმის გარეგან სახეს, ანუ ფორმას. თავად ნახატი, თუნდაც ის გამრავლდეს სამრეწველო წესით (მაგალითად, ელენე ახვლედიანის ნახატების ალბომიდან) ნაწარმს არ წარმოადგენს, ამდენად, სავარაუდოა, რომ ორ განზომილებიან ნაწარმოებებს, როგორცაა ნახატი, ნახაზი, ესკიზი და ა.შ. საქართველოს საპატენტო კანონი არ იცავს.

მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებებს ძეგლებისა და მონუმენტების გარდა მიეკუთვნება შენობათა სკულპტურული, ფერწერული, მოზაიკური მართულობა, ვიტრაჟი, ქალაქისა და საბაღე-საპარკო ქანდაკებები, შადრევნები და სხვ. მონუმენტური ნაწარმოები იქნება კონკრეტული არქიტექტურული ერთიანი შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის.

თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები განკუთვნილია სპექტაკლის სერთო სახის შესაქმნელად და მოიცავს: კოსტუმებს, სასცენო დეკორაციას, სცენის განათების შერჩევას და სხვ.

განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ნაწარმოებებიდან განვმარტავთ „ღ“ და „შ“ ქვეპუნქტებით მოცემულ ნაწარმოებებს, რადგან დანარჩენი განმარტებებს, ჩვენი აზრით, არ მოითხოვს.

უნდა ითქვას, რომ ფოტოგრაფიული ნაწარმოები საავტორო სამართლით დაცვადი არის მაშინ, თუ ის ორიგინალურია, ანუ მხოლოდ ფოტოაპარატის უმიზნო „დაჩხაკუნების“ შედეგს არ წარმოადგენს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, თუ ფოტოზე ასახული არსებული ობიექტი ისე, რომ ნებისმიერ სხვა პირს შეუძლია აღვილად, ინტელექტუალური შემოქმედების გარეშე „დაჩხაკუნოს“ ფოტოაპარატი და იგივე სურათი მიიღოს, მაშინ ასეთი ფოტო საავტორო უფლებით დაცვას არ ექვემდებარება.

გადამუშავებული ნაწარმოები შეიძლება იყოს როგორც ლიტერატურის ისე ხელოვნების. მაგალითად, გადამუშავებულია მეცნიერული ნაწარმოები, რომელიც ადაპტირებულია საშუალო სკოლისათვის სახელმძღვანელოდ. გადამუშავებული ნაწარმოებები განსაკუთრებით გავრცელებულია მუსიკალურ ნაწარმოებთა შორის, მაგალითად, არანჟირებული ნაწარმოები — ანუ ერთი წყება საკრავებისათვის ან ხმებისათვის შექმნილი ნაწარმოები გადაკეთებული სხვა საკრავებისათვის ან ხმებისათვის. გადამუშავებული ნაწარმოებია, აგრეთვე, რომანის საფუძველზე შექმნილი სცენარი და ა.შ. იგულისხმება, რომ გადამუშავების პროცესში ავტორი ეწევა ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას, მოუხდევად იმისა, რომ სხვის ნაწარმოებს გადააკეთებს.

შედგენილი ნაწარმოები¹ წარმოადგენს არსებული ფაქტების ან ნაწარმოებების და სხვ. საფუძველზე შექმნილ ახალ ნაწარმოებს. იგი საავტორო უფლებით დაცვადია თუ შემდგენელმა მაგალითად, ლექციათა კურსი გარკვეულ მიზანს დაუქვემდებარა და შესაბამისი ლოგიკური თანაწყობისა და შინაარსობრივი მოცულობის მიხედვით შეარჩია ლექციები. დაცვას ნებისმიერი შედგენილი ნაწარმოები არ დაექვემდებარება. მაგალითად, წიგნი, რომელშიც ალფაბეტის მიხედვით მოცემულია ქ. თბილისის მაცხოვრებელთა მისამართები; ასეთივე წესით შედგენილი სატელეფონო ცნობარი; ტელეგადაცემათა პროგრამა. ეს ნაწარმოებები დაცვადი

¹კანონი შედგენილ ნაწარმოებთა ჩამონათვალში მონაცემთა ბაზას მოიხსენიებს. ამ ნაწარმოების მარტივი მაგალითია სატელეფონო ცნობარი წიგნის სახით ან ელექტრონული ფორმით.

ვერ იქნება, თუ ჩვეულებრივი შრიფტით ნაბეჭდი ფურცლების ანაკრებს წარმოადგენს. ნაწარმოები დაცვადი იქნება თუკი წარმოადგენილი იქნება რაიმე განსხვავებული მხატვრული ფორმით.

განსახილველი მუხლის ბოლო პუნქტის თანახმად, კომპიუტერული პროგრამის დაცვა ხორციელდება ოპერაციული სისტემისა და ობიექტური კოდის ჩათვლით. ოპერაციული სისტემა წარმოადგენს პროგრამას, რომელიც ახორციელებს მომხმარებელთა პროგრამების დამუშავებისა და კომპიუტერის მუშაობის მოქნილ მართვას, აგრეთვე, ერთმანეთს შეუთანწყობს ინტერფეისსა და აპარატულ საშუალებებს. გარდა ამისა, იგი უზრუნველყოფს ფაილებთან შეღწევას და მათ აღდგენას. სხვა სიტყვებით ოპერაციულ სისტემას¹ პროგრამული საშუალებანი ქმნის, რომლებიც უზრუნველყოფს კომპიუტერის მართვას მისი პროგრამების შესრულებით. ოპერაციულ სისტემას უნდა შეეძლოს მონაცემთა შეტანა-გამოტანის მართვა, აგრეთვე დაგეგმარებითი ფუნქციის განხორციელება. ობიექტური კოდი² წარმოადგენს პროგრამულ ერთეულს, რომელიც ასეზლიირების ან კომპილაციის შედეგა და გამოსადგვია კავშირთა რედაქტორით დამუშავებისათვის.

განვმარტავთ ინტერფეისსა და აპარატულ საშუალებებს, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. ინტერფეისი საშუალებათა და წესების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს გამოთვლითი ტექნიკის მოწყობილობათა და/ან პროგრამების ურთიერთქმედებას.³ აპარატული საშუალებანი ტექნიკური საშუალებანია, რომლებიც მონაცემთა დამუშავებისათვის გამოიყენება.⁴

¹ В. И. Першиков, В. М. Савинков, Толковый словарь по информатике. М, 1992 г., с. 361

² იქვე, გვ. 207

³ იქვე, გვ. 127

⁴ იქვე, გვ. 379

მუხლი 7. საავტორო უფლებების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებისაგან

1. საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები.

2. მატერიალური ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები აღვსს თუ რა დამოკიდებულებას ინტელექტუალურ საკუთრებით უფლებას, კერძოდ საავტორო უფლებასა და მატერიალურ ობიექტზე საკუთრებით უფლებას შორის. 1-ლი პუნქტი საკანონმდებლო ნორმით წესად აქცევს ინტელექტუალური საკუთრების მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მატერიალური ობიექტი, რომელშიც გამოხატულია ავტორის ქნილება და თავად ქნილება ცალ-ცალკე საკუთრების ობიექტებად უნდა განვიხილოთ. მაგალითად, ნაწარმოები გამოიხატება წიგნის სახით, რომლის ევ ზემძლართა რაოდენობა მილიონებს შეიძლება უდრიდეს. თუ წიგნი თავად ავტორმა გამოსცა, მაშინ იგი ყველა ევ ზემძლარების მესაკუთრეა და, ცხადია, არამატერიალური სიკეთე – საავტორო უფლებაც მას ეკუთვნის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნის მე-3 თავის მიხედვით „საკუთრების შექმნა და დაკარგვა“ საკუთრების ობიექტის – უძრავი ან მოძრავი ნივთის მართლზომიერად „ხელში ჩაგდება“ სხვა პირის მიერ იწვევს საკუთრების შექმნას. ანუ, როდესაც საქმე მატერიალურ ობიექტთან გვაქვს, საკმარისია სხვა პირს მართლზომიერად გადაეცეს ნივთი, რომ იგი მესაკუთრე გახდეს. დაეუშვათ, რომ წიგნი, რომელიც მართლზომიერად ვრცელდება კუთილსინდისიერად შეიძინა რომელიმე პირმა. იგი, რა თქმა უნდა, წიგნის ამ კონკრეტული ევ ზემძლარის მესაკუთრე გახდა. მას შეუძლია თავისი უფლებები გამოიყენოს და გააჩუქოს ან სხვაგვარად გაასხვისოს ეს წიგნი, მაგრამ მას არ შეუძლია

წიგნში გამოხატული ნაწარმოები თავის საკუთრებად გამოაცხადოს. აქ ხაზი უნდა გაესვას საავტორო უფლებათა ორგეარობას. უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ორი სახის უფლებების – მორალური ანუ პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების კომბინაციაა. პირადი არაქონებრივი უფლებების, მაგალითად ავტორობის უფლების გადაცემა სერთოდ არ დაიშვება და წარმოუდგენელიც არის. რა მიზნებიც არ უნდა ამოძრავებდეს ავტორს, იგი ავტორობის უფლებას საკუთარ შვილსაც ვერ გადასცემს, თუნდაც მისი შვილი გამოჩენილი მწერალი ან ხელოვანი იყოს.

მატერიალური ობიექტის გადაცემა, მათ შორის ჩუქებით, ავტომატურად ვერ გამოიწვევს საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემასაც. ამასთან, თუ ავტორს ან საავტორო ქონებრივი უფლებების სხვა მფლობელს სურვილი აქვს და შესაძლებელია პირი თანახმა, საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემისათვის სერთოდ არ არის საჭირო მატერიალური ობიექტის გადაცემა. აქედან ნათელია, რომ ავტორი ან საავტორო უფლებათა სხვა მართლზომიერად მფლობელი არამატერიალური, უსხეულო ნივთის შესაკუთრება. ეს კი იმავდროულად ნიშნავს ავტორის საავტორო უფლებების გაზრცელებას ყველა იმ ნივთზე, რომელიც ნაწარმოებს ატარებს. ასეთი ნივთის რაოდენობა კი უსასრულო შეიძლება იყოს. მაშასადამე, საავტორო უფლება – ანუ უსხეულო ნივთზე საკუთრების უფლება, რომელიც გონებრივი შემოქმედების ერთ ობიექტზე ვრცელდება, იმავდროულად უსასრულო რაოდენობის, სხეულოვან ნივთს მოიცავს. ეს კი იმის გამოა, რომ გონებრივი შემოქმედების შედეგი სულიერია.¹

ჩვენ მოვიტანეთ მაგალითი წიგნთან დაკავშირებით და გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგივე ვითარებაა სახვითი ხელოვნების ობიექტებთან დაკავშირებითაც – თუ ვრცელდება მისი ასლები, მაშინ ვითარება წიგნის გაზრცელების იდენტურია. თუ გადაეცემა

¹ჩეხურ ენაზე ინტელექტუალური საკუთრების შესატყვისი ტერმინია „Dusevniho vlastictvi“, რაც პირდაპირ ითარგმნება, როგორც „სულიერი საკუთრება“.

ორიგინალი — არც ეს ნიშნავს საავტორო (ქონებრივი) უფლებების გადაცემას. საჭიროა სპეციალური შეთანხმება ამის თაობაზე. ამ ვითარების ნათელი დასტურია განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც დადგენილია, რომ მატერიალური ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ იწვევს მასში გამოხატულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას.¹

კანონმდებელმა აღნიშნულთან დაკავშირებით გამონაკლისი დააწესა და მოუთითა მატერიალურ ობიექტთან ერთად საავტორო უფლების გადაცემის შესაძლებლობაზე კანონის მე-18 მუხლით მოცემულ შემთხვევაში. ეს მითითება აშკარა და უხეში შეცდომაა, რადგან მე-18 მუხლით განსაზღვრულია საავტორო ქონებრივი უფლებების ჩამონათვალი, ფარგლები და მათი გამოყენების წესი. ეს საკითხი სწორად იყო გადაწყვეტილი სამოქალაქო კოდექსით, რომლის 1027-ე მუხლი 1049-ე მუხლს უთითებდა და გამონაკლისს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებს უკავშირებდა. ამ საკითხს უფრო ვრცლად მე-20 მუხლის გაშუქებისას შევეხებით.

¹ასეთი ნორმის საფუძველი ზემოაღნიშნულთან ერთად არის ისიც, რომ ნაწარმოები საერთოდ ვერ მატერიალიზდება, რადგან ავტორის სულიერი მისწრაფების მატერიალიზება შეუძლებელია. მაგალითად, ნოტებით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოები, ან თუნდაც მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები სიტყვებით გამოხატული ვერასოდეს ვერ გადმოსცემს ყველა იმ ემოციურ და შემოქმედებით ელფერს, რაც ავტორმა ჩააქსოვა საკუთარ ქმნილებაში. ამ სულიერი მისწრაფების ამოცნობა მხოლოდ კონკრეტული ადამიანის შეგრძნებაზე დამოკიდებული და, შესაბამისად, ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება.

მუხლი 8. ნაწარმოებები, რომლებზედაც არ ვრცელდება
საავტორო უფლება

1. საავტორო უფლება არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე:

ა) ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე;

ბ) სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, გილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);

გ) ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ნაწარმოებთა სხვისი სახელით გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ავტორის სახელის უფლების დაცვა.

საავტორო უფლებების გავრცელებლობა ოფიციალურ დოკუმენტებზე – კანონებზე, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტებზე და მათ ოფიციალურ თარგმანებზე განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესებით. ყოველი ასეთი დოკუმენტი, რომელიც მოქალაქეთათვის აუცილებელი ქცევის წესს ადგენს, თავისუფლად უნდა გავრცელდეს. დაშვებულია ასეთი დოკუმენტებისაგან შემდგარი კრებულების შექმნა და გავრცელება ნებისმიერი პირის მიერ, აგრეთვე, გამრავლება და ა.შ. დაუშვებელია მათი ტექსტის დამახინჯება.

იგივე ითქმის სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლოების მიმართ. სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოდ უნდა განვიხილოთ არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული და დადგენილი წესით შემოღებული სიმბოლოები, არამედ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცებული სიმბოლოებიც. გასაგებია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები უცხო ქვეყნის სახელმწიფოს მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებზე და სიმბოლოებზე.

საავტორო უფლებები არ ვრცელდება ინფორმაციებზე უშუალოდ ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

მაგალითი:

გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია საფეხბურთო მატჩის შესახებ, სადაც გაშუქდა მოვლენათა განვითარება, დასახელდა ანგარიში, გოლების გამტანი ფეხბურთელები და სხვ. ეს სტატია საავტორო უფლებით ისარგებლებს მთლიანობაში. მაგრამ ნებისმიერ სხვა გაზეთსა თუ მუწყებლობის ორგანიზაციას შეუძლია აღნიშნულ სტატიაზე დაყრდნობით, გაავრცელოს ინფორმაცია მატჩის ანგარიშის, მოპაექრე გუნდების, გოლების გამტანი ფეხბურთელების შესახებ და სხვა, რაც საავტორო უფლებათა დარღვევად არ ჩაითვლება.

ოგივე სიტუაციაა სხვა მოვლენების შემცველ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მაგ., რომელიმე ქვეყანაში პრეზიდენტის არჩევის შესახებ, ტერორისტული აქტის შესახებ, ავიარეისის ახლად დანიშვნის შესახებ და ა.შ.

ის რომ საავტორო უფლება ოფიციალურ დოკუმენტებზე და სიმბოლოებზე არ ვრცელდება არ ნიშნავს, რომ ოგივე ითქმის მათ პროექტებზეც. სანამ პროექტი არსებობს პროექტის სახით ის ნაწარმოებად განიხილება და მის შემქმნელ პირს ეკუთვნის საავტორო უფლება. პროექტის ოფიციალურ დოკუმენტად გარდაქმნამდე ხდება მისი გადაცემა შესაბამის ორგანოსათვის და ამ მომენტში უნდა მოწესრიგდეს პროექტის ავტორებისათვის შესაბამისი გასამრჯელოსა თუ კომპენსაციის გაცემის საკითხი.

ამ მუხლის ძალით, ავტორებს ფაქტობრივად იბულებით ჩამოერთმევათ საავტორო უფლებები მათ მიერ შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტებსა და სიმბოლოებზე. სახელმწიფოს უფლებამოსილება მხოლოდ არაკომერციული მიზნით გამოყენებაზე ვრცელდება, რაც ინტელექტუალური საკუთრების თეორიიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში, ქონებრივი საავტორო უფლებები

საერთოდ უქმდება. არაქონებრივი უფლებები ნაწილობრივ სახელმწიფოზე გადადის (მაგალითად, ტექსტის დამახინჯების არ დაშვების კონტროლის უფლება), ნაწილი კი, კერძოდ სახელთან დაკავშირებული უფლებები, ავტორს რჩება. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია დაასახელოს ის პირი, ვისი პროექტის საფუძველზეც იქნა დამტკიცებული ოფიციალური დოკუმენტი ან სიმბოლო. ეს წესი არ შეეხება უწყების ბრძანებებს და სხვაგვარ დოკუმენტებს, რომლებიც საჯარო განხილვის შედეგად არ მტკიცდება. მაგალითად, ქვეყნის პიძნის სიტყვიერი ტექსტის ან მუსიკის შემქმნელის ვინაობა საჯაროდ უნდა გამოცხადდეს, რაც უდიდესი მორალური წახალისებაა. ამ ვითარებას განამტკიცებს საქართველოს საავტორო და მოძოგნავე უფლებების შესახებ კანონის განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ავტორის სახელის დაცვას თუ სხვა პირი განიზრახავს თავისი სახელი დაუკავშიროს ოფიციალურ სიმბოლოს, მაგალითად, გერბს. ეს წესი, ამასთანავე, იძლევა საფუძველს, რომ, გამონაკლისი შემთხვევებისას აღიძრას საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის საკითხი.

მაგალითი:

თუ პირმა განიზრახა ოფიციალური სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად ან სამრეწველო ნიშნად (ან მათ ნაწილად) გამოყენება. რადგან სიმბოლო ოფიციალურია, ასეთი გამოყენება დაიშვება მხოლოდ საქართველოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს — კულტურის სამინისტროს ნებართვით.¹ ასეთი ნებართვის გაცემის შესახებ, ჩვენი აზრით, უნდა ეცნობოს იმ პირს, რომელმაც შექმნა სიმბოლო. რადგან აღნიშნულ შემთხვევაში ყოველთვის ხდება სიმბოლოს კომერციული მიზნით გამოყენება. შესაბამისად, ავტორს უჩნდება უფლება მიიღოს გონივრული საზღაური.

¹ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტი.

მუხლი 9. საავტორო უფლების წარმოშობა

1. საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან.

ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუქციების საშუალებას იძლევა.

2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, საკვალური გაფორმება ან სხვა ფორმალურათა დაცვა.

3. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოები რეგისტრაციაში ვაატაროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ რეესტრში. რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი, რომელიც თავისთავად არ წარმოშობს ავტორობის პრეზუმფციას.

4. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

ა) ლათინური ასო C წრეწირში: ©;

ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);

გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ კანონის ეს მუხლი ეხება საავტორო უფლებათა წარმოშობის აუცილებელ წინაპირობას – ნაწარმოების შექმნას. საავტორო უფლებები მოქმედებს იწყებს იმ მომენტიდან, როდესაც ნაწარმოები გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც ნაწარმოების შექმნად ითვლება. ამასთან, გამოხატვის ფორმა ისეთი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ნაწარმოების აღქმა და კვლავწარმოება (რეპროდუქცირება). ამ პირობების შესრულება აუცილებელია იმისათვის, რომ ნაწარმოების შემქმნელს გაუჩნდეს საავტორო

უფლების ფლობის უფლება. ამ მომენტიდან ავტორი ხდება პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების მფლობელი და ივარაუდება, რომ იგი არის აღნიშნული უფლებების მესაკუთრე. საავტორო-სამართლებრივი საკუთრებითი ურთიერთობების არსებობისათვის სავალდებულო არ არის, რომ ფლობის ფაქტი ვლინდებოდეს საჯარო რეესტრიდან.¹ სავალდებულო არ არის, აგრეთვე, სხვა რაიმე ფორმალობის შესრულება. გამოძინარე აღნიშნულიდან, ავტორი ნაწარმოების მესაკუთრე ხდება იმ მომენტიდან, როდესაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ შექმნა ნაწარმოები. ნაწარმოების ფლობა, მისი არამატერიალური ბასათის გამო, ვერ განხორციელდება. აქედან გამოძინარე, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების შეძენის ზოგადი წესები, ვერ იქნება გამოყენებული ნაწარმოების მესაკუთრედ გახდომისათვის. ანუ, საავტორო უფლების მესაკუთრება გამოიხატება კეთილსინდისიერი ფლობით (საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით).²

ავტორს, ანუ საავტორო უფლებათა მფლობელს, რომელიც ნაწარმოების წარმოშობის ფაქტით მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს, შეუძლია გადასცეს ნებისმიერ ოურიდოულ და ფიზიკურ პირს, ქონებრივი უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ. ამ შემთხვევაში, აღნიშნული პირი ხდება საავტორო უფლებათა მესაკუთრე მთლიანად ან ნაწილობრივ. საამისოდ კი საკმარისია არსებობდეს შეთანხმება.³

მოუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებზე საკუთრების უფლება უახლოვდება მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას, ნაწარმოების მესაკუთრედ გახდომა, სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლის

¹ განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებულ წესს. ამასთან, საავტორო უფლებათა მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, მათ შორის არასრულწლოვანი.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე და 167-ე მუხლები.

³ საავტორო უფლებათა მესაკუთრედ გახდომისათვის უნდა იქნეს გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მოთხოვნები. რაც შეეხება 183-ე მუხლს, იგი არ გამოიყენება, რადგან საავტორო უფლებათა საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.

მიხედვით, შეუძლებელია, რადგან ნაწარმოები უპატრონო ვერასოდეს ვერ იქნება. მისი ნამდვილი ავტორის ვინაობა უმეტესწილად ირკვევა თვით ნაწარმოებიდან, ხოლო თუ ავტორის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება, მაშინ საავტორო უფლებათა მფლობელად საკუთარ თავს ვერავინ ვერ გამოაცხადებს.

განსახილველი მუხლის მე-3 პუნქტი აწესებს ნაწარმოების რეგისტრაციის უფლებას და არა მოვალეობას. მითითებულია, რომ რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ რეესტრში.¹ რეგისტრაცია არ წარმოშობს საავტორო უფლებებს და საქპატენტის მიერ გაცემული სერტიფიკატი ერთადერთი და საკმარისი მტკიცებულება ვერ იქნება აღნიშნულის თაობაზე. შეიძლება დარეგისტრირდეს როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების თავისებურებიდან გამომდინარე, მათი რეგისტრაცია გარკვეულ ხელსაყრელ პირობებს უქმნის ავტორებს მტკიცებულების დაბეჭდვის თვალსაზრისით. გარდა აღნიშნულისა, რეგისტრაცია უფრო მეტ წონას იძენს, თუ ნაწარმოები ანონიმურია ან უცნობი ფსევდონიმით ქვეყნდება. ამ შემთხვევაში, რეგისტრაცია აიოლებს ავტორის იდენტიფიცირებას.

საავტორო უფლებათა მფლობელისათვის დაწესებულია, აგრეთვე, ნაწარმოებზე საავტორო უფლების დაცვის ნიშნის დატანის უფლება. ამ ნიშნის გამოყენება ქართულმა ავტორებმა, ჯერ კიდევ, საბჭოთა კავშირის დროს დაიწყეს, როდესაც მოხდა საავტორო უფლებათა მსოფლიო კონვენციასთან (Universal Copyright Convention) მიერთება, ანუ 1973 წლიდან. ამ ნიშნის გამოყენებას გამაფრთხილებელი ხასიათი აქვს, რითაც მესამე

¹ მუხლის ამ პუნქტის რედაქციიდან გამომდინარე საავტორო უფლებათა მფლობელს შეუძლია ნაწარმოები სხვა დაწესებულებაშიც გაატაროს რეგისტრაციაში, მაგალითად, ნოტარიუსში. გარდა ამისა სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოებების დეპონირებას და რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ტექნიფორმი“.

პირებს ეცნობებთ თუ ვის ეკუთვნის საავტორო უფლება ნაწარმოების მოცემულ გამოცემაზე.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებებს, რომ საავტორო უფლება მიეკუთვნება რა საკუთრებით უფლებებს, წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას. როგორც პროფესორი ლადო ჭანტურია მიუთითებს „ძირითადი უფლებები წარმოადგენენ არა სახელმწიფოსაგან ნაბობებ, არამედ წინარესახელმწიფოებრივ, სახელმწიფოსაგან მხოლოდ გარანტირებულ უფლებებს. ეს, ფაქტობრივად, ბუნებითი სამართლის ბუნებრივი უფლებების აღიარებას ნიშნავს.“¹ მეცნიერების ამ შესვლულების ფარგლებში ყველაზე მეტად ადამიანის გონებრივი შემოქმედების შედეგად შექმნილი საავტორო უფლებები თავსდება. ამიტომ არის, რომ მსოფლიოში აღარ დარჩა პრაქტიკულად არც ერთი ქვეყანა, რომელიც საავტორო უფლებათა წარმოშობას რაიმე ფორმალუბების შესრულებას უკავშირებდეს, ვინაიდან ძირითადი უფლებები პიროვნული — კონკრეტული ადამიანის უფლებებია საავტორო უფლება შეიძლება წარმოეშვას ნებისმიერ პირს, მოუხელდავად ასაკისა და ქმედუნარიანობისა.

ბოლოს დავებნთ, რომ საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონის განხილული მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი უკველად იმეორებს სამოქალაქო კოდექსის 1030-ე მუხლს. ის ასევე მთლიანად შეიცავს 1031 მუხლს, რომელიც მე-4 პუნქტად არის მოცემული. სამოქალაქო კოდექსი საავტორო და მოძიჯნავე უფლებათა კანონისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებდა ნაწარმოების რეგისტრაციას რომელიმე კონკრეტულ დაწესებულებაში.

¹ ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი, 1997, გვ. 73.

მუხლი 10. ავტორობის პრეზუმფცია

1. პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ეს დებულება გამოიყენება ასევე ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია.

2. როდესაც ნაწარმოები ქვეყნდება ფსევდონიმით (ვარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია) ან ანონიმურად, გამოქვეყნებული, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე, ითვლება ავტორის წარმომადგენლად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. მას, როგორც წარმომადგენელს, უფლება აქვს დაიცვას ავტორის უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ეს დებულება გამოიყენება მანამ, სანამ ასეთი ნაწარმოების ავტორი არ გამოვლავნებს თავის ვინაობას.

განსახილველი მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ ავტორობის პრეზუმფცია მოქმედებდეს, საჭიროა ავტორმა ნაწარმოებს ორიგინალზე ან ასლზე სათანადო წესით აღნიშნოს საკუთარი სახელი.¹ ავტორობის პრეზუმფცია ვერ იმოქმედებს თუ ნაწარმოებზე მითითებულია უცნობი ფსევდონიმი.

ავტორობის პრეზუმფციის გაქარწყლებისათვის საჭიროა მოდავე მხარემ წარმოადგინოს ნაწარმოების სხვა ორიგინალი ან ეგზემპლარი, რომელზეც ავტორად სხვა პირი იქნება მითითებული.

საკითხს, თუ ვინ ივარაუდება ავტორად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საავტორო უფლებათა განხორციელებისათვის. თუ ავტორი ნაწარმოებზე არ არის მითითებული ან მითითებულია უცნობი ფსევდონიმით, მაშინ გამოქვეყნდეს ეძლევა უფლება დაიცვას და განახორციელოს ავტორის უფლებები როგორც

¹სათანადოდ იქნება მითითებული ავტორის სახელი თუ შესრულებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სახელის უფლების დასტურად საქმარისა სახელისა და გვარის აღნიშვნა.

კანონიერმა წარმომადგენელმა. ეს აზრი გამომდინარეობს მე-2 პუნქტის შინაარსიდან, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ შემთხვევებში გამომცემელი ითვლება ავტორის წარმომადგენლად. ამასთან, გამომცემლად ჩაითვლება ის პირი, რომელიც სათანადო წესით იქნება აღნიშნული პირველად გამოცემულ ნაწარმოებზე. სათანადო წესით აღნიშვნის მოთხოვნა დაცული იქნება თუ გამომცემელი ზუსტად მითითებს თავის საფირმო სახელწოდებას ან ფიზიკური პირის შემთხვევაში — სამოქალაქო სახელს. გამომცემელი კარგავს წარმომადგენლობის უფლებას, თუ ავტორი საკუთარი ნებით გამოაშკარავებს თავის სახელს. თუ ავტორმა თავისი სახელი გაამჟღავნა კონკრეტულ პირთან ურთიერთობის მოწესრიგებისას, მაშინ სხვა პირებთან ურთიერთობისას გამომცემელი ისევ წარმომადგენლად ითვლება. ბუნებრივია, თუ ავტორმა საკუთარი სახელი საჯაროდ გამოაცხადა, მაშინ გამომცემელი წარმომადგენლობის უფლებას საერთოდ კარგავს. გამომცემელს წარმომადგენლობის უფლების დასადასტურებლად არ მოეთხოვება მინდობილობის წარმოდგენა. მას შეუძლია დადოს გარიგებები და შესაძე პირებთან ურთიერთობაში გამოვიდეს ავტორის სახელით, მაგრამ, ჩვენი აზრით, არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საავტორო უფლებათა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის დაფუძნებაში. ეს უფლება მხოლოდ ავტორის პრეროგატივაა.

განხილული მუხლის რედაქცია სრულად არის გადმოტანილი სამოქალაქო კოდექსის 1032-ე მუხლიდან.

მუხლი 11. თანავეტორობა

1. სავეტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანავეტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანავეტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ ძთლიანობას თუ შედეგა ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანავეტორთა ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. არც ერთ თანავეტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საბისოლ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე.

3. თანავეტორებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ ნაწარმოები ერთობლივი, საზიარო ფსევდონიმით.

4. ყოველ თანავეტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თანავეტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშე.

„სავეტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის ეს მუხლი იმეორებს სამოქალაქო კოდექსის 1033-ე მუხლს. თუმცა, კანონში შესულია რამდენიმე ცვლილება (ძირითადად სიტყვების ამოგდება), რაც მნიშვნელოვნად აუარესებს მის შინაარსს.

1. თანავეტორობაზე, როგორც ერთობლივ ინტელექტუალურ შემოქმედებით შრომაზე სამართლებრივი დაცვის ისტორია გუტენბერგის გამოგონების შემდგომ, გაცილებით უფრო გვიან დაიწყო.

XIX საუკუნის დასასრულს, როდესაც ახალი მიღებული იყო ბერნის კონვენცია ითვლებოდა, რომ ავეტორობა (თანავეტო-

რობა) ეს არის დამოუკიდებელი სულიერი შემოქმედება სიტყვის (იგულისხმება ნაწარმოები — ს. ჯ.) შექმნის სფეროში.¹

კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი იძლევა თანაავტორობისა და თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ლეგინაცია, რომლის თანახმადაც თანაავტორობა არის ორი ან მეტი პირის ერთობლივი შრომა, რომლის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები.

სამოქალაქო კოდექსის 1033-ე მუხლის მიხედვით „შრომა“ უნდა ყოფილიყო არა მარტო ერთობლივი, არამედ შემოქმედებითიც. მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის ანალოგიურ კანონებში არ გვხვდება თანაავტორობის განმარტებაში, მხოლოდ ერთობლივი შრომა, რადგან ერთობლივი შრომა თუ შემოქმედებითი არ არის, მაშინ იგი არ ჩითვლება თანაავტორობად. ამ ერთი სიტყვის ამოგდება შეიძლება გამოიწვიოს უსამართლო, მაგრამ კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება თანაავტორობაზე წარმოშობილ დავებთან დაკავშირებით:

მაგალითი:

ცნობილმა რუსმა მათემატიკოსმა, აკადემიკოსმა ლევ სიმონის ძე პონტრიაგინმა (1908-1988 წწ.) 13 წლის ასაკში დაკარგა მხედველობა. სწავლაში, სტატიების წერასა და ა. შ. მას ეხმარებოდა (ერთობლივად შრომობდა) დედა, ხოლო შემდგომ მეუღლე და მისი მოწაფეები. ამ პიროვნებებს უდიდესი წვლილი მიუძღვის ლ. პონტრიაგინის მიერ მიღებული სახელმწიფო პრემიებისა და სხვა წარმატებების მიღწევაში. მოუხედავად იმისა, რომ ამ ხალხმა აკადემიკოსთან ერთად გასწიეს ერთობლივი შრომა, ისინი მაინც არ ჩითვლებიან ლ. პონტრიაგინის სამეცნიერო ნაწარმოებების თანაავტორებად, ვინაიდან მათ არ გაუწევიათ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა.

თანაავტორობაზე, თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებებზე

¹Дювернуа Н. Л., Чтенія по гражданскому праву. С.-Петербургъ, 1898 г.

დავა როგორც ბერნის კონვენციის მიღების, ასევე სხვადასხვა დროს მასში შესული ცვლილებებისა და დამატებების შემდეგაც მიმდინარეობდა. განსაკუთრებული დავის საგანი ყოველთვის იყო თანაავტორობა სამეცნიერო ნაწარმოებზე, როგორც უფლებათა ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე, მაგრამ ამის გამო თანაავტორობა „ანათემას კი არ უნდა გადაეცეთ, არამედ უნდა ვიფიქროთ მის შესაძლო სოციალურ, სამართლებრივ რეგულირებაზე“.¹

რამდენიმე ათეული წლის წინ, უკრაინელმა სატირიკოსმა მიკოლა ბილკუნმა გამოაქვეყნა² სტატია – „თანაავტოროები“, რომელშიც მოთხრობილია არქიმედეს კანონის აღმოჩენაზე თანამედროვეობის თვალთ დანახული. არქიმედეს კანონის აღმოჩენაზე პრეტენზია აქვს აბანოს ღირექტორს: „რადგან აღმოჩენა მოხდა ჩემს დაქვემდებარებულ დაწესებულებაში, ამიტომ არქიმედეს კანონის გამოქვეყნებისას ჩემი სახელი პირველი უნდა ეწეროსო“. მასაჟისტსაც აქვს პრეტენზია, აღმოჩენაზე მისი სახელის პირველ რიგში დასახელების თაობაზე, რადგანაც მის მიერ გაკეთებულმა მასაჟმა მისცა შესაძლებლობა არქიმედეს მისულიყო ამ შედეგამდე. თავისი უფლებების შესახებ დავობს აგრეთვე ძველი მეაბანოე არქიმედე იბულებული შეიქმნა ეჩივლა მეფე გიერონთან. მეფემ უპასუხა, რომ თანაავტორობაზე პრეტენზიები სამართლიანია: „... ამასთან ერთად, არ დაივიწყო, თუ ვის ეკუთვნოდა გვირგვინი და ვინ მოგცა თემა სამეცნიერო მუშაობისათვის. მართალია შენი გვარი „ა“-თი იწყება და ჩემი კი „გ“-თი, მაგრამ უხერხულია მეფემ ხელი მოაწეროს კანონს მისი ქვეშევრდომის შემდეგ, დასკვნის გამოტანა შენთვის მომინდვია ...“.

სამწუხაროა, რომ მ. ბილკუნის სატირას საქართველოს კანონმა „საავტორო და მოძიჯნვე უფლებების შესახებ“ რეალური

¹ Джорбенадзе С.М. Правовая охрана соавторства в научном творчестве. В кн. «Гражданско-правовая норма и формы ее применения». Тбилиси, 1981 г.

² Наука и Жизнь ж., 1977, № 3.

განხორციელების საშუალება მისცა. იმედია, ეს შეცდომა მალე გამოსწორდება.

თანავტორობის ქვეშ, შემდგომში, ვგულისხმობ ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივ ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას, თვით ამ პირებს კი თანავტორებად მოვიხსენიებ. ამის დაშვების შესაძლებლობას გვაძლევს მე-4 მუხლის ა) პუნქტი, რომელშიც „ავტორი“ განმარტებულია როგორც ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები. მართალია, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თანავტორობის მომწესრიგებელი ნორმები ცალკეა გამოყოფილი ავტორობისგან, მაგრამ თანავტორობა, სწორედ ავტორობა მრავლობით ჭრილში განიხილება.

თანავტორობა ისეთი კატეგორიაა, რომლის მიმართაც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს იძულება. არ არსებობს იძულებითი, იმპერატიული მითითება,¹ რომლის ძალითაც შეიძლება წარმოიშვას თანავტორობა. თანავტორობა არის პირთა ნების თავისუფალი გამოვლენა ერთმანეთის მიმართ, რომელიც ორიენტირებულია მათ ერთობლივ ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომაზე ნაწარმოების შესაქმნელად.

თანავტორად აღიარება ხორციელდება პირთა შეთანხმების საფუძველზე, საბოლოო შედეგის და არა საშუალო პროცესის მიხედვით. ამიტომ, ტექნიკური, მატერიალური, საკონსულტაციო და სხვაგვარი დახმარება თანავტორობად არ ჩაითვლება.

პირის თანავტორად აღიარებისათვის არ არის აუცილებელი, რომ იგი მონაწილეობდეს ნაწარმოების შექმნის ყველა ეტაპზე, იგი შეიძლება მონაწილეობდეს საწყის, შუა ან დასასრულ საფეხურზე. თანავტორობისათვის მთავარია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომითი წვლილი და არა ის მომენტი, როდესაც პირი ჩაერთო ნაწარმოების ერთობლივ შემოქმედებით შრომაში.

¹ „ius cogens“ – იძულების უფლება, მითითება, რომლითაც ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ და რომლის შეცვლაც არ შეიძლება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. Римское право. М., 1989 г.

პირმა შეიძლება შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს ნაწარმოების მხოლოდ იდეების, მეთოდების, პროცესების, სისტემების, საშუალებების, კონცეფციების, პრინციპების, აღმოჩენების, ფაქტების შექმნასა და ჩამოყალიბებაში, მაგრამ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იგი მაინც არ ჩაითვლება თანავეტორად (ან ავეტორად).

მაგალითი:

ფიზიკოსმა ვატაძემ ფანტასტიკურად ილუზაშვილს ესაუბრა იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობები ექნება ადამიანს მომავალში მეცნიერების ასეთი ტემპით განვითარების შემთხვევაში. ამასთან ერთად, მოუთხორო იმ აუხსნელი მოვლენების შესახებ, რასაც ადგილი აქვს ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ მეცნიერება ვერაფერობით ამ მოვლენების ახსნას დამაჯერებელ არგუმენტებს ვერ უპირისპირებს, გარდა ვარაუდისა. ამ მონაცემების საფუძველზე ილუზაშვილმა შექმნა მშვენიერი მოთხრობა, რომელიც ბესტსელერად იქცა. ფიზიკოსმა ვატაძემ მოითხოვა მისი თანავეტორად აღიარება.

მოუხედავად იმისა, რომ ილუზაშვილმა დაადასტურა აღნიშნული საუბრის არსებობა, ვატაძე თანავეტორად მაინც არ ჩაითვლება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ძალით.

თავის მხრივ, მწერალსაც არ ექნება არავითარი უფლება, მოითხოვოს მომავალში იმ გამოგონებაზე ან მეცნიერულ თეორიაზე თანავეტორობა, რომელიც მის ნაწარმოებშია მოცემული. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ წყალქვეშა ნავის გამოგონებლად უთუღ ვერნი უნდა მიგვეჩნია.

თანავეტორობაზე თანხმობა, უმეტეს შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. თუმცა, ასეთი შეთანხმება შეიძლება მოხდეს დიალოგის, კამათის დროსაც: „განხილვის პროცესში, კამათისა და კოლეგათა დიალოგის დროს იდეა განიცდის ისეთ დამუშავებას, მოთელვას, რომ ხშირად ძნელი ხდება თვალის დევნება მისი თანდათანობითი ფორმირებისათვის,

მისი პირვანდელი სახით გამოვლენა და აქედან გამომდინარე, იდეის კონკრეტულად იმ პირისადმი მიკუთვნება, რომელმაც პირველად წარმოაჩინა იგი“¹.

თანავტორობა შესაძლებელია, აგრეთვე, უკვე არსებული, ცალკეული ავტორების მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოებების გაერთიანებით.

მაგალითი:

მათემატიკოსები ალფიური და ბეტაძე მუშაობდნენ ცნობილი პრობლემის (თეორემის) ამოხსნაზე, რისთვისაც დაწესებული იყო საკმაოდ დიდი ფულადი პრემია. ალფიური მუშაობდა თეორემის დამტკიცებაზე, პირობიდან შედეგის მიღების, ხოლო ბეტაძე პრობლემის ამოხსნას ცდილობდა შედეგიდან პირობის მიღების მეთოდით. მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, მათ ერთმანეთს გაუხიარეს მიღებული შედეგები თეორემის დამტკიცების შესახებ და იმის გამო, რომ პრობლემის სრულყოფილი გადაჭრისათვის აუცილებელი იყო ორივე მეთოდი, გადაწყვიტეს გაეერთიანებინათ თავიანთი შრომები და გამოქვეყნებინათ თანავტორობით.

შესაძლებელი იყო, აგრეთვე, შემდეგი ვარიანტი: ორივეს ცალ-ცალკე გამოექვეყნებინა თეორემის დამტკიცება, ხოლო შემდეგ გაეერთიანებინათ ისინი და თანავტორობით გამოეცათ.

ნაწარმოებზე თანავტორობის წარმოშობა შესაძლებელია, აგრეთვე, ახალი გამოცემების დროსაც.

მაგალითი:

ლომაძემ, რომელიც იყო ავტორი ნაწარმოებისა — „საქართველოს ფლორა და ფაუნა“, გამომცემლობას მიმართა თხოვნით იმის შესახებ, რომ შემდგომი გამოცემებისას მასთან

¹Джорбенадзе С.М., Правовая охрана соавторства в научном творчестве. В кн. «Гражданско-правовая норма и формы ее применения». Тбилиси, 1981 г.

ერთად თანავეტორად ელიარებინათ მუხაბე, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი მასალა, რაც კი დაემატა ძველ გამოცემას, მოპოვებული და დამუშავებულია მუხაბის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი გამოცემების დროს ლომაძე ცოცხალი აღარ იქნება, შესაძლებელია მუხაბის მითითება არა თანავეტორად, არამედ დამატებებისა და გადამუშავების განმხორციელებლად, ცხადია, მეძვიდრის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობის შემთხვევაში. თუმცა, შესაძლებელია თანავეტორობაც მაშინ, როდესაც საქმე ეხება გარდაცვლილი ავტორების ნაწარმოებთა საბოლოო დამუშავებას, დასრულებას ან დახვეწას. ამის მაგალითია, ცნობილი რუსი კომპოზიტორის რ. შჩედრინის მიერ, XIX საუკუნის ფრანგი კომპოზიტორის ე. ბიზეს ნაწარმოების საბოლოო დამუშავება, რომელსაც დაერქვა „კარმენ-სიუიტა“.

ხშირად სადავოა პირის თანავეტორად აღიარება, როდესაც ნაწარმოები წარმოადგენს ლიტერატურულ ჩანაწერს ან მოგონებას. ასეთი ნაწარმოებები, ძირითადად, გამოდის იმ პირის სახელით, ვისაც ეკუთვნის მოგონებები, რომლებიც ხშირად არ ასახავს ავტორის წვლილს ნაწარმოების შექმნაში. მაგალითად, მთხრობელი მწერალს უყვება იმ ისტორიული ფაქტების, მოვლენების ან დეტალების შესახებ, რაც მას გადახდა ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, მწერალი ნაამბობს იღებს რა საფუძვლად აყალიბებს, ქმნის მხატვრულ სახეთა სისტემას, სხვადასხვა მოგონებას უკავშირებს ერთმანეთს და ქმნის სრულყოფილ, ერთიან ნაწარმოებს. ამ შემთხვევაში, მსოფლიო სასამართლო პრაქტიკა საავტორო უფლებათა მფლობელად მხატვრული ნაწარმოების ავტორს აღიარებს.

მაგალითი:

სარჩიბელიამ გადაწყვიტა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამოძინარე, საკუთარი მოგონებებისათვის მიეცა ლიტერატურული ნაწარმოების სახე. იმის გამო, რომ ამას მარტო ვერ მოახერხებდა, დახმარებისათვის მიმართა ლიტერატორ

პასხულიას, რომელსაც ლიტერატურულ-მხატვრული ფორმა უნდა მიეცა მოგონებისათვის. სარჩიმელიას მონათხრობის მიხედვით პასხულიამ დაწერა რომანი და გამოაქვეყნა თავისი სახელით. სარჩიმელია მოითხოვდა მის აღიარებას თანაავტორად და ჰონორარის ნახევარს.

სასამართლომ სარჩიმელიას სარჩელი არ დააკმაყოფილა გამოძინარე იქიდან, რომ მოგონებები არ იყო ლიტერატურული ფორმით გამოხატული, მოსარჩელეს მონაწილეობა არ მიუღია მოქმედი პირებისა და სახეების შექმნაში და ა. შ., იგი მხოლოდ მთხრობელია გარკვეული ეპიზოდებისა და ფაქტების.

40 წლის წინანდელი ეს სასამართლო დავა (შენიშვნა: გვარები შეცვლილია – ს.ჯ.), დღესაც აქტუალურია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცნობილ პოლიტიკურ, სამხედრო, ხელოვნებისა და სხვა მოღვაწეთა ნაწარმოებები გამოდის, ლიტერატორები არავითარ პრეტენზიას არ აცხადებენ ავტორობას ან თანაავტორობაზე. ამის მაგალითია 1978 წელს გამოსული ლ. ბრეჟნევის სამი ნაწარმოები: „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“.

კანონი აწესებს გარკვეულ გრადაციას: საავტორო უფლება ნაწარმოებზე, ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, მიუხედავად იმისა, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ვხედავთ, კანონი განსაზღვრავს თანაავტორობის ორ სახეს: განუყოფელ და გაყოფად თანაავტორობას)

განუყოფელი თანაავტორობის დროს ნაწარმოები ერთი განუყოფელი მთლიანობაა, რომლიდანაც შეუძლებელია ცალკეული ნაწილების გამოყოფა. მაგალითად, ი. ილფისა და ე. პეტროვის რომანები „12 სკამი“ ან „ოქროს საწმისი“ განუყოფელი თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებებია.

განუყოფელი თანაავტორობის დროს ნაწარმოების ავტორთა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომითი წვლილის ცალ-ცალკე გამოყოფა შეუძლებელია.

განუყოფელ თანავეტორობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგ სამ შემთხვევაში:

1. როდესაც ნაწარმოები არ შედგება ნაწილებისაგან, მაგალითად, მოთხრობა, ეპოგრამა;

2. როდესაც ნაწარმოები შედგება ნაწილებისაგან, მაგრამ მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა;

3. როდესაც ნაწარმოები შედგება ნაწილებისაგან, თითოეულ მათგანს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, მაგრამ ისინი შეიქმნა ყველა თანავეტორის ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად.

გაყოფად თანავეტორობას ადგილი აქვს მაშინ, როცა თანავეტორობით შექმნილი ნაწარმოები წარმოადგენს ერთ მთლიანობას, მაგრამ არა განუყოფელ მთლიანობას. მაგალითად, ლ. ჭანტურასა და თ. ნინიძის „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი“ გაყოფადი თანავეტორობით შექმნილი ნაწარმოებია, რადგანაც წიგნში მთითებულია იმ კონკრეტული მუხლების შესახებ, რომლის კომენტარიც გააკეთა თითოეულმა ავტორმა და ამ კომენტარის გამოყენება შეიძლება დამოუკიდებლად ცალკეული საკითხების მიხედვით.

გაყოფადი თანავეტორობის მაგალითია, აგრეთვე, მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები და სხვ.

თანავეტორობა ურთიერთობა (აქ ურთიერთობა გაგებულნი უნდა იყოს როგორც თანავეტორობა შორის ურთიერთობა და არა ნებისმიერი სხვა, მაგალითად, მთარგმნელთან ურთიერთობა. სიტყვა „შორის“ სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, კანონში აღარ ფიგურირებს) შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. კანონმდებლობა ითვალისწინებს თანავეტორობა არა მარტო გარკვეულ უფლებებს, არამედ შეზღუდვებსაც, კერძოდ: არც ერთ თანავეტორს არა აქვს უფლება აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე. „სავეტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის ეს პუნქტი ეხება იმ სიტუაციას, როდესაც განუყოფელი თანავეტორობით (გაყოფადი თანავეტორობის შემთხვევას ამ

მუხლის მეთხე პუნქტი ეხება) შექმნილი ნაწარმოების ავტორები გარკვეული მიზეზების გამო ვერ თანხმდებიან ნაწარმოების გამოყენების შესახებ.

თანავტორებს შორის ამგვარი დავა შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით. სასამართლოს შეუძლია ნაწარმოების გამოყენების ნება დართოს ერთ-ერთი მათგანს, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგია ერთი ან რამდენიმე თანავტორი, თუ არ არსებობს საკმაო საფუძველი ამ აკრძალვისა.

კანონით დადგენილი არაა „საკმაო საფუძველების“ კრიტერიუმები, ეს სასამართლოს გადასაწყვეტია.

მაგალითი:

ლოლიძემ, გაგუამ, აბაშიძემ, ბარამიძემ და კალანდაძემ მოითხოვეს აკრძალვა მათ მიერ შექმნილი ნაწარმოების გამოყენებაზე, იმ მოტივით, რომ თითოეულ მათგანს სურდა პირველი თავისი გვარი ყოფილიყო დართული. სასამართლომ გადაწყვიტა გვარების მითითება ანბანის მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანავტორთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოადგენს საავტორო ხელშეკრულებას.

3. თანავტორობის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად დასაშვებია ფსევდონიმის გამოყენება.

მაგალითი:

ახალგაზრდა ფრანგმა მათემატიკოსებმა 1937 წელს დააარსეს ჯგუფი, რომელიც ახორციელებდა სხვადასხვა მათემატიკური თეორიის განხილვას ერთიანი ფორმალური აქსიომატური მეთოდის პოზიციებიდან. ამ ჯგუფის წევრთა რაოდენობა და ვინაობა საიდუმლოებას წარმოადგენდა; შემადგენლობა პერიოდულად იცვლებოდა, რადგან 50 წლის ასაკს მიღწეული წევრი ადგილს უთმობდა უფრო ახალგაზრდას. ამ ჯგუფმა 1939 წელს დაიწყო და დღესაც აგრძელებს მრავალტომეული ტრაქტატის „მათემატიკის ელემენტების“ გამოცემას საერთო ფსევდონიმით – ნიკოლა ბურბაკი (Nicolas Bourbaki).

აღსანიშნავია, რომ რადგანაც ბურბაკის ყოველი ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია თანაავტორობით და ამავე დროს გამოქვეყნებულია ფსევდონიმით, მასზე საავტორო უფლების მოქმედების ვადა 32-ე მუხლის პირველი ნაწილით განისაზღვრება და არა მეორეთი, ე.ი. 70 წლით, ამ ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ანონიმ თანაავტორს საერთოდ არ მიუთითებს, უნდა აღვნიშნო, რომ ერთი ან რამდენიმე ავტორის ანონიმურობის შემთხვევაში, ადგილი აქვს მკითხველის დეზინფორმაციას, რადგანაც ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს არა თანაავტორობით, არამედ ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირის შექმნილად. მიმაჩნია, რომ ასეთი რამ დაუსვებელია.

მაგალითი:

საკაძემ და ანანიაშვილმა ერთობლივად დაწერეს წიგნი და მოილაპარაკეს, რომ გავრცელების შედეგად მიღებულ თანხას თანაბრად გაინაწილებდნენ, ამასთან, ანანიაშვილმა მოისურვა ანონიმ ავტორად დარჩენა. ოურისტებთან კონსულტაციების მიღების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ვინაიდან ანანიაშვილს არ სურდა ვინაობის გამჟღავნება, წიგნის ავტორად მითითებული ყოფილიყო: „საკაძე და +“ ან „საკაძე და K⁰“.

მსგავსი მითითება შეიძლება გაკეთდეს შემოკლების მიზნითაც. 2001 წელს მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის მიერ გამოიცა – „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები. ცნობარი – ნაწილი I“, რომლის ყდაზე ავტორებად (თანაავტორებად) აღნიშნულია – „ოთარ მელქაძე და მისი გუნდი“. წიგნს ჰყავს 22 ავტორი (თანაავტორი), წარმოადგენს გაყოფად თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებს და თანაავტორობა ვინაობაც ცნობილია (წიგნს ბოლოში დართული აქვს ბიოგრაფიული მონაცემები მათ შესახებ). ამ შემთხვევაში, არ შეიძლება საქმე გვექონდეს ანონიმ ავტორთან, თუმცა, წყაროზე მითითების შემთხვევაში ბ-ნ ო. მელქაძის გარდა სხვები მაინც ანონიმ ავტორებად ჩაითვლებიან.

4. ყოველ თანაავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონის მე-11 მუხლის ამ პუნქტით თანაავტორს უფლება ეძლევა გამოიყენოს მის მიერ შექმნილი ის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ეს ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს გაყოფად თანაავტორობას. ამ შემთხვევაში არ არის საჭირო თანაავტორების არც გაფრთხილება, არც მათგან თანხმობის მიღება და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებაში ამის ამკრძალავი ან შემზღუდავი ნორმაა გათვალისწინებული, თანაავტორებმა ხელშეკრულებით უნდა იხელმძღვანელონ. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოების ავტორსა და ტექსტის ავტორს შორის, რათა ტექსტის ავტორმა არ დადოს ხელშეკრულება სხვა კომპოზიტორთან და იგივე ტექსტი არ გამოიყენოს ახალი ნაწარმოების შესაქმნელად.

5. მე-11 მუხლის მეხუთე პუნქტი იძლევა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოების ნაწილის დუფინიციას, კერძოდ: თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ შესაძლებელია მისი გამოყენება ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშე.

მუხლი 12. შედგენილი ნაწარმოების ავტორის
(შემდგენლის) უფლებები

1. შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) კეთუნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

2. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთან ავტორების საავტორო უფლება.

3. შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთან ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. შემდგენლის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, განსხორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთან შესაქმნელად.

ამ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტები მთლიანად იმეორებს 1997 წლის 26 ივნისს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1034-ე მუხლის შინაარსს. რაც შეეხება მე-2 პუნქტს, ვფიქრობ კოდექსში უფრო ნათლად იყო გამოხატული შემდგენლის საავტორო უფლებით სარგებლობის ფარგლები.

1. შედგენილ ნაწარმოებთან სახეები ჩამოთვლილია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტში. ეს ჩამონათვალი ნიშუმადაა მოყვანილი და, რა თქმა უნდა, არასრულია. სრული ჩამონათვლის მოტანა შეუძლებელიც კი იქნებოდა. ვფიქრობთ, საინტერესოა ზოგიერთი მათგანის განსაზღვრა:

(*კრებული იმგვარი შედგენილი ნაწარმოებია, რომელიც შეიცავს ისეთ მასალებს, ნაწარმოებებს, რომლებიც დაცულია საავტორო სამართლით. კრებულებს განეკუთვნება: ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა.*)

(*ენციკლოპედია არის ისეთი კრებული, სადაც თავმოყრილია*

არსებითი ხასიათის ცნობები, ცოდნის ყველა ან რომელიმე ცალკეული დარგიდან. ენციკლოპედიას, რომელშიც თავმოყრილია ცნობები ცოდნის ყველა დარგიდან უნივერსალურ ენციკლოპედიასაც უწოდებენ. ენციკლოპედიებში მასალა შეიძლება იყოს თავმოყრილი თემატურად ან ანბანურად.

ანთოლოგია არის არაპერიოდული კრებული, რომელშიც მოთავსებულია სხვადასხვა ავტორის ისეთი რჩეული ლიტერატურული ნაწარმოებები ან მათი ნაწყვეტები, რომლებსაც აქვთ საერთო ჟანრი ან თემა.

რაც შეეხება მონაცემთა ბაზის დეფინიციას, იგი განსაზღვრულია მე-4 მუხლში.

შედგენილ ნაწარმოებად, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ჩაითვლება, აგრეთვე პერიოდული გამოცემებიც.

კანონის ამ ნორმის თანახმად, შემდგენელი არ წარმოადგენს ორიგინალური ნაწარმოების ავტორს, მას ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, თუ იგი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგს წარმოადგენს. სწორედ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა იმის წინა პირობა, რომ პირი მივიჩნიოთ ავტორად. ტელეფონების ცნობარი, რომელიც შედგენილია ანბანის მიხედვით ან საკანონმდებლო აქტების კრებული ამგვარი შრომის შედეგს არ განეკუთვნება.

ნებისმიერი შედგენილი ნაწარმოები შეიძლება შეიცავდეს საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებებს, აგრეთვე, ნაწარმოებებს, რომლებზეც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია შესაძლებელია, აგრეთვე, ისეთი ნაწარმოებების გამოყენება, რომლებიც არ წარმოადგენენ საავტორო სამართლის ობიექტებს (მაგალითად, ანტიკური ხანის ავტორების, ხალხური პოეზიის ან თუნდაც საკანონმდებლო აქტების კრებულები).

2. პირველი პუნქტის თანახმად, შემდგენელი არის შედგენილი ნაწარმოების ავტორი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამოქალაქო კოდექსის 1034-ე მუხლით მკაცრად იყო განსაზღვრული შემდგენელის საავტორო უფლებით სარგებლობის პირობა, კერძოდ: „შემდგენელი საავტორო

უფლებით სარგებლობს იმ პირობით, თუ დაცულია ყველა იმ ნაწარმოების ავტორთა უფლებები, რომლებიც შესულია შედგენილ ნაწარმოებში“. ცხადია, ამ ნორმაში ნათლად ჩანს, თუ როგორაა მოწესრიგებული იმ ავტორთა საავტორო უფლების დაცვა, რომელთა ნაწარმოებებიც შესულია შედგენილ ნაწარმოებში.

მე-12 მუხლის მეორე პუნქტი კი მოუთითებს, რომ „შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება“, რაც შედარებით ნაკლებად მკაცრი მოთხოვნაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგივეს გულისხმობს. ეს პუნქტი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს შემდგენელს ენიჭება ავტორის ან საკუთალური აგენტის ფუნქციები. იგი გაიგება როგორც: „შემდგენელმა არ უნდა დაარღვიოს“.

ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად: „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების კრებული, მაგალითად, ენციკლოპედია და ანთოლოგია, რომლებიც მასალის შერჩევით და განლაგებით წარმოადგენენ ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფს, დაცული უნდა იქნეს, როგორც ასეთი, ამ კრებულის შემადგენელი ნაწილის – ყოველი ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღებაზე“. უმჯობესი იქნებოდა კანონში გათვალისწინებულიყო კოდექსისა და ბერნის კონვენციის ამგვარი მიდგომა.

ამ პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემდგენელმა მის ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებების ავტორებთან უნდა დადოს შესაბამისი საავტორო ხელშეკრულებები, რომელიც 42-ე მუხლის თანახმად, უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების საავტორო ხელშეკრულება კი შეიძლება დაიდოს ზეპირადაც.

მე-12 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები მოიცავს საავტორო უფლების ორ სახეს: პირველი – საავტორო უფლება უშუალოდ შედგენილ ნაწარმოებზე, ხოლო მეორე – სხვადასხვა ნაწარმოებზე, რომლებიც შესულია ამ შედგენილ ნაწარმოებში.

პირველის წარმოშობა ხორციელდება შედგენილ ნაწარმოებში შესული ნაწარმოებების შერჩევასა და განლაგებაზე, ხოლო

მეორის – საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძვლებით.

3. თავისი შინაარსით ეს ნორმა მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის ერთ-ერთი კერძო შემთხვევაა.

შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოები შედგენილი ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად. ეს ნორმა დისპოზიციურია და მოქმედებს მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მაგალითი:

გამომცემლობა „გულმა“ გამოსცა კრებული – „სიყვარული XXI საუკუნის საქართველოში“, სადაც შეტანილი იქნა თანამედროვე (ცოცხალი) მწერლების მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნება სიყვარულის თემას და შეიქმნა 2001 წლის 1 იანვრის შემდეგ. გამომცემლობას ყოველი ავტორისაგან მიღებული ჰქონდა თანხმობა გამოქვეყნების შესახებ. ერთ-ერთმა ავტორმა, გამომცემლის ნებართვის გარეშე, გამოაქვეყნა საკუთარი ნაწარმოები სხვა კრებულშიც. გამომცემლობა „გულმა“, რომელსაც ეკუთვნოდა საავტორო უფლება ამ შედგენილ ნაწარმოებზე, ავტორისაგან მოითხოვა დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენა და შესაბამისი კომპენსაცია.

მოუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებზე საავტორო უფლება „გულს“ ეკუთვნის, მას მაინც არა აქვს უფლება ერთ-ერთი ავტორისაგან მოითხოვოს საავტორო უფლებათა დარღვევისათვის კომპენსაცია, რადგან მას ჰქონდა მხოლოდ თანხმობა და არა განსაკუთრებული უფლება ნაწარმოების გამოყენებაზე. თუ საავტორო ხელშეკრულებაში ამგვარი შეზღუდვა გათვალისწინებული არ არის, მაშინ ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი ნაწარმოები კრებულისაგან დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

გამომცემლის უფლებებზე უფრო დეტალურად მოთხრობილია მე-14 მუხლში.

4. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებულია, რომ შემდგენელს აქვს საავტორო უფლება შედგენილ ნაწარმოებზე მთლიანად და არა იმ ცალკეულ ნაწარმოებზე ან მასალაზე, რომელიც შესულია შედგენილ ნაწარმოებში.

შემდგენლის საავტორო უფლებათა განსაკუთრებულობა სწორედ იმაშია, რომ იგი ვერ აუკრძალავს სხვა პირებს იგივე მასლით ან ნაწარმოებებით გამოაქვეყნონ კრებულები, ან სხვა შედგენილი ნაწარმოებები. ამასთან, დასაშვებია ეს თუ ის მსგავსება მასლის შერჩევასა და განლაგებაზე, მაგრამ დაუშვებელია სხვა პირის მიერ იდენტური შედგენილი ნაწარმოების შექმნა. თუ პირმა ზუსტად ისეთივე შედგენილი ნაწარმოები გამოაქვეყნა, რომელიც სხვა პირს ადრე ჰქონდა შექმნილი, ჩაითვლება, რომ მას არ გაუწევია არც ინტელექტუალური და არც შემოქმედებითი შრომა, ე. ი. ორიგინალობა ნაწარმოებისა არაფრით არ არის გამოხატული. ამ შემთხვევაში, იგი არღვევს პირველშემდგენლის საავტორო უფლებებს.

მუხლი 13. გადაბეჭდვითი ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. გადაბეჭდვითი ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადაბეჭდვაზე.

2. გადაბეჭდვითი ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება.

3. გადაბეჭდვითი ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

კანონის ეს მუხლი იმეორებს საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 1035-ე მუხლის შინაარსს.

1. საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ კანონის მე-2 მუხლისა და ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, გადაბეჭდვით ნაწარმოებად მიჩნეულია: თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პეკარელი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და ასევე, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადაბეჭდვა.

გადაბეჭდვა ეს არის ადრე არსებული, უკვე შექმნილი ნაწარმოების შეკვლა: ერთი ჟანრიდან მეორეში გადატანის მიზნით; იმავე ჟანრის ფარგლებში.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ეკრანიზაცია ჩაითვლება ერთი ჟანრიდან მეორეში გადატანად, ხოლო სცენარი ამ ფილმისათვის იქნება ნაწარმოების გადაბეჭდვა იმავე ჟანრში.

თარგმანი არის ნაწარმოების ტექსტის გადატანა ერთი (ორიგინალის) ენიდან მეორეზე. თარგმანი არ უნდა ამახინჯებდეს ნაწარმოების ავტორის სტილსა და შინაარსს.

თარგმნის უფლება განმტკიცებულია ბერნის კონვენციით, რომლის მე-8 მუხლის ძალით: „ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თავიანთი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმნის ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება აქვთ“.

ცხადია, რომ მუსიკალური, მხატვრობის ან არქიტექტურული ნაწარმოებები არ წარმოადგენს სათარგმნ ობიექტებს. ასეთი ობიექტები შეიძლება იყოს: ოპერის ლიბრეტო, სიმღერის ტექსტი, განმარტებითი წარწერები და სხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების თარგმნისას კი დიალოგები, მთხრობელის (დიქტორის) ტექსტი და ა. შ.

მთარგმნელის საავტორო უფლებები დაცულია საავტორო სამართლით, თუ მას გაწეული აქვს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა.

მაგალითი:

წიგნაძემ თარგმნა სქელტანიანი მონოგრაფია. ფაილოძემ შეიყვანა ტექსტი კომპიუტერში, დააკაბდონა, შეიტანა რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა და სხვა, რის სანაცვლოდაც მოითხოვა თავისი სახელის მითითება მთარგმნელად წიგნაძესთან ერთად.

მოუხდავად გაწეული ღვაწლისა, ფაილოძე მაინც არ ჩაითვლება მთარგმნელად, თუ წიგნაძე ამის წინააღმდეგაა. ფაილოძე იქნება მხოლოდ დაშმარე, ხელის შემწყობი და წიგნაძის სურვილის გათვალისწინებით, მისი სახელი შეიძლება მიეთითოს დამკაბდონებლად, კორექტორად და ა. შ.

თარგმანი გადაბუშავებული ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სახეა, რომლითაც ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობა ეცნობა სხვა ქვეყნებში შექმნილ ნაწარმოებებს, კულტურას, ცივილიზაციას, მაგრამ ამავე დროს, თარგმნა, ერთ-ერთი ურთულესი საქმიანობაა. თარგმნისათვის მხოლოდ ენის ცოდნა არ არის საკმარისი.

მთარგმნელის შემოქმედებითი შრომის მოცულობა დამოკიდებულია გადასათარგმნი ნაწარმოების შემადგენელ თვისებებზე. პოეზიის სათარგმნელად აუცილებელია არა მარტო ენების ცოდნა და ლექსად გადათარგმნის უნარი, არამედ ნაწარმოების ჩანაფიქრის განზრახვის შეცნობა, რითმის მიხვედრა, პოეტის განწყობასთან მახლოება.

მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი არ უნდა დაშორდეს ორიგინალს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია

ბელონსკის სიტყვები: „პუშკინს რომ გოეთუ გადაეთარგმნა, მისგანაც გოეთეს ჩვენება უნდა მოგვეთხოვა და არა პუშკინისა“.

თარგმანი ორიგინალისაგან უნდა განსხვავდებოდეს მხოლოდ ენობრივად, ე. ი. გარეგნული ფორმით, ხოლო ყველა სხვა ელემენტი ნასესხები (თითქმის იგივე) უნდა იყოს ორიგინალისაგან.

თარგმნის ხელოვნებაზე მრავალი მონოგრაფიაა შექმნილი, ბევრი კიდევ დაიწერება, რაც ცალკე მსჯელობის საგანია. აქ მხოლოდ აკაკი წერეთლის შეფასებით შემოვიფარგლები: „თუ მთარგმნელი თავისი პოეტური ნიჭით საგრძობლად ჩამორჩება დედნის ავტორს, მაშინ იგი ვერ გადმოსცემს დედანს მთელი თავისი სისწორ-სიმრულით. ამას გარდა მთარგმნელი ნიჭითაც თანაბარი უნდა იყოს, დედნის დამწერს რომ გაუსწორდეს“¹.

თარგმნის სამართლებრივი დაცვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თარგმნა ხელოვნური ინტელექტის — კომპიუტერის საშუალებით.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1954 წელს აშშ-ში ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა ლეონ დოსტერსის ხელმძღვანელობით განახორციელა კომპიუტერული (მაშინდელი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანური) თარგმნა 60 რუსული მარტივი წინადადებისა ინგლისურად.

1955-1956 წლებში რუსმა მეცნიერებმა მოახერხეს მათემატიკური ტექსტების თარგმნა რუსულად ინგლისურიდან და ფრანგულიდან.²

თანამედროვე კომპიუტერის საშუალებით სულ ადვილად შეიძლება თარგმნა ინგლისური, ფრანგული და სხვა ენებზე არსებული ტექსტებისა. ამგვარი თარგმანი უამრავ კითხვას ბადებს. მაგალითად, ჩაითვლება თუ არა ასეთი თარგმანი საავტორო სამართლის ობიექტად? როგორ მოხდება მისი სამართლებრივი დაცვა? ვინ ჩაითვლება მთარგმნელად? და სხვა.

კომპიუტერული თარგმანი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს, რადგან კანონის მე-5 მუხლის

¹ აკაკის თეიური კრებული, 1899 წ., № 2.

² Кудрявцева Г. А. Авторское право на машинный перевод. ж. Советское государство и право, 1969 г., № 6.

თანახმად, ნაწარმოებად აღიარებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მის დანიშნულებას, აკკარგანობას, ჟანრს, მოცულობას, გამოხატვის ფორმასა და საშუალებას, მეორე მხრივ, იგი უნდა იყოს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. როგორ აკმაყოფილებს ამ პირობებს კომპიუტერული თარგმანი? როგორ უნდა შეფასდეს კომპიუტერის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა?

კომპიუტერი შემოქმედი ვერ იქნება, მაგრამ ამგვარი შრომა ჩადებული აქვს პირს, ვინც შექმნა თარგმნის პროგრამა, სწორედ ამ პროგრამაში გამოიხატა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა. ამდენად, ამ პირისათვის კომპიუტერი მხოლოდ დროის დაზოგვაა. ე. ი. კომპიუტერული თარგმნის დროს ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა გამოიხატა სპეციალური პროგრამის შექმნაში, რომლის ავტორიც თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ მთარგმნელად.

იმ შემთხვევაში, თუ იგი გაავრცელებს თავის პროგრამას (გაყიდვა, გაქირავება და ა. შ.), მას ექნება საავტორო უფლებები თავის მიერ შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებზე (კომპიუტერული პროგრამა) კანონის მე-ნ მუხლის ძალით — როგორც საავტორო სამართლის ერთ-ერთ ობიექტზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მთარგმნელად აღარ ჩაითვლება, რადგან ანალოგიური ქმედება (კომპიუტერული თარგმანი) შეეძლება ნებისმიერ პირს. ე. ი. სულ სხვა საკითხია, როდესაც პირმა იყიდა თარგმნის კომპიუტერული პროგრამა და განახორციელა თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე.

მ ა გ ა ლ ი თ ი :

ღარიბაშვილმა იყიდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა და კომპიუტერს ფრანგულიდან ათარგმნინა ნაწარმოები, რომელიც გამოსცა, როგორც საკუთარი თარგმანი. მიხელაშვილმა, იცოდა რა, რომ ღარიბაშვილმა ფრანგული ენა არ იცოდა, სარჩელი შეიტანა სასამართლოში თარგმანის მითვისების გამო და მოითხოვა საავტორო უფლებების ბათილად ცნობა. ღარიბაშვილმა აღიარა, რომ თარგმანი განახორციელა კომპიუტერის საშუალებით.

ამ შემთხვევაში გასარკვევია, თუ ვინ შეიძლება იყოს თარგმანზე საავტორო უფლების სუბიექტი. კომპიუტერის საავტორო უფლების დარღვევაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამავე დროს, ღარიბაშვილს არავითარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა არ გაუწევია. მართალია, მას აღებული ჰქონდა ორიგინალის ავტორისაგან თარგმნის უფლება, მაგრამ თარგმნა განახორციელა მხოლოდ კომპიუტერის კლავიშებზე თითის დაჭერით.

ვფიქრობ, რომ ყველაზე კომპრომისული გადაწყვეტილება იქნება, თუ ნაწარმოებზე მიეთითება კომპიუტერული თარგმნის შესახებ, რომლის შეფასება უკვე მკითხველზე იქნება დამოკიდებული.

ამრიგად, კომპიუტერული თარგმანი შეიძლება მივიჩნიოთ საავტორო სამართლის ობიექტად, რომელზეც არ წარმოიშობა მთარგმნელის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები, რადგან კომპიუტერი არ წარმოადგენს არც ფიზიკურ და არც იურიდიულ პირს, ე. ი. საავტორო უფლების მფლობელი ამ შემთხვევაში არ არსებობს. იმ შემთხვევაში კი, თუ კომპიუტერული თარგმანი შეზღვევებში გადაშუშავდა, შესწორდა, შედარდა დედანთან და ისე გამოიცა, პირი, ვინც ეს განახორციელა ჩაითვლება მთარგმნელად და მას წარმოეშობა საავტორო უფლებები ჩვეულებრივი წესით.

ანოტაცია არის ნაწარმოების გადაშუშავების ისეთი სახე, როდესაც გადმოცემულია წიგნის, სტატიის ან მისთ. მოკლე შინაარსი ზოგადად, იქნება ეს შეფასების დართვით თუ მის გარეშე. ანოტაციის ავტორის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეზღუდული მოცულობის ფარგლებში გადმოსცეს ნაწარმოების ძირითადი არსი.

რეზიუმე ნაწარმოების გადაშუშავების ისეთი სახეა, როდესაც მოკლე წერილობითი ან ზეპირი ფორმით არის გადმოცემული ნაწარმოების შინაარსი.

რეზიუმე ნაწარმოების მოკლე შინაარსი ან დასკვნაა, მაგრამ აქ მთავარი აქცენტი კეთდება ძირითად მოსაზრებებზე, სიახლეზე.

გადაშუშავებულ ნაწარმოებს წარმოადგენს აგრეთვე: ვარიაცია, რაფსოდია, სიუიტა, პოპური, არანჟირება და სხვა.

საავტორო სამართლით დაიცვება, აგრეთვე, იმ პირთა უფლებები, რომლებმაც გადაამუშავეს ხალხური ზღაპრები, ძველი ლექსები და ა. შ.

ყველა ამ გადამუშავებული ნაწარმოების ავტორების უფლებები დაცულია ორიგინალური ნაწარმოების ავტორთა უფლებების თანაბრად.

2. ამ პუნქტით განმტკიცებულია ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის ნორმა, რომლითაც გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას იმ ნაწარმოების ავტორის უფლებები, რომლის ნაწარმოებიც გადამუშავდა. თარგმანის ან სხვაგვარი გადამუშავებისათვის უნდა დაიღოს საავტორო ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მხარე ავტორია, მეორე კი — გადამმუშავებელი.

საავტორო ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს ის ენები, რომელზეც მთარგმნელს უფლება ეძლევა თარგმნოს ნაწარმოები. კანონით პირდაპირ არ წესრიგდება უკუ თარგმნა, მაგრამ იგი მაინც საავტორო უფლების დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

მაგალითი:

ინგლისელმა მწერალმა რაითმა განსაკუთრებული უფლება მისცა ბექიაშვილს თარგმნოს და გამოსცეს ნაწარმოები ნებისმიერ ენაზე. ბექიაშვილმა, მრავალ ენაზე თარგმნის შემდეგ, გადაწყვიტა ამ ნაწარმოების ორიგინალის (ინგლისურ) ენაზე გადათარგმნა და გამოცემა. ერთ-ერთი ენიდან გადათარგმნა ნაწარმოები ინგლისურ ენაზე და გამოსცა იგი, მთარგმნელად კი მოუთითა თავისი სახელი.

ბექიაშვილის ქმედება წარმოადგენს საავტორო უფლების დარღვევას, რადგან თვით თარგმანის ცნება, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს ნაწარმოების ორიგინალის ენიდან თარგმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თარგმანის-თარგმანი იქნებოდა. გარდა ამისა, ისევე ინგლისურად, ე. ი. უკუ თარგმანი შეიძლება დაემთხვეს ორიგინალს ან არა. თუ იგი ზუსტად იმეორებს —

იღენტურია მისი, დარღვეული იქნება ავტორის ქონებრივი უფლებები — გავრცელების, რეპროდუცირების და სხვა. თუ უკუ თარგმანის ტექსტი არ ემთხვევა ორიგინალს, მაშინ დარღვეული იქნება ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი — ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.

ამრიგად, მოუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ნებისმიერ ენაზე თარგმნა, იგი არ გულისხმობს უკუ თარგმანის უფლებას.

საკუთარი ნაწარმოების გამოცემაზე ან თარგმანზე თანხმობის მიცემას ავტორიზება ეწოდება მხარეებს შეუძლიათ, თუ ენდობიან ერთმანეთს, დაღონ ზეპირი შეთანხმება, მაგრამ მომავალში შესაძლო დავის წარმოშობის შემთხვევაში, შესაბამისი არგუმენტების არარსებობის გამო ორივე მხარეს შეიძლება შეექმნას გარკვეული პრობლემები.

მაგალითი:

პოპურია ზეპირად შეუთანხმდა კომპოზიტორ დორეშიას, რომ მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს გადააკეთებდა თანამედროვე სტილში და აუნაზღაურებდა მოგების 30 %. ცოტა ხნის შემდეგ, დორეშიამ გაიგო, რომ პოპურია მას უხდიდა მხოლოდ 5%. ამის გამო, სასამართლოში შეიტანა სარჩელი მისი უფლებების დარღვევისათვის და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით. დორეშიამ უარყო ზეპირი ხელშეკრულების არსებობა.

ვინაიდან, კანონით გათვალისწინებულია საავტორო ხელშეკრულების დადების წერილობითი ფორმა, პოპურია ჩაითვლება დორეშიას საავტორო უფლების დამრღვევად. თავის მხრივ, დორეშიას გაუჭირდება მოგებიდან 30% მიღება, რადგან თუ არსებობს 5% მიღების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, პოპურიამ შეიძლება ეს მიიჩნიოს მათ შორის დადებული გარიგების ერთ-ერთ პირობად, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, მით უფრო ძნელი იქნება 30 %-იანი ანაზღაურების დასაბუთება.

თუ გადაზემუშავებული ნაწარმოების ავტორმა გადაამუშავა ნაწარმოები, რომლის საავტორო უფლების მოქმედების ვადა

გასულია, მაშინ ავტორის ან მისი მემკვიდრისაგან ნებართვის აღების, ან საავტორო ჰონორარის გადახდის აუცილებლობა აღარ არსებობს. არავითარ დარღვევას ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება, თუ გადამმუშავებელს დაცული აქვს 33-ე მუხლით გათვალისწინებული უვადო საავტორო უფლებები.

მაგალითი:

კაკიიშვილმა 1999 წელს თარგმნა 1930 წელს გარდაცვლილი ფრანგი მწერლის ნაწარმოები, მაგრამ მისი გამოქვეყნება ვერ მოახერხა, რადგან მწერლის მემკვიდრეებმა მოსთხოვეს საკმაოდ დიდი ანაზღაურება, რაც კაკიიშვილს არ გააჩნდა. 2001 წელს კი მან ყოველგვარი ნებართვის და ანაზღაურების გარეშე გამოაქვეყნა ეს ნაწარმოები.

მემკვიდრეების მიერ სასამართლოში დავას ამ შემთხვევაში აზრი ეკარგება. თუ 1999 წელს ნაწარმოების გამოქვეყნება მემკვიდრეების ნებართვის გარეშე საავტორო უფლების დარღვევა იქნებოდა, ხოლო 2001 წელს ეს საკითხით შესაძლებელი იყო, რადგან ამ დროისათვის საავტორო უფლების მოქმედების ვადა უკვე გავიდა.

ორიგინალური ნაწარმოების¹ ავტორი და მთარგმნელი თანავტორებს არ წარმოადგენენ. თითოეულ მათგანს აქვს საავტორო უფლება სხვადასხვა ობიექტზე. მთარგმნელის საავტორო უფლებები დამოკიდებულია ორიგინალური ნაწარმოების ავტორის თანხმობაზე. მთარგმელს საავტორო უფლება აქვს მხოლოდ თარგმანზე და არა ორიგინალზე. აქ უნდა გამოიყოს კიდევ ერთი სუბიექტი – გამომცემელი, ე. ი. პირი, რომელსაც სურს ნაწარმოების გამოყენება. გამომცემელს უნდა ჰქონდეს ნაწარმოების გამოყენებაზე თანხმობა, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორისაგან, ასევე მთარგმნელისაგან. თუ ამ უკანასკნელს ავ-

¹ ისმოს გლოსარიუმის № 172 თანახმად, ნაწარმოები ჩაითვლება ორიგინალურად, თუ იგი ავტორისეულია, თავდაპირველია და არა გადამმუშავებული, თარგმნილი ან არანაწარმოებული.

ტორისაგან მინიჭებული აქვს ასეთი უფლება, მაშინ საკმარისია მხოლოდ მთარგმნელის თანხმობა, რომელშიც ავტორის თანხმობაც იგულისხმება.

ავტორმა შეიძლება შექმნას და გადაამუშაოს ნაწარმოები რამდენიმე ენაზე, იქნება ეს ერთდროულად, თუ თანდათანობით. ამ შემთხვევაში ავტორი არის, აგრეთვე, მთარგმნელი (ე. ი. ახორციელებს ავტორისეულ თარგმანს) და მოქმედებს ნაწარმოების ორიგინალობის პრეზუმეცია. მას შეუძლია მიუთითოს საკუთარი სახელი მთარგმნელადაც, რითაც აღიარებული იქნება არა მარტო ავტორად, არამედ, ამავე დროს, გადამმუშავებლადაც. რაც შეეხება ასეთ ნაწარმოებზე ქონებრივ უფლებებს, ისინი მაინც ხელშეკრულების საგანია.

მაგალითი:

პოლიგლოტაქემ გამოაქვეყნა საკუთარი ნაწარმოები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ერთდროულად და შემდგომი გამოცემისა და სხვა ენებზე თარგმნისათვის მოითხოვა ორმაგი ანაზღაურება — ავტორისა და მთარგმნელისათვის.

მოუხედავად იმისა, რომ ეს მართლაც ასეა, ანაზღაურების საკითხი ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის, მაინც საავტორო ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს. პოლიგლოტადის ნებაზეა დამოკიდებული, თუ რა რაოდენობის ანაზღაურებას მოითხოვს და ვინ როგორ შეძლებს ამის შესრულებას.

3. გადამმუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

მე-13 მუხლის ეს პუნქტი ითვალისწინებს გადამმუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლების საზღვრებს. გადამმუშავებელს არავითარი უფლება არა აქვს აუკრძალოს სხვას იგივე ნაწარმოების გადამმუშავება, თუნდაც იმავე სფეროში. სხვა გადამმუშავებლის მიერ გადამმუშავებული ნაწარმოები კი უნდა განსხვავდებოდეს უკვე არსებული გადამმუშავებისაგან.

მაგალითი:

თარგმანაძემ თარგმნა აიზეკ აზიმოვის ნაწარმოები. ათი წლის შემდეგ იგივე ნაწარმოები თარგმნა ტრანსლაძემ, რომლის თარგმანი სიტყვა-სიტყვით იმეორებდა თარგმანაძის თარგმანს.

ამ შემთხვევაში, თარგმანაძეს უფლება არა აქვს აუკრძალოს ტრანსლაძეს ამგვარი გადამუშავება. ამავე დროს, ტრანსლაძეს უფლება არა აქვს მე-13 მუხლის პირველი პუნქტის გამო, დაარღვიოს თარგმანაძის საავტორო უფლება და მკითხველს შესთავაზოს იდენტური თარგმანი, მოუხელაუდ იძისა, თარგმანაძის მიერ შესრულებულ თარგმანს იცნობდა თუ არა.

ცნობილია, რომ შექსპირის სონეტებს თარგმნიდა ი. ჭავჭავაძე, ი. ძაბაბული, გ. გარეჯილაძე, ვ. ჭელიძე და სხვები. ამ სონეტების თარგმნის უფლება აქვთ ახალი თაობის მთარგმნელებსაც, მოუხელაუდ იძისა, რომ ისინი ადრე იყო თარგმნილი.

რაც შეეხება ორიგინალური ნაწარმოების ავტორს, მას უფლება აქვს უარი უთხრას ყველას, საკუთარი ნაწარმოების გადამუშავებაზე, გარდა ერთი პირისა. ე. ი. მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირს მანნიჭოს გადამუშავების უფლება, საავტორო უფლების მოქმედების ვადაში ან გადამმუშავებლის სიცოცხლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, უნდა დაიდოს ხელშეკრულება მასსა და გადამმუშავებელს შორის.

მუხლი 14. გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები

1. ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს, ასეთ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მთითათვის თავისი სახელი ან მოთხოვოს მისი მითითება დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის გამომცემლის ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა ავტორები ინარჩუნებენ თავიანთი ნაწარმოებების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1. საავტორო და მოძივნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-14 მუხლი ადგენს ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამომცემლების განსაკუთრებულ უფლებებს, ასეთ ნაწარმოებთა გამოყენების შემთხვევაში.

გამომცემლებისათვის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭება გამართლებულია იმით, რომ გამომცემლებს დიდი ორგანიზაციული და ტექნიკური ძალისხმევა აქვთ გაწეული ნაწარმოების შექმნისათვის. ხშირია ნაწარმოებები, რომლის შექმნაში მრავალი ადამიანი მონაწილეობს და სწორედ გამომცემელს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული საავტორო უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი იქნებოდა ენციკლოპედიების, ჟურნალების, გაზეთებისა

და ამ მუხლით დაცული ნაწარმოებების კონტრაფაქციისაგან დაცვა.

განსაკუთრებული უფლება ნიშნავს ქონებრივ უფლებას. ამ შემთხვევაში გამომცემლის განსაკუთრებული უფლება გულისხმობს, მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მის ქონებრივ უფლებებს, მაგრამ სინამდვილეში ეს უფლება ცოტა სხვანაირად მოიაზრება. კერძოდ, გამომცემელს უფლება აქვს აღნიშნული ნაწარმოებების ნებისმიერი სახით გამოყენების შემთხვევაში მიუთითოს თავისი სახელი და სხვისგანაც მოითხოვოს ასეთი მითითება. ამრიგად, საკმარისია მხოლოდ მითითება პირველწყაროსი და მეტი არაფერი, ე. ი. განსაკუთრებული (ქონებრივი) უფლება, პირად არაქონებრივ უფლებაზე დაიყვანება.

მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ამ წინადადებაზე იმეორებს 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1037-ე მუხლის პირველ პუნქტს. ამ მუხლის მეორე ნახევარი მას დაემატა 1999 წლის 9 სექტემბერს: დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის, ან პერიოდული გამოცემის გამომცემლის, ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა. ეს არის მცდელობა გამომცემლისათვის ქონებრივი უფლებების მინიჭებისა.

ამ პუნქტს დამატებული ორი წინადადიდან, მეორე წინადადება ისევ პირველწყაროს მითითებას ეხება, როდესაც საქმე გვაქვს ექსკლუზიური (ქართულად უზგობესი იქნებოდა – „განსაკუთრებული“ ყოფილიყო) მასალის გამოყენებასთან. პირველი წინადადება კი უკრძალავს სხვა პირს „ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე“ გამოყენებას, გარდა

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ეს წინადადება წინააღმდეგობაში მოდის მე-14 მუხლის იმავე პუნქტის სხვა წინადადებებთან, რადგან იმ შემთხვევაში, როცა ავტორი ან გამომცემელი თანხმობას არ იძლევა და მხოლოდ წყაროზეა მითითება, ერთი მხრივ, დაუშვებელია, ხოლო, მეორე მხრივ, სრულიად დასაშვები.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონი არ ვრცელდება ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, ამიტომ მათი გამოყენებისას წყაროზე მითითებაც არ არის საჭირო. სხვა შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები მისი სახელის მითითებით ამოიწურება.

ფეიქრობ, რომ მომავალში სასამართლო პრაქტიკა დაადასტურებს ამ მსჯელობის სისწორეს.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომლის სამართლიანი გადაწყვეტა მკითხველისათვის მოვიინდვია.

მაგალითი:

ქართულმა გაზეთმა „ბალიაშ“ გამოაქვეყნა სტატია, მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის ქართულ ჩამომავლობაზე. სტატიის ბოლოს გაკეთებული იყო მინაწერი: „ამ მასალის გამოყენებისას აუცილებელია ჩვენი თანხმობა“. აშშ-ს ერთ-ერთმა ცნობილმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატიის თარგმანი როგორც სტატიის ავტორის, ასევე გაზეთ „ბალიას“ მითითებით. გაზეთმა „ბალიაშ“ სარჩელი შეიტანა სასამართლოში ქონებრივი უფლებების დარღვევის შესახებ.

მუხლი 15. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე

1. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანავტორები) არიან: დამღებელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დალაგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.

2. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადება იწვევს ავტორთა (თანავტორთა) მიერ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისათვის, ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების პირობით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ავტორი მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის, ინარჩუნებს უფლებას, მიიღოს ჰონორარი ასეთი მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებისათვის, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო შესრულებისა და საჯარო ჩვენების დროს. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით.

3. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს უფლება აქვს, ასეთი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მითითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება.

4. ავტორი ადრე შექმნილი ნაწარმოებისა, რომელიც ვადამუშავებულია ან ჩართულია შემადგენელ ნაწილად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, აგრეთვე ავტორი ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში, ინარჩუნებენ საავტორო უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თვითნებ ნაწარმოებებზე. მათ უფლება აქვთ დამოუკიდებლად ისარგებლონ ამ ნაწარმოებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ პირობით, რომ ასეთი სარგებლობა ხელს არ შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას.

მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს იმ პირობებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები. კანონის ამ ნორმის არსებობა განაპირობა იმან, რომ აუდიოვიზუალური ნაწარმოები კომპლექსური ნაწარმოებია და მის შექმნაში მონაწილეობენ სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: სცენარის ავტორი, მუსიკის ავტორი, დიალოგების ავტორი, ნაწარმოების ადაპტაციის ავტორი (თუ ფილმი იქმნება უკვე არსებული რომანის, პიესის და ა.შ. მიხედვით), დამდგმელი რეჟისორი, მსახიობი, დეკორაციების შემქმნელი, ოპერატორი, ხმის ჩაწერის სპეციალისტი, კოსტუმბერი, გრიძორი, პარიკმახერი, სხვადასხვა სახის ასისტენტი და დამხმარე პერსონალი, პროდუსერი — პირი, რომელიც იღებს თავის თავზე ინიციატივას და პასუხისმგებლობას ფილმის შექმნაზე, მისი თანაშემწე და სხვ.

პირთა ამ ფართო წრიდან ნებისმიერს შეიძლება გაუჩნდეს ავტორობის პრეტენზია საქმიანობის საკუთარ ნაწილზე მაინც. ამდენად პრაქტიკულად შეუძლებელია დასახელდეს ის ერთადერთი პირი, რომლის უპირატესი შემოქმედებითი წვლილის შედგადაც იქმნება აუდიოვიზუალური ნაწარმოები. საქართველოს კანონმა ეს საკითხი გადაწყვიტა ისე, რომ ფილმი მიაკუთვნა თანამშრომლობით შექმნილ ნაწარმოებათა რიცხვს და ავტორებად დაასახელა დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი და იმ მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი მოცემული აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.¹ ავტორობის სიცხადე აუცილებელია, რათა გაირკვეს თუ რომელ პირს ეკუთვნის საავტორო უფლება ფილმზე ან მის დამოუკიდებელ ნაწილზე. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნისათვის გადაამწყვეტი წვლილი (ორგანიზაციული და ფინანსური), როგორც წესი, პროდუსერს ანუ საქარ-

¹ ორიგინალი ტექნიკის თვალსაზრისიდან გამოძინარე, განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტი უზღოვებს იქნებოდა დამოუკიდებელი მუხლის სახით ყოფილიყო, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსში 1039-ე მუხლი იყო.

თველოს კანონის თანახმად, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს მოუძღვის. ამდენად, საავტორო სამართალში დამოუკიდებელ ნორმად იქცა მისთვის ქონებრივი საავტორო უფლებების მინიჭება. ამ საკითხის გადაწყვეტის ორგვარი პრაქტიკა არსებობს. საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა შესაძლებლად მიიჩნევს პროდიუსერის ავტორობის უფლებამოსილებით აღჭურვას. ამასთან, სხვა პირებს ფილმის ავტორებად არ ცნობს. ამდენად საერთო სამართალი პროდიუსერს საავტორო ქონებრივ უფლებებს დასაბამიდანვე უბოძებს (Cessio Legis), ხოლო მორალურ უფლებებს დამდგმელ რეჟისორს უტოვებს.

კონტინენტური ევროპის სამართლით (ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, იტალიის გამოკლებით) ავტორად პროდიუსერის აღიარება დაუსმებელია, ამიტომ შემუშავებულია „უფლებათა გადაცემის კანონისმიერი ვარაუდის პრინციპი“. ეს გზა საქართველოს კანონმაც აირჩია და განსაზღვრული მუხლის მე-2 პუნქტით დაწესა, რომ თუ ფილმის შექმნის თაობაზე ხელშეკრულება დაიდო, მაშინ ივარაუდება, რომ საავტორო ქონებრივ უფლებებს ავტორები პროდიუსერს გადასცემენ.¹ იმავედროულად ირკვევა, რომ ავტორებისა და პროდიუსერის ნებასურვილზე ყოფილა დამოკიდებული ასეთი გადაცემის განხორციელება. აქედან გამომდინარე, უფლებათა გადაცემის ვარაუდი მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნება მართებული – როდესაც აღნიშნულის თაობაზე ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში, ისედაც ცხადია, რომ ხელშეკრულება უფლებათა გადაცემას გაითვალისწინებს და ვარაუდიც აღარ იქნება საჭირო. კანონისმიერ ვარაუდს კი მაშინ აქვს გამართლება, როდესაც ნებისმიერი სახითა და პირობით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში,

¹ ასეთი ნორმის დაწესების საფუძველს ბერნის კონვენციის მე-14 ^ს(2)(ბ) მუხლიც წარმოადგენს.

საკითხი (თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და უფლებები ეწინააღმდეგება კანონს) კანონის გონის მიხედვით უნდა გადაწყდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონით მინიშნებული ვარაუდი პროდიუსერისათვის უფლებების გადაცემის თაობაზე მართებულია მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს საეკივალურ მითითებას უფლებათა გადაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით პროდიუსერი ერთპიროვნულად იძენს აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებებს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იმასაც ეფუძნება, რომ ფილმი მიეკუთვნება ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლის დაყოფაც დამოუკიდებელ ნაწილებად წარმოუდგენელია. შესაბამისად, მოუხედავად იმისა, რომ მორალური უფლებები ავტორებს რჩებათ, მათ არ უნდა შეეძლოთ შეაფერხონ პროდიუსერის მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენება. აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენების შეფერხების უფლება არც განსახილველი მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ ავტორებს აქვთ, რომლებიც ინარჩუნებენ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებებს. კანონი მათ უკრძალავს ამ უფლების იმგვარ გამოყენებას, რაც ხელს შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას. მე-4 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაწარმოების ავტორებს შეუძლიათ აკრძალონ მათი ნაწარმოების უნებართვო გამოყენება ფილმის გარეშე. იგივე ითქმის, როდესაც ფილმის ნაწილი იქნება გამოყენებული ცალკე. მაგალითად, ცნობილი ფილმის „ბამი-აჩუკი“ სიმღერა და მუსიკა მთელი საქართველოს მასშტაბით გადაიციმორდა რადიოთი. ეს საბჭოური კანონების ბატონობის დრო იყო და ავტორი ვერ აკრძალავდა ასეთ გამოყენებას. უფრო დიდი მასშტაბით გამოიყენებოდა მუსიკა და სიმღერა ფილმიდან „მიმინო“ – მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით რადიო თუ ტელეგადცემებით, რესტორნებში შესრულებით და ა.შ. დღეს მუსიკალური ნაწარმოების

ავტორს და პოეტს (სიმღერა გვაქვს მხედველობაში), უფლება აქვთ აკრძალონ მათი ნაწარმოების ცალკე გამოყენება¹. ამასთან, მათ ისევე როგორც სხვა ავტორებს, უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ ჰონორარი აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას – მათ შორის გაქირავებისას, ექსპორტისას და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ავტორებს რჩებათ პირადი არაქონებრივი უფლებები თავიანთ ნაწარმოებზე, მაგრამ ფილმზე, როგორც მთლიან ნაწარმოებზე ამ უფლებებს დამდგმელი რეჟისორი (დირექტორი) აკონტროლებს. ვის თუ არა დირექტორს უნდა ჰქონდეს უფლება არ დაუშვას და აკრძალოს ფილმის დამახინჯება.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ კანონის მე-15 მუხლი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 1039-ე და 1040-ე მუხლების შერთებას და დამატებული აქვს სტრიქონები, რომელთა მიხედვითაც დეკლარირებულია აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების განხორციელების შესაძლებლობა კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით, რაც ისედაც ცხადი იქნებოდა კანონის სპეციალური ნორმა რომ არ არსებობდეს.

¹ აღნიშნულ კონტექსტში ბუნდოანია საკითხი – აქვთ თუ არა დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაწარმოების ავტორებს მათი ნაწარმოებების გამოყენების აკრძალვის უფლება, თუ მაგალითად, ტელევიზიით გადაცემა მხოლოდ ფილმის ფრაგმენტი.

მუხლი 16. საავტორო უფლება სამსახურებრივ ნაწარმოებზე

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიძღვრის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოები) ეკუთვნის სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორს.

2. სამსახურებრივი ნაწარმოების ისეთი გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რომელიც შეპირობებულია დავალების შინაარსითა და მიზნით, ეკუთვნის პირს, რომელთანაც ავტორს აქვს შრომითი ურთიერთობა (სამუშაოს მიძღვენი), თუ მას და ავტორს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. კომპიუტერულ პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაოს მიძღვენი სარგებლობს შექმნილი კომპიუტერული პროგრამის გამოყენების განსაკუთრებული ქონებრივი უფლებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. ავტორის მიერ სამუშაოს მიძღვენისათვის ნაწარმოების გადაცემიდან 5 წლის შემდეგ მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე, თუ მას და სამუშაოს მიძღვენი შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თუ სამუშაოს მიძღვენი ნაწარმოების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში არ გამოიყენებს ნაწარმოებს, მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე. ეს დებულება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაწარმოების გამოყენებას საპატონო მიზეზის გარეშე შეწყვეტილია 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

6. სამუშაოს მიძღვენი უფლება აქვს სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მოუთხოვოს თავისი სახელი (დასახელება) ან მოითხოვოს ასეთი მოთხოვნა.

7. სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას საავტორო გასაძრველოს (პონორარის) ოდენობა და გადახდის წესი შეიძლება განისაზღვროს ავტორსა და სამუშაოს მიძღვენი შორის ხელშეკრულებით.

8. ეს მუხლი არ ვრცელდება გადაბეჭდულ სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

სამსახურებრივ ნაწარმოებთან დაკავშირებულ საავტორო უფლებათა მოწესრიგებისათვის საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის განსახილველი მუხლი შეიცავს 8 პუნქტს. იგი თითქმის სიტყვა სიტყვით იმეორებს სამოქალაქო კოდექსის 1042-ე მუხლს. განსხვავება ის არის, რომ კანონის მე-16 მუხლს დაემატა კომპიუტერულ პროგრამასთან დაკავშირებული სპეციალური მე-3 პუნქტი, ხოლო ბოლო აბზაცი შინაარსობრივად შეიცვალა და იგი სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, სხვა ურთიერთობებზე არ ავრცელებს მე-16 მუხლის ძალას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კანონის მე-16 მუხლი, ისევე, როგორც სამოქალაქო კოდექსის 1042-ე მუხლი შედგენილია ისმო-ს სანიშნო კანონის მე-13 მუხლზე დაყრდნობით ისე, რომ გამეორებულია მისი შინაარსი. ასეთი მიდგომა თავისთავად დასაძრახი არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი, სამსახურებრივ ნაწარმოებთან დაკავშირებული უფლებების მულობელის განსაზღვრისა და გამოყენების წესის თვალსაზრისით, ორაზროვანი და გაუგებარია, მხედველობაში გვაქვს 1-ლი და მე-2 პუნქტი. 1-ლი პუნქტის მიხედვით, სამსახურებრივ ნაწარმოებზე საავტორო უფლება ეკუთვნის ავტორს ყოველგვარი დათქმის გარეშე. რისი თქმა უნდოდა ამით კანონმდებელს გაუგებარია საავტორო უფლება ხომ ისედაც, ნებისმიერი ნაწარმოების შემთხვევაში, ეკუთვნის ავტორს. თუკი ამ გარემოების განმტკიცება იყო განზრახული, მაშინ სრულიად ბუნდოვანია მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც გარკვეული სახის განსაკუთრებული უფლება – „რომელიც შეპირობებულია დავალების შინაარსითა და მიზნით“ ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს. ამასთან, ამ პუნქტს გააჩნია დათქმა, რომ, ხელშეკრულების მიხედვით, ავტორს შეიძლება ეკუთვნოდეს ეს უფლებაც. თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ამ პუნქტებს, აღმოვაჩნთ, რომ 1-ლი პუნქტი ყველა სახის საავტორო უფლებას აწესრიგებს, ხოლო მე-2 – რომელიღაც ქონებრივ უფლებას, რომელიც თუ ხელშეკრულებამ არ განსაზღვრა ყოველთვის დასადგენი იქნება, რაც მრავალ შემთხვევაში ძალზე ძნელად მოხერხდება.

როგორც აღნიშნეთ, 1-ლი პუნქტის მიხედვით, ყველა საავტორო უფლება ეკუთვნის სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორს, მე-2 პუნქტის მიხედვით კი მათი ნაწილი ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს. რატომ მოხდა საქართველოს საავტორო სამართალში აქცენტების ასეთი გადაწყველება საავტორო უფლებათა მფლობელობასთან დაკავშირებით? პასუხი ისმო-ს სანიმუშო კანონის შექმნის მიზანთან მიმართებით უნდა ვეძიოთ, რადგან მისი შესაბამისი მუხლის შინაარსია გამჟღავნებული ჩვენი ქვეყნის კანონში.¹

საქმე ის არის, რომ სანიმუშო კანონი შედგენილ იქნა როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემების მიმდევარ ქვეყნებისათვის. შესაბამისად, მისი სამსახურებრივი ნაწარმოების დაცვისადმი მიძღვნილი მუხლის ერთი პუნქტი ესადაგება კონტინენტური ევროპის სამართალს, ხოლო მეორე – ანგლო-აზერიკულს. როგორც ცნობილია, კონტინენტური ევროპის სამართლისათვის მიუღებელია საავტორო უფლების მფლობელად იმ პირის გამოცხადება, რომელსაც არ შეეძენია ნაწარმოები მაგ., სამუშაოს მიმცემი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პირი, ხშირ შემთხვევაში, ოურიდული პირია, მაშინ გასაგებია, რომ მას საავტორო უფლებები ვერ წარმოექმნება. სამუშაოს მიმცემს მხოლოდ ხელშეკრულების ძალით შეიძლება გადაეცეს საავტორო უფლებები. ასეთია საკითხისადმი კონტინენტური ევროპის სამართლებრივი მიდგომა და სწორედ ეს შინაარსი იქნა გადმოცემული სანიმუშო კანონის მიერ. ამ მიდგომაზე არის აგებული საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც უნდა დაბოლოვდეს სიტყვებით „თუ ხელ-

¹ უზუსტობა, რომელიც 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 1042-ე მუხლს ახასიათებდა ვერ შენიშნა იმ ჯგუფმა, რომელიც იღწვოდა სამოქალაქო კოდექსიდან საავტორო სამართლის ამოღებისათვის და რომელსაც უნდა გაუთხოვებინა ნორმები. ამ მუხლთან მიმართებით კი პირიქით მოხდა. მხედველობაში გვაქვს განსახილველი მუხლის მე-8 პუნქტის რედაქცია.

შეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. თუ კანონში ასეთი ცვლილება არ შევიდა, მაშინ საავტორო უფლებათა მფლობელად სამუშაოს მიმცემი ვერ გამოცხადდება, გარდა მე-2 და მე-3 პუნქტებით აღნიშნული შემთხვევებისა.

სანიშნუ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საავტორო უფლებათა მფლობელად სამუშაოს მიმცემია აღიარებული, რომლის ნებაზეც დამოკიდებულია ამ უფლებით გადაცემა ავტორისათვის ხელშეკრულებით. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია საერთო სამართლისათვის და აღნიშნული პუნქტი გათვალისწინებული იყო შესაბამისი ქვეყნებისათვის და არა საქართველოსთვის. იმდენად, რამდენადაც საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი ვერდნობა კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპებს, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტები კი საერთო სამართლის პრინციპებს, ქართველი მოსამართლისათვის ყოველთვის პრობლემატური იქნება საკითხი – რომელი პუნქტი გამოიყენოს ხოლო ამგვარი მოუწესრიგებლობის პირობებში, პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა საქართველოს კანონით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ პრობლემის თავიდან აცილების მიზნით მიგვაჩნია, რომ საქართველოს საავტორო და მოძოვნავე უფლებების შესახებ კანონის განსახილველი მუხლიდან ამოსაღება მე-2 და მე-3 პუნქტი, ხოლო 1-ლ პუნქტისათვის დასამატებელია მითითება ხელშეკრულებაზე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი იმპერატიულ ხასიათს ატარებს, ხელშეკრულებით სხვა პირობა ვერ განისაზღვრება, ანუ სამსახურებრივ ნაწარმოებზე (შრომითი ურთიერთობების შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე) საავტორო უფლება სამუშაოს მიმცემის კუთვნილება ვერ გახდება. სამუშაოს მიმცემი მხოლოდ ზოგადი წესით თუ შესძლებს მოიპოვოს საავტორო ქონებრივი უფლებები. თუ ასეა, მაშინ სრულიად ზედმეტია კანონში სპეციალური მუხლის არსებობა იმ რედაქციით, როგორითაც არის ის ჩამოყალიბებული ამჟამად.

1-ლი პუნქტი, მისი რედაქციიდან გამომდინარე, ეხება როგორც ქონებრივ ისე მორალურ უფლებებს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მართებულია იმის აღნიშვნა, რომ ისინი მხოლოდ

ავტორს შეიძლება ეკუთვნოდეს. მაგრამ, სამსახურებრივ ნაწარმოებთან დაკავშირებით თითქმის ყველა სახის პირადი არაქონებრივი უფლება სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს. 1-ლი პუნქტი აკანონებს ცნებას „სამსახურებრივი ნაწარმოები“, რაც იმ აზრისაკენ გვიბიძგებს, რომ ასეთი ნაწარმოების შემთხვევაში ის სამსახურის (ანუ სამუშაოს მიმცემის) კუთვნილება უნდა გახდეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამე არ იქნება გათვალისწინებული¹. ქონებრივი უფლებების გამოყენება ხშირად იმდენად მჭიდროდ უკავშირდება მორალურ უფლებებს, რომ ერთი მეორის გარეშე ვერ განხორციელდება. ასე მაგალითად, ნაწარმოები ვერ გამოიცემა, თუ არ განხორციელდა გამოქვეყნების უფლება. თუ კანონმა ეს საკითხი არ მოაწესრიგა, ავტორს ყოველთვის შეეძლება ხელი შეუშალოს სამსახურებრივი ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას. სამუშაოს მიმცემს კი სამსახურებრივი ნაწარმოებისადმი ინტერესი აქვს იმიტომ, რომ მისი ნორმალური მართლზომიერი გამოყენებით ვარაუდობს შემოსავლის მიღებას. მოსაწესრიგებელია სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების სამუშაოს მიმცემის მიერ გამოყენების საკითხებიც,² რომლებიც სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი კანონში ცვლილებების მოსამზადებლად.

განხილული მუხლის დანარჩენი პუნქტები გარდა მე-8

¹ სამსახურებრივი ურთიერთობის განხორციელების შედეგად ყოველთვის არის მოსალოდნელი ნაწარმოების შექმნა და თუ ავტორმა, პირობა არ დაარღვია, სხვა შედეგი ვერ დადგება. სხვა საქმეა მოიწონებს თუ არა ნაწარმოებს სამუშაოს მიმცემი. ამდენად, ასეთი ნაწარმოების შექმნაში გამოყენების ბედი არსებითად სამუშაოს მიმცემის ნების მიხედვით წყდება. სხვაგვარად არის საქმე სასატენტო უფლებებთან დაკავშირებით. გამოგონების შექმნის დავალება იურიდიულად არაკორექტულია. აქედან გამომდინარე, საქართველოში, კანონმდებლობის მიხედვით, ცნება „სამსახურებრივი გამოგონება“ არ არსებობს.

² ჩვენი აზრით, ავტორს არ შეიძლება დარჩეს სამსახურებრივი ნაწარმოების გამოხმობის უფლება თანახმად კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა. ასევე სამუშაოს მიმცემს უნდა ჰქონდეს გარაკვეულ ფარგლებში ნაწარმოების გადაამუშავების უფლება და ა.შ.

პუნქტისა თვითგანმარტებადია. რაც შეეხება მე-8 პუნქტს – საქართველოს კანონმა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ მე-16 მუხლის მოქმედება არ გააფრცვლა „გადაბეჭდვით დასაბუთებულ სამსახურებრივ“ ნაწარმოებზე. მე-16 მუხლის შესაბამისად, მაგალითად, თარგმანი ვერასოდეს გახდება სამუშაოს მიმცემის საკუთრების ობიექტი. კანონმდებელმა, ჩვენი აზრით ძვირად შეჯავრებულ დაუშვა, როდესაც შეცვალა სამოქალაქო სამართლის 1042-ე მუხლის მე-7 პუნქტით 1037-ე მუხლზე მითითება, რომელიც გამომცემლის უფლებებს ეხებოდა. ასეთი მითითება მართებული იყო, რადგან, მაგალითად, ქვიციკლოპედიური ლექსიკონის შექმნასთან, ჟურნალ-გაზეთებთან და სხვა პერიოდულ გამოცემებთან დაკავშირებით გამომცემელს მიენიჭა საავტორო ქონებრივი უფლებები. აღნიშნული მართებულად მიგვაჩნია იმიტომ, რომ სრულიად აშკარაა სამსახურებრივ ნაწარმოებთან ანალოგია და რომ ერთხელ მოწესრიგებული ურთიერთობები სხვა მუხლებს არ უნდა დაექვემდებაროს, რაც გამოიხატავს კოლიზიებს. ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის რედაქცია უნდა შეიცვალოს სამოქალაქო კოდექსის ანალოგიით და უნდა მიეთითოს გამომცემლის განსაკუთრებულ უფლებებზე (მე-14 მუხლი) და არა გადაბეჭდვით ნაწარმოებზე (მე-13 მუხლი).

მუხლი 17. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია:

აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ვებპლატფორმზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება);

მოუთხოვოს ფსევდონიმი სახელის ნაკვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ნაწარმოების ყოველ ვებპლატფორმზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, აგრეთვე უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება);

პირველად გამოაქვეყნოს ნაწარმოები;

დ) ნება ღართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება);

ე) დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან სპეციფიკური რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);

ვ) ნება ღართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლო-სიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა);

ზ) მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხშობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამოხშობის შესახებ. ნაწარმოების გამოხშობის უფლება არ ვრცელდება საშსაზღვრებრივ ნაწარმოებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელება ხდება ავტორის ხარჯზე. ავტორმა ნაწარმოების მოსარგებლეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი მოგების ჩათვლით ავტორის აგრეთვე უფლება

აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარვეზებით ამოიღოს გაერაცულების მიზნით აღრე დაშზაღებული ნაწარმოების ვე ზემპლარები.

3. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც.

4. დაუშვებელია პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. მათი განხორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

პირადი არაქონებრივი უფლებები ადამიანის ძირითად უფლებებს მიეკუთვნება. ისინი მკაცრად პერსონიფიცირებულია და მხოლოდ კონკრეტულ პირებს უკავშირდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებით, საქართველოს კერძო სამართალში ფაქტობრივად ორგვარი პირადი არაქონებრივი უფლებები განმტკიცდა – „ყოფითი“ და „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი“, მათ შორის – საავტორო. ყოფითი პირადი არაქონებრივი უფლებები ადამიანის ყოფით ურთიერთობებს ეხება მესამე პირებთან და მთლიანად საზოგადოებასთან მიმართებით. ეს უფლებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლებით, რითაც განმტკიცდა როგორც სახელის, ისე პატივისა და ღირსების დაცვა.¹ ამ მუხლების შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული პირადი უფლების დაცვა, რაც მის ბუნებით უფლებას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1043-ე მუხლით განმტკიცებულ იქნა საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც განსხვავდება მე-18 მუხლით მოცემულ უფლებებისაგან. განსხვავება ის არის, რომ საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებები უკავშირდება მხოლოდ ავტორს და

¹ ამ უფლებების არსი და თეორიულ-პრაქტიკული წანაბღღერები განხილულია პროფესორ ლადო ჭანტურიას ცნობილ ნაშრომში „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, თბილისი, 1997, გვ. 189-203

არა ნებისმიერ პირს. თუ არ შეიქმნა ნაწარმოები, მაშინ არც ისინი წარმოიშობა. შეიძლება ითქვას, რომ საავტორო პირადი არაქონებრივი, ანუ მორალური უფლებები ბუნებითაა ნაწარმოებისათვის. ყოფითი მორალური უფლებები კი ბუნებითაა თვით პიროვნებისათვის (ნებისმიერი მოქალაქისათვის). საავტორო მორალური უფლებები ავტორის პირად უფლებებად იქცევა იმიტომ, რომ ნაწარმოები კონკრეტული პიროვნების სულიერი გამოხატულებაა. შესაბამისად, ნაწარმოები ავტორისაგან განყენებულად არ არსებობს. ავტორისათვის „სულ ერთი“ ვერ იქნება თუ რა სახელს მოიხვეჭს მისი ნაწარმოები, როგორ პატივს მიაგებს მას საზოგადოების თითოეული წევრი. ერთ შემთხვევაში ავტორი სიამაყის გრძნობით აღივსება, მეორეში კი — შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს. ავტორი ნაწარმოებში აქსოვს რა საკუთარ სულიერ გამოხატულებას, აგრძელებს ნაწარმოებთან ერთად „სიცოცხლეს“. ამდენად, თუ ყოფითი პირადი უფლებების დაცვა ადამიანის სიცოცხლეში უნდა ხდებოდეს, საავტორო პირადი უფლებები უნდა იქნეს დაცული სანამ ნაწარმოები „ცოცხლობს“.

ადამიანის ძირითად უფლებებს შორის საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებებიც არის მიჩნეული, ვინაიდან ვერავის ვერ აეკრძალება შექმნილ ნაწარმოებთა გაცნობა და ახალი ნაწარმოებების შექმნა. ამ საფუძველს ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ყოველ ადამიანს აქვს მისი მორალური ინტერესების დაცვის უფლება.

როგორც ცნობილია, საავტორო უფლებები დამოუკიდებელია მატერიალურ ობიექტზე საკუთრების უფლებისაგან¹. თავის მხრივ, საავტორო მორალური უფლებები საავტორო ქონებრივ უფლებებისაგანაც არის დამოუკიდებელი. ამ გარემოებაზე პირდაპირ მიუთითებს განსახილველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც განამტკიცებს პირადი არაქონებრივი უფლებების

¹ იხ. მე-7 მუხლის კომენტარი

ზნეობრივ ხასიათს, რაც, ბუნებრივია, პირდაპირ კავშირში ვერ იქნება ქონებრივ უფლებებთან.¹

საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებები მოიცავს მხოლოდ ავტორის უფლებას – გადაწყვიტოს საკუთარი ნაწარმოების ბედი:

– დატოვოს ფართო წრისათვის უცნობად თუ საჯაროდ გამოაქვეყნოს;

– მოითხოვოს ნაწარმოების მთლიანობისადმი და ავტორობისადმი პატივისცემა;

– შეიცვალოს აზრი საკუთარი ნაწარმოებისადმი და მოეპყროს მას ისე, როგორც მოისურვებს, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღების ჩათვლით.

აღნიშნული უფლებები თეორიით პოზიტიურ და ნეგატიურ კატეგორიებად იყოფა.²

პოზიტიურ უფლებად მიიჩნევა ის უფლებები, რომელთა განხორციელება ავტორის გადაწყვეტილებასა და ინიციატივას მოითხოვს. ეს უფლებებია: ნაწარმოების გამოქვეყნების, გადაკეთების ან სხვაგვარი ცვლილებების შეტანის, ბრუნვიდან ამოღებისა და განადგურების უფლება.

ნეგატიური უფლებებია მოთხოვნის უფლებები, კერძოდ, ავტორად აღიარების უფლება და ავტორისადმი და ნაწარმოებისადმი პატივისცემის უფლება. ეს უფლებები „თავდაცვითი“ უფლებებია. ისინი ხორციელდება მამინაც კი, როდესაც ავტორი უკვე გარდაცვლილია და ნაწარმოები საზოგადოების კუთვნილება გახდა. ამ უფლებების განხორციელება საშუალებას იძლევა დაცულ იქნეს ავტორის ქვნილების „ერთად-ერთობა“ – მხოლოდ მოცემული სახით, მისი ერთმთლიანობის დაურღვევლად არსებობა. მათი უზრუნველყოფით ავტორის ინტერესების გარდა, მნიშვნელოვანწილად საზოგადოების ინტერესები იჩენს თავს; მაგალითად, გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაო-

¹აღნიშნულის გამო TRIPS-ის ხელშეკრულება მორალური უფლებების დაცვას არ ეხება.

² Copyright and Neighbouring Rights, by Delia Lipsz ys, UNESCO, 1999, p.159

სანი“ შხოლოდ თავის სახით შეიძლება არსებობდეს, რა სახითაც იგი საზოგადოებამ გაიცნო. დაუშვებელია მისი ყოველგვარი გადაკეთება. რადგან თავის უფლებებს შოთა რუსთაველი ვეღარ დაიცავს, სახელმწიფოს აკისრია მათი განხორციელება, რაც საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 35-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებით არის გათვალისწინებული.

მე-17 მუხლი იძლევა პირადი არაქონებრივი უფლებების ჩამონათვალს და აწესებს ავტორობის, სახელის, პირველად გამოქვეყნების¹, ნაწარმოების ხელშეუხებლობის, ნაწარმოებისადმი სხვა ავტორის ნაწარმოების დართვის, ნაწარმოების გამოხმობის, რეპუტაციის პატივისცემის უფლებებს. გარდა ამისა, კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს კიდევ ერთ პირად საავტორო უფლებას — დაშვების უფლებას.

ავტორობისა და სახელის უფლება ერთად უნდა იქნეს განხილული. სწორედ ავტორობა წარმოშობს სახელის უფლებას, რაც ნათელია განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტიდან. ავტორობის უფლება ავტორის შემოქმედებითი გარჯის სამართლებრივი შედეგია. მასზე დაყრდნობით შეუძლია ავტორს ალკვეთოს სხვა პირის მიერ ავტორობის მითვისება, ან მისი ნაწარმოებისათვის ავტორის აღსანიშნავად სხვისი სახელის მითითება. ავტორობის უფლებას ეყრდნობა ავტორი, როცა წინ აღუდგება ნაწარმოების დამახინჯებას ან მის ნებისმიერ ცვლილებას და ა.შ.

სახელის უფლება მოიცავს ავტორის უფლებას მოუთითოს ნაწარმოებზე საკუთარი სამოქალაქო სახელი, ან გამოგონილი

¹სამოქალაქო კოდექსის 1043-ე მუხლის 1-ლი პუნქტისაგან განსხვავებით, კანონი გაუგებარ ცნებას — „პირველად გამოქვეყნების უფლება“ იყენებს. ეს ცნება გაუგებარია იმდენად, რამდენადაც გამოქვეყნება შხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს. საჭიროა კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალოს სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული 1043-ე მუხლის მიხედვით და გამოყენებულ იქნეს ცნება — „ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება“.

სახელი – ფსევდონიმი, ანდა სულაც არ მოუთითოს სახელი და დარჩეს ანონიმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირობოდ უნდა შესრულდეს ავტორის მოთხოვნა სახელის მითითების ფორმაზე. მიზანშეწონილია სახელის მითითების შესახებ ხელშეკრულებაში სპეციალურად იქნეს აღნიშნული. თუ ეს პირობა შესრულდება, მაშინ მხარეებს აღარ ექნებათ უფლება სხვაგვარად მოითხოვონ ავტორის სახელის აღნიშვნა. თუ ნაწარმოები კოლექტიური შრომის შედეგად შეიქმნა, ანუ სახეზეა თანაავტორობა, მაშინ აღნიშნული საკითხი თანაავტორობა შორის დადებული ხელშეკრულებით უნდა მოწესრიგდეს.

უცნობი ფსევდონიმით, ან ანონიმურად ნაწარმოების გამოცემის შემთხვევაში, პირებს, რომლებთანაც დაფარებული აქვს ავტორის ვალდებულებითი ურთიერთობა, უფლება არა აქვთ გამჟღავნონ ავტორის სახელი. რაც მხოლოდ ავტორს შეუძლია გააკეთოს მისთვის სასურველ დროს. თუ ავტორის მიერ ნაწარმოები მხოლოდ ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნდა, მაშინ ავტორის გარდაცვალების შემდეგ ეს ნაწარმოები უნდა გამოიყოს იგივე პირობების დაცვით.¹

ავტორობის უფლების შემდეგ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება. კანონის წინა მუხლებიდან გამომდინარე, ნაწარმოები დაცულია საავტორო უფლებებით იმ შემთხვევაშიც, როცა ის არ გამოქვეყნებულა. ამ ნორმიდან ივარაუდება, რომ ავტორს შეუძლია არ გამოაქვეყნოს ნაწარმოები და ისე გამოიყენოს იგი (ნათესავთა და მეგობართა წრისათვის გაცნობა გამოქვეყნებად არ ითვლება). მე-17 მუხლმა სამართლებრივად განამტკიცა ეს პრეზუმფცია და ავტორი გახდა ნაწარმოების გამოქვეყნების საკითხის გადაწყვეტის ბატონ-პატრონი. გამოქვეყნების უფლებასთან

¹ კერძოდ დაკავშირებით ელუარდ გავრილოვის აზრს იმის შესახებ, რომ თუ ავტორი ფსევდონიმს იყენებდა ერთი ნაწარმოებისათვის, მაშინ გარდაცვალების შემდეგ სხვა მისი ნაწარმოებიც ფსევდონიმით უნდა გამოქვეყნდეს (იხ. Э. П. Гаврилов, Комментарий закона об авторском праве и смежных правах, Москва, 1996 г. с. 82).

კავშირში უნდა განვიხილოთ გამოხმობის უფლებაც, რომლის თანახმადაც, ავტორს შეუძლია ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა. გამოქვეყნების გარეშე ეს უფლება ვერ განხორციელდება, რადგან ნებისმიერი გამოცემა, ან საჯარო გადაცემა და ა.შ. გამოქვეყნებასაც ნიშნავს. ამ უფლების მთავარი არსი ის არის, რომ ავტორს შეუძლია ბრუნვიდან ამოიღოს ნაწარმოები, თუ მას შეეცვალა შეხედულებანი და აზრი საკუთარი ნაწარმოებისადმი. მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის ზ) ქვეპუნქტი სიტყვა-სიტყვით რომ წავიკითხოთ, გამოხმობის უფლება გამოყენების შეწყვეტით არის დახასიათებული. ნორმას ვიწრო გაგებით თუ განვიხილავთ, მივალთ იმ დასკვნამდე, თითქოს ავტორს არ შეუძლია გაყიდული ეგზემპლარები დაიბრუნოს. გამოხმობის მიზეზი ავტორის აზრის შეცვლაა. შესაბამისად, არ იქნება სამართლიანი და ვერ შესრულდება საავტორო სამართლის პრინციპი და კანონმდებლის განზრახვა თუ ავტორს არ მიეცემა უფლება დაიბრუნოს ყველა გავრცელებული ეგზემპლარი. სწორედ საკითხის ფართო გაგებისაკენ გვიბიძგებს ამავე ნორმის მითითება ნაწარმოების გამოხმობის შესახებ საჯაროდ განცხადების თაობაზე.

გასაგებია ამ ნორმის მიღვომა საშსახურებრივ ნაწარმოებთან დაკავშირებით — თუ ნაწარმოები გადაეცა საშუაოს მიმცემს, ავტორი კარგავს გამოხმობის უფლებას, რადგან იგი გამოქვეყნების არაქონებრივ უფლებასთან ერთად განუყოფელია გამოყენების ქონებრივი უფლებებისგან. ქონებრივი უფლებები კი ნაწარმოების გადაცემასთან ერთად საშუაოს მიმცემზე გადადის.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და საკუთარი ნაწარმოებისადმი სხვისი ნაწარმოების დართვის უფლება კანონის ნორმით ნათლად არის გადმოცემული და დამატებით განმარტებებს არ მოითხოვს.

უფრო დაწერილებით შევხებით „რეპუტაციის პატივისცემის უფლებას“. ვის ან რის რეპუტაციას უნდა მიეგოს პატივი. კანონმდებელი ალბათ ავტორის რეპუტაციას გულისხმობს, რომელსაც ის იძენს საზოგადოების მიერ ნაწარმოების შეფასებისას. მაგრამ, ნორმა ისე არ უნდა გაეგოთ, თითქოს ჯერ კი-

დევ ფართო წრისათვის უცნობი ნაწარმოების გამოცემის შემთხვევაში ავტორს არ შეეძლოს წინ აღუდგეს მის ნებისმიერ დამახინჯებას ან სხვაგვარ ხელყოფას. სიტყვები „სხვაგვარი ხელყოფა“ საერთოდ გაუმართლებელია ამ უფლებასთან დაკავშირებით, რადგან განუსაზღვრელს ხდის ნორმის მოქმედების ფარგლებს.¹ გარდა ამისა, ნაწარმოებს პატივი უნდა ეცეს² ისე, როგორც ის იქნება. შესაბამისად, ნაწარმოებს შეიძლება კარგი ან ცუდი რეპუტაცია ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მოცემული ნორმის მიხედვით, დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ცვლილებების შეტანისაგან არ უნდა იქნეს დაცული „ცუდი“ რეპუტაციის მქონე ნაწარმოები. ამ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს საავტორო სამართლის პრინციპი, რაც საქართველოს კანონმდებლობითაც არის განმტკიცებული – „ნაწარმოები დაცვადია მიუხედავად მისი ავტორიანობისა“. მით უმეტეს, რომ საზოგადოების აზრი და ზნეჩვეულებანი ცვალებადია დროსა და სივრცეში. შესაბამისად, ნაწარმოები ერთ ქვეყანაში შეიძლება უაღრესად კარგი რეპუტაციით სარგებლობდეს მისი საჯაროდ გამოტანისთანავე და არც ისე კარგი რეპუტაციით სხვა ქვეყანაში. მაგალითად, თუ ცნობილ ქართულ ფილმს „არ დაიდარლო“ გავიხსენებთ, კავკასიის ფარგლებს გარეთ იგი საყოველთაო მოწონებით არ სარგებლობდა, რადგან ვერ აღიქმებოდა ჯეროვნად, მაგალითად ბელორუსიაში, რაც ეროვნული ხასიათის თავისებურებებით აიხსნება. გარდა ამისა, ხშირად ნაწარმოები უცბად ვერ იძენს მის ღირს რეპუტაციას, ხოლო დროთა განმავლობაში კი გენალოურად ცხადდება. მაგალითად რუსი კომპოზიტორის მიხეილ

¹ სამოქალაქო კოდექსის 1043-ე მუხლის ანალოგიური ნორმა ამ სიტყვებს არ შეიცავს და ზუსტია. კანონმა გააუარესა იგი, სასურველია ხარვეზი გამოსწორდეს.

² პატივი, პროფესორ ავთანდილ კობახიძის განმარტებით, არის პირის მორალური და საქმიანი თვისებების შეფასება საზოგადოების მიერ. იხ. ნაშრომი „სამოქალაქო სამართალი“. ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001 წ. გვ. 262.

გლინკას ოპერა „ივან სუსანინი“. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაწარმოებმა სახელი შეიძლება გაუთქვას არა მარტო ერთ პირს – ავტორს, არამედ მთელ ერს. ასეთი ნაწარმოებია, მაგალითად „ვეფხისტყაოსანი“. ამდენად, მოუხედავად იმისა, რომ საავტორო მორალური უფლებები ავტორის პირადი უფლებებია, ისინი საზოგადოების ინტერესებსაც ეხება. შესაბამისად ამისა, უფრო ნათელი ხდება განსახილველი მუხლის მე-4 პუნქტის მითითება მათი განხორციელების შესახებ ავტორის გარდაცვალების შემდეგ. კანონი ადგენს განხორციელების წესსა და სუბიექტებს, რომლებიც ასრულებენ მას – რაც შემდგომ, 35-ე მუხლის განხილვისას იქნება გაშუქებული. მე-17 მუხლის მიხედვით, პირადი არაქონებრივი უფლებები განუსხვისებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მემკვიდრეობითაც არ გადადის. ამასთან, 35-ე მუხლის მიხედვით, ზოგიერთი უფლება, მაგალითად ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, გადადის მემკვიდრეებზე. მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც სამართლებრივად განამტკიცებს მორალური უფლებების განუსხვისებლობას, სამწუხაროდ მძიმე ოურიდიულ შეცდომას შეიცავს, რაც არ ახასიათებდა სამოქალაქო კოდექსის ანალოგიურ ნორმას. კერძოდ, იგი არაქონებრივი უფლებების განუსხვისებლობას მხოლოდ ავტორის სიცოცხლეში აღიარებს. გამოდის, რომ საქართველოს საავტორო და მოძოვნავე უფლებების შესახებ კანონის თანახმად, მათი გასხვისება დაშვებულია ავტორის გარდაცვალების შემდეგ. საჭიროა შეცდომის გამოსწორება, თორემ მოსამართლეს გაუჭირდება გამოიტანოს გადაწყვეტილება, მაგალითად, ნაწარმოებების „სახელის“ უფლების გასხვისების არ დაშვების შესახებ.

გვინდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, რომ საავტორო არაქონებრივი უფლებების დაცვა საქართველოს საავტორო სამართლის მიხედვით ძირითადად თანხმობაშია ბერნის კონვენციასთან.

ბოლოს მივუთითებთ, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას ეხება: საავტორო და მოძოვნავე უფლებების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ავტორის სახელის უფლების დაცვას შესაძლებლად მიიჩნევს იმ ნაწარმოებთან დაკავშირებითაც კი, რომლებზეც საავტორო, მათ შორის მორა-

ლური უფლებები არ ვრცელდება; მე-10 მუხლი; მე-11 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები; მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი; მე-15 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები; მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი; მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი; 22-ე მუხლის 1-ლი აბზაცი; 23-ე მუხლის 1-ლი აბზაცი; გ) და ე) ქვეპუნქტები; 33-ე მუხლი (რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და აღიარებს, რომ მორალური უფლებების დაცვა ხორციელდება უკაოდ); 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი (რომელიც უფრო ნათელს ხდის, რომ მორალური უფლებები ქონებრივი უფლებების მოქმედებას არ უკავშირდება).

მუხლი 18. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება-გაყიდვის ან გაქორავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);

გ) ნაწარმოების ევ ზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ევ ზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება);

დ) ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება). ეს უფლება არ გამოიყენება, თუ საჯარო ჩვენება არის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნაწარმოების კანონიერი შესყიდვის შედეგი;

ე) ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, ეთერში ან კაბელით პირველი ან/და შემდგომი გადაცემის ჩათვლით (საჯარო გადაცემის უფლება);

ზ) ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);

თ) ნაწარმოების გადაბეჭვება (გადაბეჭვების უფლება).

3. ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო პონორარაი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (პონორარაის უფლება).

4. თუ მართლ ზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების ექ ზემდ-
ლარები იყიდება, მაშინ დაშვებულია მათი შემდგომი გავრცელება
ავტორის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის
გარეშე.

5. ნოტებით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოების, აუდიოვი-
ზუალური ნაწარმოების, კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა
ბაზის, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების
ავტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს ეკუთვნით
აღნიშნულ ნაწარმოებთა ორიგინალის ან ასლების გაქირავებით
გავრცელების განსაკუთრებული უფლება, ამ ორიგინალზე ან ასლებ-
ზე საკუთრების უფლების მიუხედავად.

6. არქიტექტურული, ქლაქშშენებლობისა და საძაღუ-საპარკო
პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოიცავს ასეთი
პროექტების განხორციელების უფლებას.

7. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების
წესი ექ ზემდლარის ნებისმიერი გამოყენებისათვის დგინდება საავტორ
ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლებსა და ავტორთა ქონებრივი
უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას
შორის ხელშეკრულებით.

8. პირს, რომელიც საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ
პირველად გამოაქვეყნებს ადრე გამოუქვეყნებულ ნაწარმოებს, ამ
ნაწარმოებზე წარმოეშობა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწი-
ნებული ქონებრივი უფლებები.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებრივ
უფლებათა შეზღუდვები განისაზღვრება ამ კანონის 21-28-ე
მუხლებით, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები ხელს არ შეუშლის
ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს
ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის კანონიერ
ინტერესებს.

მე-17 და მე-18 მუხლები სამართლებრივად განამტკიცებენ
საავტორო უფლებების თეორიულ არსს. მათში მოცემული
უფლებები — პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ჯგუფურად
შეადგენენ საავტორო უფლებებს. ამასთან, ცალკე მუხლებით

მათი ჩამოთვლა განპირობებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობით. მე-18 მუხლი იძლევა საავტორო ქონებრივი უფლებების ჩამონათვალს, რომელსაც ავსებს მე-19 და მე-20 მუხლი ისეთი ობიექტების ავტორთა ზოგიერთი ქონებრივი უფლებებით, როგორცაა კომპიუტერული პროგრამა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოები.

ავტორის ქონებრივი უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სამართლის თეორიით ცნობილია როგორც განსაკუთრებული უფლებები. ტერმინი „განსაკუთრებული“ უფლებები ამჟამად ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო აქტებში. ერთ-ერთი პირველი კანონი, რომელმაც იგი გამოიყენა აშშ-ს კონსტიტუციაა, რომლის 1-ლი მუხლის მე-8 ნაწილი კონგრესს აძლევს უფლებამოსილებას და ავალებს ავტორებისა და გამომგონებლების განსაკუთრებული უფლებების დაცვას. საქართველოში „განსაკუთრებული უფლება“ საკანონმდებლო ტერმინად იქცა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პირველი ეროვნული აქტის მიღებისთანავე. ტერმინი „განსაკუთრებული“ გამოგონებულთა ქონებრივი უფლებების აღსანიშნავად 1992 წელს ამოქმედებული დებულების „გამომგონების შესახებ“ ტექსტში შევიდა ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერ-იურისტის პროფესორ სერგო ჯორბენაძის მიერ კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფისათვის მიცემული იურიდიული ახსნა-განმარტების შემდეგ.¹ ტერმინი საკანონმდებლო ტერმინად იქცა საავტორო ქონებრივი უფლებების აღსანიშნავადაც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1045-ე მუხლი პირდაპირ დასათაურდა „ნაწარმოების განსაკუთრებული უფლებები“. დღეს მოქმედ კანონში საავტორო და მომოჯნავე უფლებების შესახებ განსხვავებული მდგომარეობა – მე-18 მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვა სამოქალაქო

¹ ბატონი სერგო ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს პირველ საკანონმდებლო აქტების შემამუშაველ ყველა ჯგუფს, 1997 წელს მიღებული საავტორო სამართლის ჩათვლით. მისმა მონაწილეობამ განაპირობა დღეს მოქმედი კანონების სამოქალაქო კოდექსში შესული მაღალი იურიდიული დონე.

კოდექსის პრაქტიკას და სათაურად მოგვევლინა „ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები“. შემდგომ, ტექსტში ქონებრივი უფლებების ზოგადი ცნების აღსანიშნავად, გამოყენებულია ტერმინი „განსაკუთრებული უფლებები“. ამდენად, სათაურის შეცვლას საფუძვლად საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა არ უდევს და უფრო ზუსტი იქნებოდა სამოქალაქო კოდექსის მუხლის სათაურის დატოვება. ამის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობა არის დამკვიდრებული. საკუთრებაში საავტორო უფლებების ის ნაწილი იგულისხმება, რომელიც ქონებრივ უფლებებს გამოხატავს. სამოქალაქო კოდექსმა მათ აღსანიშნავად გამოიყენა ტერმინი „განსაკუთრებული“, რადგან ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს აღნიშნული უფლებების არსს. განსაკუთრებული, ერთი მხრივ, გამორჩეულს ნიშნავს (საკუთრების უფლება სწორედ რომ გამორჩეულია თავისი ძალით), მეორე მხრივ პირდაპირ მიუთითებს, რომ უფლება „განსაკუთრდა“ – საკუთრება გახდა. განხილული ტერმინის არსებობას ქართულ ენას უნდა ვუმადლოდეთ. სხვა ენებით, მაგ, ინგლისურით, ფრანგულით, გერმანულით, რუსულით. საავტორო ქონებრივი უფლებების აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინები მიუთითებენ მხოლოდ გამოყენებისაგან მესამე პირების გამორიცხვის შესაძლებლობაზე.¹ მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საავტორო ქონებრივი უფლებები, საქართველოს საავტორო სამართლის მიხედვით, საკუთრებით უფლებებს არის მიკუთვნებული. აღნიშნულის შესაბამისად, კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში გადმოცემულია მათი ზოგადი არსი, რომ მხოლოდ ამ უფლებათა მფლობელს შეუძლია ისარგებლოს, ან ამის ნება დართოს სხვა პირს. იმედროულად, ზაზია გასმული განსაკუთრებულ უფლებათა აბსოლუტურ ხასიათზე, კერძოდ უფლებათა მფლობლის შესაძ-

¹ ინგლისურ „Exclusive“, ფრანგულ „Exclusif“, გერმანულ „ausschliessliche“, რუსულ „исключительное“ ტერმინებს ფუძეში „გამორიცხვა“ და არა „საკუთრება“ უდევს.

ლებლობაზე აუკრძალოს ნებისმიერ პირს მათი ობიექტის უნებართვო გამოყენება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა შესამე პირი ვალდებულია თავი შეიკავოს განსაკუთრებული უფლებების დარღვევისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკისრება სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ გარემოებაზე ერთმნიშვნელოვნად მოუთითებს კანონის 58-ე მუხლი.

საავტორო ქონებრივი – განსაკუთრებული უფლებები კანონის ძალით ერთი უფლებით, გამოყენების უფლებით არის მიჩნეული. მაშასადამე, საავტორო სამართლით საკუთრება ნაწარმოების გამოყენების უფლებად არის აღიარებული. „გამოყენება“ ვიწროდ არ უნდა იყოს განმარტებული, რაზედაც კანონი თავად მოუთითებს. ამის დასტურია მე-18, მე-19 და მე-20 (აგრეთვე VI თავის შესაბამისი მუხლები, რომლებიც მომოჯნავე განსაკუთრებულ უფლებებს ეხება) მუხლების ჩამონათვალი იმ უფლებებისა, რომელთა ჯამიც შეადგენს გამოყენების უფლებას. გამოყენების უფლებად იგულისხმება, აგრეთვე, უფლებათა შემკვიდრებით ან ხელშეკრულებით, ან სხვაგვარად გადაცემის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ამას კანონი მე-18 მუხლში არ აღნიშნავს, ეს მაინც იგულისხმება, რადგან, როგორც ითქვა, საავტორო ქონებრივი უფლება საკუთრების უფლებაა და მასთან მიმართებით ძალაშია საკუთრების მოწესრიგებასთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები.

საქართველოს საავტორო და მომოჯნავე უფლებების შესახებ კანონით მოცემული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებების ჩამონათვალი ამოშწურავია. ეს კი კანონის ნაკლია. გამოყენების ნაირსახეობა დროთა განმავლობაში სულ უფრო იზრდება, რადგან ჩნდება ახალი ტექნიკური საშუალებანი. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ტელემარუწყებლობა არ არსებობდა, შესაბამისად არც ნაწარმოების გამოყენების შესაძლებლობა არსებობდა ასეთი საშუალებით. უფრო თანამედ-

როვე მაგალითია ნაწარმოების გამოყენების დღევანდელი შესაძლებლობა ელექტრონული ქსელების, მაგალითად „ინტერნეტის“ მეშვეობით. ამდენად, საქართველოს კანონის მე-18 მუხლის რედაქცია ცვლილებებს ითხოვს, რომ გამოყენების უფლების შემადგენელ უფლებათა ჩამონათვალი კანონით შეუზღუდავი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გაჩნდა ნაწარმოების გამოყენების ახალი შესაძლებლობა, მასზე კანონი ვეღარ გავრცელდება.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საავტორო უფლების მფლობელი აღჭურვილია ნაწარმოების „ნებისმიერი სახით გამოყენების“ განსაკუთრებული უფლებით. სამოქალაქო კოდექსის 1045-ე მუხლით საავტორო უფლებათა მფლობელს ეკუთვნოდა ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება „ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით“. მოუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში გარკვეულ ბუნდოვნობასთან გვაქვს საქმე, სამოქალაქო კოდექსის რედაქცია სჯობდა. იგი მოუთითებდა ნაწარმოების გამოყენების ფორმაზე და არა სახეზე. ნაწარმოების გამოყენების ფორმად არ იგულისხმება მისი მატერიალიზებული ასლის დაშვება, ხოლო ნაწარმოების გამოყენების სახე, ჩვენი აზრით, მატერიალიზებასაც გულისხმობს. აქედან გამომდინარეობს, რომ მაგალითად, რაიმე ტექნიკური ნახაზის მიხედვით ობიექტის დაშვება ნაწარმოების „მატერიალიზებული სახით“ გამოყენებას გულისხმობს. ასეთი გაგება უნდა გამოირიცხოს მხოლოდ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საავტორო სამართლისათვის უცხო და აბსურდულ სიტუაციამდე მივალთ.

კანონის განსახილველი მუხლით დადგენილი განსაკუთრებული უფლებები შიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

1. კვლავწარმოებისა და გავრცელების (მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები; მე-6 პუნქტი);

2. საჯაროდ გამოტანის (მე-2 პუნქტის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები)¹;

3. გადაშუშავების (მე-2 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები).

რეპროდუქციების უფლება² გამოყენების უმნიშვნელოვანესი უფლებაა. იგი გულისხმობს ნაწარმოების კლავწარმოებას ან გამრავლებას, ანუ ნაწარმოებისათვის ობიექტური ფორმის ხელახლა მიცემას და მატერიალურ ობიექტებზე ან ელექტრონული საშუალებებით დაფიქსირებას. შესაბამისად, რეპროდუქციების უფლება ვრცელდება ნაწარმოების ნებისმიერი ფორმითა და საშუალებებით გამრავლებაზე ან კლავწარმოებაზე. რეპროდუქციების უფლების სინონიმად ლიტერატურაში გამოიყენება „კლავ-

¹ „საჯაროდ გამოტანის უფლება“ (ტერმინი ჩვენი შემოთავაზებულია) ინგლისურად გადმოიკმა „The Right of Public Communication“. იგი თავისი არსით ძალზე ფართოა და გულისხმობს მოლიანად ან ნაწილობრივ ნაწარმოების ორიგინალთან ან მის გადაშუშავებულ ვარიანტთან (ფორმასთან) პირთა განუსაზღვრელი წრის დაშუშების უფლებას. საავტორო სამართლის თეორია ამ უფლებას არ ავრცელებს ნაწარმოების ასლების გავრცელებაზე (იხ. Copyright and Neighbouring Rights, by Delia Lipszys, UNESCO, 1999, p.188). იგი მოიცავს ნაწარმოების პირდაპირ გამოტანას – ცოცხალი შესრულება ან ირიბ გამოტანას – ფონოგრამას, ვიდეოგრამას ან სხვაგვარი ჩანაწერის მყურებლამდე, მსმენლამდე და ა.შ. ნებისმიერი საშუალებით დაყვანას, მათ შორის თანამგზავრული თუ საკაბელო მუწყებლობის მეშვეობით. ფართო გაგებით ეს უფლება ქაზებრივის გარდა მოიცავს პირად არქაზებრივ უფლება-საც – გამოქვეყნების უფლებას. საქართველოს კანონით მოცემული ჩამონათვლის ფარგლებში საჯაროდ გამოტანის განსაკუთრებული უფლება უნდა გავრცელდეს ისეთ აქტებზეც, რომლებიც პირდაპირ არ არის დასახელებული. ესენია ნაწარმოების გამოყენის უფლება, სატელეკომუნიკაციო სისტემებით კომპიუტერულ მონაცემთა ბაზებთან დაშუშების უფლება და სხვ. (ამ შემთხვევაში კომპიუტერული ქსელებით ნაწარმოების გამოტანა არ იგულისხმება, რადგან ასეთი გამოტანა შესაძლებელს ხდის ნაწარმოები გავრცელდეს ასლების სახით).

² რეპროდუქციების უფლება საავტორო სამართლით, აღიარებული პირველი და ხანგრძლივი დროის პერიოდში ერთადერთი განსაკუთრებული უფლება იყო. შემდგომ, ტექნიკის განვითარებასთან ერთად ჩნდება განსაკუთრებული უფლებების ახალ-ახალი სახეები.

წარმოების“ და „გამრავლების“ განსაკუთრებული უფლება. რეპროდუცირების უფლება მოიცავს გამოცემის უფლებას, რადგან გამოცემა ახალი ეგზემპლარების დამზადების გარეშე ვერ განხორციელდება, ეს ორი უფლება ერთად ხორციელდება (თუ ხდება ნაწარმოების გამოცემა). შესაბამისად, როდესაც საავტორო უფლებათა მფლობელის მიერ ნაწარმოების გამოცემის ლიცენზიის გაცემა ნიშნავს გამოცემის გზით რეპროდუცირების ნებართვის გაცემას. თუ გამოცემა ყოველთვის რეპროდუცირებასთან არის დაკავშირებული, ამას ვერ ვიტყვით გამოქვეყნებაზე. რა თქმა უნდა, გამოქვეყნებაც შეიძლება განხორციელდეს რეპროდუცირების გზით, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის სავალდებულო. მაგალითად, ნაწარმოების გამოფენაზე გამოტანა ერთ ეგზემპლარად, თუნდაც ორიგინალი იყოს ის, საკმარისაა იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს გამოქვეყნების მოთხოვნა. ამდენად, რეპროდუცირების უფლება არ ვრცელდება გამოქვეყნების უფლებაზე. ჩვენი აზრით, ეს დასკვნა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიაკუთვნა საავტორო სამართლის თეორიამ და კანონმდებლობამ გამოქვეყნების უფლება პირად არაქონებრივ, ხოლო რეპროდუცირების უფლება ქონებრივ უფლებათა რიცხვს.

კვლავწარმოების (რეპროდუცირების) კიდევ ერთ განსაკუთრებულ უფლებას ეხება განსახილველი მუხლის მე-9 პუნქტი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

გავრცელების უფლებაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა და მოიცავს ნაწარმოების ეგზემპლარების სამოქალაქო ბრუნვაში ნებისმიერი ფორმით ჩართვას. გავრცელების განსხვავებული საშუალებების არსებობის გამო, კანონმა ცალკე დაასახლა მისი ერთ-ერთი ფორმა — იმპორტირება. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ასახელებს, ბუნებრივია, რომ იმპორტირების მსგავსად გამოყენების განსაკუთრებული უფლება ექსპორტის უფლებასაც მოიცავს, რადგან ექსპორტი საგნების გავრცელების ერთ-ერთი ფორმაა.

კანონის მიხედვით „გავრცელების უფლება“ განმარტებულია როგორც ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლების საზოგადოებაში გავრცელების უფლება გაყიდვის ან გაქირავების გზით,

ანდა საკუთრების, ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით. სამოქალაქო კოდექსის 1045-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გავრცელების უფლების არსი გადმოცემულია შემდეგნაირად: „ორიგინალის ან ნაწარმოების ეგზემპლარების ნებისმიერი საშუალებით გავრცელება: გაყიდვა, გაქირავება და ა.შ. (გავრცელების უფლება).“

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო კოდექსი, კანონისაგან განსხვავებით, გავრცელებას და საკუთრების ან მფლობელობის გადაცემას შორის აუცილებელ კავშირს არ ამყარებს. კანონის მოთხოვნით კი გავრცელება რომ მოხდეს აუცილებელია სახეზე იყოს გასხვისების ფაქტი (რაც უპირველესად გაყიდვას უკავშირდება) ან მფლობელობის სხვაგვარი გადაცემის ფაქტი — ალბათ ამ შემთხვევაში კანონი გაქირავებას გულისხმობს, ან თხოვებას. როგორც კანონი ისე სამოქალაქო კოდექსი ზუსტი არ არის. გაუგებარია, როგორც უნდა მივიჩნიოთ გავრცელებად ნაწარმოების ორიგინალის (ან თუნდაც მისი ასლის) გაქირავება ან თხოვება?! კანონის განსაზღვრული ნორმა მეტი უზუსტობით გამოირჩევა, რადგან ნაწარმოების გავრცელების ფაქტის აღიარებისათვის სრულიადაც არ არის აუცილებელი გასხვისება ან ქონებრივი საზღაურის მიღება. მაგალითად, სადისერტაციო ნაშრომის რეფერატის — ავტორეფერატის დაგზავნით მართალია ხდება მოცემული ეგზემპლარების გასხვისება, მაგრამ დისერტანტი ამისათვის ანაზღაურებას არ ღებულობს, მაგრამ მოუხდავად ამისა გავრცელება სახეზეა. ამავე ავტორეფერატის ბიბლიოთეკების მიერ მკითხველებისათვის დროებით მიცემით არც გასხვისება და არც მფლობელობის გადაცემა არ ხდება, თუმცა, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, სახეზეა საზოგადოებაში ნაწარმოების გავრცელება¹.

A. A. Сергеев „Право интеллектуальной собственности в Российской Федерации“. Учебник, Москва, 1999 г., с. 222-223. გამოვეხმაურებით სერგეევის აზრს და აღვნიშნავთ, რომ გავრცელებად ვერც ორიგინალის გაყიდვა ჩათვლება, რადგან გავრცელება ნაწარმოების გამრავლებას გულისხმობს იმ ზომით, რომ დაქმყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნილება.

კანონის განსახილველი ნორმა გავრცელების უფლებას მხოლოდ ნაწარმოების მატერიალურ ობიექტზე დაფიქსირებულ ეგზემპლარებს უკავშირებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება გაიყიდოს ან გაქარავდეს ნაწარმოების რომელიმე კონკრეტული ასლი ან ორიგინალი, მაგრამ არა თვით ნაწარმოები. ამიტომ, გავრცელების უფლება ვერ იქნება გამოყენებული ბიბლიოთეკის მიერ ეგზემპლარების მკითხველთათვის გადაცემის აკრძალვისათვის. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა ნაწარმოების შესახებ ცოდნას ავრცელებს და არა ნაწარმოების ეგზემპლარებს.

კანონის მე-18 მუხლი აწესებს „უფლებათა ამოწურვის“ ცნობილ პრინციპს. მისი მე-4 პუნქტით ნაწარმოები თუ ერთხელ იქნა საავტორო უფლებათა მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით გაყიდული, მაშინ დაშვებულია ნაყიდი ეგზემპლარების შემდგომი გავრცელება ყოველგვარი ნებართვის გარეშე. იგულისხმება, რომ მყიდველს შეუძლია ხელახლა გაყიდოს ან გაქარავოს ნაწარმოები. მაგრამ ეს წესი არ ვრცელდება ნოტებით გამოხატულ მუსიკალურ, აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე, კომპიუტერულ პროგრამაზე, მონაცემთა ბაზაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე ჩაწერილ ნაწარმოებზე. ამ შემთხვევაში, კანონი გაქარავების განსაკუთრებულ უფლებას მხოლოდ ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უტოლებს. ამ ნორმის გაგების პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია. რათა უნებლიედ არ მოხდეს საავტორო უფლებათა დარღვევა კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, უნდა გვახსოვდეს, რომ იკრძალება ნაწარმოების გაქარავება მაშინაც, როდესაც მისი ასლი ან ორიგინალი კეთილსინდისიერად არის შექმნილი.

მაგალითი:

კაპიტონ ჭკუასელმა მართლზომიერად შეიძინა ვიდეოკასეტაზე ჩაწერილი ნაწარმოების ასლები 50 ეგზემპლარის ოდენობით. შემდგომ, მან განიზრახა ეწარმოებინა აღნიშნული ვიდეოკასეტების გაქარავება.

თუ იგი განახორციელებს ამ განზრახვას და აწარმოებს

გაქირავებას (თუნდაც ერთჯერადად), მაშინ საავტორო უფლებებს დაარღვევს. სახეზეა ინტელექტუალური საკუთრების თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისება — მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური ობიექტი ერთ პირს ეკუთვნის, ეს სულაც არ გულისხმობს იმის პრეზუმფციას, რომ ნაწარმოების გამოყენების საავტორო უფლებებიც მასვე ეკუთვნის.

მეტი სიცხადე რომ შევიტანოთ აღვნიშნავთ, რომ ნორმები მე-18 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით მხოლოდ გაყიდვის და გაქირავების აქტებზე ვრცელდება, თუმცა მათი წაკითხვით შეიძლება სხვა აზრიც წარმოიშვას.

მნიშვნელოვანი უფლებაა, აგრეთვე, ნაწარმოების გადამუშავების განსაკუთრებული უფლება. დამოუკიდებელ ქვეპუნქტად არის ჩამოყალიბებული „თარგმნის უფლება“. ამ ორი უფლების დამოუკიდებელ ქვეპუნქტებად ჩამოყალიბება მიუთითებს იმაზე, რომ გადამუშავების უფლება პირდაპირი გაგებით მხოლოდ არანაირებაზე, ადაპტირებაზე ან ნაწარმოების სხვაგვარ გადაკეთებაზე ვრცელდება აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი განსაკუთრებული უფლების არსი აკრძალვითი ფუნქციით არის მნიშვნელოვანი. მხოლოდ ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს აქვს უფლება დართოს ნება ნაწარმოების გადამუშავებაზე ან თარგმნაზე. ეს უფლებები უფრო მეტად, შეიძლება პირად არაქონებრივ ხასიათს ატარებდეს, მაგრამ ქონებრივად იმიტომ დაწესდა, რომ ავტორს ჰქონდეს თავისი მორალური უფლებების ქონებრივი ღირებულებით გამოხატვის შესაძლებლობა. თარგმანთან დაკავშირებით, მორალური უფლებების პრეკალირება ზედმიწევნით ზუსტად გამოხატა სათაყვანო ქართველმა ცივილისტმა პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ, რომელმაც გამოთქვა შემდეგი აზრი: „თარგმანი — სულიერი აღებმცემობის იარაღი“¹ აქედან ნათელია, რომ თუ ავტორი თავის სულიერ წილს გასცემს, მას უნდა შეეძლოს შესაბამისი ანაზღაურების მიღებაც. თარგმნის განსაკუთ-

¹ სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ლეწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1981 წ., გვ. 37.

რებული უფლების არსი არის ის, რომ ნაწარმოების თარგმნა თუნდაც შემდგომი გავრცელების განზრახვის გარეშე აკრძალულია. იგივე ითქმის ნაწარმოების ნებისმიერ გადაშუშავებაზეც.

ზემოთ აღნიშნული უფლებების გარდა, მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი ავრცელებს არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო პროექტების გამოყენების კვლავწარმოების განსაკუთრებულ უფლებას მათ განხორციელებაზე – ანუ მატერიალიზებაზე. ეს უფლება სცილდება საავტორო სამართლის პრინციპს – არ არის დაცვადი იდეები, მეთოდები, პროცესები, საშუალებები და სხვა. მაშინაც კი, თუ ისინი ნათლად ახსნილია, გამოხატულია, ილუსტრირებულია და ა.შ. ნაწარმოებში – იგი მსგავსია საპატენტო უფლებებისა.¹

განხილული მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტები ეხება ავტორის უფლებას მიიღოს ჰონორარი, რომლის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. მე-7 პუნქტის მიხედვით, ჰონორარის განსაზღვრის უფლება მიცემული აქვს ავტორთა უფლებების მართვის კოლექტორ ორგანიზაციებსაც.

მე-8 პუნქტი საავტორო ქონებრივ უფლებებს ავრცელებს იმ პირზე, რომელმაც გაიღო გარკვეული შემოქმედებითი ღვაწლი და პირველად გამოაქვეყნა ადრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. ამ პირის უფლებები ავტორთა, ქონებრივ უფლებებთან შედარებით მოქმედებს უფრო ხანმოკლე დროის განმავლობაში, რაც ასახულია კანონის 32-ე მუხლის მე-6 პუნქტით.

მე-9 პუნქტი ადგენს ქონებრივი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას მხოლოდ იმ ზომით, რომ არ შეეკმნას დაბრკოლება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებასა და უსაფუძვლოდ არ შეილაზოს ავტორის ან საავტორო უფლებათა

¹ ეს პუნქტი პრინციპულად ეწინააღმდეგება კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლითაც სამართლებრივად განმტკიცებულია საავტორო სამართლის მითითებული პრინციპი. სწორი იქნებოდა კანონმდებელს მიეთითებინა, რომ მასზე მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება. თუ ეს არ გაკეთდა, მაშინ მოსამართლე შეიძლება დაეყრდნოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს.

მელობელის კანონიერი ინტერესები. თუ რა იგულისხმავს კანონმდებელმა ნაწარმოების „ნორმალურ გამოყენებად“ დასადგენი იქნება მოსამართლის მიერ. კანონი ამ ცნებას, მართალია, არ განმარტავს, მაგრამ იძლევა გარკვეულ მიმართულებას საკითხის გადასაწყვეტად და მოუთითებს, რომ შეზღუდვები განისაზღვრება 21–28-ე მუხლებით. ფაქტობრივად, კანონმა ამოწურავედ შემოფარგლა შეზღუდვების საზღვრები და დაადგინა, რომ აღნიშნული მუხლებით განსაზღვრული შეზღუდვებით ხელი არ შეეშლება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაცული იქნება ავტორთა კანონიერი ინტერესები.

მუხლი 19. ქონებრივი უფლებები კომპიუტერულ პროგრამაზე და მონაცემთა ბაზებზე

1. კომპიუტერული პროგრამის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) კომპიუტერული პროგრამის რეპროდუქცირება ნებისმიერი საშუალებით და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ ასეთი რეპროდუქცირება ესაქარება კომპიუტერული პროგრამის ჩატვირთვის, ჩვენებას, მუშაობას, გადაცემას (ტრანსმისიას) ან შენახვას, აუცილებელია ავტორის თანხმობა;

ბ) კომპიუტერული პროგრამის თარგმნა, ადაპტირება, სისტემეტიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუქცირება იმ პირობის უფლებების დაცვით, რომელიც ცვლის კომპიუტერულ პროგრამას;

გ) კომპიუტერული პროგრამის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით, გაქარავების ჩათვლით, საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით პროგრამის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გავრცელების კონტროლის უფლება, გარდა უფლებისა — გააკონტროლოს პროგრამის ორიგინალის ან ასლების შემდგომი გაქარავება.

2. მონაცემთა ბაზის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) მონაცემთა ბაზის დროებითი ან მუდმივი რეპროდუქცირება ნებისმიერი საშუალებით და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ;

ბ) მონაცემთა ბაზის თარგმნა, ადაპტირება, სისტემეტიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუქცირება, საჯარო გადაცემა, ჩვენება ან შესრულება;

გ) მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით, საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით ბაზის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გავრცელების კონტროლის უფლება;

დ) ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური, პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით

კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ავტორთა განსაკუთრებული უფლებების განმსაზღვრელი ნორმა კანონში გათვალისწინებულ იქნა რათა დაკმაყოფილებულიყო ევროპის საბჭოს 1991 წლის 14 მაისის დირექტივა კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი დაცვის შესახებ. აღნიშნული მუხლი მოუთითებს რა მე-18 მუხლზე, აღგენს, რომ მასში მოცემულ განსაკუთრებულ უფლებებთან ერთად კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის ავტორს დამატებით ენიჭება სხვა განსაკუთრებული უფლებები. თუ შევადარებთ ერთმანეთს მითითებულ მუხლებს აღმოვაჩინოთ, რომ სინამდვილეში მე-19 მუხლს კანონში არ შემოაქვს არანაირი სხვა დამატებითი უფლება. იგი უთითებს რეპროდუცირების, თარგმნის, ადაპტირების, სისტემატიზების ან სხვაგვარი ცვლილების, გავრცელების, მათ შორის, გაქირავების უფლებებზე, აგრეთვე, საჯარო გადაცემის, ჩვენების და შესრულების უფლებებზე. გარდა ამისა, იგი შეიცავს მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის იდენტურ ნორმას უფლებათა ამოწურვის შესახებ. თუ მხედველობაში ვიჭონიებთ, რომ მე-18 მუხლში მოცემული განსაკუთრებული უფლებები არ განსხვავდება სამოქალაქო კოდექსში მითითებულისაგან და აგრეთვე, რომ მე-19 მუხლმა მე-18 მუხლთან შედარებით კანონს რაიმე იურიდიულად მნიშვნელოვანი ახალი ნორმა არ შესძინა, გაუგებარია მისი კანონში ჩართვის მიზანი.

უპირველესად, გაუგებარი ხდება რომელ ნორმას აქვს მეტი ძალა მე-18 მუხლს თუ მე-19-ს კომპიუტერულ პროგრამასთან და მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებით. გაუგებრობა აშკარაა მითუმეტეს, რომ მათზე პირდაპირ ვრცელდება მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

გამოდის, რომ კანონი ორჯერ აწესებს ამ ობიექტებზე გაქირავების უფლებას.

მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი აწესებს საავტორო სამართლისათვის ახალ, კომპიუტერული პროგრამის

თარგმნის უფლებას. რას ნიშნავს პროგრამის თარგმნა? შეცდომა, ალბათ ზემოთ მითითებული დირექტივის მე-4 მუხლის „B“ პუნქტის თარგმნისას იქნა დაშვებული. საქმე ის არის, რომ მასში მითითებული „the translation“ კომპიუტერული პროგრამებთან მიმართებაში თარგმნას არ ნიშნავს. იგი პროგრამის პროგრამირების ერთი ენიდან სხვა ენაზე ეკვივალენტურ გარდაქმნას ნიშნავს.¹ რუსულად ამ ცნების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „Трансляция“. საავტორო სამართლისათვის ცნების „პროგრამის თარგმნა“ მიუღებლობაზე ყურადღებას ე. გავრილოვიც ამახვილებს.²

¹ В.И. Першиков, В.М. Савинков. Толковый словарь по информатике. Москва, 1991 г., с. 405.

² Э.П. Гаврилов. Комментарий Закона об авторском праве и смежных правах. М., 1996 г., с. 94.

მუხლი 20. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების შესაკუთრეს, მისცეს საშუალება განაზოარციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუქცირება (დაშვების უფლება). ამასთან, შესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

2. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ მისი საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის, სამსატვრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავტორს ან მის მემკვიდრებს უფლება აქვთ მიიღონ გამყიდველისაგან ჰონორარი გასყიდი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ამ უფლების განზოარციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით გამყიდველები ვალდებულნი არიან აღნიშნულ ორგანიზაციას მისი მოთხოვნით მანწილონ ინფორმაცია გაყიდვების შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. იგი კანონით ან ანდერძით გადადის მხოლოდ მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვალთ.

განსახილველი მუხლი საეციალურ უფლებებს აწესებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთათვის. კანონი არ უთითებს მათ კატეგორიაზე, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნავთ, რომ 1-ლი პუნქტით მოცემული დაშვების უფლება პირადი არაქონებრივია, ხოლო მე-2 პუნქტით დაწესებული ავტორის უფლება მიიღოს ჰონორარი 5%-ის ოდენობით მეორე და შემდგომი საჯარო გაყიდვის შემთხვევაში ქონებრივია, მაგრამ მას განსაკუთრებულ ანუ საკუთრებით უფლებად ვერ განვიხილავთ. ორივე უფლება მხოლოდ ავტორს ეკუთვნის პიროვნულად. მეორე უფლება გამოხატავს ავტორის შესაძლებლობას მიიღოს წილობრივი (ღირებულების ზრდის პროპორციულად) მონაწილეობა ნაწარმოების შემოსავლის მიღებაში. ასეთი უფლება, თავისი

არსით, საავტორო სამართლებრივი არ არის, იგი უფრო ვალდებულებით სამართლებრივი ხასიათისაა (ვალდებულებას კანონი წარმოშობს). ასეთი ვალდებულება თან მისდევს ნაწარმოებს, რამდენჯერაც არ უნდა გასხვისდეს იგი, ახალ შემძენს არა აქვს უფლება უარი უთხრას ავტორს მის განხორციელებაზე. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ უფლებას შეიძლება ვუწოდოთ „თანმიდევნების უფლება“¹.

დაშვების უფლება სხვა პირზე არ გადადის არც ერთ შემთხვევაში და არც მისი კონტროლის განხორციელება შეიძლება დაეკისროს სხვა პირს. თანმიდევნების უფლება არასდროს არ შეიძლება გასხვისდეს. ამ გაგებით უზუსტობაა დაშვებული განსახილველი მუხლის მე-3 პუნქტში, სადაც აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მისი გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. იკვეთება აზრი, თითქოს გასხვისება გარდაცვალების შემდეგ შეიძლება. უნდა ყოფილიყო მითითებული იმ გარემოებაზე, რომ ავტორის სურვილის მიუხედავად, ეს უფლება მის სიცოცხლეშიც ვერავის გადაეცემა საკუთარი ოჯახის წევრების ჩათვლით. სხვა პირს მხოლოდ მისი განხორციელება შეიძლება დაეკისროს. გარდაცვალების შემდეგ კი იგი გადადის მხოლოდ მემკვიდრეზე, რომელსაც არა აქვს უფლება გაასხვისოს ან სხვაგვარად დაუთმოს მესამე პირს. ამდენად, თანმიდევნების უფლების არსი არის ის, რომ მისი განხორციელება მხოლოდ ავტორს შეუძლია სიცოცხლეში, შემდგომ კი მხოლოდ მემკვიდრეს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ეს ქონებრივი უფლება ემსახურება სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის და მისი ოჯახის წევრების კეთილდღეობას. იგი ერთგვარად უბრუნებს ავტორს შესაძლებლობას მიიღოს მისი შემოქმედებითი ქმნილების მზარდი ღირებულების ფარდი გასამრჯელო. ისტორიისათვის ფართოდ არის ცნობილი, თუ რა დაბალ ფასად ყიდდნენ მხატვრები საკუთარ ნახატებს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი დაეღწიათ მიწმილისაგან. აღნიშნულის დასტურად ნიკო ფიროსმანაშვილის მაგალითიც კმარა.

¹ ამ უფლების აღსანიშნავად ლიტერატურაში გამოიყენება ფრანგული ტერმინი „droit de suite“.

კანონის თანახმად, თანმიღვევების უფლება ხორციელდება მხოლოდ ნაწარმოების საჯარო გაყიდვის შემთხვევებში. მაშასადამე, თუ ნაწარმოები ერთმა პირმა მეორე პირს თავად მიყიდა, ეს უფლება ვერ განხორციელდება. კანონი ადგენს, რომ ჰონორარი განისაზღვრება 5%-ით გასაყიდი ფასიდან გამომდინარე და არ აზუსტებს, რომ ყოველი შემდგომი გასაყიდი ფასი უნდა აღემატებოდეს მის ადრე გაყიდულ ფასს. ეს კანონის ნაკლია, რადგან წარმოსადგენია სიტუაცია, როდესაც ნაწარმოები წინა გასაყიდ ფასზე ნაკლებ ფასად გაიყიდა. ამ შემთხვევაშიც კი ავტორს უფლება აქვს მიიღოს 5%-იანი ჰონორარი. ვფიქრობთ ეს ნაკლი გამოსასწორებელია.

დაშვების უფლების მსგავსად, თანმიღვევების უფლება გამოიყენება მხოლოდ ნაწარმოების ორიგინალთან (და არა ასლთან) მიმართებაში. დაშვების უფლების მოთხოვნა ავტორს შეუძლია წაუყენოს არა მხოლოდ ნაწარმოების ორიგინალის მესაკუთრეს, არამედ იმ პირსაც, რომლის მფლობელობაშიც შეიძლება იმყოფებოდეს აღნიშნული ორიგინალი, მაგალითად სახვითი ხელოვნების ნაწარმოების გალერეას ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელთანაც შეიძლება ინახებოდეს ნახატი. ავტორს უფლება აქვს მხოლოდ საკუთარი ხელით მოახდინოს ასლის გადაღება გამრავლების საშუალებების, მათ შორის, ფოტოაპარატის გამოყენების გარეშე.

ნაწარმოების თანმიღვევების უფლებას ითვალისწინებს ბერნის კონვენცია. კერძოდ, მე-14^ე მუხლით დაწესებულია ხელოვნების ნაწარმოებებთან და ორიგინალებთან დაკავშირებით წილობრივი მონაწილეობის უფლება. ამ მუხლის მიხედვით, ავტორის აღნიშნული უფლება ვრცელდება სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების გარდა მწერალთა და კომპოზიტორთა ხელნაწერების ორიგინალებზე, ეროვნული კანონით დადგენილი მოცულობითა და ფარგლებით. მაშასადამე, ეროვნული რეჟიმის პრინციპის გათვალისწინებით, უცხოელ ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს თანმიღვევების უფლების განხორციელება საქართველოში, მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთან დაკავშირებით.)

თანმიღწევების უფლებასთან დაკავშირებით არსებობს ევროპის ღირეტივის პროექტი, მაგრამ ამ უფლებას ყველა ქვეყნის კანონი არ ითვალისწინებს. განხილულ უფლებებთან დაკავშირებით, „TRIPS“-ის ხელშეკრულება არანაირ ვალდებულებას არ უწესებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს.

თავი III. ძონებრივი უფლებების შეზღუდვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საავტორო ქონებრივი (განსაკუთრებული) უფლებები – საკუთრებითი უფლებებია. საკუთრება კი, როგორც ვიცით, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიზღუდოს მაგ., სერვიტუტის უფლებით. ინტელექტუალური საკუთრებაც, როგი მიზეზების გამო, ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებიც დგინდება კანონმდებლობით. საქართველოს საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონი გამონაკლისი ვერ იქნებოდა და მასში გათვალისწინებულ იქნა როგორც საავტორო, ისე მოძიჯნავე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები. ამასთან, საავტორო უფლებების შეზღუდვები გამოიყო ერთ ცალკე თავად, რომელშიც შევიდა ათი მუხლი.

მოკლედ შევეხებით თუ რას ეფუძნება უფლებათა შეზღუდვის ნორმები საზოგადოდ. უწინარესად უნდა გვახსოვდეს, რომ საავტორო მორალური უფლებები შეზღუდვას არ ექვემდებარება. იზღუდება მხოლოდ განსაკუთრებული უფლებები.

შეზღუდვების გავრცელება დასაშვებია მხოლოდ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ უფლებებზე თუ ავტორმა გამოიყენა მე-17 მუხლით გათვალისწინებული „გამოხმობის უფლება“ (იგი ინარჩუნებს გამოქვეყნებული ნაწარმოების სტატუსს), მაშინ შეზღუდვები ვერ დაწესდება.

გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე უფლებების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ ორ შემთხვევაში: ნაწარმოების გამოყენებისას სასამართლო წარმოებისათვის, და/ან მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებისას ოფიციალური და სამგლოვიარო ცერემონიების დროს.

განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვების დაწესების საფუძვლებია:

- სოციალური მართლწესრიგიდან გამომდინარე, საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილება ცოდნისა და ინფორმაციის დაუბრკოლებრივი გავრცელების მიზნით;
- ნაწარმოების ფართო ხელმისაწვდომობის და გავრცელების

უზრუნველყოფა საჯაროობის ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

აღნიშნული საფუძვლებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვის ორი სახეა ცნობილი:

– ნაწარმოების გამოყენება უფლებათა მფლობელის თანხმობისა და გასამრჯელოს გადახდის გარეშე (თავისუფალი გამოყენება);

– ნაწარმოების გამოყენება უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე, მაგრამ გასამრჯელოს გადახდით (ანაზღაურებადი გამოყენება). ამ სახის გამოყენება ხორციელდება ლიცენზირების გზით უფლებათა მფლობელის ნების მოუხედავად (Non-voluntary Licence), რომელიც, თავის მხრივ ორი სახისაა: კანონისმიერი და იძულებითი ლიცენზია.

საავტორო უფლებათა მფლობელის განსაკუთრებული უფლებები ყველაზე ფართოდ ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების შემთხვევაში იზღუდება, რადგან ამ დროს მას არანაირი ანაზღაურების მოთხოვნის წაყენების საფუძველი აღარ აქვს. ანაზღაურებადი გამოყენების შემთხვევაში კი, უფლებათა შეზღუდვის ფარგლები იგივეა (ნაწარმოების გამოყენების თვალსაზრისით), მაგრამ ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს უნარჩუნდება გონივრული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ამასთან, კანონისმიერი ლიცენზირების რეჟიმით განსაკუთრებული უფლებები იზღუდება უფრო მეტად, ვიდრე იძულებითი ლიცენზირებით. პირველ შემთხვევაში, უფლებათა მფლობელი ანაზღაურების განსაზღვრის პროცესში არ მონაწილეობს, რადგან ჰონორარის ოდენობა დგინდება კანონით, ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ. იძულებითი ლიცენზირების დროს ავტორი, ან უფლებათა სხვა მფლობელი თავად მონაწილეობს ნაწარმოების „ქონებრივი ღირებულების“ დადგენის პროცესში და ათანხმებს გამომყენებელთან ჰონორარის ოდენობას. თუკი შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ საკითხს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტს.

ნაწარმოების გამოყენება საავტორო უფლებათა შეზღუდვებით შეიძლება განხორციელდეს პერსონალური, კერძო ინტერესებისათვის ნაწარმოების გამოყენების გზით, მაგალითად მისი ცალკეული, მხოლოდ ერთი — კერძო ასლის გადაღებით და საჯარო ინტერესებისათვის ნაწარმოების სხვაგადასხვაგვარი გამოყენებით, მაგ., ნაწარმოების ციტირებით, უფლებათა მფლობელის ნების გარეშე გაცემული ლიცენზიით მუსიკალური ნაწარმოების ჩაწერის შესახებ და სხვ.

ყველა ზემოაღნიშნული საფუძვლები გვხვდება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობაში და გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობითაც.

გვინდა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ საავტორო უფლებათა შეზღუდვის ნორმები შეიცავს შეზღუდვების ამომწურავ ჩამონათვალს და უნდა განიმარტოს მხოლოდ ნორმის კონკრეტული, ვიწრო შინაარსით. არ დაიშვება განმარტების გავრცობა იმაზე, რაც პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ „გულისხმება“. ამ შემთხვევაში, ნორმის გავრცობითი განმარტების გასამართლებლად გამოყენებულ რაიმე კანონქვემდებარე აქტს ან სასამართლო პრეცედენტს ძალა არა აქვს.

მუხლი 21. ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის

მუხლი 21. ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის

1. დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის პონორარის გადახდის გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება:

ა) არქიტექტურული ნაწარმოებების შენობა-ნაგებობათა ფორმით რეპროდუცირებისას;

ბ) ელექტრონული მონაცემთა ბაზების რეპროდუცირებისას;

გ) კომპიუტერული პროგრამების რეპროდუცირებისას, გარდა ამ კანონის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) წიგნების (მილიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროგრაფიული გამრავლებისას;

ე) აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირებისას.

3. ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წესისაგან განსხვავებით, უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი პონორარი,

4. პონორარი გადაიხდება პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელ მოწყობილობათა (აუდიო- და ვიდეომანეროფონებისა და სხვა მოწყობილობათა) და მატერიალურ მატარებელთა (ფონო- და ვიდეოფირების, კასეტების, ლაზერული ფირფიტების, კომპაქტფირფიტების და სხვა მატერიალურ მატარებელთა) მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ.

5. პონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციასაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზად-

ბელთა ქანებრივ უფლებებს, ამ ორგანიზაციას შორის შეთანხმების შესაძამისად. თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ჰონორარი ნაწილდება შემდეგნაირად: 40 პროცენტი – ავტორებს, 30 პროცენტი – შემსრულებლებს, 30 პროცენტი – ფონოგრამების დამამზადებლებს აღნიშნულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, მათ შორის, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მოითხოვონ ინფორმაცია ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ მოწყობილობათა და მატერიალურ მატარებელთა წარმოებისა და იმპორტის შესახებ.

6. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ერთი მხრივ, აღნიშნულ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს და მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქანებრივ უფლებებს. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთარების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

(საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2000 წ., №47)

7. ჰონორარი ნაწილდება იმ ნაწარმოებთა ავტორებსა და საავტორო და მომხიზნავე უფლებათა სხვა მფლობელებს შორის, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებში და რომლებიც, სავარაუდოა, რომ რეპროდუცირებას ახდენდნენ პირადი სარგებლობისათვის.

8. ჰონორარი არ გადაიხდებიან ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოწყობილობებსა და მატერიალურ მატარებლებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენს:

ექსპორტის საგანს;

პროფესიულ მოწყობილობას, რომელიც არ არის განკუთვნილი საშინაო გამოყენებისათვის.

9. ჰონორარი აგრეთვე არ გადაიხდებიან ფიზიკურ პირთა მიერ აღნიშნული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების პირადი მიზნით იმპორტირების შემთხვევაში.

საავტორო უფლებით დაშვებულია ცალკეული ნაწარმოების თავისუფალი გამოყენება რეპროდუცირების გზით მხოლოდ ფიზიკურ პირთა მიერ. ამ მუხლის 1-ლი პუნქტი პირდაპირ გამორიცხავს ოურიდოული პირების მიერ მოცემული უფლების გამოყენებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აუცილებლად სჭირდებათ საავტორო უფლებათა მფლობელის წინასწარი თანხმობა. ამავე პუნქტით აღინიშნულია, რომ თავისუფალი გამოყენების ობიექტი გამოქვეყნებული ნაწარმოებია. ბუნებრივია, ასეთი ნაწარმოები მხოლოდ მართლზომიერად გამოქვეყნებული უნდა იყოს. არამართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების თავისუფალი გამოყენება დასჯადია. იმის გათვალისწინებით, რომ გამოქვეყნება სხვადასხვა გზით ხდება, გასარკვევია რა გზით გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე ვრცელდება თავისუფალი გამოყენების განსახილველი უფლება. იგი, მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ნებისმიერ გამოქვეყნებაზე არ ვრცელდება. ეს აზრი იქიდან გამომდინარეობს, რომ ნაწარმოები გამოყენების ობიექტი ხდება მხოლოდ მისი გამოცემის გზით გამოქვეყნების შემდეგ, ან საჯაროდ ისეთი სახით გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ნაწარმოების შემდგომ გავრცელებას. მაშასადამე, ნაწარმოები, რომელიც დეპონირებით ან გამოფენაზე ექსპონირებით გამოქვეყნდა და ა.შ. არ ექვემდებარება თავისუფალ გამოყენებას, თუნდაც პირადი სარგებლობისათვის ერთეული ეგზემპლარის რეპროდუცირების გზით. ეჭვგარეშეა, რომ ამ უფლების ობიექტად იგულისხმება გამოცემული ნაწარმოები, აგრეთვე, ნაწარმოები, რომელიც საჯაროდ გადაიცა, შესრულდა და ა.შ.

გარდა ამისა, თავისუფალი რეპროდუცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „პირადი სარგებლობისათვის“. ჩვენი ქვეყნის კანონი უფრო მკაცრი და ერთმნიშვნელოვანია სხვა კანონებთან შედარებით. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონი მართლზომიერად მიიჩნევს ნაწარმოების თავისუფალ რეპროდუცირებას „პირადი მიზნებისათვის“ (В ЛИЧНЫХ ЦЕЛЯХ). ინგლისურენოვანი კანონები იყენებენ ტერმინს „კერძო მიზნით გამოყენებისათვის“ (for private use), ასეთ შემთხვევებში ნაწარმოების რეპროდუცირების შემდგომი გამოყენება არ არის შეზღუდული

მხოლოდ პირადად იმ პირის მიერ გამოყენებით, ვინც გადაიღო ასლი. მას შეუძლია, მაგალითად, ეს ასლი სასწავლო მიზნით გადასცეს თავის ოჯახის წევრს, რასაც საქართველოს კანონი გამორიცხავს.

საქართველოს კანონით არაფერია ნათქვამი, თუ რამდენი ეგზემპლარის რეპროდუქცირებაა დასაშვები. კანონის მოცემული მუხლის გონიდან გამომდინარეობს, რომ დასაშვებია მხოლოდ ერთი ეგზემპლარის რეპროდუქცირება.

ნათელია, რომ რეპროდუქცირებას ექვემდებარება პერიოდული გამოცემებიდან რომელიმე კონკრეტული სტატია ან სტატიის ნაწყვეტი და არა მთლიანად ჟურნალის ნომერი, ასევეა, წიგნის შემთხვევაშიც. ამასთან, აუცილებელია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა.

საერთოდ, დაუშვებელია თავისუფლად იქნეს რეპროდუქცირებული ნოტებით გამოხატული მუსიკალური და სახვითი ხელოვნების ნაწარმოები მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ რეპროდუქცირება რეპროგრაფიული გამრავლების გზით ხდება. ამაზე განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი უთითებს იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას უფლებათა ისეთი შეზღუდვების დაუშვებლობას, რომლებიც ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას აბრკოლებს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს. იგივე მიზნით არის ნაკარნახევი აღნიშნული პუნქტის დანარჩენი ქვეპუნქტებით ისეთი ნაწარმოებების ჩამოთვლა, რომელთა თავისუფალი რეპროდუქცირება საერთოდ იკრძალება.

განსახილველი მუხლის მე-3 პუნქტი თავისუფალი გამოყენების გარდა, აწესებს ანაზღაურებადი გამოყენების რეჟიმს აუდიოვიზუალური ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოებისათვის. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ძნელია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც, მაგალითად რეპროდუქცირებული ფონოგრამის ან აუდიოვიზუალური ნაწარმოების მოსმენით ან ნახვით განმარტოვებით ტყდება თავად ის პირი, რომელმაც მოახდინა რეპროდუქცირება და თავის ოჯახის წევრებს უკრძალავს შეუერთდნენ მას. საერთოდ, ნებისმიერი ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების

შემთხვევაში, ძალზე ძნელია გაკონტროლდეს პირადი სარგებლობის პირობების დაცვა. უფრო ადვილად ექვემდებარება კონტროლს რეპროდუცირებული ნაწარმოების სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა, რაც ყველა ქვეყნის კანონით მკაცრად იკრძალება.

მუხლის დანარჩენი პუნქტებით დაწესებულია ჰონორარის გადახდის პირობები აუდიოვიზუალური ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ანაზღაურებადი გამოყენების დროს.

აღსანიშნავია მე-5 პუნქტის დებულება, რომლის ძალითაც ჰონორარის შეგროვება და განაწილება დაკისრებული აქვს ერთ-ერთ კოლექტიური მართვის ორგანიზაციას. თუ ამ პუნქტს იმპერატიული ძალა აქვს, რაც მისი რედაქციიდან გამოძინარეობს, მაშინ გამოდის, რომ აუდიოვიზუალური ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოებების ავტორები საქართველოს კანონმდებლობით ვერ განახორციელებენ უშუალოდ თავად ჰონორარის შეგროვებას და იძულებულნი არიან შექმნან კოლექტიური მართვის ორგანიზაციები, ან მიმართონ უკვე არსებულს. ამასთან, მათ არც ასეთი ნაწარმოებების გამოყენების აკრძალვის უფლება აქვთ. რამდენად სამართლიანია ეს ნორმა? ჩვენი აზრით იგი დისპოზიციური უნდა გახდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იკარგება განსაკუთრებული უფლების აზრი, რადგან ავტორს ჰონორარის მოთხოვნის უფლებაც კი არა აქვს იმ სუბიექტისაგან, რომელიც კანონით გადამზღველად არის მიჩნეული. თავისი არსით ნორმა ავტორისათვის შემოსავლის მიღების გაადვილებისაკენ არის მიმართული და ამ კონტექსტით გამართლებულია კოლექტიური მართვის ორგანიზაციების შექმნა. მაგრამ, წარმოვიდგინოთ სიტუაცია: კომპოზიტორმა შექმნა საკუთარი ლექსის მიხედვით მუსიკა სიმღერისათვის და თავად შეასრულა. ნათელია, რომ საავტორო უფლებები მთლიანად ეკუთვნის ერთ პირს. ვთქვათ სიმღერა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ხალხურ სიმღერადაც კი აღიქვამენ მას. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ „ყვავილების ქვეყანა“ ან „სულიკო“. რატომ უნდა აეკრძალოს საავტორო უფლებათა მფლობელს ჰონორარის თავად შეგროვება. სიტუაცია აბსურდულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთმა ავტორმაღ მიზნად დაისახა და თავად ღებულობს ყველა ზომას, რომ აღნუსხოს

ნაწარმოების გამოყენების თითოეული ფაქტი, მათ შორის ფონოგრამაზე ჩაწერის, ანუ აგროვებს სრულ ინფორმაციას, მოთხოვნის წასაყენებლად. რატომ უნდა ჩამოერთვას ავტორს უფლება თავად შეუთანხმდეს ფონოგრამის დამამუშავებელს ჰონორარის თაობაზე?

მე-ნ პუნქტების მიხედვით, თუ კოლექტიური მართვის ორგანო და მე-4 პუნქტით აღნიშნული რეპროდუქციების გამოსაყენებელი მოწყობილობების მწარმოებლები ან იმპორტიორები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მაშინ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ განსაზღვრავს ჰონორარის ოდენობას ამ პუნქტიდან გამომდინარე, „საქპატენტი“ უკანასკნელი ინსტანციაა და მხარეებს არა აქვთ უფლება სასამართლოს მოსთხოვონ ჰონორარის განსაზღვრა.

მთლიანობაში კანონის განხილული მუხლი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 1050-ე, 1051-ე და 1053-ე მუხლების უცვლელად ერთ მუხლად შედგენილ მუხლს, იგივე სიტყვებითა და შინაარსით. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კანონმა მე-ნ პუნქტით დაასახელა ჰონორარის განმსაზღვრელი კონკრეტული უფლებამოსილი ორგანო, რაც სამოქალაქო კოდექსის 1052-ე მუხლის მე-3 პუნქტში არის აღნიშნული.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ კანონის განხილულ მუხლს აქვს ორი მე-3 პუნქტი. ამასთან, პირველ მე-3 პუნქტში აზრი დაუმთავრებელია და სრულიად გაუგებარი შინაარსისაა. კანონისათვის ასეთი რამ დაუშვებელია.

¹ ნორმის მოცემული წესი ჯერ არ გამოყენებულა.

მუხლი 22. ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ

მუხლი 22. ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ

დაშვებულაა რეპროგრაფიული გამრავლება პირდაპირი და არაპირდაპირი მოგების მიუღებლად, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით ასეთი რეპროგრაფიული გამრავლება დაიშვება:

ა) ერთეულ ექ შემპლარად, მართლზომიერად გამოცემული ნაწარმოებების განადნურებულ, დაკარგულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარ ექ შემპლარათ შესაცვლელად ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ; სხვა ბიბლიოთეკების ფონდებიდან დაკარგულ, განადგურებულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარ ექ შემპლარათ შესაცვლელად ამ ბიბლიოთეკებისათვის გადაცემის მიზნით, თუ ასეთი ექ შემპლარების მიღება ჩვეულებრივ პირობებში სხვა ვით შემუშავებულია;

ბ) ერთეულ ექ შემპლარად, მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ, ფიზიკურ პირათ მოთხოვნით, სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით;

გ) მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, მეცადინეობისათვის.

ეს მუხლი აწესრიგებს ნაწარმოების თავისუფალ გამოყენებას მოცემულ შემთხვევებში და ვრცელდება პირებზე, რომლებიც თხოვნით მიმართავენ ბიბლიოთეკებსა და არქივებს ნაწარმოებიდან ასლის გადაღებისათვის. მუხლი ვრცელდება რეპროდუცირებაზე ერთეული ასლის გადაღების (მაგალითად, კოპირების

გზით) ფარგლებში. ამასთან, ოურიდოული პირი, კერძოდ, ბიბლიოთეკა, რომელიც ასრულებს სხვა პირის თხოვნას, ვალდებულია დაიცვას ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები და არ უნდა ისახავდეს მიზნად მოგების მიღებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკას ან არქივს არა აქვს უფლება მომსახურებისათვის დააწესოს ისეთი სიდიდის საფასური, რომელიც აღემატება გაწეულ ხარჯებს.

მუხლი არ განმარტავს რას ნიშნავს ერთეული ეგზემპლარი. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ასლის გადაღება ხდება საბიბლიოთეკო ფონდის მოსაწესრიგებლად „ა“ პუნქტის მიხედვით, მაშინ „ერთეული“ უდრის საბიბლიოთეკო ფონდში ნაწარმოების ეგზემპლარების რაოდენობას, რომელთა აღდგენაც მიზნად არის დასახული ასლის გადაღებისას. სხვა შემთხვევაში იგულისხმება, რომ „ერთეული“ ნიშნავს ერთ ეგზემპლარს.

აღსანიშნავია ის, რომ 21-ე მუხლისაგან განსხვავებით, 22-ე მუხლი ცალსახად მოუთითებს, რომ მისი ძალა ვრცელდება მხოლოდ მართლზომიერად გამოცემულ ნაწარმოებზე. მაშასადამე, ისეთ გამოქვეყნებულ (მაგრამ გამოუცემულ) ნაწარმოებზე, როგორცაა სადისერტაციო ავტორეფერატი, რომელიც ბიბლიოთეკებს აქვთ, ეს მუხლი არ ვრცელდება. ასეთი გაგებით მუხლის „ა“ პუნქტის რელაქცია შესაცვლელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოუხდავად იმისა, რომ ავტორეფერატს დალუპვა ემუქრება, ბიბლიოთეკას არ ექნება მისი აღდგენის უფლება.

„ბ“ და „გ“ პუნქტები ვრცელდება მხოლოდ სტატიებზე, სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებებზე, ან წერილობითი ნაწარმოებების მოკლე ნაწყვეტებზე. სტატია შეიძლება გადაღებულ იქნეს მთლიანად ნებისმიერ პერიოდულ გამოცემიდან („ა“ პუნქტის მიხედვით დაიშვება წიგნის სრული მოცულობის ასლის გადაღება). მცირე მოცულობის ნაწარმოები¹ შეიძლება

¹ მცირე მოცულობის ნაწარმოები კანონით განსაზღვრული არ არის. საბჭოთა კავშირის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ასეთად ითვლებოდა 22-25 გვერდის მოცულობის მქონე ნაწარმოები, ხოლო ლექციის შემთხვევაში 100 სტრიქონამდე მოცულობის მქონე.

არ წარმოადგენდეს პერიოდულ გამოცემაში მოთავსებულ სტატიას ამიტომ, ფიზიკური პირის მოთხოვნით, ასლის გადაღებას ექვემდებარება მხოლოდ ასეთი მცირე მოცულობის ნაწარმოების (მაგალითად წიგნში შესული მოთხრობის) ნაწყვეტი. ამასთან, „ბ“ პუნქტის მიხედვით, ასლის გადაღების მოთხოვნის უფლება, მხოლოდ ფიზიკურ პირებს აქვთ. „გ“ პუნქტის მიხედვით, ეს უფლება აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მეცადინეობების ჩატარებისათვის, მაგალითად უნივერსიტეტებს (განურჩევლად მათი სამართლებრივი სტატუსისა – კერძო თუ საჯარო სამართლის პირი). იგულისხმება მეცადინეობა აუდიტორიაში და არა დისტანციური სწავლება.

განხილული მუხლი უცვლელია სამოქალაქო კოდექსის 1054-ე მუხლთან შედარებით.

მუხლი 23. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე

დამუშეულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით:

ა) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებების ორიგინალიდან ან თარგმანიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვით მიმოხილვისათვის რეპროდუქციების ჩათვლით;

ბ) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო- და ტელეგადსაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო- და ვიდეოჩანაწერებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში მართლზომიერად გამოქვეყნებული სტატიების ან ეთერში გადაცემული მსგავსი ნაწარმოებების რეპროდუქცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუქცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების კრებულში გამოქვეყნების უფლება;

დ) მიმდინარე მოვლენების პრაქტისში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუქცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;

ე) საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ

შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოკულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით ამასთან, ავტორს უნაჩუნდება ასეთ ნაწარმოებთან ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;

ვ) მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების კიდევ ერთი მოძწეს-რიგებელი მუხლი ეხება სამეცნიერო, სასწავლო-საგანმანათლებლო ან მიმდინარე მოვლენების გაშუქების მიზნით ნაწარმოების დაუბრკოლებლივ გამოყენებას. თავისთავად, მუხლის შინაარსი საკმარისად ნათელია, მაგრამ შევეხებით ზოგიერთ საკითხს.

როგორც 22-ე მუხლის, ისე განსახილველი მუხლის რელაქციით ნაწარმოების გამოყენებისას მოითხოვება ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითება. ამასთან, თუ რა ფორმით უნდა იქნეს მითითებული აღნიშნული არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ საკმარისია იმ მონაცემების მიზიშუმის მითითება, რაც აუცილებელია ნაწარმოების იდენტიფიკაციისა და მოძებნისათვის. ეს მონაცემებია: ავტორის სახელი, ნაწარმოების დასახელება, გამოცემის წელი, ადგილი და გვერდები, რომლებიც იქნა გამოყენებული ციტირებისას. თუ ნაწარმოები სტატიის სახითაა გამოქვეყნებული პერიოდულ ან სხვა გამოცემაში, მაშინ უნდა მიეთითოს გამოცემის დასახელება. თუ ნაწარმოები, მაგალითად წიგნი, ავტორის მითითების გარეშეა გამოქვეყნებული, მაშინ სასურველია რელაქტორის სახელის, დაწესებულების ან გამომცემლის მითითება.

მაგალითად:

1) ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თსუ, თბილისი, 1979 წ., ტომი I, გვ. 410.

2) სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1981 წ., გვ. 37;

3) რომან შენგელია, აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, „გივი ინსტიტუტი“, საიუბილეო კრებული, თბილისი, „ნორმა“, 1996 წ., გვ. 168;

4) შოთა ფაფიაშვილი, სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სამართალში, ჟურნალი „სამართალი“, თბილისი, 1995 წ., №3, გვ. 45.

ციტირებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ის დასაშვებია არ არის მხატვრული ნაწარმოებისათვის. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, რომელიმე მწერლის მიერ საკუთარ მოთხრობაში ან რომანში სხვა ავტორის ნაწარმოების, კერძოდ ლექსის ან სხვა მოთხრობის ციტატის სახით მოყვანის დაუშვებლობა. ამ შემთხვევაში, ციტირების მიზანი მხატვრული ღირსების გაზრდა იქნებოდა და არა გამოთქმული აზრის განმარტება — ეს კი დაუშვებელია. გამოთქმულ ამ აზრს სრულად ამტკიცებს განსახილველი მუხლის „ა“ პუნქტი, რომელიც ციტირების ნებას იძლევა მხოლოდ სამეცნიერო, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნით. ამ მიზნებთან ციტატის მოცულობა პირდაპირ არის მიბმული. კანონი მას არ ასახელებს და დავის შემთხვევაში საქმის გადასაწყვეტად საჭირო იქნება თვით იმ ნაწარმოების შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინება, რომელშიც იქნა მოთავსებული ციტატა. მაგალითად, თუ ციტატა აღემატება ნაწარმოების ნახევარს, ან უდრის მას, სახეზე იქნება ციტირების არამართლზომიერება.¹

¹ ზოგიერთი ქვეყნის კანონი კონკრეტულად ასახელებს ციტატის მაქსიმალურ სიდიდეს, მაგ., არგენტინის კანონის მიხედვით იგი შემოფარგლულია 1000 სიტყვით წერილობითი სამეცნიერო ან ლიტერატურული ნაწარმოებიდან და

მუხლი 23. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობისა და მისთვის პონორარის გადახდის გარეშე

გვინდა აღვნიშნოთ, რომ 23-ე მუხლის „ა“ პუნქტი შეცვლილად რელაქციულად სამოქალაქო კოდექსის 1055-ე მუხლის „ა“ პუნქტთან შედარებით (დანარჩენში მუხლი უცვლელად არის ასახული კანონში), რამაც თავდაყირა დააყენა მისი შინაარსი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით აქცენტი გაკეთებულია ნაწარმოების ორიგინალში ან მის თარგმანში სხვა მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებიდან ციტატის მოყვანაზე. კანონის მიხედვით, ციტირება დასაშვებია „მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებების ორიგინალიდან ან თარგმანიდან გამოდის, რომ დასესხების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწარმოების ორიგინალი ან მისი თარგმანი. მაშასადამე, თუ ციტირება გვინდა მოვახდინოთ სერგო ჯორბენაძის წიგნიდან „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, აუცილებლად უნდა მოვიძიოთ მისი ორიგინალი, რადგან, კანონის თანახმად, სხვა მართლზომიერად გამოქვეყნებული ეგზემპლარიდან ციტირების უფლება არა გვაქვს. მოცემულ შემთხვევაში კიდევ მოიძებნება გამოსავალი, მაგრამ თუ ციტირება არისტოტელეს შრომებიდან ან უკვლავი ვეფხისტყაოსნიდან გვსურს, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ორიგინალს ან მის თარგმანს ვერ მოვიძიებთ.

განხილული მუხლის „ბ“ პუნქტი ეხება ილუსტრაციად ნაწარმოების თავისუფალ გამოყენებას, რაც დაშვებულია მხოლოდ სასწავლო ხასიათის შემთხვევებისთვის. ეს უფლება ციტირების მსგავსია და დამატებით სხვა კომენტარს აღარ მოითხოვს, გარდა იმისა, რომ ილუსტრაციის სახით გამოყენება ნაწარმოების ბეჭტი მოცულობით არის დასაშვები, ვიდრე ციტირებისას. ამასთან, პორტრეტის ან სხვა პირის ფოტოგამოსახულების ილუსტრაციად გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პირადი უფლებები.

„გ“, „დ“ და „ე“ პუნქტები ეხება საინფორმაციო მიზნით ნაწარმოების რეპროდუცირებას. ნაწარმოების ასეთი თავისუ-

8 ტაქტით მუსიკალური ნაწარმოებიდან. ამასთან, ასეთი სიდიდის ციტატა არ უნდა შეადგენდეს ნაწარმოების არსებით ნაწილს.

ფალი გამოყენების უფლება გათვალისწინებულია ნებისმიერი ქვეყნის კანონით.

„გ“ პუნქტი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს უტოლებს თავისუფალი გამოყენების აკრძალვის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ ის საგანგებოდ მიუთითებს, რომ კრძალავს ნაწარმოების თავისუფალ გამოყენებას რეპროდუცირების გზით ჟურნალ-გაზეთებში ან საჯარო გადაცემის გზით მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური საკითხების გასამუქებლად. ფიქრობთ, ამ პუნქტის რედაქცია მოითხოვს დახვეწას, რადგან გამოდის, რომ თუ რომელიმე სტატია წარმოადგენს მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას, მაგალითად მოტანილია საფეხბურთო ჩემპიონატის შედეგები ან რომელიმე ქვეყანაში არჩევნების ჩატარების შედეგები და ავტორმა გააკეთა მინაწერი, რომ კრძალავს სტატიის გადაბეჭდვას, მაშინ 23-ე მუხლის „გ“ პუნქტით დადგენილი უფლებები ვერ განხორციელდება. ასეთი მიდგომა მართებული იქნება, თუ სტატია მოვლენების ფაქტობრივი ასახვის გარდა საკუთარ ანალიზს ან სხვაგვარი შემოქმედებითი ხასიათის წვლილის დამადასტურებელ ნაწილს შეიცავს.

მუხლი 24. თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში
მუდმივად განლაგებული ნაწარმოების გამოყენება

მუხლი 24. თავისუფალი დასწრებისათვის ღია
ადგილებში მუდმივად განლაგებული
ნაწარმოების გამოყენება

დაშვებულია თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებულ არქიტექტურულ, ფოტოგრაფიულ, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარაშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაწარმოების გამოსახულება წარმოადგენს ასეთი რეპროდუცირების ან საჯარო გადაცემის ძირითად ობიექტს ანდა გამოიყენება მოგების მიღების მიზნით.

ფოტოგრაფიასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ პირის ზოგადი, სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე, პირადი უფლებები, რომლის გამოსახულებასაც წარმოადგენს ფოტოგრაფია.

სხვა მხრივ, მუხლი განმარტებას არ მოითხოვს.

მუხლი 25. მუსიკალური ნაწარმოების საჯარო
შესრულება ცერემონიების დროს

დაშვებულია მართლ ზომიერად გამოქვეყნებული მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ასეთი ცერემონიის ხასიათით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის ფარგლები არ მოიცავს საქორწინო ცერემონიას. ამდენად, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება საავტორო უფლებათა მფლობელის თანხმობა.

მუხლი 26. ნაწარმოების რეპროდუქცირება
სასამართლო წარმოებისათვის

დაშვებულია ნაწარმოების რეპროდუქცირება ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, სასამართლო წარმოებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით.

მუხლი დამატებით კომენტარს არ მოითხოვს.

მუხლი 27. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის
მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაცია უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის დამატებითი პონორარის გადახდის გარაშე, მოკლევადიანი სარგებლობისათვის ჩაწეროს ის ნაწარმოები, რომლის ეთერში გადაცემის უფლებაც მიიღო ამ ორგანიზაციამ, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ჩანაწერის დამზადება საკუთარი მოწყობილობის მეშვეობით, საკუთარი გადაცემისათვის;

ბ) ჩანაწერის განადგურება დამზადებიდან 6 თვის შემდეგ, თუ უფრო ხანგრძლივი ვადა არ იყო შეთანხმებული ჩაწერილი ნაწარმოების ავტორთან. ავტორის თანხმობის გარეშე ოფიციალურ არქივში შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტური ხასიათის ჩანაწერი.

მუხლით ამოწურავად არის მოცემული საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერის განხორციელების შემთხვევები და პირობები.

მუხლი 28. კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მფლობელთა უფლებების შეზღუდვები

მუხლი 28. კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მფლობელთა უფლებების შეზღუდვები

1. პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ევ ზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე:

ა) შეიტანოს კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლის ტექნიკურ საშუალებათა ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ჩაწერა და კომპიუტერის მეხსიერებაში შენახვა (ერთი კომპიუტერისათვის ან ქსელის ერთი მომხმარებლისათვის), აშკარა შეცდომების გასწორება, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) დაამზადოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ევ ზემპლარი იმ პირობით, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ არჩევისათვის და მართლზომიერი მფლობელის დაკარგული, განადგურებული ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარი ევ ზემპლარის შესაცვლელად.

2. კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ევ ზემპლარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესებისაგან განსხვავებული მიზნით და უნდა განადგურდეს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის მფლობელობის უფლების შეწყვეტისთანავე.

უფლებათა შეზღუდვის ეს მუხლი ეხება მხოლოდ კომპიუტერულ პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებს და, აქედან გამომდინარე, სხვა ნაწარმოებებზე იგი ვერ გავრცელდება. მისი 1-ლი პუნქტი აწესებს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ზღუდავს საავტორო უფლებათა მფლობელის უფლებებს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მონაცემთა ბაზის ან კომპიუტერული პროგრამის მართლზომიერ მფლობელს რთავს ნებას შეასრულოს განსაზღვრული

ქმედებები, რომლებიც ამოშწურავად არის მოცემული. ავტორის თანხმობის გარეშე ნებადართულია ისეთი უფლებების განხორციელება, რომლებიც აუცილებელია კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის გამართული გამოყენებისათვის. მათ შორის, ნებადართულია ჩაწერა და ერთი კომპიუტერის მესხიერებაში ან ქსელში შენახვა, აგრეთვე, ცვლილებების შეტანა იმ მოცულობით, რაც აუცილებელი და საკმარისია პროგრამის ან ბაზის დაუბრკოლებლად გამოყენებისათვის მართლზომიერი მფლობელის ტექნიკური საშუალებების მეშვეობით.

ამასთან, 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედებების შესრულება შეიძლება აიკრძალოს ხელშეკრულების ძალით. ხოლო თუ ხელშეკრულებით ეს პუნქტი გათვალისწინებული არ არის, დავის შემთხვევაში, საკითხი საავტორო უფლებათა მფლობელის სასარგებლოდ შეიძლება გადაწყდეს.¹

1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით მოცემული ქმედებები შეიძლება შევადართო საავტორო უფლებათა შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია მაუწყებლობის ორგანიზაციების სასარგებლოდ „ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერის“, აგრეთვე, არქივებისათვის და ბიბლიოთეკებისათვის გამოუსადეგარი ეგზემპლარების აღდგენის შემთხვევებში.

განხილული მუხლის რედაქცია პრაქტიკულად სამოქალაქო კოდექსის 1060-ე მუხლის იდენტურია. ოგი, ამასთანავე, ითვალისწინებს ევროპის საბჭოს დირექტივის ელექტრონულ გამოძივლულ მანქანათა პროგრამების დაცვის შესახებ, ისმო-ს საავტორო უფლებათა შესახებ ხელშეკრულებისა და TRIPS-ის მოთხოვნებს.

¹ უფრო დეტალურად იხ. დავით ძაბუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000, გვ. 63-67.

მუხლი 29. კომპიუტერული პროგრამების
თავისუფალი გამოყენება (დეკომპილირება)

პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ეგზეკუტორს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის დეკომპილაცია (კვლავ აწაროს და გარდაქმნას ობიექტური კოდი საწყის ტექსტში), აგრეთვე დაავალოს დეკომპილირება სხვა პირებს იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია მის მიერ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ეს მოქმედებები განახორციელა პირმა, რომელსაც ჰქონდა პროგრამის ეგზეკუტორის გამოყენების უფლება, ან მისი სახელით სხვა პირმა, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი ნებართვა;

ბ) ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია სხვა წყაროებთან ადრე არ ყოფილა ხელმისაწვდომი მისთვის;

გ) ეს მოქმედებები ეხება დეკომპილირებული პროგრამის იმ ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად;

დ) დეკომპილირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად. ეს ინფორმაცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოყენებულ იქნეს ახალი კომპიუტერული პროგრამის შესაქმნელად, რომელიც არსებითად მსგავსია დეკომპილირებული პროგრამისა, ან სხვა ისეთი მოქმედების განსახორციელებლად, რომელიც არღვევს საავტორო უფლებას.

ამ მუხლის 28-ე მუხლთან შედარებით უფრო ვიწრო მოქმედების არეალი აქვს. იგი მხოლოდ კომპიუტერულ პროგრამებზე, კერძოდ, პროგრამის დეკომპილირებაზე ვრცელდება.

დეკომპილირება გულისხმობს სტრუქტურირებისა და კოდირების შესასწავლად პროგრამის საწყისი ტექსტის კლავწარმოებასა და ობიექტური კოდის გარდაქმნას.¹ დეკომპილირება ტექნიკური ოპერაციაა და საავტორო უფლების მასზე არ გავრცელების მიზეზი არის ის, რომ საავტორო სამართალი განსაკუთრებულ უფლებებს არ ავრცელებს ნაწარმოებში გამოხატულ იდეებზე, მათ შორის ტექნიკური ხასიათისა. აღნიშნული ტექნიკური ხასიათი კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით, რაც შემთხვევებში, იძლევა მათი საპატენტო სამართლით დაცვის საშუალებას. ამ მუხლის ზოგადი შინაარსი არის ის, რომ კომპიუტერული პროგრამის მართლზომიერ მფლობელ პირს უფლება აქვს განახორციელოს დეკომპილირება, რათა უზრუნველყოს იმ მიზნების მიღწევა, რაც დასახული ჰქონდა პროგრამის შექმნის დროს. ამასთან, დეკომპილირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისე, რომ საავტორო უფლებათა მფლობელს არ მიაღვს ზიანი.

28-ე მუხლთან შედარებით, ამ მუხლის თავისებურებაა ის, რომ აუცილებელი არ არის კომპიუტერული პროგრამის დეკომპილირება განახორციელოს თავად ამ პროგრამის მართლზომიერმა მფლობელმა. იგი შეიძლება განახორციელოს მესამე პირმაც პროგრამის მფლობელის დავალებით.

განხილული მუხლი იმეორებს სამოქალაქო კოდექსის 1061-ე მუხლის რედაქციას იგივე მნიშვნელობის ხარვეზებით. კერძოდ, კომპიუტერული პროგრამის დეკომპილირება სამოქალაქო კოდექსისა და ახლანდელი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მიხედვით, შეიძლება დაევალოს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც უკვე შექმნილი აქვს დამოუკი-

¹ ობიექტური კოდის გარდაქმნით მიიღწევა პროგრამის მანქანური ტექსტის ადამიანურ ენაზე გადატანა. სავარაუდოა, რომ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით კომპიუტერული პროგრამის „თარგმნის“ ნაცვლად „გარდაქმნა“ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

მუხლი 29. კომპიუტერული პროგრამების თავისუფალი გამოყენება
(დეკომპილირება)

დებელი პროგრამა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული სხვა პროგრამებთან ურთიერთქმედების მისაღწევად.¹

¹ უფრო დაწვრილებით იხ. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000, გვ. 66-67.

მუხლი 30. მონაცემთა ბაზის თავისუფალი გამოყენება

მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლის მართლზომიერ მოსარგებლეს შეუძლია მონაცემთა ბაზის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობის გარეშე განახორციელოს ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული მოქმედებები, როცა ეს აუცილებელია ბაზაში შეღწევისათვის და მისი ნორმალური გამოყენებისათვის. თუ მართლზომიერ მოსარგებლეს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის გამოყენების უფლება, აღნიშნული უფლება ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

განსახილველი მუხლი ახალია სამოქალაქო კოდექსთან შედარებით. იგი უფრო მითითებითია და მე-19 მუხლისაგან განსხვავებული იურიდიული შინაარსი აქვს. მისი არსებობა მიზანშეწონილი იქნებოდა მე-19 მუხლთან ერთად.

საზოგადოდ, ამ მუხლის კანონში ჩართვა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მონაცემთა ბაზებისა და კომპიუტერული პროგრამების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს დირექტივის, ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებისა და „TRIPS“-ის მოთხოვნების მეტი სისრულით დაკმაყოფილებასთან.

თავი IV. საავტორო უფლების მოქმედების ვადა

ინტელექტუალური საკუთრებითი უფლებების მოქმედება შემოფარგლულია დროით. ეს უპირველეს ყოვლისა განპირობებულია კრძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსების აუცილებლობით. შემოქმედებითი შრომის პროდუქტი, თავისი სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ღირებულების გამო, სამართლის იმ ობიექტთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის გამოყენება საზოგადოებისათვის შესაძლებელი უნდა გახდეს კანონით დაწესებული გონივრული ვადის გასვლის შემდეგ. მანამდე კი იგი მხოლოდ ავტორისათვის წარმოშობს პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს. ამ საკითხის მიმართ კანონმდებლობა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით ხასიათდება. საავტორო უფლებების მოქმედების ვადა საქართველოშიც რამოდენიმეჯერ შეიცვალა. საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით საქართველოში საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა 1973 წლის 1 ივნისამდე შეადგენდა 15 წელს ავტორის გარდაცვალების დღიდან. ამ თარიღიდან, რადგან საბჭოთა კავშირი საავტორო უფლებათა დაცვის მსოფლიო კონვენციას შეუერთდა, საავტორო უფლებათა დაცვის ვადა 25 წლამდე განისაზღვრა. იგი მოქმედებდა 1995 წლის 1 მაისამდე, როცა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მონაწილე გახდა და საავტორო უფლებათა მოქმედების მინიმალური ვადა განისაზღვრა 50 წლით ავტორის გარდაცვალებიდან. ეს ვადა დაფიქსირდა საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსშიც. 1999 წლის ივლისიდან კი ეს ვადა გაიზარდა 70 წლამდე. ეს ფაქტი დაფიქსირდა საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. საქართველოში ასეთ პოზიციას საფუძვლად დაედო ევროპის თანამეგობრობის ფარგლებში მოქმედ ნორმებთან ეროვნული ნორმის პარამონიზაციის აუცილებლობა. საავტორო და ზოგიერთი მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადის

უნიფიცირების შესახებ ევროპის თანამეგობრობის საბჭოს 1993 წლის 29 ნოემბრის დირექტივით საავტორო უფლებათა დასაცავად დადგენილი იქნა 70-წლიანი ვადა. საავტორო უფლებათა დაცვის ვადის ზრდის ტენდენცია ავტორთა და მათი მემკვიდრეების ინტერესებისადმი სახელმწიფოებრივი ზრუნვის გონივრულ პოზიციას გამოხატავს.

მუხლი 31. საავტორო უფლების წარმოშობა და მისი მოქმედების ვადა

1. საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში. გარდა ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლით და ამავე კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა.

საავტორო უფლების წარმოშობა ხდება ისეთი ობიექტური ფორმით გამოხატული ნაწარმოების შექმნის მომენტიდან, რომლის აღქმა ან რეპროდუცირება შესაძლებელია. მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება ავტორის დარჩენილი სიცოცხლით და გარდაცვალების შემდეგ 70 წლით. ეს დებულება ვრცელდება როგორც ჩვეულებრივ ისე განსაკუთრებულ საავტორო უფლებებზე. გამონაკლისია მომდევნო მუხლით გათვალისწინებული ცალკეული შემთხვევები, როცა შესაძლებლადაა მიჩნეული საავტორო უფლებების უფრო ნაკლები ვადით მოქმედება. განსახილველი მუხლის მეორე პუნქტი ეხება ვადების ათვლის წესს. ყველანაირი საავტორო უფლების ათვლა იწყება ნაწარმოების შექმნის მომენტიდან.

ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა ავტორი გარდაიცვლება, საავტორო უფლების დაცვის დადგენილი ვადის დენა დაიწყება აღნიშნული იურიდიული ფაქტის დადგომიდან მომდევნო ახალი წლის პირველი იანვრიდან. არა აქვს მნიშვნელობა თუ რამდენი თვე ან დღე რჩება ამ თარიღამდე. მაგალითად, თუ ნაწარმოები შეიქმნა 1990 წელს, ხოლო მისი ავტორი გარდაიცვალა 2000 წლის 15 მარტს, მისი საავტორო უფლება ათვლდება 2001 წლის 1 იანვრიდან და იმოქმედებს 2071 წლის 1 იანვრამდე. იგულისხმება, რომ ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველ იანვრამდე პერიოდის განმავლობაში საავტორო უფლებები კი არ წყდება, არამედ ავტომატურად განაგრძობს მოქმედებას.

მუხლი 32. საავტორო უფლებათა მოქმედების ვადები

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნდა, მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერად გამოქვეყნების თარიღიდან. თუ ამ ვადაში ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ან თუ მისი ვინაობა ეჭვს არ იწვევს, გამოიყენება ამ კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

2. საავტორო უფლება თანავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული თანავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

3. თუ ნაწარმოები ქვეყნდება ტომბად, ნაწილებად, გამოშვებულ ან ებიზიდებულ, ხოლო საავტორო უფლების დაცვის ვადა ათვლდება მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან, ეს ვადა გამოითვლება თითოეული ასეთი ნაწარმოებისათვის.

4. საავტორო უფლება ამ კანონის მე-12 და მე-13 მუხლებში აღნიშნულ ნაწარმოებზე მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მათი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან, ხოლო თუ ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა – მისი შექმნის თარიღიდან.

5. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე მოქმედებს ამ კანონის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ავტორთაგან (თანავტორთაგან) უკანასკნელის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

6. იმ პირის ქონებრივი საავტორო უფლება, რომელმაც მართლზომიერად გამოაქვეყნა ადრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები (მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი), მოქმედებს 25 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან.

განსახილველი მუხლი საავტორო უფლებათა მოქმედების განსხვავებულ ვადებსა და ათვლის წესს ადგენს, რასაც საფუძვლად უდევს განსხვავება ცალკეულ საავტორო უფლებებს შორის.

1. ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე, რომლის ავტორი არ გამჟღავნებს თავის ვინაობას ან მისი ვინაობა ეჭვს იწვევს საზოგადოებაში, საავტორო უფლება მოქმედებს მართლზომიერად გამოქვეყნებიდან 70 წლის განმავლობაში.

სხვა შემთხვევებში კი – ავტორის სიცოცხლისა და დამატებით 70 წლის განმავლობაში. მაგ., აკა მორჩილაძის სახელით გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ საავტორო უფლება გიორგი ახვლედიანს ექნება მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდეგ კიდევ 70 წელს, რადგან საზოგადოებისათვის ამ ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს.

2. თანავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადა ძირითადად დამოკიდებულია უკანასკნელი თანავტორის სიცოცხლეზე, რადგან მის სიცოცხლეში მოქმედებს სხვა თანავტორების საავტორო უფლებებიც, მიუხედავად იმისა, თუ როდის გარდაიცვალა თითოეული მათგანი.

გარდა ამისა, ყველა თანავტორის საავტორო უფლებები იმოქმედებს უკანასკნელი მათგანის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. მაგ., თ. წერეთლისა და გ. ტყეშელაძის თანავტორობით 1969 წელს გამოიცა მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულზე“. მიუხედავად იმისა, რომ თ. წერეთელი გარდაიცვალა 1975 წელს, ორივე ავტორის უფლების მოქმედების ვადა გრძელდება გ. ტყეშელაძის სიცოცხლის პერიოდში და შემდეგ კიდევ 70 წლის განმავლობაში.

3. ნაწარმოების ცალკეულ დამოუკიდებელ ნაწილებად გამოქვეყნების შემთხვევაში, თუ საავტორო უფლებების დაცვის ვადის ათვლა ხდება მართლზომიერად გამოქვეყნების თარიღიდან, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული ამ ნაწილის გამოქვეყნების დრო. მაგ., „ქართული პროზის“ პირველი წიგნი გამოიცა 1982 წელს, ხოლო მეოცე კი – 1991 წელს. გამომცემლობა „საქართველოს“ საავტორო უფლება პირველ წიგნზე ექნება 2052 წლამდე, ხოლო მეოცე წიგნზე კი – 2061 წლამდე.

4. შედგენილი ან გადაბეჭდვითი ნაწარმოების ავტორების ან თანავტორთა საავტორო უფლებები მოქმედებს ასეთი ნაწარმოების მართლზომიერად გამოქვეყნებიდან ან გამოუქვეყნებლობის

შემთხვევაში – შექმნის თარიღიდან 70 წლის განმავლობაში. მაგ. ვ. კოტეტიშვილმა 1980 წელს გამოსცა მის მიერ შეღვენილი ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგია. 1995 წელს კი მისი გადამუშავების შედეგად რ. ძნელაძემ შექმნა სასკოლო ქრესტომათია, რომელიც არ გამოცემულა. საავტორო უფლება ვ. კოტეტიშვილს უნარჩუნდება 2051 წლამდე, ხოლო რ. ძნელაძეს – 2065 წლამდე.

5. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყველა თანაავტორის (დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგის ავტორი და მუსიკის ავტორი) საავტორო უფლებები მოქმედებს უკანასკნელი მათგანის სიცოცხლის პერიოდში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მოქმედებს განსახილველი მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული წესი.

6. კანონი ითვალისწინებს იმ პირის ქონებრივი ინტერესების დაცვას, რომელმაც მართლზომიერად გამოაქვეყნა ადრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. ამ შემთხვევაში საქმე ეხება სხვისი ნაწარმოების გამოქვეყნებას. მაგ., გალაკტიონ ტაბიძის ადრე გამოუქვეყნებელი ლექსები 2000 წელს გამოაქვეყნა მისმა ძმისშვილმა – ნოდარ ტაბიძემ. ამ უკანასკნელის ქონებრივი საავტორო უფლება იმოქმედებს გამოქვეყნებიდან 25 წლის განმავლობაში. ე.ი. 2025 წლამდე და არა უფრო მეტი ვადით, ეს იმიტომ, რომ იგი თავად არ არის ავტორი და სარგებლობს მხოლოდ საავტორო ქონებრივი და არა სხვა უფლებებით, რომლის წარმოშობის საფუძველი ნაწარმოების შექმნა კი არა, გამოქვეყნებაა.

მუხლი 33. უკადო საავტორო უფლებები

1. ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უკადოდ.

2. საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე ენარის ნაწარმოებისათვის, თუ ასეთმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ავტორთა აღრევა, რამაც შესაძლოა შეცლომაში შეიყვანოს საზოგადოება.

3. დაუშვებელია ნაწარმოების გამოქვეყნება ისეთი ფსევდონიმით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა გამოქვეყნებული სხვა ნაწარმოების ავტორთან გაიგივება, რამაც შესაძლოა შეცლომაში შეიყვანოს საზოგადოება.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებიდან, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია კანონის მე-17 მუხლში, სპეციალურადაა გამოყოფილი რამოდენიმე უფლება, რომელთა დაცვა ხორციელდება უკადოდ. ასეთ უფლებებს განსახილველი მუხლის პირველი პუნქტით მიეკუთვნება: ნაწარმოების ავტორის უფლება, სახელის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და ავტორის რეპუტაციის პატივისცემის უფლება. ამ უფლებათა შინაასი ზემოთ არის გადმოცემული. უკადო დაცვა, აქ აღნიშნულის გარდა, სხვა პირად არაქონებრივ უფლებებზე არ ვრცელდება.

33-ე მუხლის დანარჩენი პუნქტები კრძალავენ სხვა ავტორთა მიერ ისეთ ქმედებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ავტორთა აღრევა და საზოგადოების შეცლომაში შეყვანა. დაუშვებლად არის მიჩნეული, მაგალითად, სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე ენარის ნაწარმოებისათვის ან სხვისი ფსევდონიმის გამოყენება. „დათა თუთაშხია“ არ შეიძლება ვინმემ დაწეროს პოემად. ეს გამომდინარეობს ჭაბუა ამირეჯიბის საავტორო უფლებების დაცვის აუცილებლობიდან.

მუხლი 34. ვადაგასული საავტორო უფლების გამოყენება

1. ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამასთან, დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის ავტორობის უფლებები. ეს წესი ვრცელდება იმ ნაწარმოებზედაც, რომელიც არ იყო დაცული საქართველოს ტერიტორიაზე.

2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სპეციალური ანარიცხები საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოების გამოქვეყნებისათვის, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია. ასეთი ანარიცხებიდან მიღებული შემოსავალი გადაეცემა ავტორთა პროფესიულ ფონდებს და ორგანიზაციებს, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა ქონებრივ უფლებებს. ანარიცხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების გამოყენების შედეგად მიღებული მოგების 3 პროცენტს.

საავტორო უფლებების კანონით დადგენილი მოქმედების ვადის გასულა წარმოშობის ნაწარმოების გამოყენების შესაძლებლობას საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამ მომენტიდან ნებადართულია ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნება, გადამუშავება და სხვა. ასეთ შემთხვევებში ლაპარაკია ავტორის შემკვიდრების ან მათი უფლებამონაცვლების მიერ ქონებრივი ხასიათის უფლებების შეწყვეტაზე. რაც შეეხება პირად არაქონებრივ უფლებებს, განსაკუთრებით კი უვადოდ დაცულ უფლებებს, მათი დაცვის ვალდებულება კვლავაც ძალაში რჩება. იგი უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტით შესაძლებლად არის მიჩნეული კანონმდებლობით სპეციალური ანარიცხების დადგენა საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოების გამოყენებისათვის, რომელსაც საავტორო ქონებრივი უფლების ვადა გაუვიდა. ამ

გზით შემოსული თანხები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მიზნობრივად პროფესიული ფონდების ან ორგანიზაციების მიერ. კანონით განსაზღვრულია, აგრეთვე, ანარიცხების ოდენობა. იგი არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების გამოყენებისას მიღებული მოგების 3 პროცენტს. კანონის მიერ დადგენილი ეს შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არის რეალიზებული.

თავი V. საავტორო უფლების გადაცემა

ამ თავის კონკრეტული მუხლების კომენტარებამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია თეორიული საფუძვლების მცირე მიმოხილვა, რომლებსაც ემყარება უფლებების გადაცემის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები.

ისტორიულად საავტორო უფლებებს შორის მთავარი ქონებრივი უფლება ნაწარმოების კლავწარმოების უფლება იყო, რომელსაც, ძირითადად, გამომცემლები ეპატრონებოდნენ ხოლმე. ფაქტობრივად, ავტორის სიცოცხლეშივე საავტორო ქონებრივი უფლებების მფლობელები და განმკარგველები გამომცემლები ხდებოდნენ. შემდგომ, ტექნიკის განვითარებასთან ერთად, სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობა სხვა ქონებრივმა უფლებებმაც შეიძინა. კერძოდ, ხმის ჩამწერი ორგანიზაციები, შემდგვრიდო და აუდიო-ვიდეო ჩანაწერების განმახორციელებლები და გამავრცელებლები დაემატნენ იმ სუბიექტთა რიცხვს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ბაზრის მონოპოლიზების პირობებში, რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით გავერცელებინათ ნაწარმოები. ასეთი ვითარება ავტორთა ინტერესებსაც ემსახურებოდა, მაგრამ ავტორები აღარ იყვნენ თანახმანი თავისი ეკონომიკური უფლებები სრულად დაეთმოთ აღნიშნულ პირთა სასარგებლოდ, რადგან კარგავდნენ შემოსავლის განსაზღვრის კონტროლს. როდესაც ავტორი სრულად თმობდა განსაკუთრებულ უფლებებს, იგი ფაქტობრივად საკუთრების უფლებას გადასცემდა მესამე პირს, ანუ „სამუდამოდ ასხვისებდა საკუთრებას“. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებული განსაკუთრებული უფლება ავტორის მემკვიდრეზეც ვეღარ გადავიდოდა. ყოველივე აღნიშნულმა და მრავალმა სხვა მიზეზმა განაპირობა საავტორო სამართლის ნორმებით უფლებათა გადაცემის ისეთი აქტების შეკვეცა, რომლებიც იწვევდნენ განსაკუთრებული უფლებების გადაცემას საკუთრების ტიტულის გადაცემასთან ერთად. ეს პრინციპი ისე უნდა გავიგოთ, რომ განვასხვავოთ ადრინდელი (საბჭოური) იმპერატიული მიდგომა საკითხისადმი, როდესაც საგამომცემლო ხელშეკრულებით ნაწარმოების გამოყენების

განსაკუთრებული უფლების გადაცემა განიმარტებოდა, როგორც ამ უფლებაზე საკუთრების გადაცემა. თუ მხარეები ასეთი სახის უფლებების გადაცემაზე შეთანხმდნენ, მაშინ ხელშეკრულებამ პირდაპირ უნდა გაითვალისწინოს გასხვისება – საკუთრების გადასვლა¹ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარისაგან მეორე მხარეზე. ამის დასტური საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ხელშეკრულების ბუნებაა, რომელიც კონსენსუალურია. მაშასადამე, არ უნდა ვიგულისხმოთ თითქოს ხელშეკრულებამ გაითვალისწინა ის, რაც მხარეთა შორის არ შეთანხმებულა, როდესაც საქმე უფლებათა გადაცემის კარდინალურ საკითხს ეხება. მხედველობაში გვაქვს მთავარი საკითხის გარკვევა – ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს ერთი ან ყველა საავტორო უფლების (რომლებსაც, მაგალითად საქართველოს საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლი ითვალისწინებს) ერთობლივად სარგებლობის უფლება გადაეცემა დროებით, თუ საკუთრების შემადგენელი ყველა უფლება გადაეცემა სამუდამოდ, რაც იმის აღმნიშვნელი იქნება, რომ ხდება საკუთრების გასხვისება. თუ განსაკუთრებული უფლების გასხვისება პირდაპირ არ

¹ რუსი მეცნიერი ელუარდ გავრილოვი რუსეთის საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონის კომენტარში აღნიშნავს: „Передачу имущественных авторских прав следует отличать от перехода этих прав к другому лицу. Переход - более широкое понятие: сюда включаются и те случаи, когда авторские права переходят к другому лицу помимо воли автора (наследование, переход прав на служебные произведения, переход прав на аудиовизуальные произведения и др.). „Комментарий к закону об авторских и смежных правах“ М., 1996 г., с. 134. აქედან გამომდინარეობს, რომ უნდა განვასხვავოთ უფლებათა გადაცემა უფლებათა „გადასვლისაგან“, რადგან გადასვლა მოიცავს ისეთ იურიდიულ აქტსაც, როდესაც უფლება სხვა პირზე ავტორის ნების გარეშე გადადის. ძეგლი არ გავიზიაროთ ეს მოსაზრება და არა მარტო ქონებრივი უფლებების მიმართ, როგორც გავრილოვი აღნიშნავს, არამედ არაქონებრივი უფლებების მიმართაც. ეს მოსაზრება მხედველობაში გვაქნება ყველა იმ ნორმის განმარტებისას, რომელიც საავტორო უფლებათა გადაცემას ეხება.

გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტიტული ავტორს რჩება.

უფლებათა გადაცემის (გასხვისების) მართლზომიერებასთან დაკავშირებული საკითხის ირგვლივ მუდმივი დავა მიმდინარეობდა საბჭოურ ლიტერატურაში, რაც საბოლოოდ დსთ-ს ქვეყნების კანონების მიხედვით, გადაწყდა, რომ უფლებათა გადაცემა, ტიტულის ჩათვლით, დასაშვებია.¹

სადღეისოდ უფლებათა გადაცემასთან დაკავშირებით მაინც არსებობს ორი განსხვავებული მიდგომა. პირველის მიხედვით, რომელსაც, საერთო სამართლის ქვეყნები, საფრანგეთი და სხვა ფრანგული სამართლის მიმდევარი ქვეყნები იზიარებს, უფლებათა გადაცემა დასაშვებია, მაგრამ კანონი აწესებს ზოგად იმპერატორულ მოთხოვნებს, რომლებიც ავტორს საშუალებას აძლევს იყოს დაცული გაუთვალისწინებელი ზიანისაგან. ამავე მიზანს ემსახურება დაწერილებითი საკანონმდებლო ტიპიზაციის მეშვეობით მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგება. ტიპიზაცია თავის გამოხატულებას ხელშეკრულებათა ტიპობრივი სახეების დაწესებით პოვებს, რაც, სამწუხაროდ, არც საქართველოს საერთო და მომოჯნავე უფლებების შესახებ კანონში და არც ვალდებულებით და სახელშეკრულებო სამართალში არ იქნა გაითვალისწინებული.²

¹ როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ავტორს საკუთრების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და ამ პოზიციის გასამართლებლად იქნებოდა შესაბამისი თეორიები. ერთ-ერთი ასეთი იყო „ნებართვის გაცემის თეორია“, რომლის მიხედვითაც ავტორს მხოლოდ განსაკუთრებული უფლებით სარგებლობის უფლება შეეძლო გადაეცა. არსებობდა მეორე, საწინააღმდეგო „უფლებათა დათმობის“ თეორიაც, რომელმაც გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

² ასეთი მიდგომა, ალბათ, საბჭოთა კავშირის მარწუხებიდან დაღწევის სურვილმა და არსებული კანონებისადმი და სამართლებრივი თეორიებისადმი ნიპილისტურმა დამოკიდებულებამ განაპირობა. საბჭოთა კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო ტიპობრივი ხელშეკრულებები, რაც საავტორო სამართლის ზოგად პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. ვფიქრობთ სასარგებლო იქნება კანონმდებელი ამ საკითხს დაუბრუნდეს.

განსხვავებულად უდგება საკითხს გერმანიის საავტორო სამართალი, რომელიც საავტორო უფლებათა მონისტური თეორიიდან (ავტორისაგან და ერთმანეთისაგან განუყოფელი ბუნების აღიარების თეორიიდან) გამომდინარე, არ ცნობს საავტორო უფლებათა ნაწილობრივ ან სრულ გადაცემას ავტორის სიცოცხლეში. იგი აწესებს გამოყენების უფლების გაცემის შესაძლებლობას მხოლოდ განსაკუთრებული ან არაგანსაკუთრებული ლიცენზიის საშუალებით.

საქართველოს საავტორო სამართალი ითვალისწინებს როგორც განსაკუთრებული უფლებების გასხვისებას ტიტულის გადაცემის ჩათვლით, ისე გამოყენების უფლების გაცემას. ამ საკითხების მოსაწესრიგებლად განსახილველი (სპეციალური) თავი შეიცავს ათ (35-ე-44-ე) მუხლს.

მუხლი 35. საავტორო უფლების გადაცემის საფუძვლები

1. საავტორო უფლება გადაეცემა კანონით ან ანდერძით შემკვიდრუობის წესით

2. კანონით შემკვიდრუებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში გადადის ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებები შემკვიდრუობით არ გადადის შემკვიდრუებს უფლება აქვთ განახორციელონ აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება ვადით არ იზღუდება.

4. თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან შემკვიდრუობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება შემკვიდრუებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

5. ავტორს უფლება აქვს მოეთითოს პირი, რომელსაც ის ნიშნავს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული უფლებების დამცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს ავტორის გარდაცვალებამდე.

6. თუ შემკვიდრუები არ არსებობენ ან არაგვერვნად ახორციელებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ უფლებებს, ამ უფლებების დაცვას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქსატენტი“.

(საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №47, 2000 წ.)

მუხლი ადგენს საავტორო უფლებათა გადაცემის¹ ზოგად

¹ ტერმინი „გადაცემა“ ამ მუხლისა და V თავის დანარჩენი მუხლების მიხედვით, მოიცავს როგორც გასხვისებას – საკუთრების გასხვისების გაგებით (ტიტულის გადასვლას მესამე პირზე), ისე უფლებათა დროებით გადაცემას მათი გამოყენების მიზნით (ტიტული არ გადადის).

წესს, როდესაც საავტორო უფლებები გადადის მათი მფლობელის ნების გარეშე. ამიტომ არის, რომ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულია უფლებათა გადაცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით. უფლებათა გადაცემა კანონით გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, კანონისმიერი მემკვიდრეობით უფლებათა გადაცემას შესაბამისი როგის მემკვიდრეებზე აუცილებელი წილის გათვალისწინებით და ა.შ. ანუ, იგი წესად აქცევს, რომ საავტორო უფლება წარმოადგენს რა არამატერიალურ სიკეთეს და შეადგენს ქონებას, ექვემდებარება ჩვეულებრივი წესით მემკვიდრეობით გადაცემას. ამ პუნქტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით საბოლოოდ დამკვიდრდეს და ურყევი გახდეს მემკვიდრეობის წესით საავტორო უფლებათა გადაცემის შესაძლებლობა. გარდა ამისა, კანონით გადაცემა შეიძლება მოხდეს არამართო მემკვიდრეობის წესით. კანონმა შეიძლება იმპერატიულად დაადგინოს საავტორო უფლების გადაცემა იმ პირზე, რომელთანაც ავტორს აქვს დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა. საქართველოს საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონი ამის მაგალითებს იძლევა მე-14, მე-15 და მე-16 მუხლებით. მათი ძალით საავტორო უფლება გადადის გამომცემელზე, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელზე ან სამუშაოს მიმცემზე ამასთან, აღნიშნული მუხლები არ გამორიცხავს საავტორო უფლების გადაცემის საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობას, რასაც ხელშეკრულების დადებას ანდობს. მაგრამ, თუ ხელშეკრულება არ დადებულია, მაშინ საავტორო უფლება გადაცემულად ჩითვლება აღნიშნული მუხლებით განსაზღვრულ ფარგლებში, თუ დადგა შესაბამისი ფაქტი (გამოიცა ენციკლოპედია, დამზადდა აუდიოვიზუალური ნაწარმოები, სამუშაოს მიმცემს გადაეცა ნაწარმოები და სხვ.).

განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტი უფლებათა კანონით გადაცემისას აღნიშნულ ორგვარ შემთხვევას გულისხმობს (და არა მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის წესით), რაც მისი რელაქტივიდან გამომდინარეობს, რადგან იგი მემკვიდრეობის წესს მხოლოდ ანდერძთან ერთად მოიხსენიებს.

იმას, თუ რა სახის უფლებების გადაცემა დაშვებული, 35-ე მუხლი მომდევნო პუნქტებით განმარტავს და ცალსახად მოუთითებს, რომ გადაცემას ექვემდებარება ყველა ქონებრივი უფლება, რომელიც მე-18 მუხლითაა გათვალისწინებული. მორალურ უფლებათაგან გადაეცემა მხოლოდ ერთი უფლებაა – შესაძლოა პირს მოეცეს ნებართვა, ავტორისეულ ნაწარმოებს დაურთოს საკუთარი ნაწარმოები ილუსტრაციის, წინასიტყვაობის და ა.შ. სახით. სხვა დანარჩენი პირადი არაქონებრივი უფლებები არ ექვემდებარება გადაცემას, მათ შორის მემკვიდრეობის წესითაც კი. მემკვიდრეებს შეუძლიათ დაიცვან ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები – ავტორობის უფლება, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება. ამასთან, მემკვიდრეთა მიერ ავტორის მორალური უფლებების დაცვა ვადით არ იზღუდება, მაშინ, როცა ქონებრივი უფლებების გადასვლა ძალაშია მხოლოდ ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის ვადით.

ქონებრივ უფლებებთან მიმართებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონი (ისე როგორც სამოქალაქო კოდექსის 106ნ-ე მუხლი) მე-18 მუხლით მოცემული უფლებების გარდა სხვა ქონებრივ უფლებას არ ასახელებს. კერძოდ, მე-20 მუხლით გათვალისწინებულია, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების საჯაროდ გაყიდვის შემდეგ პონორარის მიღების უფლება 5 პროცენტის ოდენობით. ეს გასაგებიცაა, რადგან მისი მემკვიდრეობის წესით გადაცემის საკითხს თავად მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი აწესრიგებს. გარდა ამისა, მე-18 მუხლისაგან განსხვავებული ქონებრივი უფლებები დასახელებულია სხვა მუხლებითაც. კერძოდ, მე-12 მუხლი განსაზღვრავს შემდგენლის განსაკუთრებულ უფლებებს მასალის შერჩევასა და განლაგებაზე. ამ უფლების მიკუთვნება ქონებრივ უფლებებისადმი შეიძლება სადავო იყოს, რადგან კანონი დღეში ამის შესახებ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი შეიძლება იქნეს მიკუთვნებული როგორც მორალურ, ისე ქონებრივ უფლებებისადმი. გამოყენების თვალსაზრისით, იგი უფრო ქონებრივი ხასიათისაა, ვიდრე არაქონებრივი. როგორც აღვნიშნეთ, ამ უფლებას მე-18 მუხლი არ მოიცავს და გამოდის, რომ მისი გადაცემა კანონით, მათ შორის მემკვიდრეობის წესით, დაუშვებელია. თუ ამ უფლებას

კანონი მორალურ უფლებათა რიცხვს მიაკუთვნებდა, მაშინ იგი 35-ე მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტით მაინც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რასაც ადგილი არა აქვს. აქედან გამომდინარე, შეზღუდვის შემკვიდრები მისი უფლებათა დაცვის კონტროლის უფლებასაც კი არიან მოკლებული.

გარდა აღნიშნულისა, მე-18 მუხლისაგან განსხვავებით (დამატებით) უფლებებს ასახელებს მე-19 მუხლი, რომლის 1-ლი პუნქტი მიუთითებს: „კომპიუტერული პროგრამის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით. “ ზუსტად იგივე ტექსტია მოცემული მე-2 პუნქტით, რომელიც მონაცემთა ბაზის უფლებებს ეხება. ამ მუხლით დასახელებული უფლებების ქონებრივი ბუნება ცალსახაა, რადგან კანონი მათ მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებათა რიგში მოიხსენიებს. შესაბამისად, გამოდის, რომ მათი გადაცემა კანონით ან ანდერძით არ დაიშვება იმის გამო, რომ 35-ე მუხლი მხოლოდ მე-18 მუხლით ჩამოთვლილ უფლებების გადაცემას ეხება. ვითარებას არც 36-ე მუხლი ცვლის, როდესაც მიუთითებს იმ ქონებრივ უფლებებზე, რომლებიც საავტორო უფლებათა მფლობელმა შეიძლება გადასცეს მესამე პირს. ქონებრივ უფლებათა გადაცემასთან დაკავშირებით აღნიშნული ხარვეზები კანონისთვის დაუშვებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულ ხარვეზს არ შეიცავდა და კარგი იქნება თუ საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ამჟამად მოქმედი კანონის განსახილველი მუხლი ჩამოყალიბდება ისეთი რედაქციით, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სამოქალაქო კოდექსის ნორმათა გონი არა მარტო ქონებრივ, არამედ არაქონებრივ უფლებებთან მიმართებითაც.

მორალურ უფლებებს შეეხებთ იმიტომ, რომ სამოქალაქო კოდექსის 1066-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულია გამოუქვეყნებელი ნაწარმოების გამოქვეყნების უფლების გადაცემა, რომელიც ვადით არ იზღუდება. კანონმა 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაასახელა მხოლოდ ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვის უფლების შემკვიდრების წესით გადაცემა.

გამოქვეყნებული ნაწარმოების გამოქვეყნების უფლებას იგი ისევე, როგორც მე-3 პუნქტი, არ ეხება. გამოდის, რომ ამ უფლების გამოყენებისა და დაცვის უფლება მემკვიდრეებს საქართველოს ამჟამინდელი კანონით აღარ ეკუთვნის. ამ ვითარებას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება გამოაქვეყნოს გამოქვეყნებული ნაწარმოები საავტორო უფლებათა ვადის გასვლის შემდეგ და მისთვის აწესებს იგივე ქონებრივ უფლებებს, მაგრამ ნაკლები ვადით. მაშასადამე, ბუნებრივია ვიგულისხმობთ, რომ გამოქვეყნების უფლება საავტორო უფლებათა მოქმედების დროს მემკვიდრეებზე უნდა გადავიდეს. სამწუხაროდ, 35-ე მუხლმა უარყო ეს ვარაუდი, რადგან ამომწურავად ჩამოთვალა ის უფლებები, რომლებიც შეიძლება კანონით გადავიდეს უფლებამონაცვლეზე მემკვიდრეობის წესით.

განხილული მუხლი სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, კონკრეტულად უთითებს, რომ თუ მემკვიდრეები არ არსებობენ ან არაჯეროვნად ახორციელებენ ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებებს, მაშინ მათი დაცვა ეკისრება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“.

მუხლი 36. ავტორის ქონებრივი უფლების გადაცემა

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია თავისი ქონებრივი უფლებები გადასცეს უფლებამონაცვლეს. უფლებამონაცვლეზე გადადის ნაწარმოების გამოყენების ყველა განსაკუთრებული უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-18 მუხლით.

2. განსაზღვრული სახით ნაწარმოების გამოყენების ნებადართვა გაიცემა განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულების საფუძველზე.

35-ე მუხლის მსგავსად, 36-ე მუხლიც საავტორო უფლებების გადაცემის ზოგად წესს ადგენს, ოღონდ იგი ეხება მხოლოდ ქონებრივ უფლებებს. შედგება რა ორი პუნქტისაგან, იგი ორ განსხვავებულ აქტს ეხება, რომლებიც ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე. 1-ლი პუნქტი აწესებს უფლებამონაცვლესათვის საავტორო უფლებების გადაცემის შესაძლებლობას უფლებათა მფლობელთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებითა და მოცულობით. ამ ნორმიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეზე გადადის კანონის მე-18 მუხლით მოცემული ერთი რომელიმე ან ყველა უფლება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ უფლებამონაცვლეს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად გადაცემული უფლებების განხორციელების ან დაცვის მიზნით, სასამართლოში მოსარჩელედ გამოსვლის ჩათვლით.¹ ამ პუნქტის მიხედვით უფლებათა გადაცემა, მთლიანად ან ნაწილობრივ ნათლად უნდა გამოძინარეობდეს ხელშეკრულებიდან², თუ ხელშეკრულება

¹ მოცემული ნორმა ემყარება საერთო სამართლის პრინციპს, რომლის მიხედვითაც საავტორო უფლება მოძრავი ნივთის მსგავსად ითვლება პირად ქონებად. შესაბამისად, შეიძლება საავტორო უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ დათმობა.

² ნაწილობრივ შეიძლება გადაცემულ იქნეს ერთი უფლებაც კი. მაგალითად, ავტორმა გამოცემის ხელშეკრულების თანახმად, შეიძლება მხოლოდ დაბეჭდვის უფლება დაუთმოს გამომცემელს, ხოლო ნაწარმოების ტექსტის აკრეფისა და დაკაბადონების უფლება დაიტოვოს. გარდა ამისა, გამომცემელს შეიძლება არ მიეცეს რეპროდუცირებული ნაწარმოების გავრცელების უფლება და ა.შ.

ბუნდოვანია, მაშინ იმის გათვალისწინებით, რომ იგი ექვემდებარება ვიწრო განმარტებას და არა გავრცობითს, უფლებათა გადაცემა ვერ დადგინდება. უფლებათა გადაცემის შესახებ ასეთი ხელშეკრულება უნდა განვასხვაოთ მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სალიცენზიო ხელშეკრულებებისაგან.¹ უფლებათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსია, ხოლო სალიცენზიო ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებებისაგან განსხვავებულია. კანონით დადგენილია სალიცენზიო ხელშეკრულების (შემდგომ – ლიცენზია) ორი ძირითადი ტიპი – განსაკუთრებული და ჩვეულებრივი. მე-2 პუნქტი არსებითად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ლიცენზიით ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს გარკვეული თუ რა სახით არის გაცემული ნაწარმოების გამოყენების ნებართვა. კანონის აღნიშნული მუხლის რელაქციიდან არ გამოძინდნარეობს თუ რა იგულისხმება მე-2 პუნქტის პირველი სიტყვებიდან „განსაზღვრული სახით ნაწარმოების გამოყენების“ ნებართვა. საკითხი ნათელი ვერ ხდება სამოქალაქო კოდექსის 1067-ე მუხლიდანაც, რომლის მე-2 პუნქტი შემდეგი შინაარსისაა: „ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია აგრეთვე სხვა პირს მისცეს ნებართვა განსაზღვრული საშუალებით ნაწარმოების გამოსაყენებლად“.

¹ სალიცენზიო ხელშეკრულებით გადაიცემა განსაკუთრებული უფლების გამოყენების უფლება და უფლებათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, მეორე მხარე შესაკუთრე არ ხდება. მოუხედავად ამისა მას შეიძლება მიეცეს მოსარჩელედ დამოუკიდებლად გამოსვლის უფლება. მაგრამ საავტორო უფლებათა მფლობელს ასეთი ხელშეკრულებით ვერ აეკრძალება უფლებათა დარღვევის აღკვეთის საწინააღმდეგო ზომების მიღება და კონტროლი. მე-2 პუნქტის გონი გამოძინდნარეობს რომის სამართლის ტრადიციიდან, რომლის მიხედვითაც ავტორის უფლებები განიხილება პირად უფლებებად და არა მოძრავი ნივთის მსგავს ქონებად. ხოლო პირადი უფლებები კი არ შეიძლება იქნეს გადაცემული არც ნაწილობრივ და არც მთლიანად. შესაბამისად, შეიძლება გარკვეულ მათი გამოყენების ნებართვა, რაც უფლებათა მფლობელის კონტროლს ექვემდებარება და გასხვისებას არ წარმოადგენს. ასეთი ნებართვის გაცემა ხორციელდება სალიცენზიო ხელშეკრულებით.

რას ნიშნავს „განსაზღვრული საშუალებით“ ბუნდოვანია. გაურკვეველია მოითხოვება საავტორო უფლებათაგან ერთ-ერთის განსაზღვრა თუ რომელიმე საავტორო უფლების გარკვეული საშუალებით შემოფარგვლა. მაგალითად, ნებართვა განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიით შეიძლება გაიცეს ნაწარმოების გავრცელებაზე ნებისმიერი სახით, ან გავრცელება შემოიფარგლოს გაყიდვით ან გაქირავებით და ა. შ. საკითხი ბუნდოვანია. გარდა ამისა, ძალაში რჩება 35-ე მუხლთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნა, რომელიც ქონებრივ უფლებათა მხოლოდ მე-18 მუხლით შემოფარგვლის უმართებულობაზე მიუთითებს. კანონის განხილული მუხლი სამოქალაქო კოდექსის 1067-ე მუხლისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამოღებულია ამ უკანასკნელის მე-2 პუნქტი.

მუხლი 37. განსაკუთრებული ლიცენზია

1. განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (განსაკუთრებული ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები განსაზღვრული სახით და ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში, გადასცემს მხოლოდ ლიცენზიატს და მასვე აძლევს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, ავტორის) მიერ.

2. ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება განაზოციელოს ავტორმა, თუ ლიცენზიატი არ აწარმოებს ამ უფლების დაცვას.

მოცემული ნორმა აწესებს განსაკუთრებულ უფლებათა გამოყენების ნებართვის გაცემას განსაკუთრებული ლიცენზიის საშუალებით. ლიცენზიის გაცემის უფლება ენიჭება საავტორო უფლებათა ნებისმიერ მფლობელს, ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს. 1-ლი პუნქტი განსაკუთრებულ ლიცენზიას 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის ანალოგიით – საავტორო უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულებად მიიჩნევს. აქამდე კანონს არ განუმარტავს თუ რას ნიშნავს საავტორო ხელშეკრულება. საკითხის არსს ვერც სპეციალური მე-40 მუხლი ამუქებს, მოუხედავად იმისა, რომ მისი სათაურია – „სავტორო ხელშეკრულება“. საავტორო ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთ მხარედ ავტორი გვევლინება. განსაკუთრებული სალიცენზიო ხელშეკრულება კი შეიძლება დადოს ნებისმიერმა სხვა პირმა, რომელმაც საავტორო უფლება შეიძინა. აღნიშნული პირი შესაძლოა ავტორთან არ იყოს კავშირში, მაგალითად, თუ მან საავტორო უფლება უფლებამონაცვლისაგან შეიძინა. ამდენად, მართებული იქნება განსაკუთრებული ლიცენზია მივიჩნიოთ ხელშეკრულებად საავტორო განსაკუთრებულ უფლებათა გამოყენების შესახებ (და არა გადაცემის შესახებ).

განსაკუთრებული ლიცენზიის არსი არის ის, რომ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების ფარგლებში განსაკუთრებული

უფლების გამოყენების მთელი სპექტრი, მათ შორის უფლებათა დარღვევის აღკვეთისაკენ მიმართული საშუალებების დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა, ერთ პირს – ლიცენზიატს ეძლევა¹. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელედ ლიცენზიატის გამოსვლის თაობაზე პირდაპირ მითითებული არ არის. ნათქვამია, რომ ლიცენზიატს ეძლევა უფლება აკრძალოს სხვა პირთა (მათ შორის ავტორის) მიერ ნაწარმოების ხელშეკრულებით განსაზღვრული სახით გამოყენება. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ დამრღვევ ქმედებას პირი არ წყვეტს ლიცენზიატის მოთხოვნით, მაშინ ლიცენზიარს მოსარჩელედ გამოსვლა ავტორისაგან დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს.

განსაკუთრებული ლიცენზია არ ნიშნავს უფლებათა დათმობას ანუ გასხვისებას, რაც ირკვევა განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტიდან. მითითებულია რომ, თუ ლიცენზიატი არ ლებულობს საავტორო უფლებათა დარღვევის აღსაკვეთ ზომებს, მაშინ ავტორს (ლიცენზიარს) შეუძლია აღკვეთოს დარღვევა. ეს იმის ნათელი მაგალითია, რომ ავტორის მიერ ლიცენზიის გაცემა არ ნიშნავს საავტორო უფლებათა გასხვისებას, სხვაგვარად მას უფლებათა დარღვევის აღკვეთის არანაირი ოურიდოული ინტერესი არ ექნებოდა და სასამართლოში მხარედ ვერ გამოვიდოდა.

განხილულ მუხლს მჭიდროდ უკავშირდება 39-ე მუხლი და მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ორი მუხლის გაერთიანება.

კანონის განხილული მუხლის არსი და ფორმა იგივეა, რაც სამოქალაქო კოდექსის 1068-მუხლს აქვს.

¹სალიცენზიო ხელშეკრულების მხარეები ინტელექტუალური საკუთრების სამართლით „ლიცენზიარი“ და „ლიცენზიატი“. ლიცენზიარი – უფლების გამოყენების ნებართვის გამცემია, ხოლო ლიცენზიატი – უფლებათა გამოყენების ნებართვის მიმღები.

მუხლი 38. ჩვეულებრივი ლიცენზია

1. ჩვეულებრივ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (ჩვეულებრივი ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ნებას რთავს ლიცენზიატს, გამოიყენოს ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება.

2. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლება ჩაითვლება ჩვეულებრივ უფლებად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ლიცენზიის კიდევ ერთ სახეს აწესებს 38-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც საავტორო უფლებათა ობიექტის გამოყენების უფლება გაიცემა ჩვეულებრივი ლიცენზიით. მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადება უთითებს უფლებათა გადაცემაზე ჩვეულებრივი ლიცენზიის დროს, რაც აშკარად შეუსაბამობაა ამ ტიპის ლიცენზიის არსთან. კერძოდ, თუ განსაკუთრებული ლიცენზიის დროს საავტორო უფლებათა მფლობელს აღარ შეუძლია იგივე პირობებით გასცეს ლიცენზია სხვა პირზე, მოცემულ შემთხვევაში მას უფლება აქვს პირთა განუსაზღვრელ წრეს მისცეს ნაწარმოების გამოყენების უფლება იგივე პირობებით. როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივი ლიცენზიის დროს განსაკუთრებული უფლების გამოყენების ნებართვა არ გაიცემა. საავტორო უფლებათა მფლობელი თითქოსდა ანაწევრებს „განსაკუთრებული უფლების“ გამოყენების მრავალ სახეს ჩვეულებრივ უფლებებად და იძლევა ამ „ჩვეულებრივი უფლებების“ გამოყენების ნებართვას. ამასთან, თუ განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელი 37-ე მუხლის ძალით აღიჭურვება სხვა პირთა მიერ ნაწარმოების უნებართვო გამოყენების აკრძალვის უფლებით, ჩვეულებრივი ლიცენზია ამის საშუალებას არ იძლევა. განსაკუთრებული ლიცენზიის არსი არის ის, რომ ლიცენზიატს ექმნება ბაზრის მონოპოლიზაციის შესაძლებლობა,¹ ხოლო ჩვეულებრივი ლიცენზიის დროს

¹ ამ სახის ლიცენზია არ ექვემდებარება მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ კანონით რეგულირებას.

კონკურენტული გარემო იქმნება. ეს აზრი პირდაპირ იკითხება 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან.

ჩვეულებრივი უფლებების გამოყენების ნებართვის გაცემა სალიცენზიო ხელშეკრულების საგანი, თუ მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საზოგადოდ, ჩვეულებრივი უფლება ისეთი უფლებაა, რომლის გამოყენება და ფლობა ნებისმიერ პირს შეუძლია ისე, რომ მას არა აქვს სხვა პირისათვის ანალოგიური ქმედებების აკრძალვის უფლება. შესაბამისად, ჩვეულებრივი ლიცენზიის შემთხვევაში, ლიცენზიატი ვერ განახორციელებს დამრღვევი ქმედებების აღკვეთას საავტორო უფლებათა მფლობელის გარეშე.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონის 38-ე მუხლი არ განსხვავდება შინაარსით სამოქალაქო კოდექსის 1069-ე მუხლისაგან და იგივე ხარვეზით ხასიათდება. კერძოდ, გაუგებარია თუ სხვა პირებმა არ მიიღეს ლიცენზია, ანუ ლიცენზიატი პირველია, მაშინ ვისი თანაბარი უფლებებით უნდა ისარგებლოს მან¹.

¹ იხ. დ. დამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000, გვ. 73-74.

მუხლი 39. ნაწარმოების გამოყენება
განსაკუთრებული ლიცენზიის გადაცემის
შემდეგ

ნაწარმოების გამოყენებაზე განაკუთრებულ უფლებათა გადაცემის (განსაკუთრებული ლიცენზია) შემთხვევაშიც კი ავტორს ამ ნაწარმოების გამოყენების უფლება უნარჩუნდება თავის ნაწარმოებთან მხოლოდ სრული კრებულის გამოქვეყნებისას, თუ განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის შედეგად ნაწარმოების გამოქვეყნებიდან გავიდა 5 წელი. ამასთან, ავტორს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ასეთი ნაწარმოები სრული კრებულისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი ეხება ავტორის მიერ ნაწარმოების გამოყენებას განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის (პირველ სტრიქონში „გადაცემის“ ნაცვლად „გაცემა“ უნდა იყოს) შემთხვევაში. უმჯობესი იქნებოდა იგი 37-ე მუხლის პუნქტად ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

ამ მუხლის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ განსაკუთრებული ლიცენზიის მოქმედების დროს საავტორო უფლებათა ნებისმიერ მფლობელს კი არა, არამედ მხოლოდ ავტორს უნარჩუნდება გარკვეული ქონებრივი უფლება საკუთარი ნაწარმოების გამოყენებაზე. ბუნებრივია, რომ იგი პრაქტიკულ ძალას იძენს მხოლოდ ხანგრძლივი – 5 წელზე მეტი ვადით დადებული ლიცენზიის დროს.

მუხლი 40. საავტორო ხელშეკრულება

1. საავტორო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს: გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (მოცულობა, ფანრი, სახელწოდება), ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, უფლების გადაცემის ვადას და ტერიტორიას, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესს ან ჰონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ.

2. ნაწარმოების ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომელიც საავტორო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, გუთუნის ავტორს.

3. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახე (საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული კონკრეტული უფლებები), ხელშეკრულება ითვლება დადებულად ნაწარმოების ისეთ გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად მხარეთა იმ განზრახვის შესრულებისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ ხელშეკრულების დადებისას.

4. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. მოსარგებლეს ამის თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ხელშეკრულების გაუქმებამდე 6 თვით ადრე.

5. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ტერიტორია, ხელშეკრულებით გადაცემული უფლება მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

6. საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

7. თუ გამოცემის ან ნაწარმოების სხვაგვარი რეპროდუქციების საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარი განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, ხელშეკრულებით დადგენილი უნდა იყოს ნაწარმოების მაქსიმალური ტირაჟი.

8. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირებს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ვალდებულებითი და სახელშეკრულებო სამართალი არ ითვალისწინებს საავტორო სამართლებრივი ურთიერთობების ხელშეკრულებით მოწესრიგების სპეციალურ ნორმებს და საავტორო ხელშეკრულების ტიპებს, განსახილველი მუხლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი ვრცელდება საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემაზე და მათი გამოყენების ნებართვის გაცემაზე (სალიცენზიო ხელშეკრულება). V თავი, რომელიც მთლიანად საავტორო უფლებათა გადაცემას აწესრიგებს, ითვალისწინებს საავტორო ხელშეკრულებას (36-ე მუხლი) და ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებას (43-ე მუხლი). საავტორო ხელშეკრულების ტიპები კანონმა 37-ე და 38-ე მუხლებით დაასახელა. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს საავტორო და მომოჯნავე უფლებების შესახებ კანონი ცნობს მხოლოდ ორი ტიპის საავტორო ხელშეკრულებას – განსაკუთრებულ და ჩვეულებრივ სალიცენზიო ხელშეკრულებებს. შესაბამისად, მე-40 მუხლი ეხება მხოლოდ სალიცენზიო ხელშეკრულებებს. იგი პირდაპირ ვერ გავრცელდება საავტორო უფლებათა გასხვისების ხელშეკრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მე-40 მუხლი სპეციალური მუხლია, იგი არ შეიცავს სალიცენზიო ხელშეკრულებისათვის საკმარის ყველა მომწესრიგებელ ნორმას და ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვალდებულებითი და სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ნორმები. საავტორო უფლებათა გასხვისების ხელშეკრულებასთან ყველაზე ახლოს ნასყიდობის ხელშეკრულებაა.

ამ მუხლის პრაქტიკული გამოყენების დროს ტერმინმა „სავტორო ხელშეკრულება“ შეცდომა არ უნდა გამოიწვიოს იმ გაგებით, თითქოს ხელშეკრულებას აუცილებლად ავტორი უნდა ღებდეს¹ (რაზეც 37-ე მუხლის კომენტარებისას გავამახვი-

¹ ეს ტერმინი საქართველოს საავტორო სამართალში ტრადიციულად მოხდა. მაგრამ მას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა ლიტერატურაში შეუჩერებელი პოლემიკა მიმდინარეობდა, მაგრამ ზოგადი

ლეთ ყურადღება). სალიცენზიო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს საავტორო უფლებათა სხვა მფლობელის, მაგალითად უფლებამონაცვლის მიერ. ასეთ სალიცენზიო ხელშეკრულებებზეც ვრცელდება განსახილველი მუხლის ნორმები. გარდა ამისა, იგი ვრცელდება ქველიცენზიებზეც.

განსახილველი მუხლის ნორმები ზოგადი მნიშვნელობისა და ვრცელდება ყველა სახის სალიცენზიო ხელშეკრულებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების სახის მიხედვით სალიცენზიო ხელშეკრულებების დადებისა და ნაწარმოების გამოყენების პირობები, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულებისადმი მოთხოვნები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ამ გარემოებას საბჭოთა კავშირის საავტორო სამართალი ითვალისწინებდა და საკითხს ტიპობრივი ხელშეკრულებების შემოღებით აწესრიგებდა. მათი დადების ფორმას და პირობებს შეიცავდა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის, სამოქალაქო კოდექსები, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცემული მრავალრიცხოვანი კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი არ ითვალისწინებს ტიპობრივ ხელშეკრულებებს საავტორო უფლებათა გამოყენებასთან ან გადაცემასთან დაკავშირებით, მათ არც სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს. ეს ვითარება მოსაწესრიგებელია, რადგან მხოლოდ ზოგადი ნორმების გამოყენება მრავალ გაუგებრობასა და გაურკვევლობას ვერ მოხსნის. უცხო ქვეყნების საავტორო სამართალი (მათ შორის საფრანგეთის,

განმარტება ვერ შემუშავდა. ერთი საავტორო ხელშეკრულებად გულისხმობდნენ ავტორსა და გამოყენებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებას, მეორე - სალიცენზიო ხელშეკრულებას. 1991 წლის საბჭოთა კავშირის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, საავტორო ხელშეკრულებად ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება და, აგრეთვე, მზა ნაწარმოების გამოსაყენებლად გადაცემის (ფაქტობრივად სალიცენზიო) ხელშეკრულება იქნა მიჩნეული. საქართველოს კანონმა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საავტორო ხელშეკრულებად მხოლოდ სალიცენზიო ხელშეკრულებები ცნო. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი კანონებისთვის უცხოა ცნება „სავტორო ხელშეკრულება“, რაც მართებულად მიგვაჩნია.

გერმანიის, ესპანეთის, იტალიის, სკანდინავური ქვეყნებისა და, საერთო სამართლის ქვეყნების) საავტორო უფლებათა გამოყენებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს შემდეგი სახის ხელშეკრულებებს:

– გამოცემის (ლიტერატურული, მხატვრული და მუსიკალური ნაწარმოებების შემთხვევაში);

– საჯარო შესრულების (დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შემთხვევაში);

– აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის და სხვ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ დავახსიანოთ ჩამოთვლილი ტიპის ხელშეკრულებები და გადმოვცეთ მათთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები.

გამოცემის ხელშეკრულება ცნობილია აგრეთვე, როგორც რეპროდუცირების ხელშეკრულება. ფართო გაგებით, იგი მოიცავს რეპროდუცირების უფლების გამოყენების ნებართვის გაცემას ნებისმიერი იმ საშუალებით, რაზედაც მხარეები შეთანხმდებიან (მათ შორის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით). გარდა ამისა, ასეთი ხელშეკრულება ვრცელდება რეპროდუცირებულ მატერიალურ ნივთებზე – წიგნებზე, სამგანზომილებიან ასლებზე, კინოფირებზე და ა.შ.

გამოცემის ხელშეკრულება განიხილება როგორც ნაწარმოების გამოცემის უფლების გამოყენების ლიცენზია გრაფიკულ გამოცემებთან დაკავშირებით, რაც ნაწარმოების ასლების კლავწარმოებასა და გამრავლებაზე ვრცელდება. ამასთან, ასეთი გამოცემა შეიძლება განხორციელდეს სტამბური ბეჭდვით, ლინოტიპით, ოფსეტური ბეჭდვით და ა.შ. ასეთი გამოცემის შედეგი შეიძლება იყოს წიგნი, ბროშურა, კალენდარი, საფოსტო ბარათი, პლაკატი, აფიშა, მუსიკალური პარტიტურა და სხვ.

გამოცემის ხელშეკრულების მთავარი არსი არის ის, რომ ნაწარმოების გამოცემასთან და გასაღებასთან დაკავშირებით გამოძეგმული კისრულობს ყველა ქმედების განხორციელებას საკუთარი ხარჯებით. ამასთან, გამოძეგმული იღებს ვალდებულებას ავტორს გადაუხადოს გასამრავლო ერთჯერადი თანხით ან ეგზემპლარების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის წილის

მიხედვით. აქედან გამომდინარე, გამოცემის ხელშეკრულებად არ უნდა განვიხილოთ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ავტორის ხარჯით ნაწარმოების ეგზემპლარების გამოცემას და ავტორისათვის გადაცემას.

გამოცემის ხელშეკრულება უფლებათა გამოყენების (შეთანხმებული პირობებითა და ფარგლებით) ხელშეკრულებათა და არა უფლებათა გადაცემისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორი ვეღარ დადებდა ამგვარ ნაწარმოების ახალ გამოცემაზე ხელშეკრულებას, ან ვეღარ გასცემდა მისი თარგმნის ან სხვაგვარად გადამუშავების ლიცენზიას.

გამოცემის ხელშეკრულება კონსენსუალურია. იგი ორმხრივ უფლება-მოვალეობაზეა აგებული და, როგორც წესი, ატარებს განსაკუთრებული ლიცენზიის ხასიათს, რომელიც შემოიფარგლება ავტორის მიერ გამოსაყენებლად ნებადართული უფლებებით, აგრეთვე შეთანხმებული დროის პერიოდით, გეოგრაფიული საზღვრებითა და გამოსაცემი ეგზემპლარების რაოდენობით.

გამომცემელი ვალდებულია გამოცემული ნაწარმოების ყველა ეგზემპლარზე, თვალსაჩინო ადგილას მოუთითოს ავტორის სახელი. თუ ავტორი გადაწყვეტს დარჩეს ანონიმად, მაშინ გამომცემელმა არ უნდა დაუშვას რაიმე მითითება ავტორის სახელზე.

გარდა ამისა, გამომცემელი ვალდებულია წარედგინოს ავტორს გამოცემული ეგზემპლარების რაოდენობა ტირაჟის შესამოწმებლად და, აგრეთვე, ყველა მონაცემი გასამრჯელოს დასაანგარიშებლად, თუ ხელშეკრულებით იგი განისაზღვრა გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის პროცენტით. ამასთან დაკავშირებით ავტორს უნდა წარედგინოს ყველა ის ეგზემპლარი, რაც საწყობში ინახება. ავტორს უფასოდ უნდა მიეცეს ეგზემპლარების გონივრული რაოდენობა, მეტი კი – საბითუმო ფასით.

გამომცემელი ყველა გამოცემული ეგზემპლარის შესაკუთრება და თავად განსაზღვრავს გასაყიდ ფასს, თუ ეს ხელშეკრულებით არ იქნა შეთანხმებული. ტირაჟიდან იტოვებს ეგზემპლარების გონივრულ რაოდენობას უფასოდ დასარიგებლად, რაც ემსახურება გაყიდვის წარმატებულობას.

ავტორის მოვალეობათა დროულად მიაწოდოს გამომცემელს

ნაწარმოები, შეამოწმოს და შეასწოროს კორექტურული შეჯღო-
მები – თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწი-
ნებული.

გამომცემელი მოვალეა კეთილსინდისიერად მოეპყროს
გამოცემულ ეგზემპლარებს და არ დაუშვას მათი დაზიანება ან
განადგურება. თუკი ამას გამომცემელი ვერ უზრუნველყოფს,
იგი ავტორის წინაშე პასუხისმგებელი რჩება გასამრჯელოს
ანაზღაურებაზე. თუ გასამრჯელო ერთჯერადი თანხით იყო
განსაზღვრული, ის მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი, ხოლო
თუკი ის გაყიდვის წილი პროცენტით განისაზღვრა, მაშინ
გამომცემელმა წინასწარ უნდა გადაიხადოს მთელი ტირაჟის
რეალიზაციის თანხა.

ზემოთ მოყვანილი დახასიათება ყველაზე მეტად ლიტერატუ-
რული ნაწარმოების გამოცემის ხელშეკრულებას ეკუთვნის.
თავისებურებებით ხასიათდება მუსიკალური და მხატვრული
ხელოვნების ნაწარმოების გამოცემის ხელშეკრულებები, რაზეც
აღარ შეეჩერდებით.

საჯარო შესრულების ხელშეკრულება დაიდება ლიტერატუ-
რული, დრამატული, მუსიკალური, მუსიკალურ-დრამატული,
ქორეოგრაფიული ნაწარმოებისა და პანტომიმის შესრულების
თაობაზე, როგორც ცოცხლად, ისე ჩანაწერის გამოყენებით,
მაუწყებლობის ორგანიზაციების ან საკაბელო ქსელით გადაცემის
მეშვეობით. ხელშეკრულება იდება ავტორსა და იმპრესარიოს
შორის, რომელიც შესრულების ნებართვის სანაცვლოდ ავტორს
ერთჯერადად უხდის შეთანხმებულ გასამრჯელოს – გადა-
ცემიდან მიღებული შემოსავლის პროცენტით ან „თეატრალური
სალაროდან“ მიღებული თანხის წილით.

ავტორს, ასეთი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, უნდა
ჰქონდეს ნაწარმოების გამოყენების კონტროლის უფლება და
არ დაუშვას მისი ნაწარმოების შესრულების ჩაწერა და ჩანაწერ-
ების გამოყენება იმ ფორმით, რაც არ იქნა შეთანხმებული. ანალო-
გიურად, ავტორს შეუძლია აკონტროლოს ნაწარმოების გამოყენება
სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ.

ჩანაწერების – ვიდეოასლი, მაგნიტური ფირი, სამუწყებლო გადაცემა, საკაბელო ქსელით ჩვენება და ა.შ. ფართო მომხმარებლადე დაყვანა სპეციალურად უნდა იქნეს შეთანხმებული ხელშეკრულებით. სწორედ აღნიშნული ხდის ხელშეკრულებას საჯარო შესრულების ხელშეკრულებად. აკრძალულია მაგალითად, ვიდეოასლის გამოყენება თეატრებში, რესტორნებში, საცკევაო დარბაზებში და ა.შ., თუ ასეთი გამოყენების ნებართვა ავტორს არ მოუცია.

საჯარო შესრულების ხელშეკრულება საავტორო სამართლისათვის დამახასიათებელი სამართლის სხვა დარგებიდან ცალკე ძღვოში ხელშეკრულება. იგი გამოცემის ხელშეკრულების მსგავსად, კონსენსუალური და ორმხრივია. მისგან განსხვავებით კი არ ატარებს განსაკუთრებული ლიცენზიის ხასიათს, არამედ პირიქით, როგორც წესი, ჩვეულებრივი ლიცენზიის მსგავსია. გარდა ამისა, ეს ხელშეკრულება შემოსაზღვრულია ნაწარმოების იმ სახით გამოყენებით, რისი ნებართვაც გასცა ავტორმა, აგრეთვე, შესრულების ადგილითა და საშუალებებით და დროის პერიოდით.

ავტორი ვალდებულია იმპრესარიოს დროულად წარუდგინოს ნაწარმოების ასლი ან მუსიკალური პარტიტურა თუ იგი ჩაწერილი არ არის. ავტორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ნაწარმოების შემსრულებლის შერჩევაში და საჯაროდ გამოტანის სახეობის განსაზღვრაში. თუ ნაწარმოები გამოყენებულ იქნა შეთანხმებულისგან განსხვავებული გზით, მაგალითად შესრულება ერთდროულად გადაცემა მუწყებლობით, მაშინ ავტორს დამატებითი გასაძრუელო უნდა მიეცეს.

იმპრესარიო თავად ადგენს ნაწარმოების გამოყენების ფასს. ამასთან, იგი ვალდებულია ნაწარმოების დასახლებასთან ერთად მოუთითოს ავტორის სახელი, ფსევდონიმი, ან მისი ამოსაცნობი სხვა რაიმე ნიშანი, ნაწარმოების გამოყენებისას არ უნდა დაუშვას მისი დამახინჯება ან ცვლილება, ავტორის მოთხოვნით დაასწროს იგი რეპეტიციას, არ შეცვალოს მთავარი შემსრულებელი ავტორთან შეთანხმების გარეშე. იგი ვალდებულია, აგრეთვე, ნება დართოს ავტორს შეამოწმოს ნაწარმოების გამოყენების საჯარობა, მისმტაბი,

საშუალებანი და ა.შ. და, ასევე, წარუდგინოს მას ნაწარმოების საჯაროდ გამოტანის ზუსტი პროგრამა.

საჯაროდ შესრულების ხელშეკრულება შეიძლება იყოს კომპლექსური, ან, როგორც უფრო ხშირად ხდება, კონკრეტული ცალკე დადებული შესრულების სახეების მიხედვით: მაგ., ცოცხალი შესრულების, მუსიკებლობის, კაბელური ქსელით შესრულების, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერის და ა.შ.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის (გამოშვების) ხელშეკრულება არის ისეთი შეთანხმება, რომლის დროსაც ლიტერატურული, დრამატული ან ხელოვნების სხვაგვარი ნაწარმოების (მაგ., მულტიპლიკაცია) ავტორი ან მისი უფლებამოსილი პროდიუსერს აძლევს უფლებას აღნიშნული ნაწარმოების აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებად გარდაქმნაზე. ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის პროდიუსერი შემდგომ საკუთარი ხარჯებითა და რისკით ცდილობს შექმნას (გამოუშვას), საჯაროდ გამოიტანოს, გაანაწილოს სამომხმარებლო ქსელში და დაიყვანოს მომხმარებელამდე აუდიოვიზუალური ნაწარმოები. მომხმარებელამდე ასეთი ნაწარმოების დაყვანა ხორციელდება ეკრანზე პროეცირებით, ან ჩვენებით (კინემატოგრაფიული ნაწარმოების შემთხვევაში). აგრეთვე, ნაწარმოების ასლების გაყიდვით ან გაქირავებით (ვიდეოგრამაზე დატანილი ნაწარმოების შემთხვევაში). პროდიუსერი ავტორს უხდის გასამრჯელოს შემოსავლიდან გარკვეული წილის ოდენობით, ან ერთჯერად თანხას — მხარეების შეთანხმების მიხედვით.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის (გამოშვების) ხელშეკრულება ვრცელდება კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე, სატელევიზიო ნაწარმოებზე, ვიდეოგრაფიულ ნაწარმოებზე (ვიდეოკასეტებზე გამოსახული ნაწარმოები), რომელიც არ არის გათვალისწინებული მხოლოდ სატელევიზიო გადაცემისათვის გამოსაყენებლად. ამ ტიპის ხელშეკრულებისთვის გამოსაყენებელია გამოკუპის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ზოგადი წესები.

პროდიუსერი ამ ხელშეკრულების თანახმად ხდება მთავარი პირი, რომელიც შექმნილ ნაწარმოებთან დაკავშირებით ატარებს

იურიდიულ და ეკონომიკურ ტვირთს. მიუხედავად იმისა, რომ კინემატოგრაფიული ნაწარმოების გამოყენება ასლების გაყიდვის ან გაქირავების მეშვეობით, აგრეთვე ტელეფილმითა და საკაბელო ქსელით ჩვენებით ძალზე ხშირია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოშვების ხელშეკრულება არ გულისხმობს შექმნილი ნაწარმოების აღნიშნული საშუალებებით მომხმარებლადღე დაყვანას, თუ ეს პირდაპირ არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულებით. სხვადასხვა საშუალებებით ნაწარმოების გავრცელების უფლება ავტორის განსაკუთრებული უფლებაა და იგი თავისი მრავალფეროვნობით პროდიუსერს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირი მითითების ძალით. იგივე ითქმის სასცენო დადგმის უფლებაზე.

ხელშეკრულებით უნდა იქნეს გათვალისწინებული პროდიუსერის მიერ ნაწარმოების გამოყენების დაწყების ვადა. დროის ამ პერიოდს ავტორისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი გასელის შემდეგ შეუძლია იგივე ნაწარმოების გადაშუშავებით ახალი აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა და გამოშვება წამოიწყოს. თუ ეს ვადა ხელშეკრულებით მოცემული არ არის, მაშინ მოსამართლემ უნდა დაადგინოს მისი გონივრული ხანგრძლივობა.

პროდიუსერი ვალდებულია ავტორს გასამრჯელო მისცეს გამოყენების ყოველი საშუალების მიხედვით და წარუდგინოს მას ანგარიში შემოსავლების შესახებ. პროდიუსერი ვალდებულია, აგრეთვე, დაიცვას ავტორის მორალური უფლებები.

ავტორის ძირითადი ვალდებულებაა დროულად წარუდგინოს პროდიუსერს ნაწარმოები და არ დაუშვას არაკეთილდსინდისიერი კონკურენციის გამოვლინება პროდიუსერის მიმართ.

საქართველოს საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი მოუთითებს, რომ თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, მაშინ იგულისხმება, რომ ნებართვა გაცემულია ისეთ გამოყენებაზე, რომელიც აუცილებელია მხარეთა განზრახვის შესრულებისათვის. ეს ვალდებულებითი და სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი წესია. თუ, მაგალითად, მიემართავთ აუდიო-

ვიზუალური ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებას, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ ხელშეკრულება დადებული იყო კინემატოგრაფიული ნაწარმოების გამოშვების თაობაზე, მაგრამ გამოყენების კონკრეტული სახე არ იქნა მითითებული, მაშინ აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულა კინოქსელის მეშვეობით ნაწარმოების გამოყენება. იგივეს ვერ ვიტყვით მისი ტელევიზიით გამოყენებაზე და ეს ქმედება ავტორის სპეციალურ ნებართვას უნდა მოითხოვდეს.

განსახილველი მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია ავტორის მიერ ხელშეკრულების ერთპიროვნულად გაუქმების შესახებ, როდესაც არ არის მითითებული ხელშეკრულებით უფლების გადაცემის ვადა. ავტორი, ამ შემთხვევაში ერთპიროვნულად ხელშეკრულებას ვერ გააუქმებს, თუ მისი დადებიდან არ გავიდა 5 წელი.

მნიშვნელოვანია მე-8 პუნქტი, რომელიც კრძალავს ხელშეკრულებით გადაცემულ საავტორო უფლებათა სხვა პირისათვის გადაცემას, თუ ეს პირდაპირ არ იქნა აღნიშნული ხელშეკრულებით.

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი ლიცენზიის მიზანი კონკურენციის შექმნა მოცემული ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ ავტორის საავტორო უფლება უნარჩუნდება სრული ძალით. აქედან გამომდინარე, კონკურენტული გარემოს შექმნა მხოლოდ ავტორის პრეროგატივაა და მხოლოდ მის კონტროლს ექვემდებარება. შესაბამისად, ჩვეულებრივი ლიცენზიის დროს ლიცენზიატს ვერანაირად ვერ ექნება ქველიცენზიის გაცემის უფლება, ანუ ჩვეულებრივი ლიცენზიისათვის ეს პუნქტი გამოსაყენებელი არ არის. ლოგიკის მიხედვით ქველიცენზიის გაცემის უფლება განსაკუთრებული ლიცენზიის დროს ლიცენზიატს უნდა ჰქონდეს, მაგრამ მოცემული პუნქტი ამ შემთხვევაზე ვერცელდება და, თუ სალიცენზიო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის მითითებული, ქველიცენზია ვერ გაიცემა. ეს წესი აკნინებს განსაკუთრებული ლიცენზიით გაცემული უფლებების ძალას და არ შეესაბამება 37-ე მუხლის შინაარსს, რომელიც ლიცენზიატს უფლებათა დარღვევის მოწესრიგებას ავტორისაგან

დამოუკიდებლად ანდობს.¹ თუ ლიცენზიატს შეუძლია ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენების აკრძალვა, მაშინ იგი მხოლოდ მონოპოლიური უფლების განმტკიცებას შესძლებს. მაგრამ, თუ მოისურვა კონკურენციის გამოღვიძება მისთვის გადაცემული კონკრეტული უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით, იგი ამას ვერ შესძლებს, რადგან ქველიცენზიას ვერ გასცემს. ასეთი წესი ავტორის ინტერესშიც არ შედის. პირიქით, ავტორი ყოველთვის დინტერესებულია ნაწარმოების რაც შეიძლება ფართო მასშტაბით გამოყენებით, რაც მას შემოსავალს გაუზრდის და სწრაფად მოუხვეჭს სახელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კანონში პირიქით უნდა იქნეს მითითებული. განსაკუთრებული ლიცენზიის შემთხვევაში — ლიცენზიატს უნდა მიეცეს ქველიცენზიის გაცემის უფლება მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულება ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს.² საავტორო სამართლის თეორია სწორედ ამგვარად უდგება საკითხს.

¹ ლიცენზიატს ავტორისაგან დამოუკიდებლად მხოლოდ ერთი დაცვის საშუალების გამოყენების უფლება აქვს — აკრძალოს ნაწარმოების უნებართვო გამოყენება ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე. კანონმა ზიანის მოთხოვნის უფლება მხოლოდ ავტორის დაუტოვა.

² ასეთი პრაქტიკა სხვა ქვეყნების კანონებიდანაც ირკვევა. ისმო-ს სანიმუშო კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი უთითებს, რომ განსაკუთრებული ლიცენზია ლიცენზიატს ანიჭებს უფლებას ნაწარმოების ანალოგიური გამოყენება აკრძალოს ან ასეთივე გამოყენების უფლება მისცეს მესამე პირს. ეს ნორმა რეკომენდაციული ხასიათისაა და გასათვალისწინებელია. საქართველოს საავტორო და მოძიენავე უფლებების შესახებ კანონმა კვლავ გაიმეორა სამოქალაქო კოდექსის ხარვეზი, რადგან პრაქტიკულად უცვლელად გადმოიტანა 1071-ე მუხლი.

მუხლი 41. საავტორო ხელშეკრულების ბათილობა

1. ბათილია საავტორო ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ზღუდავს ავტორის უფლებას, შექმნას მომავალში ნაწარმოები განსაზღვრულ თემაზე ან განსაზღვრულ დარგში.

2. საავტორო ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს იმ ნაწარმოებზე უფლების გადაცემა, რომელიც შეიძლება მომავალში შექმნას ავტორმა.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ეს მუხლი სრულად აწესრიგებს ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ვალდებულების წარმოშობის ზოგად ნორმებსა და ხელშეკრულების დადების პრინციპებს. მართლაც, სრულიად უსამართლო იქნებოდა სიტუაცია, როდესაც ხელშეკრულებით ავტორს დაეკისრებოდა აღარ შექმნას მომავალში ნაწარმოები ისეთ თემაზე (მაგ., გლეხი კაცის ყოფა-ცხოვრების ამსახველ თემაზე), რომელიც საფუძვლად უდევს უკვე შექმნილ და გადაცემულ ნაწარმოებს. თუ ხელშეკრულების საგანი ასეთი პირობაა, მაშინ იგი განსახილველი მუხლის საფუძველზე, რომელსაც იმპერატიული ძალა აქვს, ბათილად ჩაითვლება. ამით აღდგება ავტორის პირვანდელი მდგომარეობა და უზრუნველყოფილ იქნება მისი შემოქმედებითი თავისუფლება, რომლის შეზღუდვაც აკრძალულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით. იგივე ითქმის, როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს მომავალში ხელოვნების რომელიმე დარგში, მაგ., ფერწერაში, ან კინემატოგრაფიაში ანალოგიური ნაწარმოების შექმნას. ეს მუხლი იმპერატიულ ძალას ინარჩუნებს, თუ ხელშეკრულება დაიდო მომავალში შესაქმნელ ნაწარმოებზე უფლებების გადაცემის შესახებ. გასაგებია, რომ თუ ნაწარმოები ჯერ არ შექმნილა შესაბამისად, არც უფლებებია წარმოშობილი. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება ვერ გაითვალისწინებს ჯერ არ არსებული უფლებების გადაცემას და თუ დაიდო, ბუნებრივია, იგი ბათილად უნდა გამოცხადდეს. ასეთი წესის დამკვიდრება საქართველოს

საავტორო სამართლით კარგად ეხმანება სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნორმას, რომელიც კრძალავს მოძვეალი ქონების შესახებ ხელშეკრულების დადებას – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლი.

კანონის განხილული მუხლის რედაქცია სამოქალაქო კოდექსის 1072-ე მუხლის იდენტურია.

მუხლი 42. საავტორო ხელშეკრულების ფორმა

საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების საავტორო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც. ზეპირად შეიძლება დაიდოს აგრეთვე ზეპირი ნაწარმოების ტელევიზიით ან რადიოთი ერთჯერადი გადაცემის ხელშეკრულება.

კანონი იძვრატოულად მოითხოვს, რომ ხელშეკრულება საავტორო უფლებათა გასხვისების ან გამოსაყენებლად დროებით გადაცემის შესახებ (სალიცენზიო ხელშეკრულება) წერილობით იყოს გაფორმებული. ეს ნორმა კანონის ზოგადი მოთხოვნაა და დაკავშირებულია იმასთან, რომ საავტორო უფლებათა გამოყენებასთან ან გადაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულება მრავალ ურთიერთობებს აწესრიგებს და ხშირად ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც სხვა დარგებს არ ახასიათებს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების ზეპირად დადების შემდეგ, წარმოშობილი დავის განსჯისათვის ძნელი ან შეუძლებელი იქნება შესაბამისი ჭეშმარიტი მტკიცებულებების წარმოდგენა. გასაგებია, რომ საკითხის მოწესრიგება ვერ იქნება დამოკიდებული მოწმეთა ჩვენებებზე. შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს საავტორო უფლებათა დროებით გადაცემის ან მათი გასხვისების შესახებ ხელშეკრულების დადების წერილობით ფორმას.

განსახილველი მუხლი აღნიშნულ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებისათვის, როდესაც ურთიერთობა მხარეთა შორის ხანმოკლე და მარტივი ხასიათისაა. კანონი ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობას ცნობს მხოლოდ პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენებისათვის, მაგალითად, სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში. ასევე, ტელევიზიით ან რადიოთი ზეპირი ნაწარმოების ერთჯერადი გადაცემის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად.

განსახილველი მუხლის ზოგადი წესიდან გამომდინარეობს (თუმცა პირდაპირ არ არის მითითებული), რომ ზეპირად დადებული სალიცენზიო ან საავტორო უფლებათა გასხვისების

ხელშეკრულება ბათილია. მაგრამ, გასარკვევია საჭიროა თუ არა ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების სანოტარო დამოწმება. თუ ვინელმძღვანელებთ სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ნორმებით, მაშინ მთავალი იმ დასკვნამდე რომ, თუ კანონი პირდაპირ არ ითხოვს, ხელშეკრულების სანოტარო დამოწმება სავალდებულო არ არის. მხარეებმა შეიძლება თავად გაითვალისწინონ ხელშეკრულების დამოწმება სანოტარო წესით. ამ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ იქნა ამგვარად დამოწმებული, იგი ძალაში ვერ შევა.

გასარკვევია კიდევ ერთი საავტორო სამართლისათვის დამახასიათებელი სიტუაცია. მაგალითად, ავტორი საკუთარ ნაწარმოების შექმნისთანავე რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ რეესტრში და შემდეგ ასხვისებს საავტორო უფლებებს ან გასცემს ლიცენზიას. საჭიროა თუ არა ასეთი ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის მათი იგივე რეესტრში გატარება. როგორც ვიცით, ნაწარმოების რეგისტრაცია საქართველოს კანონით სავალდებულო აქტი არ არის. შესაბამისად, არც ხელშეკრულების რეგისტრაცია იქნება სავალდებულო. მაგრამ, როდესაც ნაწარმოების რეგისტრაციის ფაქტი სახეზეა, ჩვენ ვურჩევთ მხარეებს ხელშეკრულების რეგისტრაციას „საქსატენტის“ საჯარო რეესტრში, რაც მათ თავიდან ააცილებს ყოველგვარ გაუგებრობებს.

განხილული მუხლი სამოქალაქო კოდექსის 1073-ე მუხლის იდენტურია.

მუხლი 43. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება

1. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების მიხედვით ავტორი კისრულობს ვალდებულებას, შექმნას ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების მიხედვით და გადასცეს იგი შემკვეთს, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ნაწარმოები და გადაუხადოს ავტორს პონორარი.

2. ავტორი ვალდებულია პირადად შექმნას ნაწარმოები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ნაწარმოების შექმნაში სხვა პირის (პირების) ჩართვა დასაშვებია მხოლოდ შემკვეთის თანხმობით.

3. შემკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაღვობისთანავე დაათვალიეროს ნაწარმოები და წერილობით შეატყობინოს ავტორს ნაწარმოების მოწონების ანდა ხელშეკრულების პირობების საფუძველზე მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

4. თუ ავტორს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ გაეფ ზაენა წერილობითი შეტყობინება, ნაწარმოები შემკვეთის მიერ მოწონებული ითვლება.

5. ავტორისათვის ავანსის გადახდის წესი, ვადა და ავანსის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

საქართველოს საავტორო და მოძიუნავე უფლებების შესახებ კანონი ცალკე მდგომ ხელშეკრულებად გამოყოფს ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებას და ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც ცხადი იქნება, რომ მხარეთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება ექვემდებარება აღნიშნული სახის ხელშეკრულებას. მოცემული მუხლის მიხედვით, ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებით უნდა იყოს განსაზღვრული:

ავტორის ვალდებულებები

- ნაწარმოების შექმნის თაობაზე;
- ნაწარმოების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების პირობებით;

– ავტორის მიერ ნაწარმოების პირადად შექმნის თაობაზე.

შემკვეთის ვალდებულებები

– ნაწარმოების მიღების თაობაზე;

– ჰონორარის გადახდის თაობაზე;

– ნაწარმოების დათვალიერების თაობაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

– ავტორისათვის დათვალიერების შედეგად ნაწარმოების მოწონების, დაწუნების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, წერილობითი შეტყობინების თაობაზე.

ამასთან, განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტი შემკვეთს უტოვებს უფლებას ნაწარმოების შექმნის პროცესში სხვა პირის ჩართვის აუცილებლობა თავად განსაზღვროს და მისცეს ან არ მისცეს თანხმობა ავტორს.¹

გარდა ამისა დაწესებულია, რომ თუ შემკვეთმა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში წერილობით ავტორს არ შეატყობინა ნაწარმოების დათვალიერების შედეგები, იგი მოწონებულად ითვლება. შესაბამისად, ავტორს უჩნდება ჰონორარის სრულად მიღების უფლება.

გათვალისწინებულია, აგრეთვე ავტორისათვის ავანსის გადახდის შესაძლებლობა, რომლის ოდენობა და ვადის დადგენა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

საქართველოს საავტორო და მომოხმანვე უფლებების შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნები ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებისათვის ძირითადად ანალოგიურია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნარდობის ხელშეკრულებისა.

¹ კანონი ავტორს მხოლოდით რიცხვში მოიხსენიებს და არ უთითებს, რომ ნაწარმოების შექმნის ვალდებულება შეუძლია ავტორთა კოლექტივმაც იკისროს. ვფიქრობთ, შესაბამის შემთხვევაში, ეს საკითხი სადაო არ იქნება და ნათელია, რომ „ავტორთა კოლექტივი“ სწორედ რომ „ავტორად“ შეიძლება განხილულ იქნეს, თუ იგი ნაწარმოების შექმნას იკისრებს. აღნიშნულ საკითხს პირდაპირ აწესრიგებდა სამოქალაქო კოდექსის 1075-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რაც კანონმა უგულებელყო მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი 43-ე მუხლი ჩამოაყალიბა 1074-ე და 1075-ე მუხლების გაერთიანებით.

შესაბამისად, საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ კანონის 43-ე მუხლთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნარდობის ხელშეკრულების მოწესრიგებელი ნებისმიერი ნორმა. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებაც ნარდობის ხელშეკრულების მსგავსად ორმხრივ, კონსენსუალურ და სასყიდლიან ხელშეკრულებას წარმოადგენს.¹

ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება უნდა განვასხვავოთ საშსახურებრივი ნაწარმოების შექმნის შემთხვევაში დადებული ხელშეკრულებისაგან უმთავრესად იმით, რომ საშსახურებრივ ნაწარმოებს ქმნის საბუშაოს მიმცემთან შრომითი ურთიერთობით დაკავშირებული პირი. ანუ, საქართველოს საავტორო და მოძივნავე უფლებების შესახებ კანონის მე-16 მუხლიდან გამომდინარე, საქმე საბუშაოს მიმცემთა და მის მუშაკთან გვაქვს, რომელთა შორისაც დადებულია შრომის ხელშეკრულება. შესაბამისად, მათ შორის ურთიერთობები მოწესრიგდება შრომის სამართლით და ნაკლებად შეიძლება იქნეს გამოყენებული სამოქალაქო სამართლის ნორმები.

გასარკვევია აღნიშნული მე-16 მუხლისა და განსახილველი 43-ე მუხლის ურთიერთდამოკიდებულება. მაგალითად, მე-16 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები განსაზღვრავს საბუშაოს მიმცემსათვის გადაცემული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების მფლობელობის დადგენის ზოგად წესს გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, აგრეთვე გარკვეული დროის განმავლობაში ნაწარმოების გამოყენებლობასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, მართებული იქნება ეს წესები გავრცელდეს ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებებზეც.

რადგან 43-ე მუხლი არ შეიცავს ნაწარმოებების ჩამონათვალს, რომელზეც იგი ვრცელდება, ნათელია, რომ მისი მოქმედების სფეროში ნებისმიერი სახის ნაწარმოებია მოქცეული, მათ შორის გადაუმუშავებელი (განსხვავებით მე-16 მუხლისაგან, რომლის მე-8 პუნქტი არ ავრცელებს მის მოქმედებას მე-13 მუხლზე).

¹ უფრო დაწერილებით ნარდობის ხელშეკრულების შესახებ იხ. ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999 წ., გვ. 146-154.

მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის წესიც მისაღება განსახილველი 43-ე მუხლით მოსაწესრიგებელ ურთიერთობებზე. შემკვეთს არ უნდა აეკრძალოს მის მიერ მოწონებული ნაწარმოების გამოყენებისას თავისი სახელის მითითება და არ უნდა ჩამოერთვას ასეთი მითითების მოთხოვნის უფლება.

42-ე მუხლის შესაბამისად, ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებაზე ვრცელდება მისი წერილობითი ფორმით დადების მოთხოვნა.

საქართველოს საავტორო და მოძიგნავე უფლებების შესახებ კანონმა სპეციალური ნორმა ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებით რუსეთის საავტორო სამართლის გავლენით მიიღო. შესაბამისად, შეიძლება მისაღები იყოს რუსეთის ფედერაციის საავტორო უფლებებისა და მოძიგნავე უფლებების შესახებ კანონის კომენტატორების მიერ გამოთქმული ზოგიერთი აზრი. მაგრამ არგუმენტაციის თვალსაზრისით, ზოგიერთი მკდარად გეგმვენება. მაგალითად, ელუარდ გავრილოვის მიხედვით: „При заключении договора заказа следует учитывать норму, содержащуюся в п. 5 ст. 31 Закона, в соответствии с которой предмет авторского договора не могут быть права на использование произведений, которые автор может создать в будущем.“

Между тем в договоре заказа как раз и определяются права покупателя на произведение, которое автор обязуется создать в будущем“¹. (ქართულად ასე ელერს: შექმნის ხელშეკრულების დადებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ნორმა, რომელსაც შეიცავს კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც საავტორო ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს იმ ნაწარმოების გამოყენების უფლებები, რომელიც ავტორმა შეიძლება შექმნას მომავალში.

ამასთან, შექმნის ხელშეკრულებით სწორედ რომ განისაზ-

¹ Э. П. Гаврилов, Комментарий закона об авторском праве и смешных правах, М., 1996 г., с. 151.

ღერება მყიდველის ის უფლებები, რომლებიც ეხება ნაწარმოებს, რომელიც ავტორმა შეიძლება შექმნას მომავალში).

უფრო მართებულად მიგვაჩნია პროფესორ ზურაბ ახვლედიანის კომენტარი ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (რადგან ნარდობისა და ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება მსგავსი იურიდიული ბუნებისაა). კერძოდ, ზურაბ ახვლედიანი წერს „ნარდობის ხელშეკრულების საგანი ინდივიდუალური ხარისხისაა.¹ ეს არის მენარდის შრომის შედეგი (რეზულტატი), ამასთან, მენარდის შრომა შეიძლება მიმართული იყოს ნივთების შექმნისაკენ (ნაგებობა, ინსტრუმენტები, მანქანები და სხვა), ნივთების შეცვლის ან აღდგენისაკენ (შეკეთება, გადაკეთება და სხვა)“.²

გავრილოვმა ვერ შეაფასა იურიდიული ბუნება და ამიტომაც ხელოვნურ გამოსავალს ეძებს, რომ გაექცეს მომავალი ქონების თაობაზე ხელშეკრულების დადების დაუშვებლობას. სინამდვილეში, ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების საგანი ავტორის მიერ შესრულებული საბუთო და შესაბამისად მისი შედეგია. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს უკვე არსებული ნაწარმოების გადამუშავებაზე, მაგალითად თარგმანზე. ამ შემთხვევაში, საბუთოს შესრულების შედეგი თარგმანია, რომელიც ახალ ნაწარმოებს წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ შემკვეთს უნდა გადაეცეს საბუთოს შესრულების შედეგიც და, თუ მას მოეწონება ის, მაშინ ქონებრივი უფლებებიც მასვე ეკუთვნის. ამდენად, შემკვეთი ვერ ღებულობს საბუთოს შესრულებას (ავანსის მიცემა საბუთოთა შესრულების წასახალისებლად გაიცემა ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების პირობების მიხედვით), ხოლო შემდგომ უკვე შექმნილი ნაწარმოებიდან გამოძინარე, ქონებრივ უფლებებს ეპატრონება.

¹ სწორედ ამიტომაც, რომ ავტორი ვალდებულია პირადად შექმნას ნაწარმოები.

² იხ. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999 წ., გვ. 146.

გარდა აღნიშნულისა, ზემოთ მოტანილი ციტატა ნათლად ადასტურებს იმას, რომ ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებით ავტორმა შეიძლება იკისროს შემოქმედებითი შრომის შესრულება ნებისმიერი სახის ნაწარმოების შექმნისათვის, მათ შორის გადააკეთოს (გადაამუშაოს) არსებული ნაწარმოები, ან შექმნას არსებული ნაწარმოებების კრებული. განხილული მუხლიდან გაუგებარია, რა შედეგი დადგება თუ შემკვეთი ნაწარმოებს არ მიიწონებს. ჩვენი აზრით, იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია მიიღოს ნაწარმოები და გადაუხადოს ავტორს შეთანხმებული ჰონორარი. ამის საფუძველი საქართველოს საავტორო და მოძიგნავე უფლებების შესახებ კანონის გონიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც ნაწარმოებზე საავტორო უფლება წარმოიშობა მისი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება ობიექტური ფორმით გამოხატვის მომენტიდან და არანაირი ფორმალობის შესრულება საჭირო არ არის. ნაწარმოები შექმნილად ითვლება (სხვანაირად საავტორო უფლება ვერ წარმოიშობოდა) მოუხედავად მისი დანიშნულებისა, აკარგვიანობისა, მოცულობისა და გამოხატვის ფორმისა (მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი). მასადაძემ, შემკვეთმა კიდევაც რომ უარყოფითად შეაფასოს ნაწარმოების აკარგვიანობა, მისი დავალება მაინც შესრულებული იქნება და, თუ ხელშეკრულება არაფერს ითვალისწინებს, დაწუნების შემთხვევაში, ნაწარმოების მიღების შესახებ, მაშინ იგი ვალდებული იქნება ავტორისაგან მიიღოს შრომა (ნაწარმოები შეუძლია არ მიიღოს) და გადაუხადოს მას დათქმული ჰონორარი. ამ აზრს ამტკიცებს ის გარემოება, რომ შემკვეთი საკუთარი რისკით ირჩევს პირს, რომელსაც შეუძლია გასწიოს იმ ხარისხის შემოქმედებითი შრომა, რომლის შედეგადაც შეიძლება შეიქმნას ისეთი ნაწარმოები, როგორსაც შემკვეთი მოელის. თუ მას ეს მოლოდინი გაუწილდა, არ უნდა ჰქონდეს უფლება არ ანაზღაუროს გაწეული შემოქმედებითი შრომის ფარდი გასამრჯელო. რადგან შემკვეთი ვალდებულია ყველა შემთხვევაში მიიღოს შრომა, ხოლო ნაწარმოების მიღება კი მის სურვილზეა დამოკიდებული, მხარეებმა ხელშეკრულებით ცალ-ცალკე უნდა მოუთითონ შრომის ანაზღაურების ოდენობა და წესი ნაწარმოების მიწონების ან დაწუნების შემთხვევებში.

მუხლი 44. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა საავტორო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

ეს მუხლიც, სხვა მუხლების მსგავსად, კანონში სამოქალაქო კოდექსიდან გადმოვიდა. იგი ეხება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას და ზოგადად ადგენს, რომ უნდა ანაზღაურდეს ზიანი და მიუღებელი შემოსავალი.¹ მუხლის არსებობა სამოქალაქო კოდექსისათვის იყო მნიშვნელოვანი, რადგან კოდექსის პროექტზე მუშაობისა და მისი პარლამენტის მიერ მიღების მომენტისათვის ჯერ კიდევ ძნელად გადასალახავი იყო საბჭოური წარმოდგენები კერძო სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. ყოველგვარი ეჭვი რომ მოსპობილიყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მართებულობის (განსაკუთრებით მიუღებელი შემოსავლის) შესახებ, სამოქალაქო კოდექსმა 1076-ე მუხლით პირდაპირ გაითვალისწინა ასეთი მოთხოვნის შესაძლებლობა. დღეს ამ სახის დეკლარაციული ნორმის არსებობას, საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონში და არა სამოქალაქო კოდექსში, დიდი იურიდიული მნიშვნელობა აღარ აქვს.

¹ ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შემკვეთი ავტორისაგან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას ვერ მოითხოვს, რადგან ამავე ხელშეკრულებით ვერ დადგინდება მომავალი ნაწარმოების კომერციული გამოყენების მოცულობა.

თავი VI. საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებთან ერთად საქართველოს კანონმდებლობა იცავს შემსრულებლების, ფონოგრამის და ვიდეოგრამის დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებებს, რომლებსაც საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებები ეწოდება.

აღნიშნულ პირებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი – მათი საქმიანობის შედეგად, საჯარო შესრულებისა და გაცემისათვის განკუთვნილი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი ხდება არა მხოლოდ „ცოცხალი“ შესრულების მსმენელთა და მაყურებელთათვის, არამედ გაცილებით უფრო ფართო აუდიტორიისთვისაც, რის საშუალებასაც იძლევა სატელეკომუნიკაციო სისტემები და სხვადასხვა მატარებლებზე (გრამოფონოფილა, აუდიოვიდეო კასეტა, კომპაქტ-დისკი და სხვა) ჩაწერილი შესრულებები.

მოუხედავად იმისა, რომ მომიჯნავე უფლებათა განხორციელების საფუძველს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს საავტორო უფლება, შემსრულებლების ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების საქმიანობამ წარმოაჩინა მათთვის განსაკუთრებული უფლებების კანონით მინიჭების აუცილებლობა.

1961 წელს ქ. რომში ხელი მოეწერა „შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას (შემდგომში რომის კონვენცია), რომელმაც დაადგინა მომიჯნავე უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმები მაშინ, როდესაც მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში არსებობდა შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვის გარკვეული წესები.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ შემსრულებლის მიერ ნაწარ-

მოების შესრულება ატარებს შემოქმედებით ხასიათს¹, დამამზადებლისა და მანუწყებლობის ორგანიზაციის საქმიანობა ტექნიკური ხასიათისაა და მათი უფლებების წარმოშობა და დაცვის აუცილებლობა ძირითადად განპირობებულია ფონოგრამების დამზადებაზე, სამანუწყებლო პროგრამების მომზადებასა და გადაცემაზე დახარჯული მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსებით.

¹ რომის კონვენციის მომზადების პროცესში განიხილებოდა შემსრულებლებისათვის საავტორო უფლების მინიჭების საკითხი – Guide to the Rome Convention and to the Phonograms Convention, World Intellectual Property Organization (WIPO), 1981 წ., გვ. 24.

მუხლი 45. მომიჯნავე უფლებები

1. ამ თავით გათვალისწინებული საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებების დაცვა არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას.

2. მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებათა პატივისცემის გზით ამ თავის არც ერთი დებულება არ განიმარტება, როგორც საავტორო უფლებათა დაცვის შელახვა.

ეს მუხლი განსაზღვრავს მომიჯნავე უფლებების ურთიერ-კავშირს საავტორო უფლებებთან.

არის შემთხვევები, როდესაც მომიჯნავე უფლებების განხორციელება არ არის დაკავშირებული საავტორო უფლებით დაცული ობიექტების გამოყენებასთან. მაგალითად, როდესაც შესრულების, ფონოგრამის დამზადებისა და მაუწყებლობის პროცესში გამოიყენება ნაწარმოებები, რომელთა დაცვის ვადა გასულია ან რომლებიც არ არის საავტორო უფლებით დაცული (მაგალითად, მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ სპორტული შეჯიბრებების ტრანსლაცია). მაგრამ, უმეტეს შემთხვევებში, მომიჯნავე უფლებების განხორციელება დაკავშირებულია საავტორო უფლებებთან.

ამ მუხლის პირველი პუნქტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მომიჯნავე უფლებების დაცვამ, რაც გამოიხატება ამ უფლებათა სუბიექტების მიერ მათი უფლებების განხორციელებაში, არ შეიძლება ხელი შეუშალოს ავტორს განახორციელოს საავტორო უფლებები თავისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას.

მაგალითად, ფონოგრამის დამამზადებლისათვის შესრულების ჩაწერისას საკმარისი არ არის მხოლოდ შემსრულებლის თანხმობა. ფონოგრამის გამოყენებაზე მისი უფლებების განხორციელებისთვის აუცილებელია იმ ავტორის თანხმობაც, რომლის ნაწარმოებსაც ასრულებს შემსრულებელი. შესრულების სხვაგვარად განხორციელებული ჩაწერა, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ იქნება აღიარებული კანონიერად. ავტორს შეუძლია მოითხოვოს მისი თანხმობის გარეშე განხორციელებული

ქმედებების შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება და კანონით გათვალისწინებული სხვა ზომების მიღება.

მეორე პუნქტი მოუთითებს იმაზე, რომ მომოჯნავე უფლებები უნდა ხორციელდებოდეს ავტორთა უფლებების (როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი) გათვალისწინებით ისე, რომ არ წარმოიშვას წინააღმდეგობა საავტორო უფლებებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონის გამოყენების პროცესში უაქრესად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ტერმინს – „მომოჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებათა პატივისცემის გზით“, რადგან დაუშვებელია მომოჯნავე უფლებების განხორციელება, თუ ირღვევა საწყისი, ანუ საავტორო უფლება. მაგალითად, ფონოგრამის დამამზადებელს არ აქვს კანონიერი საფუძველი აუკრძალოს სხვა პირებს მის მიერ დამამზადებული ფონოგრამის გამოყენება, თუ მას თავად არ მიუღია ნებართვა ნაწარმოების ავტორისაგან ფონოგრამის დამამზადებისა და შემდგომი გამოყენების თაობაზე.

მეორე პუნქტის დასკვნითი წინადადება ახდენს იმის დეკლარირებას, რომ ამ თავის არც ერთი დებულება არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც საავტორო უფლებათა დაცვის შელახვა.¹

¹ ეს მუხლი პრაქტიკულად ასახავს რომის კონვენციის პირველი მუხლის დებულებებს. რომის კონვენციაში ამ შინაარსის მუხლის ჩართვა განაპირობა ავტორთა შემოთქმამ იმასთან დაკავშირებით, რომ მომოჯნავე უფლებების მფლობელთა სამართლებრივი დაცვის საცეცალური მექანიზმების შემოღება საერთოზე შეუქმნიდა მათი ქონებრივი უფლებების განხორციელებას. სწორედ ამიტომ, კონვენციაზე მუშაობის პერიოდში გამართული მოლაპარაკებებისას მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ავტორთა უფლებების დამცავი მუხლის შემოღების თაობაზე – Guide to the Rome Convention and to the Phonograms Convention, World Intellectual Property Organization (WIPO), 1981 წ., გვ. 16.

მუხლი 46. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები

1. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები არიან: შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მუწყებლობის ორგანიზაციები.

2. ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მუწყებლობის ორგანიზაციები ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებენ ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ან/და ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. შემსრულებელი ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით.

4. მომიჯნავე უფლებათა წარმოშობის და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის რაიმე ფორმალათა დაცვა. ფონოგრამის დამამზადებელს ან შემსრულებელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ვეზემპლარზე ან/და მის ფუტლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

ა) ლათინური ასო P წრეწირში: ©

ბ) განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);

გ) ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი.

კანონის შესაბამისად, მომიჯნავე უფლებათა სუბიექტებს წარმოადგენენ: შემსრულებლები, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლები და მუწყებლობის ორგანიზაციები.

შემსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, ხოლო ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებელი – როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი. მუწყებლობის ორგანიზაციებს კი პრაქტიკულად ყოველთვის წარმოადგენენ იურიდიული პირები, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს რაიმე შეზღუდვას ფიზიკური პირების მიმართ.

მომიჯნავე უფლებები მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც საავტორო უფლებებთან, ასევე ერთმანეთთან.

მე-2 პუნქტი არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, დამამზადებლებსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებს და, მეორე მხრივ, ავტორებსა და შემსრულებლებს შორის. კერძოდ, დამამზადებლებს და სამაუწყებლო კომპანიებს შესრულების ჩაწერისა და ეთერში ან კაბელით გადაცემისას სჭირდებათ ავტორისა და შემსრულებლის თანხმობა, რაც განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

რაც შეეხება მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ფონოგრამის გამოყენებას, ამ საკითხს არეგულირებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 52-ე მუხლი.

მე-3 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც შემსრულებლის უფლების განხორციელება უნდა მოხდეს საავტორო უფლების დაცვით, პრაქტიკულად ასახავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლში ჩამოყალიბებულ ზოგად პრინციპს. მაგალითად, დაუშვებელია, რომ შემსრულებელმა საჯაროდ შეასრულოს ნაწარმოები ავტორის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოებზე ამოწურულია საავტორო უფლების დაცვის ვადა.

მე-4 პუნქტის მიხედვით მომიჯნავე უფლების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელი ისეთ ფორმალბათა დაცვა, როგორც არის სავალდებულო სახელმწიფო ან სხვა სახის რეგისტრაცია, დამკავი დოკუმენტის მიღება და ა.შ. ამასთან, ფონოგრამის დამამზადებლებს ან შემსრულებლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე გამოიყენონ მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც შეიცავს სამ ელემენტს:

1. ლათინური ასოს „P“ წრეწირში – ©, რომელიც წარმოადგენს სიტყვის „პონოგრამა“ (ბერძ. – ხმის ჩანაწერი) პირველ ასოს;

2. განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელს, თუ მფლობელი ფიზიკური პირია, ან დასახელებას თუ მფლობელი იურიდიული პირია;

3. ფონოგრამის პირველი გამოცემის თარიღს, წელს როდესაც ფონოგრამის ეგზემპლარები გაშვებულ იქნა სამოქალაქო ბრუნვაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის ნიშნის გამოყენება წარმოადგენს უფლების ძეგლობელთა უფლებას და არა ვალდებულებას. ის გავლენას არ ახდენს ფონოგრამის დამამზადებლისა და შემსრულებლის უფლებებზე.

მუხლი 47. შემსრულებლის უფლებები

1. შემსრულებელს თავის შესრულებაზე აქვს შემდეგი პირადი და ქონებრივი უფლებები:

ა) სახელის უფლება;

ბ) უფლება, დაიცვას შესრულება ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს შემსრულებლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);

გ) უფლება, გამოიყენოს შესრულება ნებისმიერი ფორმით, შესრულების ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარიის ძღუების უფლების ჩათვლით

2. შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) იმ შესრულების ჩაწერა, რომელიც ადრე არ იყო ჩაწერილი;

ბ) შესრულების ჩანაწერის რეპროდუქცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესრულება ჩაწერილია შემსრულებლის თანხმობით და რეპროდუქცირება ხდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა;

გ) შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, ანდა შესრულების სხვაგვარი საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შემსრულებლის თანხმობით ადრე ჩაწერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა;

დ) შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩაწერა არ მომხდარა ძღუების მიღების მიზნით;

ე) იმ გამოქვეყნებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქრავება, რომელზედაც ჩაწერილია შესრულება შემსრულებლის მონაწილეობით

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებადართვა ვაიცემა შემსრულებლის მიერ, ხოლო შემსრულებელთა კოლექტივის შესრულებაზე ნებადართვა – ასეთი კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ, მოსარგებლისთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. შემსრულებელსა და მუწეებლობის ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების დადება შესრულების ეთერში ან კატელთ გადაცემის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ შესრულების ჩაწერის, მისი შემდგომი გადაცემისა და ჩანაწერის რეპროდუქციების უფლების გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით ანეთი გამოყენების შემთხვევაში შესრულებისათვის გადასახდელი პონორარის ოდენობა განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით.

5. შემსრულებელსა და აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს შორის ხელშეკრულების დადება აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა გადაცემას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შემსრულებლის მიერ ასეთი უფლებების გადაცემა შემოიფარგლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენებით და, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არ შეიცავს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში დაფიქსირებული ხმისა და გამოსახულების ცალ-ცალკე გამოყენების უფლებას.

6. შემსრულებელსა და ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებელს შორის ხელშეკრულების დადება შესრულების ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქარავების უფლების გადაცემას. ამასთან, შემსრულებელს უნარჩუნდება ასეთი ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ვე შემპლარების გაქარავებისათვის პონორარის მიღების უფლება.

7. იმ შესრულებაზე, რომელიც შემსრულებლის მიერ შექმნილია სამსახურებრივი მოვალეობის ან სამუშაოს მიძღვების დავალების შესრულების წესით, შემსრულებელს ეკუთვნის სახელის უფლება. ასეთი შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის პირს, რომელთანაც შემსრულებელს აქვს შრომითი ურთიერთობა, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

კანონში არ არის ამომწურავად ჩამოთვლილი, თუ ვინ მიეკუთვნებიან შემსრულებლებს. კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, შემსრულებლები არიან: მსახიობი (თეატრის, კინოსი და ა.შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც ასრულებს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, მათ შორის საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს. კანონში მოყვანილი ამ განმარტებიდან ცხადად გამომდინარეობს, რომ შემსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. ამასთან, იგი შეიძლება იყოს როგორც პროფესიონალი (მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე), ისე არაპროფესიონალი. კანონი არ ადგენს რაიმე შეზღუდვებს შემსრულებლის ასაკთან ან ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით.

პირველი პუნქტის შესაბამისად, შემსრულებელს თავის შესრულებაზე აქვს როგორც პირადი არაქონებრივი, ისე ქონებრივი უფლებები.

პირად არაქონებრივ უფლებებს მიეკუთვნება:

- სახელის უფლება;
- რეპუტაციის პატივისცემის უფლება.

კანონი არ იძლევა შემსრულებლის სახელის უფლების განმარტებას, მაგრამ ანალოგიის პრინციპის გამოყენებით უნდა დავასკვნათ, რომ იგი ავტორის სახელის უფლების იდენტურია (მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი). ამასთან, იგივე პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ შემსრულებლის სურვილის შესაბამისად, ნაწარმოებზე შეიძლება მითითებულ იქნეს მისი როგორც ნამდვილი სახელი, ისე მისი ფსევდონიმი. ისევე როგორც ავტორის შემთხვევაში, შემსრულებლის სახელის უფლება განუსხვისებელი და უკადოდ დაცული უფლებაა.

შემსრულებლის მეორე არაქონებრივი უფლება – რეპუტაციის პატივისცემის უფლება კანონში ჩამოყალიბებულია ავტორის რეპუტაციის პატივისცემის უფლების ანალოგიით. კერძოდ, კანონის შესაბამისად, დაუშვებელია შესრულების ყოველგვარი დამახინჯება ან სხვაგვარი ხელყოფა, რომელმაც შეიძლება შელახოს შემს-

რეგულაციის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. აღნიშნულ უფლებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება, რომ შესრულებაში ნებისმიერი ცვლილება (რის საშუალებასაც იძლევა თანამედროვე ტექნიკური საშუალებები) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემსრულებლის (ისევე როგორც ავტორის) ნებართვით.

შემსრულებლის ქონებრივ უფლებებს ეხება პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც შემსრულებლის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფა ხდება შესრულების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისა და ასეთი გამოყენებისათვის პონორარის მიღების უფლების საფუძველზე.

მე-2 პუნქტი ადგენს შემსრულებლის ხუთ განსაკუთრებულ ქონებრივ უფლებას:

- შესრულების ჩაწერის უფლება;
- შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირების უფლება;
- ეთერში ან კაბელით „კოცხალი“ შესრულების გადაცემის უფლება;
- ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გაქირავების უფლება;
- ეთერში ან კაბელით არაკომერციული მიზნით ჩაწერილი შესრულების გადაცემის უფლება.

ჩამოთვლილი უფლებების განსაკუთრებული ხასიათი გამოიხატება შემსრულებლის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელებაზე ნებართვის მიცემით ან აკრძალვით.

მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული უფლება ვრცელდება იმ შესრულების ჩაწერაზე, რომელიც აღრე არ იყო ჩაწერილი. კანონის მე-4 მუხლის დ) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ჩაწერა გულისხმობს როგორც გამოსახულებების თანმიმდევრობის (ვიდეო), ისე ხმის (აუდიო) რაიმე ობიექტური ფორმით ფიქსირებას, რაც მათი არაერთჯერადი აღქმის საშუალებას იძლევა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩაწერის უფლება ფუძემდებელ როლს თამაშობს შემსრულებლის უფლებების განხორციელების პროცესში. ჩაწერასთან ერთად თვისობრივად იცვლება შესრულების არსებობის ფორმა და მის გამოყენებაზე კონტროლის განხორ-

ციელების მექანიზმები. სანამ შესრულება არ არის დაფიქსირებული, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის სახით, იგი განუყოფელ კავშირშია შემსრულებელთან და, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მისი სულიერი სამყაროს ნაწილს. ამასთან, ცოცხალი შესრულება შეზღუდულია შესრულების დროით, რომლის შემდეგაც იგი მხოლოდ შთაბეჭდილების სახით რჩება მსმენელისა და მყურებლის მეხსიერებაში.

შესრულების ჩაწერა ძირეულად ცვლის სიტუაციას. ფიქსირებული შესრულება შორდება შემსრულებელს, იწყებს მისგან დამოუკიდებელ არსებობას და შეიძლება, გარკვეული აზრით, კონკურენციაც კი გაუწიოს თავად შემსრულებელს.

გასათვალისწინებელია, რომ ნაწარმოების ყოველი ახალი შესრულება, წარმოადგენს მომიჯნავე უფლებათა ახალ ობიექტს და მის ჩაწერაზე შესაბამისი უფლების მიღებაა საჭირო. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ა) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული უფლება ვრცელდება შესრულებაზე, რომელიც ადრე არ იყო ჩაწერილი.

მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ეხება რეპროდუქციების უფლებას, რომელიც წარმოადგენს შემსრულებლის მეორე ქონებრივ უფლებას.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი არ იძლევა ტერმინის – „ჩანაწერის რეპროდუქცირება“ განმარტებას და მისი შინაარსი კანონის მე-4 მუხლში მოცემული ტერმინების – „ჩაწერა“, „რეპროდუქცირება“, „ფონოგრამა“, „ვიდეოგრამა“ ურთიერთშედარებასა და ინტერპრეტაციაში უნდა ვეძიოთ.

კანონში მოყვანილი „ჩაწერის“ განმარტებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩანაწერი წარმოადგენს ჩაწერის შედეგს, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ „შესრულების ჩანაწერი“ მოიცავს აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში მოცემული ტერმინის – „რეპროდუქცირება“, განმარტებიდან და შესრულების ჩანაწერის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ შესრულების აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება წარმოადგენს ჩანაწერის რეპროდუქცირებას.

კანონში მოცემული რეპროდუქციების ცნება, ასლების დამზადებასთან ერთად, შესრულების დროებითი ან მუდმივი შნახვისათვის მანქანით წაკითხვადი ფორმით ჩაწერასაც მოიცავს. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ფართოდ ხელმისაწვდომი გლობალური კომპიუტერული ქსელების შექმნასთან, რაც შესრულების ჩანაწერის ასეთი ქსელებით გავრცელებისა და რეპროდუქციების ახალ შესაძლებლობებს იძლევა და აუცილებელს ხდის შემსრულებელთა დაცვას ჩანაწერის უკანონოდ გამოყენებისაგან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება არ მოქმედებს, თუ შესრულება ჩაწერილია შემსრულებლის თანხმობით და რეპროდუქცირება ხდება იმავე მიზნით რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა. შესაბამისად, შემსრულებლის უფლება რეპროდუქცირებაზე მოქმედებას წყვეტს იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რა მიზნითაც იყო განხორციელებული ჩაწერა. მაგალითად, თუ ჩაწერა მოხდა ტელერადიო გადაცემაში გამოსაყენებლად, მაშინ გადაცემის მიზნით განხორციელებული რეპროდუქცირება აღარ საჭიროებს შემსრულებლის ნებართვას. მაგრამ, ამ შემთხვევაში დაუშვებელია ჩანაწერის რეპროდუქცირება სხვა მიზნით.

რა თქმა უნდა, შემსრულებელს, როდესაც იგი აძლევს ნებართვას სხვა პირს შესრულების ჩაწერაზე, შეუძლია იმავდროულად მისცეს მას ნებართვა ჩანაწერის სხვადასხვა მიზნით გამოყენებაზეც.

აღსანიშნავია, რომ „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება (რომლის მონაწილეც არის საქართველო), „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს რეპროდუქციების განსაკუთრებულ უფლებას ყოველგვარი იმ შეზღუდვების გარეშე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ პუნქტის დათქმებით.

შესრულების ჩანაწერის რეპროდუქცირება, ჩვეულებრივ, ხდება მისი ეკზემპლარების შემდგომი გავრცელების მიზნით. მაგრამ კანონი, ნაწარმოების ავტორისაგან განსხვავებით, არ ანიჭებს შემსრულებელს ფონოგრამის ეკზემპლარების გავრცელების

განსაკუთრებულ უფლებას. თუმცა, „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება შემსრულებელთათვის ითვალისწინებს, აგრეთვე, განსაკუთრებულ უფლებას ფონოგრამის ეგზემპლარების გავრცელებაზე (გაყიდვის ან საკუთრების გადაცემის სხვა გზით).

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ზემოაღნიშნული შეთანხმების დებულებებმა, რომელთა შესაბამისადც შემსრულებლებს გააჩნიათ ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებების რეპროდუცირების (შეუზღუდავი) და გავრცელების უფლება, თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს მოქმედ კანონმდებლობაშიც.

მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, ადგენს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას შესრულების საჯარო გადაცემაზე.

ამ ქვეპუნქტთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ ორი შემთხვევა: როდესაც გადაცემა ხორციელდება ჩანაწერის გამოყენებით და როდესაც ხდება „ცოცხალი“ გადაცემა.

ეთერში ან კაბელით შესრულების ჩანაწერის გადაცემა შეიძლება მოხდეს მოგების მიღების მიზნით დაშვადებული ფონოგრამის, ეფემერული ჩანაწერის (თუ ეროვნული კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს), ან მაუწყებლობისათვის დაშვადებული სპეციალური ჩანაწერის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, შემსრულებელს არა აქვს განსაკუთრებული უფლება ნება დართოს ან აკრძალოს შესრულების ეთერში, კაბელით ან სხვაგვარი საჯარო გადაცემა (მაგალითად, ხმის გამაძლიერებლის ან სატელევიზიო ეკრანის საშუალებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას შესრულების გადაცემა).

ამ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსრულებლის განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემაზე. ანუ, თუ ეთერში გადაცემასთან ერთად ადგილი აქვს ამ გადაცემის ეთერში ან კაბელით იმავდროულ რეტრანსლაციას ან სხვაგვარ საჯარო გადაცემას. მაგრამ, თუ საწყისი გადაცემა ხდება კაბელით, მისი შემდგომი რეტრანსლაცია ეთერში, კაბელით ან სხვაგვარი საჯარო გადაცემა საჭიროებს შემსრულებლის ნებართვას.

მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტი ადგენს შემსრულებლის უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს არაკომერციული ხასიათის ჩანაწერების გადაცემა ეთერში ან კაბელით. შემსრულებლის ეს უფლება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც შემსრულებლის მიერ გაცემულია ნებართვა არაკომერციული დანიშნულების ჩანაწერის გაკეთებაზე (მაგალითად, არქივის ან ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის), ან ჩაწერა განხორციელდა შემსრულებლის ნებართვის გარეშე, მაგრამ „საავტორო და მომოჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით (კერძოდ, კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტი ეხება შემსრულებლის მეხუთე ქონებრივ უფლებას — ნება დართოს ან აკრძალოს გამოქვეყნებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქირავება. შემსრულებელს, როგორც აღენიშნეთ რეპროდუქციების უფლების განხილვისას, არ გააჩნია ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარების გავრცელების უფლება. მაგრამ, ამ ქვეპუნქტის შესაბამისად, შენარჩუნებული აქვს გაქირავების უფლება, რომელიც ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ავტომატურად ამოიწურება შემსრულებლის მიერ ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებელთან შესრულების ჩაწერის თაობაზე ხელშეკრულების დადებისთანავე. ამასთან, შემსრულებელს უნარჩუნდება ფონოგრამისა და ვიდეოგრამის გაქირავებისათვის ჰონორარის მიღების უფლება.

თუმცა, „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების მე-9 მუხლის პირველი პუნქტი შემსრულებელთათვის ითვალისწინებს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გაქირავების განსაკუთრებულ უფლებას (და არა ჰონორარის მიღების უფლებას), იმ პირობით, თუ მათ ეროვნული კანონმდებლობით ფონოგრამებთან დაკავშირებით მინიჭებული აქვთ რაიმე სხვა უფლება (მაგალითად, რეპროდუქციების, გავრცელების და ა.შ.).

აქედან გამომდინარე, საჭიროა „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბა-

მოსაბამი მოყვანა და შემსრულებელთათვის ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების რეპროდუცირების (შეზღუდვების გარეშე) და გაეროცლების უფლების მინიჭება. ამდენად, აღნიშნული შეთანხმების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემსრულებლებს უნდა მიენიჭოთ, აგრეთვე, ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გაქირავების განსაკუთრებული უფლება.¹

მე-3 პუნქტი ეხება შესრულების გამოყენებაზე ნებართვის გაცემის საკითხებს. ამ პუნქტის შესაბამისად, შესრულებაზე განსაკუთრებული უფლებების მფლობელად გვევლინება შემსრულებელი, ხოლო თუ შემსრულებლები გაერთიანებული არიან კოლექტივში – ამ კოლექტივის ხელმძღვანელი.

ჩვეულებრივ, შემსრულებელთა კოლექტივები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომლებშიც შემსრულებლები მუშაობენ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. კოლექტივის წევრებისათვის შესრულება სამსახურებრივი მოვალეობაა. სწორედ ამგვარი ურთიერთობებიდან გამომდინარე დადგენილია, რომ უფლებები შესრულებაზე ეკუთვნის არა ცალკეულ შემსრულებელს, არამედ კოლექტივის ხელმძღვანელს.

კოლექტივის შემთხვევაში, მოსარგებლესთან დადებულ

¹ „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობითაც 1994 წლის 15 აპრილისთვის უკვე გათვალისწინებული და ამ შეთანხმებასთან მიერთების მომენტამდე შენარჩუნებული იყო ფონოგრამის გაქირავებისას შემსრულებლისათვის მხოლოდ პონორარის მიღების უფლება, შეუძლიათ არ მანიჭონ შემსრულებლებს გაქირავების განსაკუთრებული უფლება, იმ პირობით, თუ ეს ზიანს არ აყენებს ფონოგრამის რეპროდუცირებაზე შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში 1994 წელს ამ სფეროს მარეგულირებელ ერთადერთ საკანონმდებლო აქტს ძველი სამოქალაქო კოდექსი (1964 წ. რედაქცია) წარმოადგენდა, რომელიც არ ითვალისწინებდა შემსრულებლებისათვის ფონოგრამის გაქირავებისას პონორარის გადახდის სისტემას, საქართველოზე „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დათქმა არ ვრცელდება.

ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი ხელმძღვანელი და ცალკეული შემსრულებლის პრეტენზიებს უფლებების დარღვევის თაობაზე არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია.

მე-4 პუნქტი არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია შემსრულებლის მიერ მანუშკებლობის ორგანიზაციისათვის შესრულების ჩაწერის, მისი შემდგომი გადაცემისა და ჩანაწერის რეპროდუცირების უფლების გადაცემასთან.

ამ პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული უფლებების გადაცემა პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული შესრულების ეთერში ან კაბელით გადაცემის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემსრულებელი მთლიანად უთმობს აღნიშნულ უფლებებს სამანუშკებლო ორგანიზაციას. მას რჩება უფლება გააფორმოს ანალოგიური ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთანაც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემსრულებელმა ერთ ორგანიზაციას უკვე დაუთმო შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები. ხელშეკრულებით დგინდება, აგრეთვე, ამგვარი გამოყენებისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა.

მე-5 პუნქტი ეხება შემსრულებლებსა და აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს. კანონის ამ პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისას შემსრულებლის ყველა ქონებრივი უფლება გადადის დამამზადებელზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ზაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უფლებების გადაცემა შემოიფარგლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენებით. იგი არ ვრცელდება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში არსებული ცალკეული შესრულების დამოუკიდებლად გამოყენებაზე და არ მოიცავს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში დაფიქსირებული ხმისა და გამოსახულებების ცალ-ცალკე გამოყენების უფლებას, რომელიც შეიძლება მოპოვებულ იქნეს მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე.

მე-7 პუნქტი ეხება შესრულებებს, რომლებიც სრულდება საშასხურებრივი მოვალეობის ან საბუშაოს მიძღვრის დავალების

საფუძველზე. ამ შემთხვევაში შემსრულებელს ეკუთვნის მხოლოდ სახელის უფლება, ხოლო შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები ეკუთვნის პირს, რომელთანაც შემსრულებელს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მე-8 პუნქტი ითვალისწინებს შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებების სხვა პირისათვის ხელშეკრულებით გადაცემის შესაძლებლობას. სამწუხაროდ, კანონი არ აკონკრეტებს მოთხოვნებს ამგვარი ხელშეკრულების მიმართ. ამ პირობებში საჭიროა, დავეყრდნოთ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ნორმებს საავტორო უფლებების გადაცემის შესახებ და, აგრეთვე, სახელშეკრულებო სამართლის ნორმებს.

**მუხლი 48. ფონოგრამის დამამზადებლების
განსაკუთრებული უფლებები**

1. ფონოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება გამოიყენოს ფონოგრამა ნებისმიერი ფორმით, ფონოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის პონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ფონოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას განაზოარციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) ფონოგრამის რეპროდუქირება;

ბ) ფონოგრამის ევ ზემპლართა პირველი გაჯრცელება;

გ) ფონოგრამის ევ ზემპლართა გაქირავება;

დ) ფონოგრამის ევ ზემპლართა გაჯრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანღა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის ვზით;

ე) ფონოგრამის ევ ზემპლართა იმპორტირება გაჯრცელების მიზნით, იმ ევ ზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამამზადებულთა ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

პირველი პუნქტი ფონოგრამის დამამზადებელს ანიჭებს ფონოგრამის ნებისმიერი ფორმით გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ფონოგრამის დამამზადებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

დამამზადებლის საქმიანობა არ ატარებს შემოქმედებით ხასიათს. მისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება მიმართულია შექმნილი ობიექტების უკანონო რეპროდუქირებისა და გაჯრცელების აღსაკვეთად და შესაბამისად, იმ ინვესტიციების დასაცავად, რომლებიც ფონოგრამის დამამზადებისთვის იქნა გაღებული.

ამასთან, დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ფონოგრამა, მოუხედავად ჩაწერის ფორმისა და ხარისხისა.

დამამზადებლის უფლებები წარმოიშობა შესრულების ჩაწერის შედეგად. ეს კი ხორციელდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც ჩანაწერის მრავალჯერადი აღქმის, რეპროდუცირებისა და გადაცემის საშუალებას იძლევა. დამამზადებლის უფლებები წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავად ასეთი ჩაწერა ავტორისა და შემსრულებლის უფლებების დაცვით არის განხორციელებული. კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დამამზადებლის უფლებების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელი რაიმე ფორმალობათა დაცვა.

მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ფონოგრამის გამოყენების ძირითად სახეებს.

ა) ქვეპუნქტი აღგენს დამამზადებლის უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს ფონოგრამის რეპროდუცირება, მათ შორის როგორც მთლიანად ფონოგრამის, ისე მასზე დაფიქსირებული ცალკეული შესრულების ნებისმიერი ფორმით კოპირება.

ამასთან, აღნიშნული უფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის ჩაწერილი ფონოგრამაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ფონოგრამაზე შესრულება დაფიქსირებულია შემსრულებლის თანხმობით, დამამზადებლის უფლება რეპროდუცირებაზე შემოიფარგლება იმ მიზნით, რისთვისაც მიღებულ იქნა ნებართვა შემსრულებლისაგან. აღნიშნული უშუალოდ გამომდინარეობს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტიდან, რომლის შესაბამისადაც შემსრულებელს ეკუთვნის შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირების უფლება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესრულება ჩაწერილია შემსრულებლის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რა მიზნითაც მოხდა ჩაწერა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფონოგრამაზე დაფიქსირებულია შესრულება, რომლის დაცვის ვადაც გასულია ან ჩანაწერი, რომელიც არ არის დაცული „საავტორო და მომიჯნავე უფლე-

ბების შესახებ“ კანონით, დამამზადებლის უფლება რეპროდუცირებაზე არაფრით არ არის შეზღუდული.

ბ) ქვეპუნქტი ადგენს დამამზადებლის უფლებას ფონოგრამის პირველ გავრცელებაზე. სიტყვა „პირველი“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფონოგრამის დამამზადებელს, საავტორო უფლებების მელობელთა შსგავსად, ფონოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელების შემდეგ, ეწეება მისი შემდგომი გავრცელების კონტროლის უფლება. მაგალითად, „საავტორო და მოძიჯნვე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თუ მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების ეგზემპლარები იყიდება, მაშინ დაშვებულია მათი შემდგომი გავრცელება ავტორის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.“

გ) ქვეპუნქტი ეხება ფონოგრამის გაქირავების უფლებას. კერძოდ, ის უფლებას ანიჭებს დამამზადებელს ნება დართოს ან აკრძალოს ფონოგრამის გაქირავება, განსხვავებით შემსრულებლისაგან, რომელსაც კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ ჰონორარის მიღების უფლება აქვს.

გაუგებრობას იწვევს ამ მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტი, რომელიც დამამზადებელს ანიჭებს ფონოგრამის ეგზემპლართა გაყიდვის, გაქირავების ან სხვა გზით გავრცელების უფლებას. ამავე მუხლის ბ) ქვეპუნქტის შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნული შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დამამზადებლის უფლება ნება დართოს ან აკრძალოს ფონოგრამების გავრცელება პირველი გავრცელების შემდეგაც. გარდა ამისა, დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გავრცელება მოიცავს გაქირავების უფლებასაც მაშინ, როდესაც გაქირავების უფლება სპეციალურად არის გათვალისწინებული გ) ქვეპუნქტში.¹ ყოველივე ზემოაღნიშნუ-

¹ დ) ქვეპუნქტი წინააღმდეგობაშია „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შთანხმებასთან, რომლის შესაბამისადაც, გაქირავების უფლება ცალკე გამოყოფილი, რაც განპირობებულია იმით, რომ ეს უფლება, გავრცელების უფლებისაგან განსხვავებით, არ ამოიწურება.

ლიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს მუხლი მოითხოვს დაზუსტებას და კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

ე) ქვეპუნქტი ადგენს დამამზადებლის უფლებას განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ჩანაწერის, მათ შორის მისი თანხმობით დამზადებული ეგზემპლარების, იმპორტი. აღნიშნული უფლება დამამზადებლისათვის წარმოადგენს დამატებით ბერკეტს, ფონოგრამის ეგზემპლართა გავრცელების პროცესის გასაკონტროლებლად. ამ უფლების საფუძველზე, დამამზადებელს შეუძლია მიიღოს ზომები ეგზემპლართა არასანქცირებული გავრცელების აღსაკვეთად ჯერ კიდევ იმ ტერიტორიის საბაჟო საზღვარზე, რომელზეც განზრახულია ეგზემპლართა შეტანა. ამას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბრუნვაში გაშვებული ეგზემპლარების აღმოჩენა და ამოღება გაცილებით უფრო რთულია და ნაკლებად ეფექტური. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დამამზადებელს გარკვეულ შემთხვევებში არა აქვს უფლება წინ აღუდგეს ფონოგრამის ეგზემპლართა იმპორტს, კერძოდ, როდესაც ხდება საავტორო ან მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოებების (საქონელის) ეგზემპლარების მცირე რაოდენობით (ე.წ. „ლე მინიმის“ პრინციპი) და არაკომერციული მიზნით იმპორტი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონით „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“.¹

მე-3 პუნქტის შესაბამისად ისევე, როგორც შემსრულებელთა შემთხვევაში, დამამზადებლის უფლებები, ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება გადაეცეს როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებს.

¹ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონი ვრცელდება მხოლოდ საავტორო უფლებების ობიექტებზე, მაშინ როდესაც, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი „ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ“ შეთანხმება (TRIPS-ის შეთანხმება) სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებით, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, მოიცავს როგორც საავტორო, ისე მომიჯნავე უფლებების ობიექტებს. აქედან გამომდინარე, კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ მოითხოვს შესაბამის კორექტირებას.

როგორც პირველ პუნქტშია აღნიშნული, ფონოგრამის დამამზადებელს უფლება აქვს მიიღოს, სამართლიანი ანაზღაურება ფონოგრამის ნებისმიერი გამოყენებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ კანონი მთელ რიგ შემთხვევებში ითვალისწინებს მოსარგებლეთა მიერ ფონოგრამის გამოყენების შესაძლებლობას დამამზადებლის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამ უფლებას დამამზადებლისთვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება აღნიშნული უფლების განხორციელებას, მასზე 52-ე მუხლის განხილვისას იქნება საუბარი.

**მუხლი 49. ვიდეოგრამის დამამზადებლის
განსაკუთრებული უფლებები**

1. ვიდეოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ვიდეოგრამა ნებისმიერი ფორმით, ვიდეოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის პონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ვიდეოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

- ა) ვიდეოგრამის რეპროდუქცირება;
- ბ) ვიდეოგრამის ევ შემპლართა პირველი გავრცელება;
- გ) ვიდეოგრამის ევ შემპლართა გაქირავება;

დ) ვიდეოგრამის ევ შემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთარების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ე) ვიდეოგრამის ევ შემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ევ შემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამამზადებელია ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

ამ მუხლის შესაბამისად, ვიდეოგრამის დამამზადებელს აქვს იგივე უფლებები ვიდეოგრამის გამოყენებაზე, რაც ფონოგრამის დამამზადებელს ფონოგრამასთან დაკავშირებით. ამდენად, შეგვიძლია ვისარგებლოთ 48-ე მუხლის კომენტარით.

მუხლი 50. მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლებები

1. მაუწყებლობის ორგანიზაციას ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება გამოიყენოს თავისი გადაცემა ნებისმიერი ფორმით, გადაცემის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ანაზღაურების ძიების უფლების ჩათვლით.

2. გადაცემის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) გადაცემის ჩაწერა;

ბ) გადაცემის ჩანაწერის რეპროდუქცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაცემა ჩაწერილია მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობით და რეპროდუქცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა;

გ) გადაცემის ერთდროულად გადაცემა ეთერში და კაბელით შესაბამისად საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის სხვა ორგანიზაციის მიერ;

დ) გადაცემის გადაცემა ეთერში ან კაბელით;

ე) გადაცემის საჯარო გადაცემა ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია;

ვ) გადაცემის ჩანაწერის გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქრავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით.

ტერმინი „მაუწყებლობის ორგანიზაცია“ ნიშნავს რადიო და ტელე კომპანიებს, რომლებიც საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის მეშვეობით ახორციელებენ ხმის ან/და გამოსახულების გავრცელებას. კანონის თანახმად, საეთერო მაუწყებლობა ნიშნავს საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გადაცემას უძველეს კავშირგაბმულობით, მათ შორის თანამგზავრის მეშვეობით, ხოლო კაბელით მაუწყებლობა – იგივე ობიექტის გადაცემას კაბელით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ან სხვა ანალოგიური მოწყობილობით.

მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანიის ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური ძალისხმევის შედეგს. ამასთან, გადაცემა შეიძლება შეიცავდეს საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტს, რომლის გადაცემაზეც ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ნებართვა კანონით დადგენილი წესით. თუმცა, შესაძლებელია სამაუწყებლო ორგანიზაციამ საზოგადოებას შესთავაზოს, აგრეთვე, მის მიერ შექმნილი გადაცემები, რომლებიც, ასევე, საავტორო უფლების ობიექტებს წარმოადგენენ. როგორც წესი, სამაუწყებლო გადაცემები მზადდება ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, გადაცემები შეიძლება მომზადდეს სხვა პირების დაკვეთით. მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემებს, როგორც მომიჯნავე უფლებების ობიექტს, მიეკუთვნება ყველა გადაცემა, მიუხედავად იმისა დაცულია თუ არა ისინი საავტორო უფლებით.

მე-2 პუნქტი ეხება მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებულ უფლებებს და იძლევა მათ ჩამონათვალს.

ა) ქვეპუნქტი აღგენს მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებას გადაცემის ჩაწერაზე. ასეთი გადაცემის ჩაწერა, გარდა კანონის 51-ე მუხლით („მომიჯნავე უფლებათა ობიექტების თავისუფალი გამოყენება“) განსაზღვრული შემთხვევებისა, აკრძალულია უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

ბ) ქვეპუნქტი აღგენს მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებას გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირებაზე. გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება გულისხმობს ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით ჩანაწერის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადებას ან ჩაწერას დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის ელექტრონული, ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით. მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ამ უფლების შეუფერხებელი განხორციელება მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტერესთან არის დაკავშირებული და პირიქით, სხვა პირთა მიერ რეპროდუცირების

უფლების დარღვევა ხელყოფს მაუწყებლობის ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად უფლებას. ამასთან, ამავე ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მაუწყებლობის ორგანიზაცია ნებას რთავს სხვა პირს გადაცემის ჩაწერაზე, იგი კარგავს რეპროდუქციების აკრძალვის უფლებას, თუ რეპროდუქცირება ხდება იმავე მიზნით, რისთვისაც შესაბამისმა პირმა მიიღო უფლება გადაცემის ჩაწერაზე.

გ) ქვეპუნქტი ადგენს მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს გადაცემის ერთდროული გადაცემა ეთერში ან კაბელით, რაც ნიშნავს ნება დართოს ან აკრძალოს გადაცემის რეტრანსლაცია. აღნიშნული უფლების გამოყოფა განპირობებულია საზოგადოების მხრიდან პირდაპირი გადაცემებისადმი განსაკუთრებული ინტერესით, რაც საშუალებას აძლევს სამაუწყებლო კომპანიას გადაცემისაგან მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი, უპირველეს ყოვლისა, სარეკლამო შემოსავლის სახით. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებებისა და პოპულარული შემსრულებლების გამოსვლების ტრანსლაციები.

დ) ქვეპუნქტი ადგენს მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს გადაცემის ეთერში და კაბელით გადაცემა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება მოიცავს გ) ქვეპუნქტში აღნიშნულ უფლებას, რადგან მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლება ეთერში და კაბელით გადაცემაზე ვრცელდება, აგრეთვე, ერთდროულ გადაცემაზე ეთერში და კაბელით.

აღნიშნული უფლების კანონით გათვალისწინების მიზანს წარმოადგენს ეთერში და კაბელით ადრე გადაცემული გადაცემების განმეორებით ჩვენებაზე კონტროლის დაწესების შესაძლებლობა, რადგან გადაცემა მისი ჩანაწერის გამოყენებით შეიძლება გავრცელდეს სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ეთერისა და კაბელის მეშვეობით.

რა თქმა უნდა, გადაცემის უფლება (გარდა ერთდროული გადაცემისა) უშუალო კავშირშია გადაცემის ჩაწერის

უფლებასთან (ამავე მუხლის ა) ქვეპუნქტი), რადგან თუ არ არსებობს გადაცემის ჩაწერის უფლება, შეუძლებელია კანონიერად ამ გადაცემის შემდგომი გადაცემა. ამასთან, გადაცემის უფლებას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაიცემა უნებართვოდ განხორციელებული ჩანაწერი, ან არ არსებობს ნებართვა კანონიერად განხორციელებული ჩანაწერის გადაცემაზე.

ე) ქვეპუნქტის შესაბამისად, მუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს ნება დართოს ან აკრძალოს გადაცემის საჯარო გადაცემა ისეთ ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია. ეს განაპირობებულია იმით, რომ ზოგიერთი რესტორანი, კაფე-ბარი და სასტუმრო კლიენტების მიზიდვის მიზნით უჩვენებს მათ სატელევიზიო გადაცემებს და ახდენინებს გარკვეულ ფულად თანხას. ამდენად, ისინი იყენებენ გადაცემებს საკუთარი შემოსავლების გაზრდისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სპორტულ გადაცემებს. სპორტის მესვეურები იძულებული არიან უარი თქვან ასეთ ტელეგადაცემებზე იმ შემთხვევაში, თუ სამუწყებლო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ გააკონტროლონ გადაცემის საჯაროდ ჩვენების ადგილები. ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული დაწესებულებების კლიენტები იხდიან ფულს საკვებისა და სასმელისათვისაც არ არის საკმარისი არგუმენტი მუწყებლობის ორგანიზაციის უფლების უგულვებელსაყოფად. ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პუნქტით განსაზღვრული უფლება არ ვრცელდება ისეთ ადგილებში, როგორც არის სასტუმრო, ანუ ადგილი სადაც მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ჩვენება შედის მომსახურების სტანდარტში (ყოველ ოთახში დგას ტელევიზორი) და მომხმარებელი ამისთვის დამატებით გადასახადს არ იხდის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმავე სასტუმროებში შეიძლება არსებობდეს საექსკლუზივი ფასიანი არხები, რომლის მეშვეობითაც ხდება როგორც აუდიოვიზუალური ნაწარმოებების, ისე მუწყებლობის ორგანიზაციების გადაცემების დემონსტრირება, რისთვისაც სასტუმროთა მენეჯერებს სხვადასხვა უფლებით დაცული ობიექტების ამგვარი გამოყენებისათვის უწევთ დამატებითი გადასახადის გადახდა.

ვ) ქვეუნქტი ადგენს მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებას გადაცემის ჩანაწერის გავრცელებაზე გაყიდვის, გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით. სავსებით ლოგიკურია, რომ სათანადო ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად ა) ქვეუნქტით გათვალისწინებულ ჩაწერის და ბ) ქვეუნქტით გათვალისწინებულ ჩანაწერის რეპროდუცირების უფლებას თან სდევს ჩანაწერის ვებემპლარების გავრცელების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ არც თუ ისე ხშირად ხდება მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ამგვარი გამოყენება, კანონი სამართლიანად ანიჭებს მას ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას, რადგან იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება გადაცემის ჩანაწერის გავრცელება, ეს ნორმა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

მუხლი 51. მომიჯნავე უფლებათა ობიექტების თავისუფალი გამოყენება

1. ამ კანონით გათვალისწინებულ მომიჯნავე უფლებათა შეზღუდვები ხელს არ უშლის შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლაზავს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მუწყებლობის ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

2. დაშვებულია შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობისა და მათთვის პანორამის გადახდის გარეშე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან ციტირებისას, სამეცნიერო, კლავით, პოლემიკურ, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის – მხოლოდ იმ მოკულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით;

ბ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწვევების ილუსტრაციის სახით გამოყენებისას სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის – მხოლოდ იმ მოკულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწვევების ჩართვისას მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში.

3. დაშვებულია ფიზიკურ პირთა მიერ შესრულების, მუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება, აგრეთვე პირადი სარგებლობისათვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირება შემსრულებლის, მუწყებლობის ორგანიზაციის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობის გარეშე. ასეთი რეპროდუცირება ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ნორციულდება პანორამის გადახდის პირობით.

საავტორო უფლებათა ობიექტების მსგავსად, მომიჯნავე უფლებათა ობიექტების გამოყენება შესაძლებელია უფლების მფლობელების თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშეც. თუმცა, დადგენილია, რომ ამგვარი გამოყენება უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს აღნიშნული პირების კანონიერ ინტერესებს, რითაც კანონი გარკვეულ ჩარჩოებში ათავსებს ზემოაღნიშნულ პროცესს.

კანონში ამ დებულებების არსებობა განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესებით, რასაც საფუძვლად უდევს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების შესაძლებლობა განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მომიჯნავე უფლებების ობიექტების თავისუფალი გამოყენება დაშვებულია რომის კონვენციის მე-15 მუხლით, რომლის დებულებები, ამა თუ იმ ფორმით ასახულია ეროვნულ კანონმდებლობებში.

მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია მომიჯნავე უფლებების ობიექტებისა და მათი ჩანაწერების თავისუფალი გამოყენების სახეები.

ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ციტირება შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან, სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, დაშვებულია მხოლოდ ციტირების მიზნისათვის გამართლებული მოცულობით.

აღნიშნული მიზნით მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების პირობას ადგენს ამ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება. ხოლო, ის თუ რა ჩაითვლება „გამართლებულ მოცულობად“ დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე იმ მიზნების გათვალისწინებით, რისთვისაც ხდება ციტატის მოყვანა.

რა თქმა უნდა, აღნიშნული მიზნით მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც მათი შინაარსი, ასევე ციტირებისათვის გამოყენებული ნაწილიც. ამგვარი ქმედება უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს უფლების მფლობელის ინტერესებს.

ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად დაშვებულია, აგრეთვე, შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტ-

რაციის სახით სწავლების ან სამეცნიერო კვლევებისათვის მხოლოდ დასახული მიზნისათვის განსაზღვრული მოცულობით.

საგანმანათლებლო მიზნებისათვის მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენებამ უნდა ჩაითვალოს ილუსტრაციის სახით მათი ჩართვა სასწავლო პროგრამებში და სპეციალურ სასწავლო გადაცემებში, რომლებიც გადაიცემა ეთერში ან კაბელით.

გ) ქვეპუნქტის შესაბამისად დაშვებულია შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ჩართვა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში. ზემოთ განხილულ შემთხვევათა მსგავსად, კანონის ეს ნორმაც პირობითი ხასიათისაა. ამ ქვეპუნქტის გამოყენებისას რთული იქნება დადგინდეს რა ჩაითვლება „მოკლე ნაწყვეტად“ კონკრეტული მოვლენის აღწერისათვის და რა — არა, რადგან, ერთი მხრივ, იგი გამოყენებული უნდა იქნეს იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მოვლენის გასაშუქებლად და, მეორე მხრივ, ამან არ უნდა შელახოს უფლების მფლობელის კანონიერი ინტერესები.

მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა მიერ შესრულების, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენებისას, აგრეთვე, პირადი სარგებლობისთვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირებისას. ჰონორარის გადახდის პირობას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, ანუ გადახდას აუდიო და ვიდეო ტექნიკის, კასეტების, კომპაქტ-დისკების და ა.შ. მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ, რაც ხორციელდება შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მეშვეობით.

მუხლი 52. მოგების მიღების მიზნით დამზადებული
ფონოგრამის გამოყენება

1. დაშვებულია მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის დამამზადებლის და ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების შემსრულებლის თანხმობის გარეშე, მაგრამ ჰონორარის გადახდით:

ა) ფონოგრამის საჯარო შესრულება;

ბ) ფონოგრამის გადაცემა ეთერში ან კაბელით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შევროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციასთან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებებს, ამ ორგანიზაციას შორის შეთანხმების შესაბამისად.

3. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, ფონოგრამებით მოსარგებლეთა და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ფონოგრამების დამამზადებელთა და შემსრულებელთა უფლებებს. თუ მხარეები ვერ მაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი „საქსატენტი“. ჰონორარის ოდენობა დგინდება ფონოგრამის გამოყენების ყოველი ფორმისათვის.

(საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 2000 წ.)

4. ფონოგრამებით მოსარგებლეებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებს უნდა წარუდგინონ პროგრამები (გვებები), რომლებიც შეიცავს ზუსტ ცნობებს ფონოგრამების გამოყენების ოდენობის შესახებ, აგრეთვე სხვა ცნობები და საბუთები, რომლებიც აუცილებელია ჰონორარის შევროვებისა და განაწილებისათვის.

პირველი პუნქტი ადგენს, რომ დასაშვებია მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის დამამზადებლისა და ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების შემსრულებლის თანხმობის გარეშე ფონოგრამის საჯარო შესრულება და გადაცემა ეთერში ან კაბელით, მაგრამ ჰონორარის გადახდის პირობით.

ეს პუნქტი ეხება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ფონოგრამის შესრულებას (მაგალითად, ბარებსა და რესტორნებში) და ფონოგრამის გადაცემას ეთერში ან კაბელით. ამასთან, უკანასკნელ შემთხვევაში, შესრულება შეიძლება გადაიცეს როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ობიექტი ან ჩართულ იქნეს გადაცემაში და ასრულებდეს გადაცემის ფონის ფუნქციას. ფონოგრამის საჯარო შესრულება ან ფონოგრამის ეთერში ან კაბელით გადაცემისას ფაქტობრივად ადგილი აქვს ე.წ. იძულებით ლიცენზირებას, ანუ როდესაც ფონოგრამის გამოყენებისათვის საჭირო არ არის მომხრე უფლებათა მფლობელების (დამამზადებელი, შემსრულებელი) წინასწარი თანხმობა და მათ გააჩნიათ მხოლოდ სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლება, განსხვავებით ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორებისაგან, რომელთა ნებართვის გარეშეც ფონოგრამის საჯარო შესრულება და გადაცემა დაუშვებელია.

მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განახორციელონ ფონოგრამის დამამზადებლებმა და შემსრულებლებმა თავიანთი უფლება სამართლიანი ანაზღაურების მიღებაზე ფონოგრამის საჯარო შესრულებისა და ეთერში ან კაბელით გადაცემისას.

იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლები და ფონოგრამის დამამზადებლები გაერთიანებული არიან ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის სხვადასხვა საზოგადოებებში, მათ შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, ჰონორარის შეგროვება და განაწილება უნდა განახორციელოს ერთ-ერთმა მათგანმა. ამით კანონი პრაქტიკულად ადვილებს მოსარგებლეთა ფინანსურ ურთიერთობას ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან.

მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ფონოგრამის მოსარგებლებსა და, მეორე მხრივ, ფონოგრამის დამამზადებლებსა და შემსრულებლებს შორის ჰონორარის ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის წესს და უფლებამოსილებას ანიჭებს საქაბტენტს დაადგინოს ჰონორარის ოდენობა.

მე-4 პუნქტი განსაზღვრავს მოსარგებლეთა მიერ შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციისათვის ფონოგრამის გამოყენ-

ბასთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. აღნიშნულის საფუძველზე მოსარგებლები ვალდებულნი არიან აწარმოონ დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული იქნება, თუ რამდენჯერ შესრულდა ან გადაიცა ესა თუ ის ფონოგრამა, ან მასზე ჩაწერილი ცალკეული შესრულება. მოსარგებლები ვალდებული არიან, აგრეთვე, კოლექტიური მართვის საზოგადოებას წარუდგინონ ფინანსური დოკუმენტაცია, რომელშიც ასახულია ინფორმაცია მათი შემოსავლების შესახებ, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უმეტეს შემთხვევაში, ჰონორარის ოდენობა შეადგენს მოსარგებლის შემოსავლის გარკვეულ პროცენტს. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მხარეები შეთანხმებულნი არიან ფიქსირებულ თანხაზე, რომელსაც იხდის მოსარგებლე. ამგვარი წესი, უმეტეს შემთხვევაში, გამოიყენება ბარებისა და რესტორნების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონოგრამის გამოყენების შესახებ მოსარგებლეთა მიერ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება განპირობებულია, აგრეთვე, იმ გარემოებით, რომ მხოლოდ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი შეგროვებული ჰონორარის სამართლიანად განაწილება უფლებათა მფლობელებზე.

მუხლი 53. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის

1. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განახორციელოს შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის და ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) წინასწარი თანხმობის მიღება ამ შესრულების ან პროგრამის გადაცემაზე;

ბ) მოკლევადიანი ჩანაწერის დამზადება და რეპროდუცირება საკუთარი მოწყობილობით, საკუთარი გადაცემისათვის;

გ) მოკლევადიანი ჩანაწერის განადგურება იმ პირობით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა მოკლევადიანი ჩანაწერებისათვის.

ეს მუხლი ადგენს მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებას შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განახორციელოს შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის და ჩანაწერის რეპროდუცირება მხოლოდ საკუთარი ტექნიკური საშუალებებითა და საკუთარი გადაცემისათვის. ეს მუხლი საშუალებას აძლევს სამაუწყებლო ორგანიზაციებს განახორციელონ ჩანაწერის შემდგომი გადაცემა იმ პირობის დაცვით, რომელიც ასახულია გ) ქვეპუნქტში.

გ) ქვეპუნქტი, კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ადგენს, რომ მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელისაგან მიღებული წინასწარი თანხმობის საფუძველზე, საკუთარი მოწყობილობითა და საკუთარი გადაცემისათვის განხორციელებული მოკლევადიანი ჩანაწერი ექვსი თვის შემდეგ ექვემდებარება განადგურებას, თუ უფრო ხანგრძლივი ვადა გათვალისწინებული არ იყო უფლებამოსილ პირთან დადებული ხელშეკრუ-

მუხლი 53. საეთურო მუწუებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულების
ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის

ლებით. ამასთან, ისევე, როგორც საავტორო უფლების ობიექტების შემთხვევაში, უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე ოფიციალურ არქივში შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტური ხასიათის ჩანაწერები.

თავი VII. საპენალური ღებულებები
მონაცემთა ბაზის დამამზადებლის
უფლებების შესახებ

მუხლი 54. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი

1. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი, რომელიც აღსტურებს, რომ მან განაზორციელა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალდაძანდება მონაცემთა ბაზის შემკველობის შექმნის, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი შემკველობის ან ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება.

2. ამ თავის მიზნებისათვის, ამოღება გულისხმობს მონაცემთა ბაზის მთლიანი შემკველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის მუდმივად ან დროებით გადატანას სხვა მატერიალურ მატარებელზე ნებისმიერი საშუალებით თუ ფორმით, ხოლო ხელახალი გამოყენება გულისხმობს მონაცემთა ბაზის მთლიანი შემკველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობას საზოგადოებისათვის ასლების გაქირავებით, დიჯიტალური ან/და ვიდეოების პირდაპირი ან სხვა ფორმით მონაცემთა ბაზის ვებ-გვერდების გაყიდვის შეძლე დაშვებულა მათი შეძლეობი გაყიდვა მონაცემთა ბაზის დამამზადებლის თანხმობის გარეშე.

3. დაუშვებელია მონაცემთა ბაზის შემკველობის უმნიშვნელო ნაწილების განმეორებითი ან სისტემური ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება, თუ ასეთი მოქმედება ხელს უშლის მის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ ღაბავს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

5. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლებები ძალაშია, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა საავტორო უფლებით ეს მონაცემთა ბაზა და მისაღება თუ არა მისი მონაარსი. მონაცემთა ბაზის დაცვა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებების შესაძამისად არ უნდა ღაბავდეს მასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებებს.

მონაცემთა ბაზის დეფინიცია მოცემულია მე-4 მუხლში. ფართო გაგებით, მონაცემთა ბაზა არის რომელიმე სფეროში, კონკრეტულ ობიექტებზე არსებული მონაცემების ერთობლიობა, ე.ი. ურთიერთდაკავშირებულ მონაცემთა ერთობლიობა, რომლის მართვა ხდება მონაცემთა ბაზის მართვის სისტემით.

მონაცემთა ბაზის ძირითადი ამოცანაა – შეინახოს და მოშმარებელს პირველივე მოთხოვნისთანავე სრულად წარუდგინოს მისთვის საინტერესო მონაცემები.

განასხვავებენ მონაცემთა ბაზის ორ სახეს – ცენტრალურ და განაწილებულს. ცენტრალური მონაცემთა ბაზა შენახულია ერთ კომპიუტერში (სერვერზე). განაწილებული მონაცემთა ბაზა რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა კომპიუტერშია (ქსელში) განაწილებული. მონაცემთა ბაზის ობიექტები შეიძლება იყოს ცხრილები (tables), შენახული პროცედურები (stored procedures), ტრიგერები (triggers), გასაღები (key) და სხვა, ხოლო ტიპები შეიძლება იყოს: ბინარული, სიმბოლური, ტექსტური და სხვ.

მონაცემთა ბაზის ავტორის განსაკუთრებული უფლებები განმტკიცებულია კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტით, ქონებრივი უფლებების შეზღუდვა კი – 21-ე, 28-ე და 30-ე მუხლებით.

54-ე მუხლის პირველი პუნქტი ეხება მონაცემთა ბაზის დამამზადებლის დეფინიციას და მის განსაკუთრებულ უფლებებს. დანარჩენი პუნქტებით დაზუსტებულია მონაცემთა ბაზის მთლიანი შემცველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის გადატანისა და ხელახალი გამოცნების მნიშვნელობა; მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები, მათი გადაცემის ფორმა.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ბაზის ცალკეული მონაცემები, რომელიც ამ ბაზაშია ჩართული, შეიძლება დაცული იქნეს, როგორც საავტორო, ისე მოძიჯნავე უფლებებით.

საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი მონაცემთა ბაზას მოძიჯნავე უფლებებს მიაკუთვნებს (მუხლი 1), თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა მე-19, 21-ე, 28-ე და 30-ე მუხლები საავტორო და არა მოძიჯნავე უფლებებს

ეხება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მონაცემთა ბაზებს ლიტერატურულ ნაწარმოებად მიიჩნევდა (1025-ე მუხლი). ამასთან, სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებდა მონაცემთა ბაზის მფლობელის უფლებებს. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებს ეხება, ხოლო მე-19 მუხლის მეორე ნაწილი კი – მონაცემთა ბაზის ავტორის განსაკუთრებულ უფლებებს.

**მუხლი 55. მონაცემთა ბაზის კანონიერი
მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები**

1. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება არ აქვს აუკრძალოს მონაცემთა ბაზის კანონიერ მოსარგებლეს მონაცემთა ბაზის შემკველობის ზარისზოდრიეად ან/და რაოდენობრივად შეფასებული უმნიშვნელო ნაწილების ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება ნებისმიერი მიზნით თუ კანონიერ მომხმარებელს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის ამოღების ან/და ხელახალი გამოყენების უფლება, ეს პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

2. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის მოქმედება უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

3. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის კანონიერმა მოსარგებელმა არ უნდა შელახოს საავტორო ან მოძიენავე უფლებათა მფლობელის უფლებები მონაცემთა ბაზაში არსებულ ნაწარმოებთან ან მოძიენავე უფლების ობიექტთან დაკავშირებით.

მონაცემთა ბაზის დამამზადებელს არა აქვს უფლება აუკრძალოს მონაცემთა ბაზის კანონიერ მოსარგებლეს უმნიშვნელო ნაწილების ამოღება და/ან ხელახალი გამოყენება. აქ იგულისხმება მონაცემთა ბაზაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რაც შეცდომის გასწორებად შეიძლება ჩაითვალოს, ან ისეთი ცვლილება, რომელიც საშუალებას მისცემს მოსარგებლეს, მის ტექნიკურ საშუალებებზე იმუშაოს მონაცემთა ბაზამ. ამ პუნქტის მეორე წინადადება გარკვეულ შეზღუდვასაც აწესებს, კერძოდ, თუ კანონიერ მომხმარებელს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის ამოღების ან/და ხელახალი გამოყენების უფლება, ეს პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე. ასეთი გამოყენების უფლება კი შეიძლება ხელშეკრულების საშუალებით. ე. ი. თუ ხელშეკრულება არსებობს, მაშინ 55-ე მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის მოქმედება უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს. აქ იგულისხმება მე-19 და 54-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებები.

მე-3 პუნქტში იგულისხმება მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი, მონაცემთა ბაზაში შესული ნაწარმოების ან მომოჯნავე უფლების ობიექტთან დაკავშირებით.

**მუხლი 56. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის
უფლებების შეზღუდვა**

მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლე უფლებამოსილია მისი დამამზადებლის ნებართვის გარეშე:

ა) ამოიღოს პირადი სარგებლობისათვის არაელექტრონული მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი;

ბ) ამოიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მასალის საილუსტრაციოდ მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, წყაროს მითითებით და დასახული არაკომერციული მიზნით განსაზღვრული მოცულობით;

გ) ამოიღოს და ხელახლა გამოიყენოს მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის და ადმინისტრაციული თუ სასამართლო-საპროცესო მიზნებისათვის.

56-ე მუხლი ეხება მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებათა შეზღუდვას. კერძოდ, მონაცემთა ბაზიდან შეიძლება მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება:

ა. პირადი სარგებლობისათვის 22-ე მუხლის ა) პუნქტის ანალოგიურად;

ბ. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მასალის საილუსტრაციოდ 23-ე მუხლის ანალოგიურად;

გ. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის და ადმინისტრაციული თუ სასამართლო-საპროცესო მიზნებისათვის 26-ე მუხლის ანალოგიურად.

თავი VIII. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვალა

მუხლი 57. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვალები

1. ამ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში პირველი შესრულებიდან. თუ ამ ვალში შესრულების ჩანაწერი მართლზომიერად გამოიყა ან საჯაროდ გადაიყა, ეს ვალ ვრძელდება პირველი ასეთი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

2. შემსრულებლის სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება დაცულია უკალოდ. ეს უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. შემსრულებლის პირად უფლებათა დაცვა მისი გარდაცვალების შემდეგ ხორციელდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის.

3. ამ კანონის 48-49-ე მუხლებით გათვალისწინებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩაწერიდან. თუ ამ ვალში ფონოგრამა ან ვიდეოგრამა მართლზომიერად გამოიყა ან საჯაროდ გადაიყა, ეს ვალ ვრძელდება პირველი ასეთი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

4. ამ კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული საეთერო (საკბელი) მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ასეთი ორგანიზაციის მიერ ეთერში (კბელით) პროგრამის პირველად გადაცემის შემდეგ.

5. ამ კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 15 წლის განმავლობაში მონაცემთა ბაზის დამამზადებელს. თუ ამ ვალში მონაცემთა ბაზა გამოქვეყნდა, თხუთმეტი წელი აითვლება გამოქვეყნებიდან.

6. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული მონაცემთა ბაზის შემცველობის ბარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული ცვლილება, კერძოდ, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, გამოქვეყნდარე გაუქმებიდან ან შესწორებიდან, რომელიც საშუალებას

იძლევა დადგინდეს, რომ განხორციელდა ზარისზოდრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალდამანება, შესაძლებლობას იძლევა ასეთი დამანების შედეგად შეცვლილ მონაცემთა ბაზას მიეცეს დაცვის საკუთარი ვადა.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველია.

8. ამ თავით გათვალისწინებული უფლებები იმ ვადების დარჩენილ დროის ფარგლებში, რომლებიც მოითხოვულია ამ მუხლის პირველ, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში, გადადის შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მუწყებლობის ორგანიზაციის შემკვიდრებზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – მის უფლებამონაცვლებზე.

კანონი იცავს არა მარტო საავტორო, არამედ მომიჯნავე უფლებებსაც. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მომიჯნავე უფლებების დაცვა აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას. ორივე სახის უფლება დაცვის დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს. უფრო მეტიც, რადგან მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებათა აღიარებისა და პატივისცემის საფუძველზე, იგი არასდროს არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საავტორო უფლებათა შელახვად. აქედან გამომდინარე, კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების – შემსრულებლების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებისა და მუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვას მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადებში. ასეთი ვადები დადგენილია განსახილველ მუხლში. იგი რამდენიმე პუნქტისაგან შედგება და მთლიანად განსაზღვრავს მერვე თავის შინაარსს.

პირველი და მეორე პუნქტები ეხება შემსრულებლის უფლებების მოქმედების ვადებს. კანონი ერთნაირად უდგება შინაობის, მომღერლის, მუსიკოსის, მოცეკვავის ან სხვა პირის მოღვაწეობას, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ასრულებენ ინტელექტუალურ საქმიანობას. შემსრულებლის ქონებრივი უფლებები, რომლებიც

ჩამოთვლილია კანონის 47-ე მუხლში, მოქმედებს პირველი შესრულებიდან 50 წლის განმავლობაში. ამგვარად, უფლების წარმოშობის საფუძვლად მიჩნეულია „პირველი შესრულება“. თუმცა, პირველ შესრულებასთან ერთად მსგავს საფუძვლად მიჩნეულია შესრულების ჩანაწერის მართლზომიერად გამოცემა ან საჯარო გადაცემა. ასეთ შემთხვევებში შეიძლება ვადების ათვლა დაიწყოს თავიდან. ამიტომ, ჩანაწერის მართლზომიერად გამოცემა ან საჯაროდ შესრულება საფუძვლად ედება უკვე წარმოშობილი უფლების მოქმედების ვადის გახანგრძლივებას, რადგან ამ მომენტიდან შემსრულებლის უფლება გრძელდება 50 წლის განმავლობაში. მაგალითად, თუ მომღერალმა შეასრულა სიმღერა 1990 წელს, ბუნებრივია მისი ქონებრივი უფლების წარმოშობა დაკავშირებულია ამ თარიღთან და იგი იმოქმედებს 2040 წლამდე. მაგრამ, თუ 2000 წელს მოხდა შესრულების ჩაწერა და გამოცემა ან საჯაროდ გადაცემა, მაშინ ამ თარიღიდან უნდა მოხდეს 50-წლიანი ვადის ხელახალი ათვლა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი შესრულებიდან გამოცემამდე ან საჯარო გადაცემამდე პერიოდში (10 წელი) შემსრულებლის უფლება სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება. შემსრულებლის უფლება გაცილებით ადრე იქნა წარმოშობილი, ხოლო ისეთმა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტმა, როგორცაა შესრულების გამოცემა ან საჯაროდ გადაცემა, გაახანგრძლივა შემსრულებლის ქონებრივი უფლების ვადა. იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა პირველად შესრულების შემდეგ, მეხუთე წელს იგივე მომღერლის მიერ კვლავ შესრულდება სიმღერა. მართალია, ამ თარიღიდან 50 წლის განმავლობაში მომღერლის უფლება დაცულია, მაგრამ ასევე იყო დაცული მისი უფლება წინა ხუთი წლის განმავლობაში. მართალია, შესრულების საჯაროდ გადაცემა ზუსტად არ ემთხვევა ევროპის საბჭოს 1993 წლის დირექტივის მესამე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსს „მოსახლეობამდე შესრულების დაყვანის“ შესახებ, რაც შესაძლებელია უფრო ფართო იყოს, მაგრამ მოუხედავად ამისა საჯარო გადაცემა იგივე მიზანს ისახავს და ამიტომ იგი ევროსაბჭოს მიერ მიღებულ ნორმებთან მიმართებაში

წინააღმდეგობრივ ცნებად არ შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება შემსრულებლის პირად არაქონებრივ უფლებებს, მათი მოქმედების ვადა განსხვავებულად განისაზღვრება. ავტორების მსგავსად, შემსრულებლების სახელის უფლებაზე და რეპუტაციის პატივისცემის უფლებაზე ვადა არ ვრცელდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის და არც მათი გასხვისება შეიძლება. შემსრულებლის პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვა ხორციელდება ამ უფლებათა წარმოშობიდან შემსრულებლის სიცოცხლის განმავლობაში და გარდაცვალების შემდეგაც, იმავე წესით, რაც საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის არის დადგენილი.

ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლების მოქმედების ვადაც იმავე წესით განისაზღვრება, როგორც შემსრულებლის. იგი მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩაწერიდან. ასევე, თუ ფონოგრამა ან ვიდეოგრამა მართლზომიერად ან საჯაროდ გადაიყა აღნიშნული ვადიდან 40 წლის შემდეგ, ამ მომენტიდან იგი კიდევ 50 წლით გაგრძელდება.

კანონი საგანგებოდ უთმობს ყურადღებას საეთერო (საკაბელო) მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებათა მოქმედების 50-წლიან ვადას, რომლის ათვლა იწყება ორგანიზაციის მიერ ეთერში პროგრამის პირველად გადაცემის შემდეგ. ამ ვადის გაგრძელების რაიმე საშუალება გათვალისწინებული არ არის.

ქონებრივ უფლებათა შემცირებული ვადებია დადგენილი მონაცემთა ბაზის დამამზადებლის მიმართ. უფლებათა დაცვა შესაძლებლად არის მიჩნეული მონაცემთა ბაზის დამამზადებლიდან 15 წლის განმავლობაში. თუ ამ ვადის გასვლაშდე მონაცემთა ბაზა გამოქვეყნდა, მაშინ ამ მომენტიდან კიდევ 15 წლით გაგრძელდება აღნიშნულ უფლებათა მოქმედების ვადა. მონაცემთა ბაზის შემცველობის ისეთი ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება, რაც შეიძლება არსებითი ხასიათის ან კაპიტალ-დაბანდების განხორციელების საფუძველად იყოს აღიარებული, დამოუკიდებელ ხასიათს ანიჭებს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის საქმიანობას. ამდენად, საკვებით შესაძლებლად არის მიჩნეული

შეცვლილი მონაცემთა ბაზისათვის დაწესებულ იქნეს უფლებათა დაცვის საკუთარი ვადა. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს მონაცემთა ბაზის დამაწმადებლის უფლებათა მოქმედების საერთო ვადას.

საავტორო უფლებების მსგავსად, მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადების ათელა იწყება ამ უფლებების წარმოშობი იურიდიული ფაქტის დადგომის წელიწადის შემდგომი წლის 1 იანვრიდან. ამ შემთხვევაშიც, არა აქვს მნიშვნელობა თუ რა პერიოდი რჩება ამ თარიღამდე.

განსახილველი მუხლის ბოლო პუნქტი ეხება საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებათა მფლობელი პირების მემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე ამ უფლებათა გადასვლის წესს, რომლის შესაბამისად, უფლებათა გადასვლა ხდება მომიჯნავე უფლებათა დაცვის კანონით განსაზღვრული ვადის დარჩენილი დროით. მაგალითად, შემსრულებლის ქონებრივი უფლებების მოქმედება დაიწყო 1990 წელს, უფლებათა მფლობელი კი გარდაიცვალა 2002 წელს. მის მემკვიდრეებზე უფლება გადავა არა 50 წლით, არამედ 1990 წლიდან 50 წლის გასვლამდე დარჩენილი 38 წლით. ან კიდევ, თუ საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაცია, როგორც იურიდიული პირი, საავტოროს მომიჯნავე უფლებებს ფლობს 1995 წლიდან, ხოლო 2000 წელს იგი გაერთიანდა სხვა, მსგავსი პროფილის იურიდიულ პირთან, მაშინ ამ უკანასკნელის, როგორც უფლებამონაცვლის მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადა გაგრძელდება არა 2045 წლამდე, არამედ – 2040 წლამდე. მემკვიდრეზე ან უფლებამონაცვლეზე უფლებათა გადასვლის ფაქტი არ არის მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადის ხელახალი ათვლის საფუძველი.

თავი IX. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

მუხლი 58. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა

1. ამ კანონით გათვალისწინებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა იწვევს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევისათვის იურიდიული პირი პასუხს აკებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად ჩაითვლება აგრეთვე:

ა) უფლების მართვის ელექტრონული ინფორმაციის შეკვლა ან წაშლა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე;

ბ) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოქვეყნება ნებისმიერი საშუალებით, როდესაც პირმა იცოდა ან სათანადო საფუძველი ჰქონდა სჯობნადა, რომ უფლების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია შეკვლილი ან წაშლილი იქნა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

I. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის ცნება და სახეები

სავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის ქვეშ მოიაზრება სავტორო სამართლით დაცული ნაწარმოების (ან მომიჯნავე უფლების ობიექტის) უნებართვო (არამართლზომიერი) გამოყენება, როდესაც ასეთი გამოყენებისათვის კანონი იმპერატორულად აწესებს სავტორო (მომიჯნავე) უფლების მფლობელის ნებართვის აუცილებლობას.

სავტორო უფლების დარღვევა, როგორც წესი, წარმოადგენს

ნებართვის გარეშე ობიექტის გამოყენების ფაქტს. მაგალითად, ნაწარმოების საჯარო გამოქვეყნება, კვლავწარმოება, ტრანსლაცია ან ნაწარმოების სხვა რაიმე სახით საზოგადოებისათვის მიწოდება, რომელიც ხორციელდება ნებართვის გარეშე.

„საავტორო და მომხრანვე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია, რომ საავტორო და მომხრანვე განსაკუთრებული უფლებების უნებართვო გამოყენება განიხილება ქონებრივი უფლებების დარღვევად. საკმარისია უნებართვოდ განხორციელდეს ცალკეული განსაკუთრებული უფლებით მოცული ქმედება, რომ სახეზე იყოს უფლებათა დარღვევა.

რას ნიშნავს საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების „გამოყენება“? კანონმდებლობით განსაზღვრულია ნაწარმოებთან დაკავშირებული ქმედებები, რომლებსაც საავტორო (მომხრანვე) უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე შესაძებ პირი ვერ განახორციელებს.

ქმედებები, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა საავტორო უფლების მფლობელის ნებართვა, როგორც წესი, შემდეგია: ნაწარმოების რეპროდუცირება და გავრცელება, გაყიდვა, გაქირავება, საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა, ნაწარმოების ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, ნაწარმოების საჯარო შესრულება, საჯარო ჩვენება, ნაწარმოების ხმის ჩანაწერის დამზადება, ნაწარმოების ეკრანიზება, საჯარო გადაცემა ეთერში ან კაბელით, თარგმნა და ადაპტირება („საავტორო და მომხრანვე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი).

საავტორო და მომხრანვე უფლებების დაცვა ხორციელდება ნივთზე საკუთრებისაგან დამოუკიდებლად; ანუ საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები („საავტორო და მომხრანვე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

მ ა ბ ა ლ ი თ ი:

ნაწარმოების ავტორმა „ბ“-ს აჩუქა თავისი წიგნის ერთი

ეგზემპლარი. შესაბამისად, იგი ვეღარ იქნება ამ ეგზემპლარის შესაკუთრე. იმედროულად ცხადია, რომ „ბ“ ვერ გახდება საავტორო უფლების მფლობელი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ავტორმა მას რომელიმე განსაკუთრებული უფლება დაუთმო. ამდენად, თუ „ბ“ გაამრავლებს და გავრცელებს ნაწიქარი ნაწარმოების ეგზემპლარს, ის დარღვევს ავტორის განსაკუთრებულ უფლებებს.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის მნიშვნელოვან სახედ კონტრაფაქციას მიიჩნევს, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ისეთ სახეებად, როგორიცაა: პლაგიატი, მეკობრეობა (პირატობა) და ბუთლეგერობა.

კონტრაფაქციად საავტორო სამართალი მიიჩნევს საავტორო და მომიჯნავე უფლების რომელიმე ობიექტის არაკანონიერ (არასანქცონირებულ) გამოყენებას კომერციული მიზნებისათვის. საერთაშორისო ხელშეკრულებები კონტრაფაქტორთა დასჯის მკაცრ ზომებს აწესებს. კონტრაფაქტორთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს კონტრაფაქციული ნაწარმის ჩამორთმევა და განადგურება.¹

პლაგიატი მეტწილად მორალური უფლებების დარღვევებს უკავშირდება. ეს ისეთი ქმედებაა, როდესაც ხდება საავტორო სამართლის რომელიმე ობიექტის მითვისება, წარდგენა ან გასაღება, როგორც საკუთარი ობიექტისა მისი მთლიანი, ნაწილობრივი, გადაკეთებული ფორმით ან კონტექსტით, რაც წარმოადგენს ამ ობიექტის გამოყენებას ავტორის დასახელების (მითითების) გარეშე.

საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებთა ეგზემპლარების კომერციული მიზნით, უნებართვოდ ნებისმიერი ფორმით დამზადება (კლავწარმოება) და ასევე, საჯაროდ გავრცელების მიზნით, უნებართვო კომერციული ოპერაციების ჩატარება წარმოადგენს

¹ კონტრაფაქციის შესახებ საუბარი გვექნება მე-60 მუხლში.

მეკობრეობას. მეკობრეობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა ხორციელდება კომერციული სარგებლის მიღების მიზნით. მეკობრეობა, უფრო ხშირად, ორგანიზებულად ხორციელდება, რადგან საქმე ეხება არა მარტო ნაწარმოების უნებართვო რეპროდუქციებას, არამედ უკანონოდ რეპროდუქცირებული ნაწარმოების შემდგომ გაყიდვას ან სხვაგვარ გავრცელებას, რაც აუცილებელს ხდის გასაღების ორგანიზებული ქსელის, ან პოტენციურ მყიდველებთან ამა თუ იმ ფორმის კონტაქტების არსებობას. მეკობრეობა არა მარტო საავტორო, არამედ მომიჯნავე უფლებების სფეროშიც ფართოდ არის გავრცელებული.

საავტორო სამართალი მომიჯნავე უფლებების სფეროში მეკობრეობას ბუთლფერობას უწოდებს. იგი წარმოადგენს ცოცხალი შესრულების უნებართვო ჩაწერას, რეპროდუქციებასა და ვაჭრობას.

ამდენად, კონტრაფაქცია და მისი გამოვლინების ყოველი სახე ზიანს აყენებს საავტორო უფლებათა დაცვის სისტემის ყველა კომპონენტს: ინტელექტუალური შრომის შედეგები ნაწარმოების შექმნას, მის წარმოებას და გავრცელებას.

კონტრაფაქციული საქონლით ვაჭრობის წინააღმდეგ საავტორო კანონმდებლობის განხორციელება საავტორო (მომიჯნავე) უფლების მფლობელთა ძირითად პრობლემას წარმოადგენს. საერთაშორისო საზღვრების ლიბერალიზაციამ და კოპირების სრულყოფილი მეთოდების გამოყენებამ გამოიწვია კონტრაფაქციული პროდუქციით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა ბოლო ათ წელიწადში.¹

ვინაიდან, მსგავსი სახის არასანქციონირებული საქმიანობა ფარულად ხორციელდება, ამიტომ ამ საქმიანობიდან მიღებული

¹ რონალდ ბრომი, კონტრაფაქციული პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული ქსელის (REACT) დირექტორი, ამსტელეინი, ნიდერლანდები, „კომისია სასაქონლო ნიშნებისა და საავტორო უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის, აგრეთვე კონტრაფაქციულ და საკუთრებაზე უფლებების განხორციელება“. თბილისი, „საქპატენტი“, 2001 წ., გვ. 83.

მოგება ვერანაირად ვერ იბეგრება. სახელმწიფოს მიერ შემოსავლის ასეთი დაკარგვის ერთ-ერთ არასასურველ შედეგს წარმოადგენს ხელოვნების მუშაკთათვის სახელმწიფო მხარდაჭერის შემცირება, რომელიც ნაწილობრივ, დამოკიდებულია დაცული ნაწარმოებების გაყიდვის ან გაერცვლების მომცველი საქმიანობის დაბეჯერის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესულ თანხებზე.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევად, 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მიიჩნევა ფიზიკური ან ორიდოული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს. ე.ი. სწადის კანონის დებულებათა დარღვევ ქმედებებს ან, პირიქით, არ ასრულებს კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ მოქმედებებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზომები ძირითადად მითითებულია კანონის 59-61-ე მუხლებში (გარდა მე-60 მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული სანქციისა, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა). გარდა ამისა, ვინაიდან აღნიშნულ უფლებათა დარღვევა წარმოადგენს დელიქტს, გამოყენებული შეიძლება იქნეს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი ზიანის ანაზღაურების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 992-998-ე, 1008-ე მუხლები). ვინაიდან, განსახილველი დარღვევებით ავტორის შეიძლება მიადგეს მორალური ზიანიც, შესაბამისად, გამოყენებას ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და 413-ე მუხლის I ნაწილი. იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებების გამოყენებას, ვრცელდება ვალდებულებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები და ა.შ.

განსახილველი მუხლის პირველი პუნქტი, შეიძლება ითქვას, მითითებითი ხასიათისაა და არ გამოიჩნევა სამართლებრივი დატვირთვით.

საქართველოს კანონმდებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვასთან ერთად, დარღვევათა სიმძიმის გათვალისწინებით ადგენს ადმინისტრაციულ

და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც. მართალია, განსახილველ სფეროში სამართალდარღვევებთან ბრძოლის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი ზომები არ არის ძირითადი, მაგრამ ზოგჯერ ისინი დამრღვევ პირზე ზემოქმედების უფრო ქმედით საშუალებებს წარმოადგენენ. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ადმინისტრაციული სანქციის გამოყენების მთავარი უპირატესობა მდგომარეობს მათი რეალიზაციის სიადვილესა და სისწრაფეში; გარდა ამისა, ასეთი კატეგორიის სანქციები იძლევა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შეღარებით მცირე დარღვევებზე ოპერატიულად რეაგირების შესაძლებლობას, მაგალითად, კონტრაფაქციული პროდუქციით უკანონო ვაჭრობის აღკვეთის სახით. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხე კი, არც თუ იშვიათად, არის ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი დამრღვევ პირთათვის, რომლებიც წინასწარ ქმნიან მათ მიმართ სამოქალაქო სამართლებრივი სანქციების გამოყენების უპერსპექტივო სიტუაციას. მაგალითად, ქონების უქონლობის გამო, რომელიც საკმარისი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების პირობები და წესი დადგენილია, უპირველეს ყოვლისა, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლში. აღნიშნული კანონი, გარდა იმ მითითებისა, რომ ამ კანონით გათვალისწინებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (58-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციის ერთ-ერთ კონკრეტულ სახეს. კერძოდ, ადმინისტრაციულ სანქციას წარმოადგენს მოცემული კანონის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჩამორთმევა ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარებისა, აგრეთვე მათი რეპროდუქციებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობებისა. თუმცა მოცემული სანქცია ატარებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად ჩამოთვლილი საგნები ექვემდებარება განადგურებას.

თუკი დაზარალებულის (საავტორო და მოძიჯნავე უფლების მფლობელის) მოთხოვნით ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები გადაეცემა მას (კონტრაფაქციული ეგზემპლარების რეპროდუქციებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები შეიძლება მხოლოდ განადგურდეს), ეს უნდა განვიხილოთ, როგორც მისთვის მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებს საავტორო და მოძიჯნავე უფლებების დარღვევისათვის ითვალისწინებს, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ-ის) 157¹-ე, 157²-ე და 157³-ე მუხლები, რომლებიც ეხება ნაწარმოების, ფონოგრამის, ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების უკანონო რეპროდუქციებას (ასკ-ის 157¹-ე მუხლი), ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე მითითებული ინფორმაციის გაყალბებას (ასკ-ის 157²-ე მუხლი) და აღნიშნულ ეგზემპლარებზე საავტორო უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის შეცვლასა და განადგურებას (ასკ-ის 157³-ე მუხლი).

ასკ-ის 157¹-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არის მიჩნეული ნაწარმოების, ფონოგრამის, ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების უკანონო რეპროდუქციება გაყიდვის, გაქირავების, ან გამოყენების მიზნით, კერძოდ:

„ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების უკანონო რეპროდუქციება გაყიდვის, გაქირავების ან გამოყენების მიზნით, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, რეპროდუქცირებული ეგზემპლარების კონფისკაციით.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული პქონდა ადმინისტრაციული სახდელი, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, რეპროდუცირებული ეგზემპლარების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული რეპროდუცირებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მოძივნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.“ (ასკ-ის 157¹-ე მუხლი).

ასკ-ის 157²-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე მითითებული ინფორმაციის გაყალბებას, დამამზადებლის ან დამზადების ადგილის შესახებ ყალბი ინფორმაციის მითითებას, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი:

„ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე მითითებული ინფორმაციის გაყალბება, დამამზადებლის ან დამზადების ადგილის შესახებ ყალბი ინფორმაციის მითითება, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების კონფისკაციით.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარებული პქონდა ადმინისტრაციული სახდელი, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მოძივნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე“ (ასკ-ის 157²-ე მუხლი).

ასკ-ის 157²-ე მუხლის შესაბამისად კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საავტორო უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის შეცვლა ან განადგურება, კერძოდ:

„ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საავტორო უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის შეცვლა ან განადგურება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, —

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე“ (ასკ-ის 157³-ე მუხლი).

სამივე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს ამ ქმედებათა ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი.

აღნიშნული სამართალდარღვევებისათვის დადგენილია ისეთი სანქციები, როგორცაა ჯარიმა, რომლის მინიმალური ოდენობა შეადგენს ხუთას ლარს (ასკ-ის 157¹-ე მუხლის პირელი ნაწილი), მაქსიმალური კი არ აღემატება ხუთი ათას ლარს (ასკ-ის 157²-ე მუხლის მეორე ნაწილი). ჯარიმის შეფარდებას თითქმის ყველა შემთხვევაში (გარდა ასკ-ის 157³-ე მუხლის I ნაწილისა) თან ახლავს ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის (რეპროდუცირებული) ეგზემპლარების კონფისკაცია.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლები შეიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-60 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსის ანალოგიურ შენიშვნას, რომლის თანახმად — „კონფისკებული ეგზემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე“.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საავტორო და მოძიჯნავე უფლებების დარღვევისათვის პრაქტიკულად შემოიფარგლება სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის ნორმებით:

„1. საავტორო ან მოძიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო ძილწვის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. სხვისი საავტორო ან მოძიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო ძილწვის ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენება ან მის თანავტორობაზე იძულება, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმელება:

ა) ჩადენილი არაერთგზის;

ბ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.“ (სსკ-ის 189-ე მუხლი, ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა).

მითითებული მუხლის I ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლებრივ დანაშაულად არის მიჩნეული ინტელექტუალურ-შემოქმელებითი საქმიანობის შედეგებზე „ავტორობის მითვისება“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ სისხლის სამართლებრივ ქმელებას, როგორცაა სხვისი ინტელექტუალური შემოქმელებითი საქმიანობის შედეგის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენება ან მის თანავტორობაზე იძულება“. მოცემული მუხლის შესაბამე ნაწილი მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნევს პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმელების ჩადენას არაერთგზის, ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საავტორო და მოძიენავე უფლებების დარღვევა იწვევს შემდეგ სისხლის სამართლებრივ სანქციებს: ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ორ წლამდე (მუხლი 189, ნაწ. I); ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ვადით ორ წლამდე (მუხლი 189, ნაწ. II); თავისუფლების შეზღუდვას ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით (მუხლი 189, ნაწ. III). ამ სანქციათაგან თუ რომელი იქნება გამოყენებული, დამოკიდებულია დანაშაულის ხასიათზე და დასაცავი ინტერესების მნიშვნელობაზე.

საავტორო უფლებათა დარღვევის ფაქტზე სისხლის სამართლებრივ საქმეთა აღძვრა და სასამართლო განხილვა ხასიათდება რიგი მნიშვნელოვანი პროცესუალური თავისებურებებით. უპირველეს ყოვლისა, ასეთი საქმეები წარმოადგენენ ე.წ. კერძოსაჯარო ბრალდების საქმეებს, ანუ საქმეებს, რომლებიც აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, რომელსაც დაზარალებული გადასცემს პროკურორს, თუ ბრალდება წაყენება კონკრეტულ პირს, ხოლო მოკვლევის ორგანოს ან გამოძიებელს – დანარჩენ შემთხვევებში. თუმცა, თუ ასეთ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და, ამასთან, დაზარალებულს უნწყო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, პროკურორს უფლება აქვს აღძვრას ასეთი საქმე, თუნდაც არ არსებობდეს დაზარალებულის საჩივარი, ოღონდ იმ პირობით, რომ ქმელუნარიან დაზარალებულს ამზე წერილობითი თანხმობა აქვს მიცემული. სისხლის სამართლის საქმე საავტორო უფლებათა დარღვევის შესახებ არ ექვემდებარება შეწყვეტას ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი).

მუხლი 59. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

1. განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისგან:

ა) უფლების აღიარება;

ბ) უფლების დარღვევაძლე არსებული მღვომარეობის აღდგენა და იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევს უფლებას ან ქნის მისი დარღვევის საფრთხეს;

გ) ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;

დ) ზიანის ანაზღაურების ნაკვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად;

ე) ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაკვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო;

ვ) მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები გამოიყენება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების არჩევით

3. ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის მიყენებული ჯიხრები და არაქიხრები ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლ-ზომიერად გამოყენების შედეგად. ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო ზარეები, წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით

1. ზოგადი წესის თანახმად, საავტორო და მომიჯნავე უფლე-

ბათა, აგრეთვე უფლებების მფლობელთა კანონით დაცული ინტერესების დაცვა სასამართლო წესით ხორციელდება. სახელმწიფოსა და საზოგადოების დაინტერესება ინტელექტუალური პოტენციალის ზრდისა და სავტორო უფლების დაცვის მიმართ გამოიხატება უპირველეს ყოვლისა, ავტორისათვის მეტად ხელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის შექმნაში. სასამართლოსმიერი დაცვის სფეროში აღნიშნულზე მეტყველებს ის გარემოება, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან მოსარჩელენი იმ სარჩელებზე, რომლებიც გამოძღინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიშუშების უფლებებიდან“ (ამ ნორმასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონის მიღების დროისათვის აღმოჩენასა და რაციონალიზატორულ წინადადებას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად აღარ მოიაზრებდნენ, კერძოდ, 1992 წლიდან საქართველოში, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, აღარ დაიცვებოდა აღმოჩენისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორის უფლებები).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს განიხილავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საოლქო სასამართლოები, სადაც სამოქალაქო საქმეების განხილვა; ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხორციელდება კოლეგოურად, სამი მოსამართლის მიერ, რაც მინიმალურს ხდის სასამართლოს მხრიდან შეცდომის დაშვების ალბათობას. ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი არ შეიცავს რაიმე დათქმას აღნიშნული კატეგორიის დავათა დიფერენციაციის თაობაზე, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებში მოცემული მუხლი მოიაზრებს როგორც პირად არაქონებრივ, ისე ქონებრივ, ანუ ეკონომიკურ დავებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საშუალებების ქვეშ იგულისხმება კანონით დადგენილი იძულებითი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი ზომები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება დარღვეული (სადავო) უფლების აღდგენა (აღიარება) და სამართალდამრღვევებზე ზემოქმედება.

მოცემული მუხლი სრული მოცულობით ეძღვნება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებებს. აღნიშნული საშუალებები თავისი იურიდიული ბუნებით არაერთგვაროვანია, რაც არსებით გავლენას ახდენს მათი რეალიზაციის შესაძლებლობებზე. იურიდიულ ლიტერატურაში შედარებით გავრცელებულია მათი დაყოფა დაცვისა და პასუხისმგებლობის საშუალებებად, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გამოყენების საფუძვლების, სოციალური დანიშნულებისა და შესასრულებელი ფუნქციების, რეალიზაციის პრინციპების და ზოგერთი სხვა ნიშნის მიხედვით. ამ შემთხვევაში, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ზოგადი წესის თანახმად, დაცვის საშუალებებისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამრღვევ მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი მოუძღვით დარღვევის ჩადენაში და გამოიხატება დამატებით დანაკისრში, სამართალდამრღვევისათვის განსაზღვრული უფლების ჩამორთმევის ან/და მასზე დამატებითი ვალდებულებების დაკისრების სახით. პირიქით, დაცვის საშუალებები შეიძლება რეალიზებულ იქნეს იმ ნებისმიერ პირთა მიმართ, რომლებიც თავანთი ქცევით (მოქმედებით), მართალია, არღვევენ საავტორო ან მომიჯნავე უფლებებს, მაგრამ სუბიექტური გაგებით დამნაშავეებად ვერ მიიჩნევიან.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებათა შორის პასუხისმგებლობის ზომებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ზიანის ანაზღაურება, უკანონოდ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა, კომპენსაციის გადახდა, აგრევე მორალური ზიანის კომპენსაცია; ყველა დანარჩენი წარმოადგენს დაცვის საშუალებას. განხილული მუხლის პირველი პუნქტი ადგენს განსაკუთ-

რებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა განსაზღვრულ მოთხოვნის უფლებებს. განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს წარმოადგენენ:

1) ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მიმართ – თვით ავტორები (მე-17 მუხლი);

2) საშემსრულებო პირადი არაქონებრივი უფლებების მიმართ – შემსრულებლები (47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი);

3) ქონებრივი უფლებების მიმართ – საავტორო (მე-14, მე-18 მუხლი) ან მომიჯნავე (47-ე მუხლის მე-2 პ.; 48-ე მუხლის მე-2 პ.; 49-ე მუხლის მე-2 პ.; 50-ე მუხლის მე-2 პ.) – თავდაპირველი საავტორო ან მომიჯნავე უფლებების მფლობელები (ავტორები, გამომცემლები, შემსრულებლები, ვიდეოგრამის, ფონოგრამის დამამზადებლები, მუსიკების მწარმოებელი ორგანიზაციები), მათი გარდაცვალების (ოურიდიული პირის არსებობის შეწყვეტის) შემდეგ – მათი მემკვიდრეები (უფლებამონაცვლეები), ან თუ განსაკუთრებული უფლებები გადაცემულია ხელშეკრულებით ან კანონით გადაეცა სხვა პირებს – ეს პირები (ესენი შეიძლება იყვნენ ფიზიკური ან ოურიდიული პირები).

თუ პირი არ წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების მფლობელს, მას არ შეუძლია წამოაყენოს მოცემული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები; ასეთ პირებზე 59-61-ე მუხლები საერთოდ არ ვრცელდება.

თუ ორი ან რამდენიმე პირი ერთობლივად წარმოადგენს ამა თუ იმ საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს, თითოეული მათგანი უფლებამოსილია დამოუკიდებლად წაუყენოს დამრღვევს პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მოთხოვნები. თუმცა მატერიალური (ქონებრივი) ხასიათის მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ კონკრეტული პირის წილის ფარგლებში.

შევუდგეთ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის კონკრეტულ სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებათა ანალიზს:

ა) უფლების აღიარება

სავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის მოცემული საშუალების საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონკრე-

ტული პირის საავტორო ან მომიჯნავე უფლების არსებობის ფაქტი ეჭვქვეშაა, ხდება მისი უარყოფა სხვა პირთა მხრიდან, საავტორო და მომიჯნავე უფლება სადავოა ანდა არსებობს ამის რეალური საფრთხე. ხშირად საავტორო ან მომიჯნავე უფლების განუსაზღვრელობა იწვევს მისი გამოყენების შეუძლებლობას ან აძნელებს ასეთ გამოყენებას. მაგალითად, თუ ნაწარმოები ავტორის მიერ გამოქვეყნებულია ანონიმურად ან მोगონილი სახელის (ფსევდონიმის) გამოყენებით, შეიძლება წარმოიშვას აღნიშნულ ნაწარმოებზე ავტორობის სასამართლო წესით დადასტურების აუცილებლობა, რის გარეშეც შეუძლებელია როგორც ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემა ხელშეკრულებით, ისე ნაწარმოებზე დარღვეული საავტორო უფლების დაცვა. საავტორო უფლების აღიარება სუბიექტთა შორის ურთიერთობაში სწორედ გაურკვევლობის თავიდან აცილების საშუალებას წარმოადგენს და ემსახურება სხვა უფლებათა რეალიზაციისათვის პირობების შექმნასა და შესაძლოა პირთა მხრიდან იმ ქმედებების აღკვეთას, რომლებიც აბრკოლებს ამ უფლებათა ნორმალურ განხორციელებას.

სავტორო უფლების აღიარება, როგორც მისი დაცვის საშუალება, შეიძლება რეალიზებულ იქნეს მხოლოდ სასამართლო წესით და არა მოსარჩელის მხრიდან რომელიმე დამოუკიდებელი ცალმხრივი მოქმედების შესრულების გზით. მოსარჩელის მოთხოვნა საავტორო უფლების აღიარების შესახებ მიმართულია არა მოპასუხის, არამედ სასამართლოს მიმართ, რომელმაც კანონით დადგენილი წესით უნდა დაადასტუროს, ეკუთვნის თუ არა აღნიშნული უფლება მოსარჩელეს.

ავტორობის ან ავტორობის უარყოფის მტკიცების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს. ამასთან, მტკიცებულებები შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს: დაცვის ობიექტზე ავტორის შემოქმედებითი მუშაობის (საქმიანობის) მოწმეები, ფოტო- და ვიდეოგადაღების მასალები, ექსპერტის დასკვნა, წერილობითი მტკიცებულებები (ესკიზები, ნახატები, წერილები და ა.შ.) და ნივთიერი მტკიცებულებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ თავის

ერთ-ერთ განჩინებაში, საქმეზე – სიმღერაზე „ყავილების ქვეყანა“ საავტორო უფლების აღიარების შესახებ, მიუთითა, რომ ნაწარმოების ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ესა თუ ის ობიექტი საავტორო უფლების ობიექტს წარმოადგენს ნაწარმოები იმის მიუხედავად, გამოქვეყნებულია თუ არა იგი. მთავარია ნაწარმოები არსებობდეს ისეთი ობიექტური ფორმით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, აღქმულ და რეპროდუცირებულ იქნეს მესამე პირის მიერ ასეთ ობიექტურ ფორმად მიიჩნევა ხელნაწერი, ესკიზი და სხვ. რაც შეეხება მუსიკალურ ნაწარმოებს, იგი შეიძლება მესამე პირის მიერ აღქმულ და რეპროდუცირებულ იქნეს ნოტების ან შესრულების სახით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ობიექტური ფორმით მუსიკალური ნაწარმოები „ყავილების ქვეყანა“ კლავირის სახით გამოიხატა მიხეილ ჩორინაშვილის მიერ 1945 წელს და 1948 წელს საჯაროდ შესრულდა მ. ჩორინაშვილის ავტორობით . . . საჯარო შესრულება გულისხმობს ისეთ შესრულებას, რომელიც განკუთვნილია მოქალაქეთა, მსმენელთა გარკვეული წრისათვის და არა შესრულებას ოჯახისა და ახლობლების წრეში.“¹

ხშირ შემთხვევაში საავტორო უფლების აღიარების მოთხოვნა გამოწვეულია კანონით გათვალისწინებულ სხვა დაცვის საშუალებების გამოყენებით. მაგალითად, იმისათვის, რომ მოსარჩელეს აუნაზღაურდეს ნაწარმოების უკანონო გამოყენებით მიყენებული ზიანი, მან უნდა დაამტკიცოს, რომ არის ამ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი.

უფლების აღიარება შეიძლება უკავშირდებოდეს ავტორთა და შემსრულებელთა როგორც პირად არაქონებრივ, ისე ქონებრივ უფლებებს.

¹ უკრაინული „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში“. 2002, №4, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 3 იანვრის განჩინება, სამოქალაქო საქმეზე №3კ/885-01.

უფლების აღიარებას სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული უფლების არსებობის საჯარო აღიარება, მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით და ა.შ., რაც უნდა განხორციელდეს დამრღვევის მიერ და მისი ხარჯით.

ბ) I. უფლების დარღვევაზე არსებული მდგომარეობის აღდგენა

დაცვის აღნიშნული საშუალება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც დარღვეული საავტორო ან მომიჯნავე უფლება სამართალდარღვევის შედეგად არ წყვეტს არსებობას და შეიძლება რეალურად აღდგენილ იქნეს სამართალდარღვევით გამოწვეული შედეგების აცილების გზით.

იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე მოხდენილია ნაწარმოების საჯარო გამოქვეყნება (ჩვენება, შესრულება) და იგი ცნობილი გახდა პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, პრაქტიკულად შეუძლებელია დარღვეული საავტორო უფლების სრული მოცულობით აღდგენა. დარღვეული ინტერესების დაცვისა და უფლების ნაწილობრივი აღდგენის მიზნით, ავტორი უფლებამოსილია მოითხოვოს დაშვებული დარღვევის თაობაზე ცნობების პუბლიკაცია. მას შეუძლია ასევე მოითხოვოს კონტრაფაქციული პროდუქციის განადგურება ან საკუთარი სახელის მითითება ნაწარმოების ეგზემპლარებზე.

II. იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს

უფლების აღიარების მსგავსად, დაცვის მოცემული საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სხვა საშუალებებთან ერთად, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად ან ატარებდეს დამოუკიდებელ ხასიათს. მაგალითად, ხელშეკრულების გარეშე ნაწარმოების უნებართვო გამოყენების შემთხვევაში, ავტორი უფლებამოსილია მოითხოვოს როგორც მისი შემდგომი გამოყენების აკრძალვა, ასევე იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიაღწა ასეთი გამოყენების შედეგად. თუმცა, ავტორის ინტერესები

შეიძლება გამოიხატებოდეს იმაშიც, რომ მისი უფლებების დამრღვევი მოქმედებები ან ამ მოქმედებათა რეალური საფრთხე შეწყდეს (აღიკვეთოს) სამომავლოდ. მაგალითად, მწერალმა მოითხოვა საესტრადო კითხვისათვის მისი ნაწარმოებიდან აღებული ზოგიერთი ნაწყვეტის (ფრაგმენტის) გამოყენების აკრძალვა; თავისი მოთხოვნა ავტორმა დაასაბუთა იმით, რომ ამ დროს იკითხებოდა ნაწარმოებიდან თვითნებურად აღებული დეტექტიური ჟანრის ფრაგმენტები, რომლებიც არ უკავშირდებოდა რომანის ძირითად შინაარსსა და მის იდეურ-მხატვრულ მიმართულებას.

დაცვის მოცემული საშუალების რეალიზაციის ტიპურ მაგალითებს წარმოადგენს: ნაწარმოების გამოქვეყნების და მისი შემდგომი გავრცელების აკრძალვა, თარგმნილი ან გადამუშავებული ნაწარმოების გამოყენების აკრძალვა, რეკლამის აკრძალვა და ა.შ. ზოგიერთი მათგანი მითითებულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 61-ე მუხლის პირველ პუნქტში.

გ) ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით

ზიანის ანაზღაურება, დამრღვევის მიერ უკანონოდ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა ან მის მიერ კომპენსაციის გადახდა წარმოადგენენ სავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საშუალებებს. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის ქონებრივი ინტერესი კმაყოფილდება ქონებრივი დანაკარგების ფულადი კომპენსაციის გზით. ამასთან, ასეთი კომპენსაცია შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს მიყენებული ზიანის ოდენობას (ზიანის ანაზღაურება), უკავშირდებოდეს მას მხოლოდ ირიბად (უკანონოდ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა), ან შედარებით დამოუკიდებელი იყოს მისგან (კომპენსაციის გადახდევინება).

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებით სარგებლობს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ყველა მფლობელი, მათ შორის პირები, რომლებიც ფლობენ ამ უფლებებს ხელშეკრულების საფუძველზე.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ძირითად ფორმად მიიჩნევს ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ქვეშ იგულისხმება ის დანახარჯები, რომლებიც განხორციელებულია უფლებადარღვეული პირის მიერ, ქონებრივი დანაკარგები ან დაზიანება მისი ქონების (რეალური ზიანი), ასევე მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა მისი უფლების დაურღვევლობის შემთხვევაში, ჩვეულებრივი ბრუნვის პირობებში (მიუღებელი შემოსავალი). განსახილველ სფეროში, ზოგადი წესის შესაბამისად, ზიანი ანაზღაურდება სრული მოცულობით. რეალური ზიანის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ის შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის მიერ გაწეულია ხარჯები ნაწარმოებში დაშვებულ უსწორობათა გამოასწორებლად ან იმ მატერიალური ღირებულების აღსადგენად, რომელიც დაზიანებულ ან განადგურებულ იქნა საავტორო უფლებათა დამრღვევის მიერ. ანაზღაურებას ექვემდებარება, ასევე, დარღვეული საავტორო და მომოჯნავე უფლების დასაცავად იურიდიული დახმარების გაწევის ხარჯები და ა.შ.

ხშირად ზიანი გამოიხატება იმ მიუღებელი შემოსავლის სახით, რომელსაც საავტორო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი მიიღებდნენ მათი უფლებებისა და მოვალეობების ნორმალური რეალიზაციის პირობებში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის მოცემული სახე არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ ჰონორარის გადახდევინებით, რომელსაც მიიღებდა ავტორი ან მომოჯნავე უფლების მფლობელი უფლებების დაურღვევლობის შემთხვევაში. მიუღებელი შემოსავლის სახით უნდა განიხილებოდეს, სულ მცირე, სრული მოცულობით ის მოგება, რომელიც უკანონოდ არის მიღებული საავტორო ან მომოჯნავე უფლების დამრღვევის მიერ.

მიყენებული ზიანის ოდენობის დასაბუთება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, წარმოადგენს თვით დაზარალებულის ამოცანას. მანვე უნდა დაამტკიცოს მისი კუთვნილი საავტორო ან მომოჯნავე უფლებების დარღვევის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და წარმოშობილ

ზიანს შორის. რაც შეეხება პასუხისმგებლობის სუბიექტურ მხარეს, საავტორო და მომიჯნავე უფლების დამრღვევი მიიჩნევა დაზნაშავედ მანამ, სანამ მის მიერ საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული.

ხშირად ზიანის ოდენობის დასაბუთება საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში უფლების მფლობელთა მიერ ხორციელდება იმ გარიგების ღირებულებაზე მითითებით, რომელიც არ შედგა დამრღვევის მოქმედებათა გამო.

ზოგადად, ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი სახით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საავტორო სამართალი უშვებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელისათვის მისი მოთხოვნით ნაწარმოების, ვიდუოგრამის ან ფონოგრამის კონტრაფაქციული ვგზემპლარების გადაცემას, რომელთა ხარჯზე შესაძლებელია ანაზღაურებულ იქნეს მიყენებული ზიანი მთლიანად ან ნაწილობრივ. თუკი დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების ასეთი ფორმა არ არის დამაკმაყოფილებელი, მას შეუძლია მოითხოვოს ქონებრივი დანაკარგების ფულადი ანაზღაურება.

ვინაიდან ავტორისათვის მიყენებული ზიანის არსებობის დამტკიცება და მისი ოდენობის დასაბუთება არ არის ადვილი, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი სთავაზობს უფლებათა მფლობელებს მიყენებული ზიანის კომპენსირების შესაძლებლობას სხვა, შედარებით იოლი საშუალებებით:

დ) ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამართმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში დამრღვევის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად იზრდება, ვინაიდან საუბარია მის მიერ უკანონოდ მიღებულ მთლიან შემოსავალზე, და არა მხოლოდ მოგებაზე. გარდა ამისა, ავტორისათვის დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლის ოდენობის დასაბუთება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მიყენებული ზიანის არსებობის დამტკი-

ცება. მაგალითად, ამ დროს შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ტირაჟის მოცულობა, ნაწარმოების ფონოგრამის ან ვიდეოგრამის თითოეული ეგზემპლარის ღირებულება და ა.შ.

შემოსავალი დამრღვევს მიღებული უნდა ჰქონდეს სწორედ საავტორო და მომიჯნავე უფლების დარღვევის და არა კანონიერი მოქმედებების შედეგად. მაგალითად, თუ გამოცემულია წიგნი, რომელიც მოიცავს ორ ნაწარმოებს: ერთი მათგანი კონტრაფაქციულია, მეორე კი – არაკონტრაფაქციული, მაშინ დამრღვევს შეიძლება გადახდეს ასეთი წიგნის გასაღების შედეგად მიღებული შემოსავლის მხოლოდ შესაბამისი ნაწილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საავტორო (მომიჯნავე) უფლების თითოეულ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს დამრღვევის შემოსავლის ის წილი, რომელიც მას ეკუთვნის.

ე) ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო

კომპენსაციის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აძლიერებს და, იმავდროულად, აიოლებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების სამართლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან ამ დროს ისინი თავისუფლდებიან ტვირთისგან, დოკუმენტურად დაასაბუთონ (დაამტკიცონ) მიყენებული ზიანის ოდენობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მისი ქონებრივი უფლებების დარღვევის თვით ფაქტი, ამ დროს ზიანის ოდენობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მიახლოებით.

ვინაიდან მითითებული კომპენსაცია შეიძლება გადახდეს დამრღვევს ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპენსაციის სახით გადასახდელი თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მიყენებული ზიანის სავარაუდო ოდენობას, დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლის ოდენობას, დარღვევის მასშტაბურობას, დამრღვევის ბრალის ხარისხსა და ზოგიერთ სხვა ფაქტორს.

59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებულ საავტორო და მოძიგნავე უფლებათა მულობელებს უფლება აქვთ მიიღონ მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. ასეთ ზომებად შეიძლება მივიჩნიოთ: საცილო (სადავო) გარიგების ბათილად ცნობა, სამოქალაქო კოდექსის 50–114-ე მუხლების შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურება (სკ მე-18; 413 (1)-ე მუხლები), სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აქტის ბათილად ცნობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით და ა.შ.

2. მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონკრეტული ფორმის გამოყენება დამოკიდებულია საავტორო ან მოძიგნავე უფლებათა მულობელის არჩევანზე, რომელიც არ არის ვალდებული დასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება სასამართლოს წინაშე. ასეთი არჩევანი უნდა გაკეთდეს სარჩელის წარდგენისას, ხოლო წარდგენის შემდეგ სარჩელის საფუძველი და საგანი შეიძლება შეიცვალოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განსახილველი მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია იმ კრიტერიუმთა ჩამონათვალი, რომელთა მხედველობაში მიღებითაც უნდა მოხდეს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ. კერძოდ, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მოძიგნავე უფლებათა მულობელებისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მოძიგნავე უფლებათა სხვა მულობელს ნაწარმოების ან მოძიგნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად; ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო ზარუები, წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით.

მუხლი 60. კონტრაფაქციული ეგზემპლარები

1. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომელთა დაზღვევა ან გავრცელება იწვევს საავტორო და მოძიებულ უფლებათა დარღვევას, ითვლება კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

2. კონტრაფაქციულად ითვლება აგრეთვე იმ ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომლებიც დაცულ საქართველოში ამ კანონის შესაბამისად და რომლებიც საავტორო და მოძიებულ უფლებათა მფლობელების თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ისინი არასდროს ყოფილა დაცული ან სადაც მათი დაცვა შეწყვეტილია.

3. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარების, აგრეთვე მათი რეპროდუქციებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების ჩამორთმევის შესახებ ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები შეიძლება გადაეცეს საავტორო და მოძიებულ უფლებათა მფლობელებს მათი მოთხოვნით.

4. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები, რომლებიც არ იქნა გამოთხოვილი საავტორო და მოძიებულ უფლებათა მფლობელების მიერ, აგრეთვე მათი რეპროდუქციებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები ექვემდებარება განადგურებას სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. ჩამორთმევას არ ექვემდებარება შესაბამისი ძირების მიერ მართლზომიერად შეტანილი ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები.

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, კონტრაფაქცია არის საავტორო და მოძიებულ უფლებათა დარღვევა სხვისი ნაწარმოების (ფონოგრამის ან ვიდეოგრამის) კლავწარმოებისა და გავრცელების გზით. აღნიშნული ტერმინი, ასევე, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „გაყალბება“.

ტერმინმა „კონტრაფაქცია“ განიცადა გარკვეული ევოლუცია. თავდაპირველად, როგორც ამას ცნობილი მეცნიერ-იურიისტი გ.

შერშენევიჩი აღნიშნავს, ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა სხვისი ნაწარმოების სრული (მთლიანი) გადაბეჭდვა და არა მხოლოდ ნაწყვეტისა (ამ ნაწყვეტის მნიშვნელოვანი მოცულობის მიუხედავად).¹

მოცემული სამართალდარღვევის მახასიათებლები (გ. შერ-შენევიჩის მოსაზრების მიხედვით „კონტრაფაქცია – არის დანაშაული, რაც შეესაბამებოდა მაშინდელ კანონმდებლობას – „სასჯელთა შესახებ დებულების“ X თავის I ნაწილის 1683-1685-ე მუხლები) შეძლევა:

ა) კონტრაფაქციის ჩადენაში დაშნაშვე სუბიექტი არ წარმოადგენს მოცემულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების სუბიექტს და არ გააჩნია საამისოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლის თანხმობა.

ბ) კონტრაფაქციას შეადგენს, ასევე, ნაწარმოების უსასყიდლო გავრცელებაც, ე.ი. მოგების მიღების მიზანი არ არის სამართალდარღვევის მოცემული სახის აუცილებელი ნიშანი.

გ) კონტრაფაქცია ჩადენილად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც კვლავწარმოებულია ნაწარმოების უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე ეს კანონითაა დაშვებული;² სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ ნაწარმოების ნაწყვეტის გამოცემა დაშვებული (ნებადართული) ფარგლების დარღვევით განსხვავდება კონტრაფაქციისგან.³

კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ შეიცავს კონტრაფაქციული ვებმპლარების ცნებას (მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი), თუმცა თვით კონტრაფაქციის ცნებას არ ითვალისწინებს, რაც შეიძლება კანონმდებლობის ხარვეზად მივიჩნიოთ.

არ არის სრულყოფილი კონტრაფაქციული ვებმპლარების

¹ Шершеневич Г.Ф. Авторское право на литературные произведения. Казань, 1891.С. 278.

² იქვე

³ იქვე

განსაზღვრებაც, რომელშიც აღნიშნულია მხოლოდ სამართალ-დარღვევის შედეგი, მაგრამ რომელი მოქმედებების შედეგად ხორციელდება საავტორო უფლებების დარღვევა მასში არ ჩანს.

მე-60 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, კონტრაფაქტულ ეგზემპლარად ითვლება ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომელთა დამზადება ან გავრცელება იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას.

იმ შემთხვევაში, თუ დაშვებული კანონდარღვევები შემდგომში გამოსწორდება, მაგალითად, მიღებული იქნება საავტორო (მომიჯნავე) უფლებათა მფლობელის თანხმობა ეგზემპლარების გასავრცელებლად, აღნიშნული ეგზემპლარები აღარ ჩაითვლება კონტრაფაქტოულად.

კონტრაფაქტია შეიძლება განიმარტოს, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლების დარღვევა, რომელიც გამოიხატება ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების დამზადების ან/და გავრცელების მომცველი განსაკუთრებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების არასანქცონირებულ ფლობაში, კომერციული მიზნით.

2. განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტი ეხება დაცული ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების კონტრაფაქტოული ეგზემპლარების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის კერძო შემთხვევას. ცხადია, რომ თუ შესაბამისი საავტორო და მომიჯნავე უფლებები მოქმედებს იმ ქვეყანაში, სადაც ეს ეგზემპლარები დამზადდა ან ვრცელდებოდა, ამ ეგზემპლარების დამზადება ან გავრცელება ხორციელდებოდა საავტორო (მომიჯნავე) უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე, საქართველოში იმპორტირებული ასეთი ეგზემპლარები მიიჩნევა კონტრაფაქტოულად. აღნიშნული პუნქტი განმარტავს, რომ ასეთი ეგზემპლარები ჩაითვლება კონტრაფაქტოულად იმ შემთხვევაშიც, თუ საზღვარგარეთის შესაბამის ქვეყანაში ისინი წარმოადგენენ საზოგადოების კუთვნილებას, ხოლო საქართველოში მათი იმპორტი განხორციელებულია უფლებამფლობელის თანხმობის გარეშე.

3. კომენტირებული მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ვრცელდება შემდეგ ობიექტებზე:

– ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციულ ეგზემპლარებზე;

– ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარების რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებზე.

ამასთან, მე-3 პუნქტის მეორე წინადადება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელის მოთხოვნით კონტრაფაქციული ეგზემპლარების მისთვის გადაცემის თაობაზე, არ ვრცელდება ამ ეგზემპლარების რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებზე; ისინი არ შეიძლება გადაეცეს უფლებათა მფლობელს საკუთრებაში, ვინაიდან მხოლოდ განადგურებას ექვემდებარება.

ცხადია, რომ აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული კონტრაფაქციული ეგზემპლარების სასამართლოსმიერი ჩამორთმევის განსაზღვრისას მოცემული ეგზემპლარები სასამართლო ორგანოების მიერ უნდა დაკვალიფიცირდეს კონტრაფაქციულ, ანუ განსაკუთრებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების ხელმყოფელ პროდუქციად.

4. მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს ჩამორთმეული კონტრაფაქციული ეგზემპლარების ბედს: ისინი ექვემდებარება განადგურებას სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, თუმცა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელის მოთხოვნით ასეთი ეგზემპლარები შეიძლება გადაეცეს მას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელი მოითხოვს ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის საკუთრებაში გადაცემას მათი შემდგომი გამოყენების მიზნით, ამიტომ ასეთი მოთხოვნა ატარებს ქონებრივ ხასიათს და ექვემდებარება ფულად შეფასებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელს აუნაზღაურდა ზიანი (ან ზიანის ეკვივალენტი – დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავალი ან შესაბამისი ფულადი

კომპენსაცია), კონტრაფაქციული ეგზემპლარების ღირებულება უნდა შედიოდეს ზიანის ოდენობაში.

რაც შეეხება კონტრაფაქციული ეგზემპლარების რეპროდუცირებისთვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების ცნებას, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვები „რეპროდუცირებისთვის საჭირო“ შეიძლება არაერთგვაროვნად იქნეს გაგებული — როგორც „ფაქტიურად უკვე გამოყენებული“ მასალები და მოწყობილობები, ან ისეთი, რომლებიც ზოგადად „შეიძლება გამოყენებულ იქნეს“. უნდა მივიჩნიოთ, რომ მოცემულ კონტექსტში საუბარია მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომლებიც ფაქტიურად გამოყენებულ იქნა კონტრაფაქციული ეგზემპლარების დამზადებისთვის (რეპროდუცირებისთვის), განსხვავებით 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 („ბ“) პუნქტებისაგან, სადაც საუბარია მასალებსა და მოწყობილობებზე, რომლებიც „განკუთვნილია“ კონტრაფაქციული ეგზემპლარების დამზადებისა და რეპროდუცირებისთვის, ანუ იმ ობიექტებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკანონო მოქმედებებისთვის.

5. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისს მე-3 პუნქტით დადგენილი წესიდან. კერძოდ, ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირების მიერ მართლზომიერად შეძენილი ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები. ამ დროს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევსა და მესამე პირს შორის წარმოიშობა სანივთოსამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც, შესაბამისად, გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, შემძენი, ნივთის მესაკუთრე ხდება, თუ ის კეთილსინდისიერია. შემძენი კეთილსინდისიერია, როცა მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ ნივთის გამსხვისებელი არ იყო ის პირი, რომელსაც ნივთის გასხვიების უფლებამოსილება ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არაკეთილსინდისიერ შემძენად ჩაითვლება. შემძენის კეთილსინდისიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ შემ-

ძენმა მასზე ნიეთის გადაცემის შემდეგ შეიტყო იმის შესახებ, რომ გამსხვიებულს არ ჰქონდა უფლებამოსილება გაესხვისებინა ნიეთი. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნიეთის გადაცემამდე.¹

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეორე. თბ., 1999, გვ. 122-123.

მუხლი 61. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა
დაცვის საქმეზე სარჩელის
უზრუნველყოფის საშუალებები

1. საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოასსუხეს ან პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დაშაღება, რეპროდუქცირება, გაყიდვა, გაქარავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება, აგრეთვე იმ ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ტრანსპორტირება, შენახვა და ფლობა გაერკელების მიზნით, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ექ ზემქლარია.

2. საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა იმ ექ ზემქლარზე ყადაღის დაღებისა და ამოღების შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ექ ზემქლარია, აგრეთვე იმ მასალებისა და მოწყობილობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მათი დაშაღებისა და რეპროდუქცირებისათვის.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შესახებ საკმაო მონაცემების არსებობისას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოკვლევის ორგანო, გამოძიებელი ან სასამართლო ეკლდებუღია მიღოს ზომები წაყენებული ან შემდგომში შესაძლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, შემღვევი ნიუთების ძიების და მათზე ყადაღის დაღების გზით:

ა) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ექ ზემქლარები, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი კონტრაფაქციული ექ ზემქლარებია;

ბ) მასალები და მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნიღია კონტრაფაქციული ექ ზემქლარების დაშაღებისა და რეპროდუქცირებისათვის;

გ) დოკუმენტები, ანგარიშები და სხვა ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სასამართლო განხილვისას.

1. მოცემული მუხლი ადგენს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის შესახებ საქმეებზე სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთ სპეციფიკურ ღონისძიებას.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის ისეთი გამოვლინებანი, როგორცაა კონტრაფაქცია, მეკობრეობა და სხვა, როგორც წესი, წარმართება ფარულად. შესაბამისად, თუკი დამრღვევისათვის ცნობილი გახდება სასამართლოში მის წინააღმდეგ საავტორო (მომიჯნავე) უფლების მფლობელის მიერ სარჩელის აღძვრის თაობაზე, ცხადია იგი შეეცდება დამალოს ან საერთოდ გაანადგუროს უნებართვო ქმედების განხორციელების დამადასტურებელი ფაქტები.

პირველ რიგში, მართლსაწინააღმდეგო ასლების დამზადებისა და გავრცელების ორგანიზატორი შეიძლება ხშირად სარგებლობდეს საცალო ვაჭრობის მრავალი დროებითი სავაჭრო წერტილთ. საავტორო (მომიჯნავე) უფლების მფლობელს გაუძნელდება ყველა მათგანის ადგილმდებარეობის დადგენა, მათი ურთიერთკავშირისა და მომარაგების საერთო წყაროს არსებობის ფაქტის დადასტურება. ამასთან, სასამართლოში საქმის განხილვამდე კონტრაფაქტორის (მეკობრის) ან მისი უკანონო პროდუქციის გამსაღებლის მხრიდან მოსალოდნელია მომარაგების წყაროსა და გაყიდვის მასშტაბების შესახებ მნიშვნელოვანი საშხილებების განადგურება. გარდა ამისა, ვინაიდან მეკობრული საქმიანობა ხშირად საერთაშორისო ხასიათს ატარებს, არსებობს იმის საშიშროება, რომ ფინანსური რესურსები და მეკობრის სხვა აქტივები გატანილი იქნება შესაბამისი სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული ტერიტორიიდან, რის შედეგადაც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელი დაკარგავს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

აღნიშნული სიძნელეები, რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევასთან ბრძოლას თან სდევს, ხაზს უსვამს

სასამართლო დაცვის პირველად საშუალებათა დაუყოვნებლივი გამოყენების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს უფლებათა დამრღვევის საწინააღმდეგოდ სამხილების შეგროვებას, ხელს შეუშლის მათ განადგურებასა და ფინანსური რესურსების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადაგზავნას, რომელთა საფუძველზეც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება. უფლებათა მფლობელს საშუალება უნდა ჰქონდეს მოითხოვოს მყარი მტკიცებულებანი; საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას მას უნდა შეეძლოს დამრღვევი პირის საქმიანობის შემოწმება, დროებით მისი შეჩერება და ა.შ. „სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი – ესაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. ეს არის სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით“¹.

„საეკტორო და მომოჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებული სამოქალაქო სარჩელების უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-199-ე მუხლებით დადგენილი, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ზოგადი წესების შესაბამისად. კერძოდ, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე. ეს განცხადება ყველა სხვა აუცილებელ რეკვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიების მოუღებლობა გააძინელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ (სსკ-ის 191-ე მუხლი). ცხადია, რომ ამ გარემოებებზე მხოლოდ მითითება საკმარისი არ არის;

¹ თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო. II გამოცემა. თბ., 2001 წ.

მოსარჩელეს აკისრია ამ გარემოებების დამტკიცების ტვირთი იმ ზოგადი ნორმიდან გამომდინარე, რომლის თანახმად „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსკ-ის 102-ე მუხლი), ანუ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს აშკარა მონაცემები იმის თაობაზე, რომ მოპასუხეს გააჩნია ბრალის დამამტკიცებელი დოკუმენტები და მასალები; რომ საქმის ვითარებიდან გამომდინარე, არსებობს ბრალის დამამტკიცებელი მასალების განადგურების ან გადამღვის რეალური საფრთხე ან სერიოზული საშიშროება, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე წინასწარ გაფრთხილებული იქნება სასამართლო განხილვის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ამ სარჩელის განმზილველი სასამართლო გადაწყვეტს განცხადების შეტანის დღესვე, მოპასუხის შეუტყობინებლად. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება მოულოდნელია მოპასუხისათვის და გამოირიცხავს ამ უკანასკნელის მიერ მნიშვნელოვანი სამხილის განადგურების ან დამალვის შესაძლებლობას. აღნიშნული პოსტულატის გარანტიად გვევლინება ამავე კოდექსის 195-ე მუხლი, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებითათვის დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. შეიძლება ითქვას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიების ერთგვარ ანალოგს (ან სპეციფიკურ სახეს) წარმოადგენს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსმიერი აკრძალვა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევი ისეთი მოქმედებების შესრულებისა, როგორცაა: დამზადება,

რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება, აგრევე იმ ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებათა ობიექტის ტრანსპორტირება, შენახვა და ფლობა გავრცელების მიზნით, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქტული ეგზემპლარია.

მოცემული ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მოპასუხის, ისე იმ პირის მისამართით, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები. არსებითად, მსგავსი მაკვალიფიციკრებული ნიშანი ვრცელდება თვით მოპასუხეზეც, ვინაიდან აკრძალვა ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც სარჩელი არ არის საკმარისად დასაბუთებული.

2. მე-2 პუნქტი ეხება ყადაღის დადებას ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა იმ ეგზემპლარზე, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქტული ეგზემპლარია, აგრეთვე იმ მასალებსა და მოწყობილობებზე, რომლებიც განკუთვნილია მათი დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის და ასევე, ასეთი ეგზემპლარების, მასალებისა თუ მოწყობილობების ამოღებას.

ამდენად, ყადაღის დადების ობიექტი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს:

1) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა ის ეგზემპლარი, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქტულია;

2) აღნიშნული ეგზემპლარების დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის განკუთვნილი მასალები და მოწყობილობები.

კონტრაფაქტული ეგზემპლარების (ეგზემპლართა ტირაჟის) სასამართლოსმიერი ამოღება, შეიძლება ითქვას, დამნაშავე სუბიექტის პასუხისმგებლობისა და, იმავდროულად, საავტორო უფლებათა დაცვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომლის გამოუყენებლობამ შეიძლება შემდგომში გამორიცხოს საავტორო უფლების დაცვის შესაძლებლობა.

ამოღებაში უნდა ვიგულისხმოთ ყადაღის დადება აღნიშნული ობიექტების შესანახად შესაძებ პირზე (მაგ., მოსარჩელეზე) გადაცემასთან ერთად; ამასთან, სავარაუდო დამრღვევის საკუთარების უფლება ამ ობიექტებზე შენარჩუნდება. შესაძლებელია, აგრეთვე, „ყადაღის დადება“ „ამოღების“ გარეშე მაგალითად, აღნიშნული ობიექტების დამრღვევთან (მოპასუხესთან) დატოვების გზით, მაგრამ სასამართლოს მიერ დადებული ლუქისა და ბეჭდის გამოყენებით.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საავტორო და მოძიჯნავე უფლების დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს, მასზე, შესაბამისად, ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ნორმები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. მაგრამ, სისხლის სამართლებრივი ზომების გამოყენება შემოქმედებითი საქმიანობის სუბიექტის (საავტორო (მოძიჯნავე) უფლების მფლობელის) უფლებების დასაცავად შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით, შესაძლებელია დაცვის კომპლექსური ზომების გამოყენება, ანუ სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების შეთავსება სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებებთან. ამის შესაძლებლობას იძლევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღება ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ მომკვლევთან, გამოძიებულთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე. ამ დროს მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ ასეთი სარჩელის საფუძვლის მტკიცება ზორციელდება სისხლის სამართალ-წარმოების წესით, ანუ დარღვეული საავტორო უფლების მფლობელის მდგომარეობა შემსუბუქდება იმით, რომ ავტორს არ ეკისრება მტკიცებულებათა შეგროვების მოვალეობა სრული

მოცულობით. აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს მოკვლევის ორგანო, გამოძიებელი ან სასამართლო მოწმეთა დაკითხვის, ჩხრეკის ან დათვალიერების ჩატარების გზით, ექსპერტიზის დანიშნითა და სხვა.

სწორედ ასეთი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ითვალისწინებს კომენტირებული მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, მოკვლევის ორგანო, გამოძიებელი ან სასამართლო ვალდებულია მიიღოს ზომები წაყენებული ან შემდგომში შესაძლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, შემდეგი ნივთების ძიების და მათზე ყადაღის დადების გზით:

ა) ნაწარმოების ან მოძიჯნავე უფლების ობიექტის ეგზემპლარები, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი კონტრაფაქციული ეგზემპლარებია;

ბ) მასალები და მოწმობილობები, რომლებიც განკუთვნილია ასეთი ეგზემპლარების დაშვადებისა და რეპროდუქციებისათვის;

გ) დოკუმენტები, ანგარიშები და სხვა ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სასამართლო განხილვისას.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები სავტორო და მოძიჯნავე უფლებათა დაცვის ქმედითი და მეტად მნიშვნელოვანი საშუალებებია, რომელთა მიზანი ემსახურება არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და შედეგად, ამ გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას.

მუხლი 62. სახელმწიფო პოლიტიკა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში

1. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და კანონით მინიჭებული სხვა ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. მისი სტატუსი და უფლებამოსილება დგინდება საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე.

2. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონმდებლობის სფეროში და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადებები მისი განვითარების შესახებ;

ბ) წარმოადგინოს საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გ) რეგისტრაციაში გაატაროს ნაწარმოებები ამ კანონით დადგენილი წესით.

1. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და კანონით მინიჭებული სხვა ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. მისი სტატუსისა და უფლებამოსილების მომწესრიგებელ ძირითად დოკუმენტებს წარმოადგენს საქართველოს საპატენტო კანონი (თავი II – „საქპატენტი“) და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ შესახებ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული

პირი, რომელიც ახორციელებს ფიზიკური და ოურიდოული პირების უფლებების სამართლებრივ უზრუნველყოფას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 23 დეკემბრის №534 ბრძანებულებით „საავტორო და მომოხანვე უფლებების შესახებ“ კანონის 62-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს საქპატენტს შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკის საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტო.

საქპატენტის საქმიანობა არ განეკუთვნება მეწარმეობას და არ არის მიმართული უპირატესად მოგების მიღებაზე. მისი შემოსავლები გამოიყენება საქპატენტზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად და ამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის.

საქპატენტის საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან საქპატენტისათვის სახსრების მიზნობრივად გამოყოფის შემთხვევაში, თანხების ხარჯვის კონტროლს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა. საქპატენტის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხთა კონტროლს კი ახორციელებს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო.

2. კომენტარებული მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს „საქპატენტის“ უფლებამოსილებებს, თუმცა ამომწურავად აღნიშნული უფლებამოსილებანი რეგლამენტირებულია ზემოთ ხსენებული ნორმატიული აქტებით.

საქპატენტის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია: ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების, საბაზრო ურთიერთობათა მოწესრიგების და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით; საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ეფექტიანი სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შესახებ

წინადადებების შემუშავება ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის; საზოგადოების უზრუნველყოფა ინფორმაციით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვის სფეროში.

საქპატენტი უფლებამოსილია: საქართველოს სახელმწიფოს სახელით გასცეს დამცავი დოკუმენტები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე; ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულება აუცილებელია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის; წარმოადგინოს საქართველო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში და ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში; გამართოს სიმპოზიუმები, სემინარები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებანი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ; მიაღწიოს საზღვარგარეთ სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესასწავლად, სიმპოზიუმებში, სემინარებში, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად; შექმნას სააქლაციო პალატა, რომელიც განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებებს განმცხადებლებისა და მესამე პირების აპლაციებთან (განაცხადებთან) დაკავშირებით.

თავი X. ქონებრივ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძვლებზე

თანამედროვე პირობებში, როდესაც ძალზე იოლია ნაწარმოების ასლის გადაღება და გავრცელება ნებისმიერი სახით, შესრულების ნახვა და მოსმენა ათასობით კილომეტრის დაცილებით შესრულების ადგილიდან, ფონოჩანაწერებისა და ვიდეოჩანაწერების ტექნიკურად უპრობლემოდ გაკეთება ნებისმიერი რაოდენობით და, ასევე, მსოფლიო გლობალური საინფორმაციო სისტემის არსებობის პირობებში ქონებრივ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე ავტორებს, შემსრულებლებსა და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს უსაბოლოო საშუალებას ერთპიროვნულად მართონ განსაკუთრებული უფლებები. მეორე მხრივ, პირს, რომელსაც სურს ავტორებსა და შემსრულებლებს დაუკავშირდეს, რათა ჩაიწეროს და გაავრცელოს ფონოგრამა ან ვიდეოგრამა, ან გამოსცეს ნაწარმოები, უმეტეს შემთხვევაში, არა აქვს შესაძლებლობა ინდივიდუალური ხელშეკრულებები დადოს მათთან. აღნიშნული მიზნებით ავტორები და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები ქმნიან კოლექტიურ საფუძვლებზე ქონებრივი უფლებების მართვის ორგანიზაციებს. მათი არსებობა ხელსაყრელია როგორც უფლებათა მფლობელთათვის, ისე მომხმარებელთათვის.

ამ ტიპის ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციებია: გასცენ ნებართვა ნაწარმოებების, შესრულების და სხვა ობიექტების გამოყენების თაობაზე, გააფორმონ შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულება, ადენონ თვალყური და გამოავლინონ უფლებათა დარღვევის ფაქტები, მიიღონ ზომები მათ აღსაკვეთად, შეაგროვონ და გადაუხადონ პონორარი ავტორებსა და მომიჯნავე უფლებათა სუბიექტებს, შექმნან სოციალური დაცვის მექანიზმები.¹ მითითე-

¹ უფრო დაწვრილებით იხ.: 1) Delia Lipszyc „Copyright and Neighbouring Rights,“ Unesco, 1999; 2) Collective Administration of Copyright and Neighbouring Rights, Geneva, 1990

ბული ფუნქციები მოუნიშნებენ, რომ კოლექტიურ საფუძველზე უფლებათა მართვის ორგანიზაციები (შემდგომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციები) იქმნება ავტორებისა და მომოჯნავე უფლებათა სუბიექტების მიერ, ხოლო მათი საქმიანობა არ შეიძლება დაფუძნებულ იქნეს მოგების მიღებაზე.

საქართველოს კანონი საავტორო და მომოჯნავე უფლებების შესახებ ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულს, კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს უთმობს სპეციალურ თავს, რომელიც შედგება ოთხი მუხლისაგან.

მუხლი 63. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ
საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის
შექმნა

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორებს, შემსრულებლებს, ფონოგრაფებისა და ვიდეოგრაფების დამამზადებლებს და საავტორო და მოძიგნავე უფლებათა სხვა მფლობელებს უფლება აქვთ თავიანთი ქონებრივი უფლებების განხორციელების მიზნით შექმნან ორგანიზაციები, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ქონებრივ უფლებებს.

2. ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, იქნება ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მოძიგნავე უფლებათა მფლობელების მიერ, არასამეწარმეო იურიდიული პირის – კავშირის (ასოციაციის) ფორმით, დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელსაც შეაქვს იგი საავტორო უფლებათა მართვის ორგანიზაციების რეესტრში. ორგანიზაციას უფლება არ აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა და გამოიყენოს ის ნაწარმოები ან მოძიგნავე უფლების ობიექტი, რომელიც მას გადაცემული აქვს სამართავად კოლექტიურ საფუძველზე აღნიშნული ორგანიზაცია მოქმედებს იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მას მნიშვნელოვანი აქვს საავტორო და მოძიგნავე უფლებათა მფლობელებისაგან, წესდების საფუძველზე.

3. იმ ორგანიზაციის წესდება, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს. ორგანიზაციის საქმიანობაზე ხელშეკრულებას ახორციელებენ საავტორო და მოძიგნავე უფლებათა მფლობელები, რომელთა ქონებრივ უფლებებსაც მართავს ეს ორგანიზაცია გადაწყვეტილებებს ჰინორარის ოდენობისა და მოსარგებლეებისათვის ლიცენზიების გაცემის პირობების, შვროვებული ჰინორარის განაწილებისა და გადახდის წესის, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე იღებენ საავტორო და მოძიგნავე უფლებათა მფლობელები კოლექციურად, საერთო კრებაზე.

4. დაშვებულია შექმნა ცალკეული ორგანიზაციებისა უფლებების ან უფლებათა მფლობელების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით,

მუხლი ნ3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე
მმართველი ორგანიზაციის შექმნა

ანდა ორგანიზაციებისა, რომლებიც მართავენ უფლებათა ერთი კატეგორიის მფლობელთა სხვადასხვა უფლებებს.

5. იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, არ გამოიყენება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები.

მოცემული მუხლით დაშვებულია საავტორო სამართლის ნებისმიერი სუბიექტების ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციების დაფუძნება. ასეთი ორგანიზაციები იქმნება კავშირების (ასოციაციების) სახით და მათ რეესტრს აწარმოებს საქართველოს ოუსტიციის სამინისტრო. კოლექტიური მართვის ორგანიზაციები მოქმედებენ მკაცრ ჩარჩოებში — მათ უფლებამოსილებას განსაზღვრავენ საავტორო და მოძიჯნავე უფლებათა მფლობელები, რომლებიც აფუძნებენ ამ ორგანიზაციებზე. თავად ამ ორგანიზაციებს კი ეკრძალება იმ ნაწარმოების ან შესრულების და ა. შ. გამოყენება, რომლებზეც უფლებათა მართვაა გადაცემული, აგრეთვე ისინი ვერ განახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას (მე-2 პუნქტი).

სტრატეგიულ და ქონებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებენ საავტორო და მოძიჯნავე უფლებათა მფლობელები კოლექტიურად, საერთო კრებაზე. აქედან გამომდინარე, კოლექტიური მართვის ორგანიზაციები ახორციელებენ ოპერატიულ საქმიანობას უფლებათა მართვისათვის, კერძოდ, აგროვებენ ჰონორარს და ანაწილებენ მას ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების საფუძველზე, აგრეთვე, აფორმებენ სალიცენზიო ხელშეკრულებებს და სხვა (მე-3 პუნქტი).

მე-4 პუნქტის მიხედვით კოლექტიური მართვის ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას რომელიმე ერთი, ან რამდენიმე, ანდა ყველა უფლების სამართავად — თუ უფლებათა მფლობელები ერთი კატეგორიის არიან, მაგალითად კომპოზიტორები. დაშვებულია, აგრეთვე, სხვადასხვა კატეგორიების უფლებათა მართვისათვის ერთი ორგანიზაციის შექმნა, მაგალითად, მწერლების, კომპოზიტორების, მომღერლების და დამღებელი რეჟისორების უფლებათა სამართავად. ასევე, დასაშვებია ერთი უფლების მიხედვით კოლექ-

ტიური მართვის ორგანიზაციის არსებობა, მაგალითად ჩაწერის უფლების სამართავად. აღნიშნული ორგანიზაციები შეიძლება იყოს მონოპოლური ხასიათის, რაზედაც სპეციალურად მოუნიშნებს მე-5 პუნქტი. ერთი და იგივე უფლების მართვისათვის მიზანშეწონილია მხოლოდ ერთი ორგანიზაციის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ იქნება თავიდან აცილებული გაუგებრობები. სამწუხაროდ, ამის შესახებ კანონი პირდაპირ არ მოუთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი სიტუაცია კანონით გამორიცხული არ არის.

მუხლი 64. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ
საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის
საქმიანობა

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის უფლებამოსილება ორგანიზაციას გადაეცემა ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მოძიუნავე უფლებათა მფლობელების მიერ, ამ ორგანიზაციაში მათი წევრობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე ანალოგიურ უცხოურ ორგანიზაციასთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება არ წარმოადგენს საავტორო ხელშეკრულებას და ამ კანონის მე-40 მუხლი მასზე არ ვრცელდება.

2. ნებისმიერ ავტორს, მოძიუნავე უფლების მფლობელს, მათ შემკვიდრებს, საავტორო და მოძიუნავე უფლებათა სხვა მფლობელებს უფლება აქვთ სამართავად გადასცენ თავიანთი ქონებრივი უფლებები ასეთ ორგანიზაციას, ხოლო ორგანიზაცია ვალდებულია იკისროს ამ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე, თუ ასეთი კატეგორიის უფლებათა მართვა განეკუთვნება ამ ორგანიზაციის საწესდებო საქმიანობას.

3. ამ მუხლის თანახმად ძალბებული უფლებების შესაბამისად, ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, მოსარგებლეებზე გასცემს ლიცენზიებს ნაწარმოების ან მოძიუნავე უფლების ობიექტის შესაბამისი ფორმით გამოყენებისათვის. ლიცენზიების პირობები ანალოგიური უნდა იყოს ერთი კატეგორიის ყველა მოსარგებლისათვის. ორგანიზაციას უფლება არა აქვს უარი უთხრას მოსარგებლეებს ლიცენზიის გაცემაზე საამისოდ საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე.

4. ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უფლებამოსილია ნაწარმოების ან მოძიუნავე უფლების ობიექტის მოსარგებლეებისაგან მოითხოვოს ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც შეიცავს ნაწარმოების ან მოძიუნავე უფლების ობიექტის გამოყენების შესახებ ზუსტ ცნობებს, რომლებიც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის.

განსახილველი მუხლიდან გამოძინარეობს, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები თავიანთ უფლებებს ნებაყოფლობით გადასცემენ სამართავად კოლექტიური მართვის ორგანიზაციას, რის შესახებაც იდება წერილობითი ხელშეკრულება. ერთდროულად უფლებათა მფლობელი ხდება მოცემული ორგანიზაციის წევრი. ამასთან, ორგანიზაციას არა აქვს უფლება უთხრას უარი უფლებათა მფლობელს, თუ მას სამართავად გადაეცემა უფლება, რომელიც მითითებულია მის წესდებაში. აქედან გამოძინარე, უფლებათა ერთი და იგივე მფლობელი შეიძლება იყოს ორი ან მეტი კოლექტიური ორგანიზაციის წევრი. აღნიშნული ვითარება გამოძინარეობს მე-2 პუნქტიდან.

მე-3 პუნქტის მიხედვით ირკვევა, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციები გასცემენ მხოლოდ ჩვეულებრივ ლიცენზიებს, რადგან მათ საკმარისი საფუძვლების არსებობის გარეშე არა აქვთ უფლება უარი უთხრან მოსარგებლეს ლიცენზიის გაცემაზე. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს, მაგალითად ცუდი მოსარგებლის რეპუტაცია მოცემულ ტერიტორიაზე ან ლიცენზიის დროული განხორციელებისათვის საჭირო საშუალებების, ფინანსების და ა. შ. რეალურად არ არსებობა.

მე-4 პუნქტი ავალდებულებს მოსარგებლებს უფლებათა მართვისათვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტური ინფორმაციის მიწოდებას, რაც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და გაცემისათვის. ხელშეკრულების სხვა პირობა მოცემული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ბათილია.

მუხლი 65. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ
საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის
უფლებები

ორგანიზაციას, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, საავტორო და მომოხანვე უფლებათა მფლობელების სახელით და მათ მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უფლება აქვს:

ა) მოსარგებლეებთან შეთანხმოს ჰონორარის ოდენობა და ლიცენზიის სხვა პირობები;

ბ) გასცეს ლიცენზიები იმ უფლებათა გამოყენების შესახებ, რომლებსაც ის მართავს;

გ) მოსარგებლეებთან შეთანხმოს ჰონორარის ოდენობა, როდესაც იგი ჰონორარს აგროვებს ლიცენზიის გაცემის გარეშე ამ კანონის 51-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) შეაგროვოს ლიცენზიით გათვალისწინებული ჰონორარი ან/და ჰონორარი, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტით;

ე) გაანწილოს და გადაუხადოს შესაბამისი ჰონორარი საავტორო და მომოხანვე უფლებათა მფლობელებს;

ვ) განახორციელოს იურიდიული ქმედანი, რომლებიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული უფლებების დასაცავად;

ზ) განახორციელოს სხვა საქმანობა საავტორო და მომოხანვე უფლებათა მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ამ მუხლით მოცემულია კოლექტიური მართვის ორგანიზაციების უფლებების ამომწურავი ჩამონათვალი. მაშასადამე, წესდება მათ რიცხვს ვერ გააფართოვებს. გ) პუნქტი ეხება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის უფლებებს, როდესაც იგი აგროვებს ჰონორარს ლიცენზიის გაცემის გარეშე ნაწარ-

მოების ან მომიჯნავე უფლებათა ობიექტის გამოყენების შემთხვევაში. ასეთი შემთხვევები განპირობებულია იმით, რომ კანონი თავად აძლევს მესამე პირებს საავტორო (21-ე მუხლის მე-4 პუნქტი) და მომიჯნავე (51-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები) უფლებების ობიექტების თავისუფლად (უფლებათა მფლობელისაგან წინასწარი ნებართვის გარეშე) გამოყენების უფლებას, მაგრამ ჰონორარის გადახდის პირობით (იხ. აღნიშნული მუხლების კომენტარი). მოცემული წესი გაუმართლებელ ხარვეზს შეიცავს, რადგან უთითებს 51-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ჰონორარის გადახდა მოსარგებლებს არ ევალებათ. იბადება კითხვა – ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა შეაგროვოს ჰონორარი კოლექტიურის მართვის ორგანიზაციამ?

დანარჩენში მუხლი განმარტებას არ საჭიროებს.

მუხლი 66. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ
საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის
მოვალეობები

1. იმ ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უნდა განხორციელდეს საავტორო და მოძიჯნავე უფლებათა იმ მფლობელების ინტერესების შესაბამისად, რომლებსაც ეს ორგანიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნით ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) შევროვებული ჰონორარი გამოიყენოს მხოლოდ საავტორო და მოძიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის გასანაწილებლად და გადასახდელად. ამასთან, ორგანიზაციას უფლება აქვს ჰონორარიდან გამოქვითოს მის შევროვებაზე, განაწილებასა და გადახდაზე დახარჯული თანხები და მის მიერ ამ უფლებების მფლობელთა გადაწყვეტილებით შექმნილ საეკონომიკურ ფონდებში გადარიცხული თანხები;

ბ) გაანაწილოს და გადაიხადოს ჰონორარი ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული თანხების გამოქვითვის შემდეგ, ნაწარმოების ან მოძიჯნავე უფლებების ობიექტის ფაქტობრივი გამოყენების პროპორციულად;

გ) ჰონორარის გადახდის დროს წარუდგინოს საავტორო და მოძიჯნავე უფლებათა მფლობელებს ანგარიშები, რომლებიც უნდა შეიცავდეს ცნობებს მათი უფლებების გამოყენების შესახებ.

2. საავტორო და მოძიჯნავე უფლებათა მფლობელებს, რომლებმაც არ გადასცეს ორგანიზაციას ჰონორარის შევროვებასთან დაკავშირებული უფლებები, უფლება აქვთ მოსთხოვონ ორგანიზაციას ჰონორარის გადახდა განხორციელებული განაწილების შესაბამისად და მათი ნაწარმოების ან მოძიჯნავე უფლების ობიექტის გამოარიცხვა იმ ლიცენზიებიდან, რომლებსაც ეს ორგანიზაცია გასცემს მოსარგებლებზე.

განსახილველი მუხლი იძლევა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მოვალეობების ამომწურავ ჩამონათვალს. მისი შინაარსი კომენტარს პრაქტიკულად არ საჭიროებს. ჩვენ

მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაცია უფლებათა მფლობელებს შეგროვილი ჰონორარის მთლიან თანხას კი არ უნაწილებს, არამედ იმ თანხას, რომელიც რჩება შეგროვებისა და განაწილებისათვის საჭირო თანხების გამოქვითვის შემდეგ. ამ თანხებში ივარაუდება თანამშრომელთა ხელფასები, სამივლინებო და საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო თანხები, აგრეთვე, თანხები, რომლებიც გადაირიცხება სპეციალურ ფონდებში უფლებათა მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს უკანასკნელი შესაძლებლობას აძლევს კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს გადარიცხონ თანხები, მაგალითად ავტორების საპენსიო ფონდების შესავსებად. ასეთი ფონდები უფლებათა მფლობელებს შეუძლიათ თავად შექმნან და დაავალონ კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს თანხების ჩარიცხვა. თანხების გადარიცხვა შეიძლება სოციალური დაცვის სხვა ფონდებისათვისაც, თუ აღნიშნული ფონდები ემსახურება ავტორებს, შემსრულებლებსა და საავტორო სამართლის სხვა სუბიექტებს.

თავი XI. გარდაგავალი დებულებანი

მუხლი 67. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მოძიგნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

2. იმ ნაწარმოებზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული საავტორო უფლების დაცვის 70-წლიანი ვადა, ვრცელდება ამ კანონის 31-32-ე მუხლებით გათვალისწინებული საავტორო უფლების მოქმედების ვადები.

3. იმ შესრულებაზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მისი პირველი შესრულებიდან, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლების მოქმედების ვადა.

4. იმ ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოძიგნავე უფლების მოქმედების ვადა.

5. მუხლებლობის ორგანიზაციათა გადაცემაზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოძიგნავე უფლების მოქმედების ვადა.

მოცემული თავი აწესრიგებს საქართველოს საავტორო და მოძიგნავე უფლებების შესახებ კანონის მიღებამდე (1999 წლის ივნისამდე) არსებულ საავტორო და მოძიგნავე უფლებების დაცვის ცალკეულ საკითხებს. კანონის მოქმედება გავრცელებულია ისეთ უფლებებზე, რომლებიც მოქმედებდა 1997 წლის საავტორო სამართლის მიღების (სამოქალაქო კოდექსის IV წიგნის I კა-

რი) შემდეგ ვინაიდან კომენტარის I კარში, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი დებულების თანახმად, გავაშუქეთ ამ კოდექსის მიღებამდე წარმოშობილი უფლებების მოწესრიგების საკითხები, მათ ამჯერად აღარ შევეხებით.

განსახილველი მუხლით დაწესებულია, რომ საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება მისი ამოქმედების შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებზე. იმავედროულად, მისი მოქმედება უკუქმედებით გავრცელებულია იმ საავტორო უფლებებზე, რომლებსაც არ გაუვიდა მოქმედების 70 წელი. აქედან გამომდინარე, საავტორო ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადა, სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შედარებით, გახანგრძლივდა 20 წლით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე საავტორო უფლება ამოიწურებოდა ავტორის გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის თანახმად, ეს ვადა ამოიწურება 70 წლის შემდეგ (კანონის 31 და 32 მუხლები). თუ კანონის მიღებამდე 70 წლიანი ვადა უკვე ამოწურულია, მაშინ ასეთ საავტორო უფლებებზე კანონის მოქმედება აღარ ვრცელდება. იგივე ითქმის მომიჯნავე ქონებრივ უფლებებზე – საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება მათზე, თუ არ არის ამოწურული 50 წლიანი ვადა, რომელიც, კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად, განისაზღვრება სუბიექტების მიხედვით.

რაც შეეხება ავტორისა და შემსრულებლის პირად არა-ქონებრივ უფლებებს, მათზე განსახილველი მუხლი ყურადღებას არ ამახვილებს. ცხადია, რომ, რადგან მორალური უფლებების მოქმედება დროით შემოფარგლული არ არის, მათი დაცვა უზრუნველყოფილია.

თავი XII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 68. ძალადაკარგული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

როგორც წესი, დასკვნითი დებულებების კანონში შეტანის მიზანი არის ის, რომ მოწესრიგდეს უფლებათა დაცვის ნორმატიული ბაზა. სწორედ ამ მიზანს ისახავს განსახილველი თავი.

ყველა ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონს, ძალადაკარგულია. უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1506-ე მუხლით გაუქმდა ყველა, მათ შორის საბჭოთა კავშირის დროინდელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც მოქმედებდნენ მის მიღებამდე, ასეთი კი უამრავი იყო. საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის განსახილველი მუხლით არც ერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ გაუქმებულა, რადგან სამოქალაქო კოდექსის საავტორო სამართლის მოქმედების დროს არც ყოფილა მიღებული. განსახილველი მუხლის არსებობა განსაკუთრებით სასარგებლოა იმით, რომ იგი პირდაპირ აცხადებს ძალადაკარგულად ნებისმიერ კანონქვემდებარე აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა კანონის ამოქმედებამდე იქნა ის მიღებული თუ შემდეგ.

მუხლი 69. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამ მუხლის თანახმად, საქართველოს „საავტორო და მომხრე უფლებების შესახებ“ კანონი ამოქმედდა და ძალაშია 1999 წლის 8 ივლისიდან.

წიგნი დაიბეჭდა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის
საზოგადოების მხარდაჭერით

Herausgegeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen
Gesellschaft für Technische Zusammenarbeit



დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო
„საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო
მაცნეს“ რედაქციაში

თბილისი, 380046, რუსთაველის გამზ. №30 ტელ. (8832) 990-006,
997-601

E-mail: macne-jus@posta.ge